საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

1-4

1997

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии

ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

1-4. 1997

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი 1994—1996 წლებში ობიექტური მიზეზების გამო არ გამოსულა

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი, (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. ჟორდანია, ე. ხოშტარია-ბროსე, (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჭილაშვილი, † ნ. ჯანბერიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мусхелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), Л. А. Чилашвили, †Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე.
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

ლორთქიფანიძე, დემოგრაფიული სიტუაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში . . 5
ბეიშვილი, მეფე და სამეფო ხელისუფლება ძველ ქართულში 9
ჯურციკიძე,ზოროასტრული რელიგიური სისტემა 19
კუტალეიშვილი, ნაოსნობა-მეთევზეობის ლექსიკა ქართულში . . 37
გუგუშვილი, ქალის უფლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საქართველოში . 54

ცნობები და შენიშვნები

ხუნდაძე, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის საკითხისათვის . 69
სანაძე, ქართლის სამეფო VI საუკუნეში 79
ხუციშვილი, საჭვარისმამო საკუთრება თბილისში XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან XIX ს-ის დასაწყისამდე 93
იამანიძე, ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ისტორიისათვის . . . 99
ხუბაშვილი, ტამპლიერების ორდენის დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს მოწამეობრივი სიკვდილი 104
კაკაბაძე, კადარის „მაცხოვრის“ ეკლესია 109
შარაშენიძე, შეწირულობის ინსტიტუტი შუმერში 115
შენგელია, თბილისის მოსახლეობის ეთნოკონფესიონალური სტრუქტურა XIX საუკუნეში 135
ჯავახიშვილი, მცირე ქანდაკების ნიმუშები ქვემო ქართლიდან 141

დისკუსია და განხილვა

გოგოლაძე, კიდევ ერთხელ და საბოლოოდ სიმონ მეფის 1594 წლის დოკუმენტის შესახებ 145

პუბლიკაცია

მენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია 173
გურული, საქართველო ეანდარმის თვალით (დოკუმენტები) 192
ვაჩნაძე, კავკასიის ოხრანკის ცნობა ქართველი სოციალ-დემოკრატების შესახებ (1909 წ.) 209

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლორთქიფანიძე, ეროვნული დიპლომატიის ისტორიის შესწავლის ახალი საფეხური 211

ქრონიკა და ინფორმაცია

ჯავახიშვილი, ქართული სახელმწიფოს და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი 214

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

ЛОРДКИПАНИДЗЕ В. Г. Демографическая ситуация в постсоветском пространстве 5
ЧЕПШВИЛИ Г. Г. Царь и царская власть в древней Картли (Иберии) . . 9
КУРЦИКИДЗЕ Ш. А. Зороастрийская религиозная система 19
КУТАЛЕЛИШВИЛИ З. Навигационно-рыболовная лексика в грузинском языке 37
ГУГУШВИЛИ Н. Н. Правовое положение женщины в средневековой Грузии 54

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

ХУНДАДЗЕ Г. К вопросу польско-грузинских взаимоотношении 69
САНАДЗЕ М. В. Картлийское царство в VI в. 79
ХУЦИШВИЛИ Н. М. Собственность Иерусалимского Крестового монастыря в Тбилиси с половины XVII до начала XIX века 92
ЯМАНИДЗЕ М. П. К истории французской путешественнической литературы 99
ХУБАШВИЛИ Л. Б. Мученическая смерть Великого Магистра тамплиеров Жака де Моле 104
КАПАНАДЗЕ Т. В. Церьков «Спасителя» в селе Кадари 109
ШАРАШЕНИДЗЕ Дж. М. Институт пожертвовании в Шумере 118
ШЕНГЕЛИЯ З. Этноконфесиональная структура населения Тбилиси в XIX в. 135
ДЖАВАХИШВИЛИ Г. А. Образцы малой пластики из Квемо Картли . . 142

ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

ГОГОЛАДЗЕ Д. Еще раз и окончательно о документе 1594 г. царя Симона 145

ПУБЛИКАЦИЯ

МЕНТЕШАШВИЛИ А. М. Демократическая Республика Грузии и парижская мирная конференция 173
ГУРУЛИ В. Грузия глазами жандама (документы) 192
ВАЧНАДЗЕ М. Д. Сводка Кавказской Охранки о грузинских социал-демократах (1909 г.) 200

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

ЛОРДКИПАНИДЗЕ Г. Новая ступень в деле изучения истории национальной дипломатии 211

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

ДЖАВАХИШВИЛИ Н. Научно-исследовательский центр истории грузинской государственной и народной дипломатии 214

ᲛᲐᲓᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ

90-იანი წლების პირველ ნახევარში პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ კატაკლიზმებმა, მეურნეობის სოციალისტური სისტემის მსხვრევამ, საბაზრო ეკონომიკაზე სტიქიურად გადასვლამ, სამოქალაქო ომებმა და თავსმოხვეულ კონფლიქტებს თან მოჰყვა უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკება. ყოველივე ამის შედეგად თანამეგობრობის ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაუარესდა დემოგრაფიული სიტუაცია. კერძოდ, შემცირდა შობადობის დონე, გაიზარდა მოკვდაობა, შემცირდა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, უაღრესად ფართო მასშტაბი მიიღო შრომითმა მიგრაციებმა, შემცირდა ქორწინებათა და გაიზარდა განქორწინებათა რიცხვი.

განსაკუთრებით უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაციაა რუსეთის ფედერაციაში — პოსტსაბჭოთა სივრცეში შობადობისა და სიკვდილიანობის დონე ყველაზე არასახარბიელო აქ აღმოჩნდა. კერძოდ, რუსეთში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 1996 წელს 8,8 ბავშვი დაიბადა, ნაცვლად 12,1 ბავშვისა 1991 წელს. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკვდაობაც — 11,4 პრომილედან 14,3 პრომილემდე. შობადობის შემცირებისა და მოკვდაობის გაზრდის შედეგად საგრძნობლად იკლო მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ და მან ყოველ ათას კაცზე 1995 წელს მინუს 5,7 კაცი შეადგინა. ბუნებრივი მატების ასეთი დაბალი მაჩვენებელი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აღინიშნება ლიტვის გარდა, სადაც 1995 წელს მოსახლეობის ბუნებრივი კლება ყოველ ათას კაცზე 7,4 კაცს უდრიდა.

გაზრდილი მიგრაციული პროცესების შედეგად პოსტსაბჭოთა სივრციდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოსახლეობა ჩავიდა საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციაში. 1990—1995 წლებში 3,3 მილიონი მხოლოდ რუსი ეროვნების წარმომადგენელი ჩავიდა რუსეთში საცხოვრებლად ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. ამავე პერიოდში 1,2 მილიონი რუსი წავიდა რუსეთიდან საცხოვრებლად თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. მიგრაციის დადებითმა სალდომ რუსეთში საკმაოდ დიდი რიცხვი — 2,1 მილიონი კაცი შეადგინა, მთლიანად კი ყველა ეროვნების მიხედვით — 2,8 მილიონი კაცი. მიუხედავად ამისა, მიგრაციის დადებითმა სალდომ მაინც ვერ გადაფარა რუსეთში მოსახლეობის კლებით გამოწვეული დანაკარგები, ხოლო თანამეგობრობის ქვეყნების ზოგიერთ ქვეყანაში გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ გადააჭარბა მოსახლეობის ბუნებრივ მატებას. ამის გამო როგორც მთლიანად თანამეგობრობის ქვეყნების სივრცეში, ისე ზოგიერთ ქვეყანაში დაიწყო მოსახლეობის კლება. მარტო 1996 წელს მთლიანად თანამეგობრობაში მოსახლეობის რიცხვი 386 ათასით შემცირდა და 1997 წლის დასაწყისისათვის 284,8 მილიონი კაცი შეადგინა. მოსახლეობის რიცხვი შემცირდა ბელორუსიაში, მოლდავეთში, რუსეთში, საქართველოსა და უკრაინაში. მაგალითად, 1991—1996 წლებში, რუსეთის მოსახლეობა მილიონზე მეტი კაცით შემცირ-

და ეა მან 1997 წლის დასაწყისისათვის 147501 ათასი კაცი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში შემცირდა საქართველოს მოსახლეობის რიცხვიც 5464 ათასიდან 5410 ათასამდე. სამაგიეროდ გაიზარდა ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის მოსახლეობის რაოდენობა. განსაკუთრებით მოიმატა უზბეკეთის მოსახლეობამ — 2,7 მილიონი კაცით და 1997 წლის დასაწყისისათვის 23448 ათასი კაცი შეადგინა.

შობადობის დონე თანამეგობრობის ქვეყნებში 90-იანი წლების პირველ ნახევარში ყოველწლიურად მცირდებოდა, კერძოდ, 1995 წელს 1991 წელთან შედარებით 21%-ით შემცირდა, ამასთან, შემცირება აღინიშნა ყველა ქვეყანაში, როგორც ტრადიციულად მაღალი, ისე შობადობის შედარებით დაბალი დონის ქვეყნებში. მართალია, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში შობადობის დონე შემცირდა, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვნად მაღალი დარჩა და 3-ჯერ აღემატება რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში და 2,6-ჯერ საქართველოში არსებულ შობადობის დონეს. თანამეგობრობის ქვეყნებში მოკვდაობის დონე 1995 წელს 23%-ით გაიზარდა 1991 წელთან შედარებით. უკვე რამდენიმე წელია რაც უკრაინაში, რუსეთსა და ბელორუსიაში გარდაცვლილთა რიცხვი აჭარბებს დაბადებულთა რიცხვს. ამ მიზეზით რუსეთში 1992—1995 წლებში მოსახლეობის აბსოლუტურმა კლებამ 2,7 მილიონი კაცი შეადგინა (იხ. ცხრილი).

თანამეგობრობის ქვეყნებში შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტები (მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით)

ქვეყნები	შობადობა		მოკვდაობა		ბუნებრივი მატება	
	1991 წ.	1995 წ.	1991 წ.	1995 წ.	1991 წ.	1995 წ.
აზერბაიჯანი	27,0	19,1	6,3	6.3	20,7	12,3
ბელორუსია	12,9	9,8	11,2	13,0	1,7	—3,2
მოლდავეთი	16,5	13,0	10,5	12,2	6,0	0,8
რუსეთი	12,1	9,8	11,4	15,0	0,7	—5,7
საქართველო	16,3	11,6	8,5	7,8	7,8	3,8
სომხეთი	21,6	13,0	6,5	6,6	15,1	6,4
ტაჯიკეთი	38,9	28,5	6,1	5,7	32,8	22,8
თურქმენეთი	33,6	28,1	7,3	6,9	26.3	21,2
უზბეკეთი	34,5	29,8	6,2	6,4	28,3	23,4
უკრაინა	12,1	9,6	12,9	15,4	—0,8	—5,8
ყაზახეთი	21,0	16,7	8,0	10,2	13,0	6,5
ყირგიზეთი	26,1	29,0	6,9	8,2	22,2	17,5
საშუალოდ თანამეგობრობის ქვეყნებში	16,0	12,7	10,6	13,0	5,4	—0,3

წყარო: Статистический бюллетень, №5. М., 1997. გვ. 52—53.

90-იან წლებში მოკვდაობის ზრდა თანამეგობრობის ქვეყნებში დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე პროცესებთან. მოკვდავობის ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით, აგრეთვე, უბედური შემთხვევებით, მკვლელობებითა და თვითმკვლელობებით. მაგალითად, 1995 წელს 1991 წელთან შედარებით მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების შედეგად 15—34 %-ით გაიზარდა ბელორუსიაში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდავეთში, რუსეთში, უზბეკეთსა და უკრაინაში. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად, კერძოდ, 31—66%-ით გაიზარდა მოკვდაობა უბედური შემთხვევების, მკვლელობებისა და თვითმკვლელობების შედეგად ბელორუსიაში, ყაზახეთში, რუსეთსა და უკრაინაში, ხოლო სასუნთქი ორგანოების დაავადებების შედეგად 20—33%-ით მოლდავეთსა და რუსეთში. აღსანიშნავია, რომ თანამეგობრობის ქვეყნებში ავთვისებიანი სიმსივნეების შედეგად სიკვდილიანობა გაიზარდა მხოლოდ ბელორუსიაში (7 %-ით).

90-იან წლებში თანამეგობრობის ქვეყნებში მოკვდაობის ზრდის მიზეზად ასახელებენ მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების ხარისხის გაუარესებას, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით, კერძოდ, გაიზარდა უმუშევრობა, ქრონიკულად გვიანდება ხელფასები, პენსიები, სოციალური დახმარებები, გაუარესდა კვების ხარისხი, გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხარჯები, ფართოდ გავრცელდა ალკოჰოლიზმი და ნარკომანია.

შობადობის შემცირებამ და მოკვდაობის გაზრდამ მნიშვნელოვნად შეამცირა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა. ეს მაჩვენებელი შემცირდა როგორც ახალდაბადებულთა, ისე გარკვეულ ასაკამდე მიღწეულ პირთათვის. მაგალითად, 1991—1995 წლებში სიცოცხლის ხანგრძლივობა რუსეთში როგორც ახალდაბადებულთა, ისე 30 წლიანთათვის ხუთი წლით შემცირდა და 58 და 32 წელი შეადგინა. დანარჩენ ქვეყნებში მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 60—65 წელს უდრიდა.

სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი თანამეგობრობის ქვეყნებს შორის განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში გაუარესდა. როგორც აღნიშნავენ, სიცოცხლის ხანგრძლივობის მაქსიმალური სიდიდე რუსეთში მთელი მისი დემოგრაფიული ისტორიის მანძილზე 1986—1987 წლებში აღინიშნა და მამაკაცებისათვის 64,9 წელი, ხოლო ქალებისათვის 78,6 წელი შეადგინა. უკანასკნელ 25 წელიწადში ეს მაჩვენებელი მინიმალური იყო 1994 წელს: 57,6 — მამაკაცებისათვის და 71,2 — ქალებისათვის. მამაკაცებსა და ქალებს შორის განსხვავება სიცოცხლის ხანგრძლივობაში მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალია რუსეთში—13,4 წელი. 1995 წელს. მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლით რუსეთში მცხოვრებ მამაკაცებს 135-ე ადგილი უკავიათ მსოფლიოში, ხოლო ქალებს — მესამე. ამასთან, რუსეთში მცხოვრები მამაკაცები 15—17 წლით, ხოლო ქალები 7—10 წლით ნაკლებს ცოცხლობენ, ვიდრე ევროპაში მცხოვრები მამაკაცები და ქალები.

უკანასკნელ წლებში სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლებიც გაუარესდა. 1991—1995 წლებში ჭორწინების დონე მთლიანად თანამეგობრობაში 23 %-ით შემცირდა. რაც შეეხება განქორწინებას, მისი დონე ყველაზე მეტად გაიზარდა ბელორუსიაში, მოლდავეთსა და რუსეთში — 6-13%-ით.

აღნიშნული უაღრესად არახახარბიელო დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების წევრ სახელმწიფოების მხრიდან სათანადო ღონისძიებების გატარების საჭიროებას იწვევს. ეს შეეხება როგორც შობადობის ამაღლებას, ისე მოკვდაობის შემცირებას. მაგრამ, როგორც მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, შობადობის სტიმულირების ღონისძიებები ნაკლებად ეფექტურია, ამიტომ მთავარ ყურადღებას აქცევენ მოკვდაობის შემცირების მიმართულებით გაწეულ ღონისძიებებს. ამასთან დაკავშირებით დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნებს შორის უეჭველად პრიორიტეტულად ითვლება მოსახლეობის მაღალი მოკვდაობის შემცირება, მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ამაღლება.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ჩიქავამ.

გიორგი მელიქიშვილი

მეფე და სამეფო ხელისუფლება ძველ ქართლში

ქართულმა საისტორიო ტრადიციამ ქართლის სამეფოს წარმოქმნა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებსა და დიადოხოსების ურთიერთბრძოლებს დაუკავშირა[1]. ამავე ტრადიციამ შემოინახა ის იდეოლოგიური თეორიაც, რომელიც ქართლის მეფეთა ხელისუფლების კანონიერებას ასაბუთებდა[2].

ქართლის სამეფოს დამაარსებელი, „მეფეთა ცხოვრების" მიხედვით, ფარნავაზია. „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი"[3]. ფარნავაზი ერთპიროვნული მმართველია, რომელიც თავის ხელისუფლებას მემკვიდრეობით გადასცემს. „და მოკუდა ფარნავაზ... და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ"[4]. ამავე პრაქტიკას მომდევნო მეფეებიც მისდევენ: „და მოკუდა საურმაგ, და მეფე იქმნა მის წილ შვილებული მისი მირვან"[5]; „და მოკუდა მირვან, და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ"[6] და ა. შ. ამგვარად, ქართლის მეფის ხელისუფლება კანონიერია იმდენად, რამდენადაც ის მემკვიდრეობითაა მიღებული წინამორბედ ხელისუფალთაგან. ზოგჯერ მეფობის ამა თუ იმ პრეტენდენტს ტახტის „დაპყრობა" უხდება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც „ფარნავაზიანობა", „მეფეთა ფარნავაზიანთა" „შვილობა" ხელისუფლების ლეგიტიმურობის აუცილებელი პირობაა[7].

უცხოური წყაროები ადასტურებენ, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს ფარნავაზიანთა დინასტია განაგებდა[8] და რომ ძალაუფლება ამ საგვარეულოში მამიდან შვილზე გადადიოდა[9]. ფრიად ნიშანდობლივია ტაციტუსის შემდეგი ჩვენება: „იბერებს მბრძანებლობდა ფარასმანე მფლობელობის ძველი წესის მიხედვით." („Hiberos Pharasmanes, vetusta possessione... obtinebat" — Tac. Ann XII. 44).[10] ირკვევა, რომ ფარსმანის ხელისუფლება გარკვეულ უფლებას ემყარებოდა და რომ ეს უფლება ძალზე ძველი ყოფილა. ამ უფლების ერთ-ერთი თეორიული ნორმა, ამავე ავტორის მიხედვით, ის არის, რომ ფარსმანი მემკვი-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 17—20, 23.

[2] ეს თეორიები, რომლებიც XI საუკუნის ისტორიკოსმა შემოგვინახა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დადასტურდება ანტიკური წყაროებით; ამიტომ საკვირაუდოა, რომ ლეონტი მროველთან მართლაც ძველი ტრადიციაა შემონახული.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 26.

[4] იქვე.

[5] იქვე. გვ. 27.

[6] იქვე. გვ. 28.

[7] იქვე. გვ. 29, 31—35, 62—64.

[8] История Армении Фавстоса Бузанда, Ереван, 1959, გვ. 162.

[9] იხ. Г. А. Меликишвили, К истории древних Грузин, Тб., 1959 გვ. 451.

[10] ს. ყაუხჩიშვილი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 343; შდრ. „...Над иберами сдавних пор властвовал Фарасман" — Корнелий Тацит, Сочинения, I, Анналы, Л., 1969.

დრეობით, საგვარეულო ხელისუფლებას ფლობს („...gentile imperium obtinebat" — Ann. VI. 32).

მეფობის წარმოქმნამდე კი ქართლს მცხეთელი მამასახლისები განაგებდნენ[11]. მცხეთელი მამასახლისი „რეცა თავადი... იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა... და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა"[12]. მცხეთელი მამასახლისი, „მეფეთა ცხოვრების" მიხედვით, მეფედ მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა; კერძოდ კი, მცხეთელ მამასახლისთა წარმომადგენელმა, ფარნავაზმა დაამარცხა უცხოელი დამპყრობელი, მაკედონელი აზო[13] და ქვეყანას „აღჯადა" „ხარკი და ჴირი უცხოთა ნათესავთაგან"[14]. აზოზე გამარჯვებამ ფარნავაზს არა მხოლოდ ქართლის სამეფო ტახტი მოუპოვა. „ფარნავაზ — ამტკიცებს მემატიანე — მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა"[15]. ქართლოსიანთა ხელისუფლების გავრცელება ეგრისზე სავსებით კანონიერი იყო იმდენად, რამდენადაც მანამდე მთელს ამ ტერიტორიაზე თავის ძალაუფლებას ახორციელებდა აზო[16]. ფარნავაზის ქართლში გამეფების ლეგიტიმურობა იმ ფაქტიდანაც გამომდინარეობდა, რომ ის იყო მცხეთელ მამასახლისთა მემკვიდრე. „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი" — ეუბნება ქუჯი ფარნავაზს;[17] თუმცა ქუჯის ისიც კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ „უფლობას" ფარნავაზს მხოლოდ აზოზე გამარჯვება მოუპოვებს: „და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი"[18]. თვითონ ფარნავაზსაც კარგად ეამის, რომ მცხეთელ მამასახლისთა საგვარეულოს წარმომადგენლობა არ არის საკმარისი პირობა ამერ-იმერზე გასამეფებლად, რადგან ეგრისის ხელისუფალი ქუჯი მისი თანასწორი პარტნიორია. „მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თჳსი ქუჯის თანა და რქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და წმისწული სამარა მამასახლისისა ... აწ ინებო, რათა ... მოვიდე შენ თანა, და ვიყვნეთ ჩუენ ძმა"[19]. ქუჯის „ძმად" მოხსენიება კანონზომიერია, რადგანაც მცხეთელ მამასახლისთა ხელისუფლება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა და ნომინალურ ხასიათს ატარებდა[20].

იმისათვის, რომ მცხეთელ მამასახლისთა ნომინალური ხელისუფლება ქართლის მეფის ერთპიროვნული ძალაუფლებით შეცვლილიყო, ფარნავაზს ბრძოლების გადახდა და მთელი ამ ტერიტორიის „დაპყრობა" დასჭირდა. „ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი. და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა"[21]. რამდენიმე ხნის შემდეგ „წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საბღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა. და ეკლეციით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლა-

---

11 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8—16.
12 იქვე, გვ. 11.
13 იქვე, გვ. 23.
14 იქვე, გვ. 26.
15 იქვე, გვ. 24.
16 იქვე, გვ. 19.
17 იქვე, გვ. 22.
18 იქვე.
19 იქვე.
20 იქვე, გვ. 10—11.
21 იქვე, გვ. 23.

რჯეთი“[22]. ამავე პერიოდის გამოძახილს წარმოადგენს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა, რომ „მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“[23]. ციტირებულ ფრაგმენტებში საინტერესოა „დაპყრობისა“ თუ „შეპყრობის“ ფაქტის ხაზგასმა. შესაძლოა, ქართველი მემატიანისათვის თუ მისი წყაროსათვის უცნობი არ იყო ძველ საბერძნეთში მოარული და შემდეგ ელინისტური მონარქების მიერ შეთვისებული „გამარჯვებულის უფლება“, „გამარჯვებულის სამართალი“[24]. „მარადიული კანონია: ყველაფერი ეკუთვნის გამარჯვებულს“ — აცხადებდა ჭსენოფონტე (Cyrop. VII. 5·73); „უფლება ბრძოლით მოპოვებულ სამფლობელოებზე ყველაზე უფრო მტკიცე და სამართლიანია“ — ბანს აძლევდენ ქსენოფონტეს სელევკიდები[25].

ვაჟკაცობა, საბრძოლო შემართება, სამხედრო წარმატება ელინისტური სამეფოების იდეოლოგიურ ჭვაკუთხედს ქმნიდა. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შედეგ მის სარდლებს შორის დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა ხელისუფლებისათვის. დიადოხოსთა ნაწილი იმპერიის ერთიანობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა, ნაწილი კი — კუთვნილ სატრაპიაში გახელმწიფებისათვის. მაგრამ ვიდრე რომელიმე მათგანი სამეფო გვირგვინს დაიდგამდა, მანამდე თავისი სიქველე უნდა გამოემჟღავნებინა. გმირობის დემონსტრირებაც მეფობის მაძიებელნი სამხედრო ძალის საშუალებით ახდენდნენ. 306 წ. ანტიგონე ცალთვალამ საზღვაო ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა პტოლემაიოსზე; გამარჯვებული სარდალი ჯარმა მეფედ გამოაცხადა. 304 წ. მეფის ტიტული მოიპოვა პტოლემაიოსმაც, რომელმაც მოიგერია ანტიგონეს თავდასხმა ეგვიპტეზე. სელევკს კი გვირგვინი მოუპოვა საბრძოლო წარმატებებმა შორეულ აღმოსავლეთში, ბაბილონსა და ამანის კალთებთან. გამარჯვებები გამარჯვებულთ ფაქტობრივ მპყრობელობასთან ერთად ანიჭებდა უფლებას ამ მპყრობელობაზე. ეს უფლება ემყარებოდა იმ სამართლებრივ ნორმასაც, რომ დიადოხოსები იყვნენ მემკვიდრენი ალექსანდრესი, რომელმაც დაამარცხა დარიოსი. ამასთანავე მოქმედებდა მეორე სამართლებრივი პრინციპიც — მახვილით პყრობილი სამფლობელოები (იგულისხმება ესა თუ ის ელინისტური სამეფო) გადადიოდა მემკვიდრეობით, რაც მომდევნო მეფეთა ხელისუფლების კანონიერებას უეჭველს ხდიდა[26]. ამრიგად, ელინისტური მონარქიები დაფუძნებული იყო ბერძნული სამართლის ორ უნივერსალურ პრინციპზე: გამარჯვებით მოპო-

---

[22] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 23.

[23] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 82; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ, I, 1977, გვ.

[24] Э. Бикерман, Государство Селевкидов. М., 1985. გვ. 16—17.

[25] იქვე, გვ. 11.

[26] ასე მაგალითად, სელევკიდები იმ მიწა-წყალს, რომელიც ოდესღაც ლისიმაქეს სამეფოს წარმოადგენდა, თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ, რადგან ლისიმაქეს დამარცხებისა და დაღუპვის შემდეგ ეს ტერიტორიები ომის სამართლის ძალით ერგო სელევკს (Liv. XXXIII. 40. 2). ამავე სამართლის ძალით ეუფლა — აზიაზე გამარჯვების შემდეგ — ქართლსა და ეგრისს ფარნავაზიც. მირიანის დროს ეს „მკლავითა წახმული“ უცხონი ქუეყანანი“ საუფლისწულო ქვეყნებად ეწყობიან (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 67; იხ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 59—60). მაგრამ, შესაძლოა, ამ შემთხვევაში საქმე გვქონდეს სასანურ ტრადიციებთან და არა ელინისტურ კონცეფციებთან.

ვებულ უფლებასა და ერთხელ მოპოვებული უფლების მემკვიდრეობით გადაცემაზე[27].

„მეფეთა ცხოვრების“ ზემოთ მოტანილ ცნობებს თუ განვიხილავთ ელინიზმის ისტორიის საერთო კონტექსტში, დავინახავთ, რომ სამეფო ხელისუფლების წარმოქმნას ქართლში იგივე იდეოლოგიური პრინციპები განსაზღვრავდა. გარკვეული როლი შეასრულა, ალბათ, აქემენიდური ირანიდან მომდინარე პოლიტიკურმა და კულტურულმა ტრადიციებმაც[28]. ძველი სპარსული ტრადიციის მსგავსადვე სამეფო ხელისუფლების წყაროდ მიჩნეულია მეფის სვე. „სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი“ — მიმართავს ფარნავაზი ქუჯის[29]. კიდევ უფრო მკაფიოდაა გატარებული ეს აზრი ქართლის მეათე მეფის, ადერკის სიტყვებში: „სუე-ა ჩემსა მოუცემია მეფობა ჩემდა“[30]. ეს „სუე“, როგორც ჩანს, ძვ. სპარსული ფარნაა — ღვთაებრივი ნათება სამეფო ძალაუფლებისა და სიმდიდრის მომნიჭებელი. ის ფარნავაზს ჯერ სიზმარში ეჩვენა მზის სახით, ხოლო შემდეგ ნადირობისას გამოეცხადა ირმის სახით და განძი აპოვნინა. ამ ხვასტაგით ფარნავაზი „განიმრავლებს“ სპას და დაამარცხებს აზოს[31]. ახალი დინასტიის დამაარსებლის ძლევამოსილი ბრძოლა წინამორბედ მბრძანებელთან, აგრეთვე, გავრცელებული მოტივი იყო ირანსა და ირანულენოვან სამყაროში: კიროსი ამარცხებს ასტიაგს, არშაკი — სელევკ II, არდაშირი — არტაბანს და სხვ. გამარჯვებული გმირი ღვთაებისაგან (აჰურამაზდასგან) იღებს სამეფოსაც და სამეფო ძალაუფლებასაც[32]. მოტანილ პასაჟში სპარსულ ტრადიციებს შეერწყა ადგილობრივი (ქართული) წარმოდგენები სოლარული გმირის შესახებ, რომელიც ნადირობისას ნაპოვნი განძით ამკვიდრებს თავის სამეფო უფლებებს და აარსებს ახალ სამეფოს[33]. ქართულ — სპარსული პოლიტიკური აზროვნებიდან გამოვყოფთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს: ისევე როგორც აქემენიდები, ფარნავაზიანებიც იწოდებოდნენ „დიდ მეფედ“[34] და ხაზს უსვამდნენ თავიანთ ეროვნულ კუთვნილებას[35]. ფარნავაზიანთა „ქართლოსიანობა“//„იბერობა“, აქემენიდთა „სპარსელობის“ მსგავსად, მათი ხელისუფლების კანონიერების აუცილებელი ატრიბუტია.

---

[27] Э. Бикерман, დასახ. ნაშრომი, გვ. 14—17. მოგვიანებით, ამავე თეორიული ნორმებით ასაბუთებენ თავის ხელისუფლებას პართელი არშაკიდებიც. იხ. Г. А. Кошеленко, Царская власть и её обоснование в ранней Парфии, История Иранского государства и культуры, М., 1971.

[28] შდრ. S. Rapp, იხ.

[29] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 22.

[30] იქვე, გვ. 34.

[31] იქვე, გვ. 21—23.

[32] იხ. Г. А. Кошеленко, დასახ. ნაშრ., გვ. 214—215.

[33] ი. სურგულაძე, ერთი საქორწილო წესის მითოსური და სოციალური ბუნებისათვის („მეფის განადირების“ ანალიზის ცდა), „მაცნე,“, ისტორიის სერია, 1, 1989, გვ. 44.

[34] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 100; თ. უვახიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 250.

[35] „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, ...რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჭესთან, იბერი იბერის ძე...“ (თ. უვახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 236); შდრ, „მე მეფე დარაიავაჰუ... თავად სპარსი და ჩემი სპარსისა“. იტყვის მეფე დარაიავაჰუ: „სპარსი სპარსეთით მართოს ვეუფლე“, „მე ვარ ხშაიარშა მეფე დიდი, სპარსის შობილი, თავად სპარსი“ (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990, გვ. 313—315).

სამეფო ხელისუფლების ხასიათი და მისი განმსაზღვრელი პრინციპები რომ სწორედ ელინისტურ ხანაში ყალიბდება, ეს ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების ურთიერთშეპირისპირებითაც არკვევა. სტრაბონის ცნობილი ჩვენების მიხედვით „ერთი [გვარია] და პირველი, რომლისგანაც მეფეს სხამენ მახლობლობისა და ასაკის გამო უხუცესს, ხოლო მეორე [ამ გვარიდან] მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე [გვარი] არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე“ (XI. 3.6). სტრაბონისეული ბასილევსი მოკლებულია სამეფო ხელისუფლების აუცილებელ რეგალიებს: ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს ცნობა, რომელიც პოსიდონიოსისაგან[36] თუ პატროკლესგან[37] (via ერატოსთენე) მომდინარეობს, უნდა ასახავდეს წინაელინისტური ხანის ვითარებას[38], ე. წ. მამაახლისობის დროს[39]. სრულიად განსხვავებული ვითარებაა ძვ. წ. I ს-ის 60-იანი წლებიდან: იბერიის ბასილევსი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონია; „დიდი მეფე“ წარმოადგენს სახელმწიფოს, აწარმოებს საგარეო პოლიტიკას, მხედართმთავრობს ჯარს; ხელისუფლება გადადის მეფისწულზე და არა სამეფო საგვარეულოს უხუცესს წევრზე (იხ. მითრიდატეს იამარჯვების სტელა; არმაზის ბილინგვა; Plut. Pomp. 34, 36; App. Mithr. 103; Dio XXXVII. 1. 2., LVIII. 26. 1-4. LXIX. 15. 1-2. LXX. 2. 3; Tac. Ann. VI. 32—36, XII. 44—47, XIII. 37, XIV. 26). წყაროთა შეჯერებით ცხადი ხდება, რომ ელინისტურ ხანაში იბერიის (ქართლის) სახელმწიფო წყობა არსებით ცვლილებებს განიცდის; ბუნებრივია ვივარაუდოთ, ახალი თეორიული ნორმები ელინსტური სამეფოებიდან და კერძოდ, სელევკიდებიდან მომდინარეობდა.

ელინიზმის გარიერაზე წარმოქმნილი ქართლის სამეფო ელინისტური საყაროდან საზრდოობდა არა მხოლოდ იმ იდეებითა და იდეალებით, რომლებიც მეფის ხელისუფლებას ასაბუთებდა. იბერიის სახელმწიფო ორგანიზაციას, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ წყობას ასევე მრავალი პარალელი ეძებნება ელინისტურ აღმოსავლეთში[40]. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართლის მესვეურთ მექანიკურად გადმოჰქონდათ ელინისტური სახელმწიფოს (სელევკიდების) წყობილების ფორმები ქართლში[41].

სელევკიდების უზარმაზარი სახელმწიფო, გადაჭიმული ხმელთაშუაზღვიდან სპარსეთის ყურემდე, არასოდეს ალიქმებოდა არც ტერიტორიულ და მით უფრო, არც ნაციონალურ სახელმწიფოდ. ბერძნული კონცეფციების მიხედვით, სახელმწიფო განიხილებოდა მთავრობის უფლებათა და ქვეშევრდომების მოვალეობათა ერთობლიობად და იწოდებოდა „საქმენი“ (**τα πραγματα**). მეფის ხე-

---

[36] А. И б о л т у ш о в а, Описание Иберии в „Географии“ Страбона, ВДИ, №4, 1947.

[37] ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, 3, 1957.

[38] თ. დ უ ნ დ უ ა, კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1993, შენ. 7, გვ. 151—152.

[39] შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1982, გვ. 154—165; მ ი ს ი ვ ე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979, გვ. 207—208; მ ი ს ი ვ ე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977, გვ. 185.

[40] იხ. ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968.

[41] იქვე, გვ. 22.

ლისუფლება ატარებდა პერსონალურ ხასიათს. ქვეყნის მცხოვრებნი, რომელზედაც ვრცელდებოდა მეფის იურისდიქცია, ითვლებოდნენ სელევკის, ანტიოქეს და ა. შ. ქვეშევრდომებად. ამიტომ სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება იყო „ესა და ეს მეფე და მისი ქვეშევრდომნი". მაკაბელთა წიგნში სახელმწიფოს ტერიტორიის აღსანიშნავად გამოიყენებოდა სპარსული ადმინისტრაციის ფორმულირება: οἶκος τῆς βασιλείας τοῦ βασιλέως („მეფის სამეფო სახლი" — 1. მაკ. 2. 19)[42].

ფარნავაზის მიერ დაარსებული აღმოსავლურქართული სახელმწიფო ყალიბდებოდა გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეულ ეთნოსს უკავშირდებოდა. ამიტომ ფარნავაზიანთა ტიტულატურაში ასახა მათი ხელისუფლების როგორც ტერიტორიული, ისე ნაციონალური ხასიათი. „მეფენი ფარნავაზიანნი"[43] არიან „მეფენი ქართლისანი"[44], „ქართლის მეფე"[45], „მეფე ქართლისა"[46], „მეფე ქართლსა შინა"[47], ან კიდევ „მეფე ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა"[48]. მეორე მხრივ, ფარნავაზიანები იწოდებიან როგორც „მეფე ქართველთა"[49] ან „ქართველთა მეფე"[50]. ბერძნულ-რომაულ წყაროებში, შესაბამისად, დასტურდება „იბერთა მეფე"[51] და „იბერიის მეფე"[52]. მართალია, ეს უკანასკნელი ფორმა მხოლოდ და მხოლოდ ორ შემთხვევაში გვაქვს დამოწმებული, მაგრამ მისი ხმარება ოფიციალური ხასიათის წარწერებში — მხედველობაში გვაქვს შაბურ I-ის სამენოვანი წარწერა ნაყშე რუსთამიდან, სადაც ბერძნული ტექსტის „იბერიის მეფეს" შეესატყვისება საშუალო სპარსულის „ვრუჩანის მეფე" და პართული „ვირშანის მეფე"[53] — სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ „იბერიის მეფე" გავრცელებული ტიტულატურა იყო როგორც ქვყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. V ს-ის სომხურ წყაროებში[54], რომლებიც IV—V სს. ქართლის ვითარების ასახავენ, დადასტურებული გვაქვს შემდეგი ფორმები: *Թագաւոր Վրաց, Վրաց Թագաւոր, արեաւ Վրաց* და *Վրաց արեայ*. სომხ. *Վիր* (ნათ. *Վրաց*) აღნიშნავს „ქართლსაც" და „ქართველებსაც". ამიტომ, ზემოთ მოტანილი ფორმები შეიძლება ითარგმნოს როგორც „ქართლის მეფე", ისე „ქართველთა მეფე"[55].

„ქართველია", ლეონტის მიხედვით, არამხოლოდ ქართლოსიანი, არამედ პოლიტიკური ქართლის ნებისმიერი მკვიდრი, იქნება ის ურია, ჰრომაელი, ძუ-

---

[42] Э. Бикерман, დასახ. ნაშრ., გვ. 4—19.

[43] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 17.

[44] იქვე, გვ. 45, 47—49, 51, 59, 65.

[45] იქვე, გვ. 57.

[46] იქვე, გვ. 20.

[47] იქვე, გვ. 26.

[48] იქვე, გვ. 24.

[49] იქვე, გვ. 30, 32, 59.

[50] იქვე, გვ. 3, 43, 46, 64.

[51] თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., 234—235, 250; App. Mithr. 103; Res Gesta Divi Augusti 31; Tac. Ann XI. 8; Jos. Flav; IA XVIII. 97; Eutr. Brev. VIII. 3; El. Spart., Hadr,

[52] Amm. Marc. XXI. 6. 7; Oros. VI. 4. 8.

[53] იხ. გ. წერეთელი, საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის, „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია", თბ., 1993.

[54] ფავსტოს ბუზანდი, სომხეთის ისტორია (ძვ. სომხურ ენაზე), თბ., 1910, გვ. 315—316; ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 243, 244, 247 და სხვ.

[55] ლ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 166.

რძუკი თუ სხვა. ისინი ფლობენ ქართულ ენას, ნაზიარები არიან ქართულ კულტურას, მონაწილეობენ ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში[56]. ასეთივე ფართო მნიშვნელობითაა დადასტურებული ტერმინი „იბერი". იბერი იბერიის მკვიდრია, მიუხედავად ეთნიკური თუ კულტურული კუთვნილებისა. საამისო ფრიად მნიშვნელოვანი მოწმობა სტრაბონს მოეპოვება: „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი. ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილნი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიც და ნათესავებიც არიან. თუმცა ეწევიან მიწათმოქმედებასაც, და როდესაც ჩამოვარდება შფოთი თავისი და მათი სახსრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი [მებრძოლი]" (XI. 3.3). როგორც ვხედავთ, იბერიის მთიანა და ბარის მოსახლეობა ერთმანეთისაგან განსხვავდება წარმომავლობით, კულტურითა და ცხოვრების წესით, სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონით; მიუხედავად ამგვარი თვალშისაცემი სხვაობისა, ყველა ისინი იბერები არიან („ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა" — Strabo XI. 3.3). ის, რაც იბერებს აერთიანებთ, არის ტერიტორია და ლოიალობა შიდა ჯგუფისადმი (ქვეყნის პოლიტიკური კეთილდღეობის დაცვა)[57]. ამავე როლს ასრულებს, უეჭველად, ენაც[58]. თვით სტრაბონისთვის ხომ ერთიანი სახელმწიფო ენა ერთიანი სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია (XI. 14.5 შდრ. XI. 4.6).

ყველა ესენი იბერიის მეფის „ქვეშევრდომნი" არიან, ხოლო იბერიის მეფე ყველა ამათი „უფალია"[59].

ქართლის (იბერიის) სამეფოს სტრუქტურას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მეფის ხელისუფლების პერსონალური ხასიათიც. ლეონტის მიხედვით, სწორედ პერსონალურმა ურთიერთობებმა შეუწყო ხელი ქართლისა და ეგრისის ერთ სამეფოდ გაერთიანებას (ამ კუთხით განვიხილავთ ერთხელ უკვე ციტირებულ ცნობას: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი ... შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი"). პერსონალურმა ურთიერთობებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ეგრისის ნაწილი ქართლის სამეფოს საზღვრებს გარეთ დარჩა. „ხოლო ეგრის წყალს ჩუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა"[60]. უნდა ვიფიქროთ, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ნების შემთხვევაში

---

[56] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 381—382; დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდებისათვის, „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია", გვ. 344.

[57] ლოიალობა შიდა ჯგუფისადმი ეროვნული ცნობიერების ქვაკუთხედია. რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ეს უკანასკნელი მომენტი ეხება მთიელ იბერებს, რომლებიც სარმატებს ენათესავებიან. მთიელთა აქტიური მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯუანშერის ცნობილი ჩანართითაც დასტურდება (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 156).

[58] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 640, 641.

[59] ტერმინი „ქვეშევრდომი" დადასტურებულია არიანესთან (PPE. 11) და პროკოფი კესარიელთან (Goth. VIII, 2.), „უფალი" — ლეონტი მროველთან. „უფლად" აღიქვამენ იბერიის მეფეს, ალბათ, ძველი ბერძნებიცა და რომაელებიც. პარალელისათვის შეიძლებოდა მოგვეტანა დიდი არმენიის მეფის მიმართ დამოწმებული ტერმინოლოგია: „იგი (ე. ი. პართიის მეფე — გ. ჭ.) დაამარცხა ტიგრანმა და ეს დადგა ყოველივეს უფლად... ქვეშევრდომებად ჰყავდა ატროპატენე და გორდიეოსი, მათთან ერთად დანარჩენი მესოპოტამია" (Strabo XI. 14. 15).

[60] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24,

ქართლის მეფის ხელისუფლება გავრცელდებოდა მათზეც და იმ ტერიტორიაზეც („ეგრის წყალს ქუემოთ"), რომელზეც ისინი სახლობდნენ. მსგავსი მოვლენა თავს იჩენს ოცდამეშვიდე მეფის, ვარაზ-ბაქარის ზეობაშიც: „განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღუთაგან არსიანთამდე და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა..."[61] აქაც ხაზგასმულია, რომ მას შემდეგ, რაც კლარჯნი გამოდიან ვარაზ-ბაქარის იურისდიქციიდან, ეს უკანასკნელი კარგავს უფლებებს კლარჯეთზეც.

ქართული წყაროს ცნობებს ემოწმება V ს-ის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი. მემატიანის ცნობით, სომხეთის მეფეს არშაკს გადაუდგნენ ნახარარები და მიემხრნენ სპარსეთის შაჰს. „ამის შემდეგ გუგარქის პიტიახში და მის შემდეგ ძორის გავარის უფალი, და კოლბის გავარის უფალი, და მათთან გარდმანაძორის უფალი და ისინი, ვინც მათ მხარეებში იყვნენ, ვინც მათს ირგვლივ იყვნენ. ერთიანად აუჯანყდნენ სომხეთის მეფეს არშაკს და აღიძრნენ, წავიდნენ, წარსდგნენ სპარსთა მეფის შაპუჰის წინაშე"[62]. როგორც ჩანს, შაჰის სანქციით გუგარქის ბდეშხი ქართლის მეფეს დამორჩილდა. ეს, ირკვევა ფავსტოსის მომდევნო თხრობიდან: „იმის შემდეგ მუშელმა ილაშქრა ქართლის მეფეზე, ძალიან შეავიწროვა და გაანადგურა, დაიპყრო მთელი ქართლის ქვეყანა. მახვილს მისცა ყველა აზატები და ნახარართა გვარები, რომლებიც ჰპოვა. სპარაპეტმა მუშელმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ ქართლის ქვეყანაში ფარნავაზიანები, ხოლო გუგარქთა პიტიახში, რომელიც წინათ სომხეთის მეფეს ემსახურებოდა და ბოლოს აუჯანყდა მას, დაიჭირა, თავი მოჰკვეთა... საერთოდ ამ ქვეყნის ყველა ნახარარს, რომელიც აუჯანყდა სომხეთის მეფეს, თავი მოჰკვეთა, მთელი გვარი ხელახლა დაიპყრო და მძევლებიც აიყვანა, დანარჩენებს კი ხარკი დააკისრა. მან დაიპყრო მიწა ძველ საზღვრამდე სომხეთსა და ქართლს შორის, ე. ი. დიდ მდინარემდე, რომელსაც ჰქვია მტკვარი..."[63]. მოტანილი ფრაგმენტებიდან ჩვენთვის ამჯერად ის გარემოებაა საინტერესო, რომ სახელმწიფოს (ქართლის, სომხეთის) საზღვრების გაფართოება თუ შეკვეცა გარკვეულწილად პერსონალურ ურთიერთობებზეა დამოკიდებული.

ქართლის მეფის ხელისუფლების პერსონალური ხასიათი ტერიტორიულთან შედარებით მეორე პლანზეა გადატანილი. ეს სჩანს თუნდაც „ქართლის ცხოვრებიდან". ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალთან დაზავებულა კეისარმა „უჰბოსცა... საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი..."[64]. როგორც ვხედავთ, ციტირებულ ფრაგმენტში მხოლოდ ტერიტორიული მომენტია (კლარჯეთი) ხაზგასმული, პერსონალიები კი (კლარჯები) არსად ჩანან. ტერიტორიული პრინციპის უპირატესი ხასიათი თვალნათლივ ვლინდება ქართველ—სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ამსახველ სომხურ წყაროებში. ირკვევა, რომ V ს-ის შუახანებისათვის და, შესაძლოა, ამაზე უწინარესაც, ქვემო ქართლში, ლორე—ტაშირის ზეგანზე არსებობდა სომეხთა კომპაქტური დასახლება, რომელიც ცურტავის ეპარქიაში შემოდიოდა. იგი მოიხსენებოდა რო-

---

61 ქართლის ცხოვრება, I, 136—137.

62 ლ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ. გვ. 71.

63 იქვე, გვ. 72.

64 ქართლის ცხოვრება, I, 177.

გორც „ცურტავის სომხურენოვანი ქვეყანა“[65], „სომხურენოვანი ქვეყანა, რომელიც ცურტავის ეკლესიის განმგებლობის ქვეშ არის“[66], „სომხურენოვანი მრევლი“[67], „სომხურენოვანნი“[68], „ცურტავის ეკლესიის სომხურენოვანი საწყსო/მრევლი“[69], „სომხურენოვანი თემი ცურტავის ეკლესიისა“[70], „სომხურენოვანი ქვეყნები“[71]. მას შემდეგ, რაც კირონ ქართლის კათალიკოსმა ცურტავის საეპისკოპოსოში სომხურთან ერთად ქართული მღვდელთმსახურებაც შემოიღო, სომხური მოსახლეობა შეწუხდა და დახმარებისათვის სომხეთის (პერსარმენიის) სასულიერო და საერო ხელისუფლებით მიმართა: „ჩვენთვის მანდედან დახმარებისა და ზურგის გარეშე აქ ყოფნა არ შეიძლება. ისეთ ძლავრ გოროზს შევყრილვართ, რომელიც მამამთავრად იწოდება; თუ არა, [უნდა] დავტოვოთ ეს ქვეყანა და წავიდეთ“[72]. საინტერესოა რომ არც „სომხურენოვანთ“ და არც მათ მფარველებს აზრადაც არ მოსდით განდგომა. იურიდიულ ურთიერთობათა გაწყვეტა ქართლის ხელისუფლებასთან მხოლოდ აყრა-გადასახლებით, ქართლის მიწა-წყლის მიტოვებით მიიღწევა. და ეს იმიტომ, რომ ისინი (ე. ი. სომხები) ქართლის მეფის ტერიტორიაზე სხედან და მათი ქვეშევრდომობაც ამ მომენტითაა განპირობებული.

ამგვარად, სამეფო ხელისუფლების ხასიათის შედარებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართლის მეფეები, ელინისტური მაკედონიის მონარქების მსგავსად, ეროვნული (ქართული) სახელმწიფოს მაშენებლები იყვნენ[73].

---

65 უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 65.

66 ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 32.

67 უხტანესი, გვ. 69.

68 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 4; უხტანესი, გვ. 55.

69 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 3; უხტანესი, გვ. 53.

70 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 5; უხტანესი, გვ. 57.

71 უხტანესი, გვ. 63.

72 იქვე, გვ. 65; ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 34—35.

73 W. W. Tarn and G. T. Griffith, Hellenistic Civilization, London 1952, p. 47: „The god-descended king ...ruled a national kingdom...“.

Г. Г. ЧЕЙШВИЛИ

ЦАРЬ И ЦАРСКАЯ ВЛАСТЬ В ДРЕВНЕЙ КАРТЛИ (ИБЕРИИ)

Резюме

В статье рассматриваются сведения «Картлис Цховреба» о возникновении царской власти в древней Картли в общем контексте истории эллинизма. В основе царской власти в Картли лежали два принципа греческого права: право победы и передача единожды приобретенного права по наследству. В теории обоснования царской власти Фарнавазидов амальгамировались и древнеперсидские представления.

Наряду с эллинистическими и древнеперсидскими заимствованиями важную роль играли местные воззрения.

В титуле Фарнавазидов отразился как национальный, так и территориальный характер царской власти.

Концепция «Картлис цховреба» подтверждается данными греко-римских источников.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ.

ზორენა ჟურცხაძე

ზოროასტრული რელიგიური სისტემა

ზოროასტრული მოსახლეობა ერთ-ერთი უმცირესობაა მსოფლიოში. თანამედროვე ზოროასტრელთა ორი ძირითადი თემი წარმოდგენილია ირანის ზოროასტრებისა და ინდოეთის ფარსების სახით.

ზოროასტრელთა დაყოფა ორ განსხვავებულ თემად დაიწყო იმ პერიოდში, როდესაც არაბული ტომები შემოესივნენ ირანს, რის გამოც ზოროასტრული მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და გადასახლებულიყო ინდოეთში, სადაც მათ ეწოდათ ფარსები (ტერმინი „ფარსი" მომდინარეობს „ფარსა"-დან, ანტიკური ხანის სამხრეთ-დასავლეთ ირანის ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდებიდან)[1].

ირანელ ზოროასტრელთა ინდოეთში გადასახლების შესახებ სრულყოფილ ცნობებს გვაწვდის ნარატიული წყარო „ქისეი სანჯანი" (სანჯანის მატიანე). იგი მიეწერება ნავსარის დასტურს (სასულიერო პირი), ბაჰმან ქაიქობადს, დაწერილია 1600 წელს ჩვ. წ-ით. ნაწარმოების მიხედვით, არაბთა შემოსევების შედეგად ზოროასტრული მოსახლეობის დიდი ნაწილი ჭუხისტანისა და ხორასანის მთიანეთში გაიხიზნა, საიდანაც ასი წლის შემდეგ ისინი მივიდნენ ქ. ორმუზში, ირანის სამხრეთ სანაპიროზე, აქედან კი გადასახლდნენ კ. დივზე, საურაშტრას სამხრეთით. ცხრამეტი წლის შემდეგ მათ დატოვეს კუნძული და გადასახლდნენ ინდოეთის დასავლეთ სანაპიროზე, გუჯარათში, იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოგვიანებით სანჯანის სახელითაა ცნობილი (ბომბეის ჩრდილოეთით 145 კმ.)[2].

სანჯანის მატიანის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანულ ზოროასტრელთა გადასახლება ინდოეთში 611—786 წლებში უნდა მომხდარიყო[3]. ასეთ გადასახლებებს მომდევნო ხანებშიც ჰქონდა ადგილი.

ირანსა და ინდოეთს შორის სასანურ ეპოქაშიც (226—651 წწ.) არსებობდა კულტურული და საეკლესიო ურთიერთობა. არაბთა შემოსევების შემდეგ ირანისა და ინდოეთის ზოროასტრელებს შორის კონტაქტი თითქმის მთლიანად გაწყდა და ურთიერთობის განახლება მხოლოდ XVI ს-თვის დაწყო.

ბომბეიში დასახლებამდე ზოროასტრული მოსახლეობა ცხოვრობდა სანჯანში, კამბეიში, სურატსა და ნავსარში.

ფარსების დიდი მიგრაცია ბომბეიში მოხდა 1938—1937 წლებში. რა თქმა უნდა, ეს გადასახლება და დამკვიდრება დიდ ეთნიკურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული (თუ ინდური მოსახლეობის კასტობრივ სისტემასაც გავითვალისწინებთ). გარდა ამისა, ფარსებს უნდა შეენარჩუნებინათ, დაეცვათ და პრაქტიკულად გამოეყენებინათ თავიანთი რელიგია, — აეშენებინათ ცეცხლის ტა-

[1] Mirza H. K., Outlines of Porsi History. Bombay, 1987, გვ. 2.

[2] Paymasster R. B., Kissei — Sanjan, Bombay., 1915; modi J. J. Dassur Bahman Kaihobad and the Kisseh—i Saujan, a reply, Bombay., 1917.

[3] Mistree Kh. Zoroastrianism, an Ethic Perspective, Bombay., 1982, გვ. 104.

ძრები, მდუმარების კოშკები. ისინი ეთნიკურად გამოყოფილი უნდა ყოფილიყვნენ ინდური თემებისაგან, რაც მათ სოციალური დაცვის შესაძლებლობასაც მისცემდა[4].

დღესდღეობით ფარსები ინდოეთის საზოგადოების ყველაზე ცივილიზებულ და განვითარებულ მოსახლეობას წარმოადგენენ. ფარსების უმრავლესობა ცხოვრობს ინდოეთში (უპირატესად ქ. ბომბეიში), მათი რიცხვი დაახლოებით 1007722-ია, მთელი მოსახლეობის 0,02%.

გარდა ინდოეთისა, ფარსები ცხოვრობენ ირანში (უმეტესად თეირანში, იეზდსა და ქერმანში) — მათი რიცხვი 1890-ია, პაკისტანში (ყარაჩიში) — 6000, ევროპაში — 3000, ამერიკაში — 2000. ჩინეთში, იაპონიაში, ავსტრალიაში, ახლოსაველეთ და სამხრეთ აფრიკაში[5].

ბუნებრივი ტერიტორიული მდებარეობა, რომელიც უკირავს იეზდსა და ქერმანს, საუკუნეთა განმავლობაში იცავდა ზოროასტრელებს არაბი და სხვა დამპყრობლებისაგან. სწორედ ამ მიზეზით უნდა იყოს განპირობებული, რომ დღემდე, თუმცა შემცირებული რაოდენობით, ირანის ამ ოლქებში შემორჩა ზოროასტრული მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ ირანულ ზოროასტრელებს დიდი ხნის მანძილზე მტრულ გარემოცვაში უწევდათ ყოფნა, არანაკლებ სიძნელეებს აწყდებოდნენ ინდოეთის ფარსებიც ინდოეთის სხვა მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული თუ რელიგიური ზეგავლენის გამო (თუ გამოვრიცხავთ ბრიტანული მმართველობის ხანას ინდოეთში, როცა ზოროასტრელებს პრივილეგიური პოზიცია ეკავათ, რაც ფარსების თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს).

ინდოეთის ფარსების ისტორიას ორი ძირითადი მახასიათებელი აქვს: 1. ფარსებს განუწყვეტლივ უწევთ კონტაქტი სხვა რელიგიურ ტრადიციებთან (ინდუიზმი, ისლამი, ქრისტიანობა, ასევე თეოსოფია, ასტროლოგია, ეზოტერიციზმი და ა. შ.), რაც თეოლოგიური და დოქტრინული ხასიათის მნიშვნელოვან პრობლემებსა და წინააღმდეგობებს წარმოშობს, განსაკუთრებით, მონოთეიზმისა და დუალიზმის გაგების საკითხში; 2. მსგავსი სახის დოქტრინულ კონფლიქტებს ადგილი აქვს თვით ფარსულ სექტებს შორისაც[6]. საერთოდ კი, ზოროასტრული რელიგიის ღრმად შესწავლასა და ახლებურად გაგებას დიდი ინტერესით ეკიდებიან როგორც ირანის, ასევე ინდოეთის ზოროასტრელები.

ვფიქრობთ ირანელი ზოროასტრელებისა და ინდოეთის ფარსების დღევანდელი მდგომარეობა ერთმანეთს ჰგავს იმით, რომ ორივე თემს არსებობა უხდება უცხო რელიგიურ გარემოცვაში. ამას ემატება სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებიც, რაც, ბუნებრივია, შემცირებითა და გადაშენებით ემუქრება ზოროასტრულ მოსახლეობას. მათი რიცხვი შესამჩნევად მცირდება ბოლო წლებში. თავდაცვისა და თვითმყოფადობის შე-

---

[4] Bouce M. Zoroastrias, their religious beliefs and practices, Lonpon., 1979, გვ. 126.

[5] Mirza H. K. Outlines of Parsi History, გვ. 218. უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთში ფარსები წარმოადგენენ კასტის მსგავს ფენას, რომელიც ეკონომიურად დაწინაურებულია სხვებთან შედარებით.

[6] როგორც ირანის ასევე ინდოეთის ზოროასტრელები, განსაკუთრებით კი რელიგიის დარგში მოღვაწენი, ხშირად აწყობენ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს. მაგალითად, 1960 წ. ამგვარი სიმპოზიუმი ჩატარდა თეირანში, ხოლო 1964, 1978, 1985 წწ. — ბომბეიში. ზოროასტრული რელიგიის უკეთ შესწავლას ხელს უწყობს ინდოეთში რელიგიური ინსტიტუტების არსებობა. Zoroastrianism, The Eucyclopædia of Religioh, U.Y., 1987.

ნარჩენების მიზნით. ძველი ირანული ტრადიციის მიხედვით, ნებადართულია ქორწინება სისხლით ნათესავებს, განსაკუთრებით კი ბიძაშვილებს შორის[7].

თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობაა, ასევე, საკრალური ნაგებობათა შენება და მათი დანიშნულების ტრადიციული პრინციპი (სიწმინდის დაცვა), განსაკუთრებით კი ინდოეთში, სადაც დღემდე მიცვალებულის დამარხვა ტრადიციული ზოროასტრული წესით ხდება ე. წ. მდუმარების კოშკებში („დაქმა"). რაც შეეხება ცეცხლის ტაძრებს, ისინი ირანში თითქმის აღარ გამოიყენება (როგორც ცნობილია, ზოროასტრულ რელიგიაში ტაძრებს ისეთი მნიშვნელობა არ ენიჭება, როგორც ეს სხვა აღმოსავლურ რელიგიებშია)*, მაგრამ ინდოეთში ცეცხლის ტაძრებს დიდი მნიშვნელობა აქვს და ვხვდებით ორი ხარისხის ცეცხლის ტაძარს: 1. ათაშ ბეჰრამი და 2. ათაშ ადარანი, აგიარი, ანუ დარ-ი მეჰერ[8]. ყოველ ზოროასტრულ ოჯახში მუდმივად ანთია „ათაშ დად გაჰ" ანუ სახლის ცეცხლი.

შეიძლება ითქვას, რომ როგორც საკრალური შენობების აგებისა და მათი გამოყენების წესებში, ისე სხვა ზოროასტრულ ტრადიციებშიც, ფაქტობრივად შენარჩუნებულია ძველ ირანულ რწმენათა ნიშნები.

ზოროასტრულ ტრადიციათა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი გადმონაშთები დღესაც შემორჩენილია ქრისტიანულ თუ სხვა რელიგიებში, იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ირანს ჰქონდა პოლიტიკური, სავაჭრო თუ კულტურული კონტაქტები. გარდა ამისა, ზოროასტრიზმი დღემდე არსებული რელიგიაა და მიუხედავად ზოგიერთი „დანაკარგისა" და ცვლილებებისა, შენარჩუნებული აქვს პირველადი ნიშნები[9] (ამას ცხადყოფს მატერიალური კულტურის ძეგლები, აგრეთვე თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალა).

ალმოსავლეთ ირანის ტომობრივ და პასტორალურ საზოგადოებებში წარმოშობილი ძველ ირანულ რწმენათა მქონე ზოროასტრული რელიგია (1000 წ. ძვ. წ-ით), მისი ევოლუციისა და ტრანსფორმაციის მიუხედავად, მკაცრი კონსერვატიზმითა და ტრადიციულობით ხასიათდება. რელიგიამ, რომელმაც აყვავების ზენიტს სასანური ირანის ხანაში (III—VII ს.ს. ახ. წ-ით) მიაღწია, გაუძლო მაკედონურ მმართველობას, სელევკიდურ-ბაქტრიულ ბატონობასა და არაბულ შემოსევებს, მონღოლთა იმპერიის ხანას, თურქ და სპარსულ მუსლიმთა მმართველობას.

ვფიქრობთ, ზოროასტრიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენილი, პირველი უძველესი მონოთეისტური რელიგია.

ზოროასტრული რელიგიის მკვლევრები ყოველთვის მნიშვნელოვან სიძნელეებს აწყდებიან (ამ დარგის შესახებ) არსებულ წყაროთა და ლიტერატუ-

---

[7] შ. ქურციკიძე, ინდოეთის ეთნოგრაფიული ძიებანი, № 1, 1987, გვ. 2.

[8] N a u a v u t t y P., The Parsis, New Delhi., 1976. ხვ. 38; K u l h e E., The Parsis in India, A minority as adent of social chande. New Delhi, 1978. გვ. 19. დაძრების კატეგორიები ზოროასტრული მოსახლეობის რიცხობრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. დღეისათვის ინდოეთში 8 ათაშ ბეჰრამია: ერთი-უდაჯადში (1742) ერთი ნავსარში (1765). ორი — სრატში (1823) და ოთხი — ბომბეიში (1783, 1839, 1845, 1897).

[9] B o y c e m., დასახ. ნაშრომი, გვ. 216—227.

* რადგანაც ზოროასტრულ ესქატოლოგიაში, კოსმოგონიასა და ფსიქოლოგიაში ცეცხლი გვევლინება წამყვან განმწმედ საშუალებად, მთავარ კონცეფციად, ზოროასტრელები მოიხსენიებენ, როგორც ცეცხლთაყვანისმცემლები, განსაკუთრებით კი მუსლიმთა მიერ.

რის არასრულფასოვნებისა და არაერთგვაროვნების გამო. ეს სიძნელე განსაკუთრებით ეხება ადრეული პერიოდის წყაროებს, რომლებიც მეტად მცირერიცხოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობათა შემცველია. ზოროასტრული ტექსტების კრებული ავესტა მხოლოდ ნაწილობრივ შემორჩა ჰეტეროგენული სახით[10].

გარდა „გათებისა", რომლებიც თვით ზარათუშტრას (ზოროასტრს) მიეწერება, არსებობს უამრავი სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ტექსტი, რომლებიც სხვადასხვა პერიოდისა და, ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლების გზითაა შემონახული.

ავესტას ძირითადი ნაწილებია „იასნა" (თაყვანისცემის აქტები), რომელიც შეიცავს „გათებს", ანუ საგალობლებს[11], „იაშთები" (ღვთაებრივ არსებათა ქების ჰიმნები), „ვენდიდადი" (კოდექსი დემონთა წინააღმდეგ), იგი მთლიანადაა შემორჩენილი და განწმენდასთან დაკავშირებულ კანონთა კრებულს წარმოადგენს (აქ მოცემულია კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებისა და ბრძოლის იდეა, სადაც ბოროტი ძალები დევების სახით არიან წარმოდგენილნი)[12], „ვისპერედი" (ყველა განმგებელ ძალთა თაყვანისცემა)[31], „ხიაიშნი" და „გაჰ" — ზოროასტრულ ლოცვათა კრებული, რომელიც ძირითადად სასულიერო პირთათვისაა განკუთვნილი. „ხორდ", ანუ მცირე ავესტა-ყოველდღიური ლოცვათა წიგნი, რომელიც სხვა ავესტურ ტექსტებზე დაყრდნობითაა შექმნილი არსებობს, ასევე, ავესტურ ტექსტთა სხვა ფრაგმენტებიც[14].

ზოროასტრიზმისათვის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ საშუალო სპარსულ ენაზე შექმნილი ფალაური წიგნები, რომელნიც დაახლ. ახ. წ-ის IX საუკუნით თარიღდებიან. ეს არის ზოროასტრული რელიგიური ლიტერატურის აყვავების ხანა, განსაკუთრებით კი ფარსისტანის რეგიონში. აღნიშნული ხანის ირანი ძირითადად თითქმის ისლამური გახდა, სადაც ზოროასტრელები უმცირესობას წარმოადგენენ, ამდენად, ფალაური ლიტერატურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორიცაა „ზენდი"-ავესტური ტექსტების ინტერპრეტაცია კომენტარებით, თარგმანებითა და სიტყვარით, „ზუნდაჰიშნი" [15](Zand Ādāhih)-ზენდ ავესტაზე დაყრდნობით შექმნილი კოსმოგონიური, კოსმოლოგიური და

---

[10] Geoldner K. F. Avesta, the Sacred Books of the Parsis, Stutlgart, 1888—1895. Geldner K. F. Zoroastrian religion in the Avesta, translated from the german by J C. lavadia. Tavadia Bombay. 1933. ტერმინ „ავესტას" შესატყვისი ფორმა თვით ავესტაში არ გვხვდება. ტერმინი მომდინარეობს ფალაური სიტყვიდან apastaf (საწყისი, საფუძველი ტექსტში), რაც განასხვავებს მას „ზენდ"-ისაგან, ანუ კომენტარებისაგან.

[11] „გათები" შეიცავს საღვთო ლოცვებს — Ahura Vairya, Ashem Vohu და Yenhe Hātām. მათ შორის უველაზე უწმინდეს ლოცვად ითვლება Ahua Vairya. რომელიც განსაკუთრებული თაყვანისცემით უნდა შესრულდეს.

[12] Jamasp H., Venbidad. Bombau.. 1907. (შესაცალი); Sanjana O. P., Pahlavi versi²n of the Vendidad Bombay.. 1895 (შესავალი).

[13] Dh b h ar B. N.. Pahlavi Yasn and Visperat. Bombay.. 1949 (შესაცალი).

[14] აღნიშნულთან დაკავშ. იხ. აგრეთვე, მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 196. Орбелский К. М. Введение в Иранскую филологию, М; 1988 და სხვ. შესაბამისი ლიტერატურა.

[15] Westergaard N. L., Zendavesta or the Religous of the Zoroastrians, Kopenhagen.. 1852—1854 (წიხასიტყვაობა).

ესქატოლოგიური კრებული „დინკარდი“ (რელიგიური წესები IX—X), აგრეთვე, ზოროასტრული სასულიერო პირების მიერ შექმნილი ლიტერატურა — ზადსპრამის მიერ დაწერილი კრებული Wizibāgihᵹ, Dabistan i Denig (რელიგიური კანონები), Dabistan imēnog i khrad (სიბრძნის სულის გასამართლებათა წიგნი), ზოროასტრული საღვთისმეტყველო ლიტერატურის (ე. წ. ანდრეზები — andarz) დამახასიათებელი ტექსტი, Shh and — gumānig wizar — კრებული, სადაც მოცემულია იუდაიზმის, ქრისტიანობისა და მანიქეველობის კრიტიკა, Arda wiraz Nāmag (არდა ვირაზის წიგნი), — ზოროასტრულ თემებში მეტად გავრცელებული ნაშრომი, სადაც წარმოდგენილია იმქვეყნიური სამყაროს, სამოთხისა და ჯოჯოხეთის სურათი და სხვა ფალაური ტექსტები...[16],

მომდევნო ხანის ზოროასტრული ლიტერატურა იწერებოდა „ფაზენდისა“ და „ფარსის“ დიალექტებზე, სპარსულ, გუჯარათულ და სანსკრიტულ ენებზე[17]. ზოროასტრიზმის შესასწავლად ასევე მნიშვნელოვანია სპარსული დინასტიების მეფეთა წარწერებიც: აქემენიდური ხანისა, განსაკუთრებით დარიოს (522—436 წწ. ძვ. წ-ით), ქსერქსეს (486—465 წწ. ძვ. წ-ით). არტაქსერქსე II (402—359 წწ ძვ. წ-ით) და სასანური ხანის — შაბურ 1 (241—372 წწ ახ. წ-ით), ნერსე (293—302 ახ. წ-ით.).

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ზოროასტრულ სასულიერო პირთა მიერ შექმნილი ისტორიულ-დოქტრინული ნაწერებიც, ბერძენ კლასიკოსთა თხზულებები, ქრისტიანული და მუსლიმური ლიტერატურა[18].

ზოროასტრიზმი წარმოიშვა ირანის აღმოსავლეთ და ცენტრალურ-სამხრეთ რეგიონებში-ჰინდუკუშისა და სეისტანის მთიანეთს შორის (დღევ. ირან-ავღანეთის სასაზღვრო ზოლი). ერთ-ერთ თეორიას, რომლის მიხედვითაც ზოროასტრი აზერბაიჯანიდან მოვიდა, ფაქტობრივად არ გააჩნია ისტორიული საფუძველი. პართულ და სასანურ ხანებში სასულიერო წოდება ამტკიცებდა, რომ ზოროასტრი ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანიდან მოვიდა, ე. ი. ხორეზმის პროვინციიდან. თანამედროვე სამეცნიერო კვლევა ზოროასტრული რელიგიის წარმოშობის თაობაზე, ძირითადად ემყარება ავესტაში მოცემულ გაოგრაფიულ ინფორმაციას და არქეოლოგიურ მასალას. ავესტას გეოგრაფიული საზღვრები კი მოიცავს აღმოსავლეთ ირანს, ავღანეთსა და მის მიმდებარე რეგიონებს. ტექსტებში არ მოიხსენიება დასავლეთ ირანის, მიდიის ან სპარსეთის რომელიმე რეგიონი[19].

---

[16] Mirza H. K. დასახ. ნაშრომის გვ. 299. ფალაური ენა მრავალი ფორმითა და დიალექტით ძვ. წ-ის III ს-დან ჩვ. წ-ის IX-მდე მოქმედებდა. იგი პართელებისა და სასანელების სახელმწიფო ენა წარმოადგენდა (ასევე რელიგიურ ენასაც). ფალაურიელიტერატურა სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1. ავესტის ფალაური თარგმანები; 2. რელიგიური სახის ფალაური ტექსტები და 3. ნახევრად-რელიგიური, სოციალური და სხვა სახის ფალაური ტექსტები.

[17] Bharucha S. D. Collected Sanscrit writmgs of the Parts I—VI, Bombay., 1906—1933. (შესავალი). ზოროასტრული სასულიერო პირების მიერ სანსკრიტზე თარგმნილია ფალაური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი

[18] Katral J. C.. Orientol Treasures. Bombay.. 1941; Dhabhar B. N. The, K. R. Cama Oriental Institute Catalogue, Bombau. 1923.

[19] Zoroastranism., The Encyclegædia of Religionf გვ. 590; Mirza H. K., Observations on ancient Iranian tradition, in the Journal of the K. R. Cama Oriental Institute, Bombay., 1976, no. 45 გვ. 41—48. Фрай Г. Наследие Ирана, М; 1972. გვ. 49—57.

ზოროასტრიზმის განსაკუთრებული, ნოვატორული ხასიათი, განსხვავებით ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის სხვა ინდოევროპული მოდგმის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებისაგან, მის მონოთეისტურობაში მდგომარეობს. ზოროასტრიზმს გამორჩეულ გამოკვეთილ სახეს აძლევს ზოროასტრის ფილოსოფიური და რელიგიური დოქტრინის ორი ასპექტი: მონოთეისტურობა და მკაცრად გამოხატული დუალისტური ხასიათი. მონოთეიზმი და დუალიზმი მჭიდროდაა გადახლართული ერთმანეთთან „გათებში“.

ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, მონოთეიზმი და დუალიზმი მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს, მაგრამ ვფიქრობთ, უფრო მართებული უნდა იყოს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მონოთეიზმი წარმოადგენს პროტესტს პოლითეიზმის წინააღმდეგ[20]. ამასთან, დუალიზმი მონოთეიზმის აუცილებელი ატრიბუტი და ლოგიკური შედეგია. იგი ნიშნავს კეთილისა და ბოროტის წარმოშობის იდეის ახსნას. — დუალიზმის საფუძველი არსებითად ეთიკურია.

ზოროასტრის მიერ ქადაგებული რელიგიის ფორმა, ბუნებრივია, ისტორიულ ცვლილებათა პროცესში ევოლუციას განიცდიდა, მიუხედავად თავდაპირველი **ანტირიტუალური** ხასიათისა, ზოროასტრიზმი იქცა რელიგიად, რომელშიც წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა სწორედ საწესჩვეულებო რიტუალებმა. ზოროასტრიზმი შეიძლება მივაკუთვნოთ წინასწარმეტყველურ და მონოთეისტურ რელიგიათა ტიპს, რომელშიც გაერთიანებულია მრავალი რიტუალური, თუ შეიძლება ითქვას, პოლითეისტური და მითოლოგიურად მდიდარი ელემენტი.

ზოროასტრიზმის ტრადიციული სარიტუალო სიმბოლოებია ცეცხლის სათაყვანებლები, ცეცხლის ტაძრები, „კერპთა სახლები“, ჰაომა მაზდას, ანაჰიტას, მითრას ანთროპომორფული გამოსახულებანი.

კომპლექსური ზოროასტრული რიტუალები ცხოვრების ყველაზე არსებით მომენტებთანაა დაკავშირებული: მაგ. სოციალურ-რელიგიური წესები-დაბადების, ქორწინების, დაკრძალვის წეს-ჩვეულებები, განწმენდის წესები — Nahn, Riman, Bareshnum (განწმენდის კატეგორიები), ინიციაციის წესები — Naojote ანუ ნათლობა, ღვთდლად კურთხევის ორი საფეხური Navar და mârtab, ცეცხლის ტაძრების, მღვდელმსახურების კოშკების კურთხევის წესები, ასევე, რელიგიურ რეკვიზიტთა კურთხევის წესები. როგორც შიდა, ისე გარე ლიტურგიკული წესები (შიდა, რომლებიც ცეცხლის ტაძარში ან სხვა წმინდა ადგილას სრულდება Jasna visparad, Vendidad, Baj და გარე, რომლებიც ტაძრის გარეთ, სახლში ან სხვა არასარიტუალო ადგილზე სრულდება — afringan, Farokhshi და Satum, ნებისმიერი რანგის სასულიერო პირის მიერ), ამ სახის ცერემონიები დაფუძნებულია „რიტუალური სიწმინდის“ პრინციპზე[21].

ზოროასტრიზმის მკაცრად გამოკვეთილი ხასიათი განსაკუთრებით კარგად ჩანს ზოროასტრულ კალენდარში, რომელიც არსებობას იწყებს დაახლ. 441 წ.

---

[20] Kulhe E., The Parsis in India, გვ. 17—18.; Nigosian S. A., World Religions, Toronto., 1974. გვ. 175; Kanga B. A., Heaavena and Hell and their location in Zoroastianism and in the Vedas (ლექცია), Bombay., 1933; Dadacsanj, F. Philosophy of Zoroastrianism and comparative study of Religions, vol. 1. Bombay, 1941.

[21] Zand—Akasih Iranian or Greater Bundahism. by Anklesaria B. T. M. A. Transliteration and translation in Inglish, Bombaq., 1956, გვ. 158—159.

ძვ. წ-ით არტარქსერქსე I დროს. მას შემდეგ, რაც შეიცვალა ბაბილონური მთვარისა და მზის კალენდარი.

სახანელთა ხანაში წელიწადი იყოფოდა 365 დღედ, 12 თვედ და 30 დღედ, რომელსაც ემატებოდა 5 დღე, მიძღვნილი „გათებისადმი", ანუ „გაჰ"-ის დღეები, (5 დამატებით ანუ ინტერკალარულ დღეს თანხმობაში მოჰყავს სოლარული და ლუნარული წელთაღრიცხვა და ეძღვნება 5 გათას, ანუ წმინდა საგალობლებს, რომლებიც ზოროასტრს მიეწერება. ყოველი მათგანი ერთი გათას სახელს ატარებს: 1. Ahurvaiti, 2. Ushtavaiti. 3. Spenta mainyu, 4. Vohu Khshathra, 5. Vahishtoishi[22]. დღევნდელ ირანსა და ინდოეთში ზოროასტრელები ძირითადად წელთაღრიცხვის ზემოაღნიშნულ სისტემას იყენებენ.

ზოროასტრული წლის ყოველი დღე, ისე როგორც ყოველი თვე, ეძღვნება კეთილმსახურ ღვთაებას-ამურა მაზდას, ამეშა სპენტას, იაზატას და ყოველ ქათგანს ამ ღვთაების სახელი ჰქვია (ამურა მაზდა ანუ სამყაროს შემოქმედი, შემოქმედი, ამეშა სპენტები-მთავარანგელოზები, იაზატები ანუ თაყვანისცემის ღირსნი, ფრავაშები, ანუ მფარველი სულები-ყოველ იაზატსა თუ ამეშა სპენტას, ასევე, ბუნების ყოველ საგანსა თუ ცოცხალ არსებას, ზოროასტრული რწმენის მიხედვით, საკუთარი ფრავაში მფარველობს. ავესტის მიხედვით, ფრავაშები სამყაროს შექმნამდე არსებობდნენ-რწმენა ფრავაშების შესახებ, მარადიულობის იდეას უკავშირდება)[23]. მაგალითად, პირველი თვეა Eravashis (ავ.) Farvardin (ფალ.) 21 მარტი: 2 Asha vahishta (Ardibchest) — 20 აპრილი; 3. Hourvatat (Khordad) — 20 მაისი; 4. Tishtria (Tr) — 19 ივნისი 5. Ameretat (Amardad) 19 ივლისი; 6. Khshathra Vairya (Shahrevar) — 18 აგვისტო: 7. Mithara (Meher) — 19 სექტემბერი, 8. Apo (Avan) - 17 ოქტომბერი. 9. Atar (Adar) — 16 ნოემბერი; 10. Dathusho (Dae) — 16 დეკემბერი, 11. Vohnmand (Bahman) — 15 იანვარი; 12. Spenta — Armati (aspandarmad) — თებერვალი.

ზოროასტრული წელიწადი იწყება გაზაფხულის ბუნებასთან ერთად. თვის ყოველი დღე მიძღვნილია ღვთაებებისადმი (თვის დღეებს იაზატების სახელები ეწოდებათ), 1, 2, 15, 23-ე დღეები ამურა მაზდასადმია მიძღვნილი. ზოროასტრულ კალენდარში თვე 4 კვირად იყოფა. პირველი ორი 7, ხოლო მომდევნო ორი 8 დღისაგან შედგება. პირველი კვირა იწყება შემოქმედის ანუ ამურა მაზდას სახელით, ხოლო ჩამდევნო 6 დღე 6 ამეშა სპენტას, ანუ მფარველი ანგელოზის სახელს ატარებს.

I კვირა

ავ.	ფალ.

1. Ahura mazda — Ormazd — ამურა მაზდას დღე: 2. Vangheush, managho, — Bahman, vohumano — ცოდნისა და მშვიდობის გამგებელი, ადამიანთა და

---

[22] Mirza H. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 459.

[23] Zand—Akasih Iranian or Greater Bundahisnf გვ. 23—31. Modi J. J. The religious ceremonies and customs of the Persees, Bombay., 1986, ხვ. 451—454. 30 იაზატა, ანუ ანგელოზი თვის 30 დღეს შეესაბამება და 7 ამეშა სპენტას, ანუ მთავარანგელოზთა ამქრებს (Ham; kar) წარმოადგენ ნ. ისინი 7 ამეშა სპენტას თანამოსაქმენი არიან. ხაშა სპენტებია: Ormazd, Bahman, Ardibdhesht, shehrivar, Aspandarmad, khordad Amerdad.

ცხოველთა მფარველი ღვთაება; 3. Asha Vahishta — Ardibehesht — ცეცხლის მფარველი, სამოთხის გასაღების მფლობელი ღვთაება; 4. Khshathra Vairya — Shahrevar — ლითონთა მფარველი ღვთაება. მოწყალებისა და შენდობის მფარველი ანგელოზი; 5. Spenta Aratoish — Aspandarmad — დედამიწისა და ყველა ცოცხალი არსების მფარველი ღვთაება; 6. Haurvatat — Khordad — წელიწადის დროთა, წყლისა და ცნარეების მფარველი ღვთაება; 7. Ameretat — Amardad — მცენარეთა მფარველი ეკლდაცების ღვთაება.

II კვირა

8. Dathusho — Dep, Adar, Dæpadar — შემოქმედის გვერდით მდგომი ღვთაება; 9. Athro — Adar ავყრა მაზდას დიეებისა და ნების აღმსრულებელი. ცეცხლის მფრქველი; 10. Apam — Avān — წყლისა და მცენარეთა მფარველი; 11. Hvare — Khshata — Khorshed — მზის მფარველი, უკვდავი ნათება 12· Maogh — Mohor მანათობელი მთვარე, საჭონლის მფარველი ღვთაება. 13. Tishtria — Tir — ვარს. კვლავთ წინამძღოლი, წვიმისა და ცა-ღრუბლის გამგებელი, ქარის დეონთან მებრძოლი; 14. Geush — Gōsh — ქალი ანგელოზი, ცხოველთა სამყაროს მფარველი.

III კვირა

15. Oathusho — Dæp meher — ქვეყნიერების მფარველი: 16. Mithra — meher — ზეცური ნათებისა და ნაყოფიერების მფარველი. სამართლიანობის ღვთაება; 17. Srash — Sarosh — სიწმინდის. ცოდნის მფარველი ღვთაება, ღვთაებრივი მაცნე. რომელიც? — ის ხიდისაკენ მიუძღვება გარდაცვლილთა სულებს; 18. Rashno — Rash — სამართლიანობის მფარველი ღვთაება, რომელიც „მითრასთან“ და „საროშთან“ ერთად წყვეტს გარდაცვლილთა სულების ბედს, ოქროს სასწორით ხელში, სადაც ადამიანთა სიცოცხლეში ჩადენილი კეთილი თუ ბოროტი საქმეები იწონება; 19. FravarshinaamFervard“ — სამოთხისა და ადამიანთა სულების მფარველი ღვთაება; 20. Verethrag — Bahshinam— — მოგზაურთა მფარველი, კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის მიმნიჭებელი ღვთაება; 21. Raman — Rām — ზეცისა და უსაზღვრო დროის მფარველი; 22. Vata — Govad, Bad — ქარისა და სიმამაცის მფარველი ანგელოზი.

IV კვირა

23. Dathusho — Dæpdin — ღვთის დღე; 24. Dænaya — Din — რელიგიური ცოდნის მფარველი ღვთაება; 25. Ashoish — Ashishvangh, Ashasang — ბედისა და სიმდიდრის მფარველი ქალი ღვთაება; 26. Arshtat — Ashtad — დედამიწის ნაყოფიერების განმგებელი ქალი ღვთაება, „რაშნ“-თან ერთად სამართლიანობის დამცველი; 27. Asmanǫ — Āsmān — ზეცის მფარველი ანგელოზი, სინათლისა და ბედნიერების პომტანი; 28. Zemo — Zamid, Zamyād — მიწის, მინდვრებისა და მთების, ნაყოფის მომცემ მცენარეთა მფარველი; 29. Mathra Spenta, — Marespand, Mah-

raspand — სამოთხისა და ზეცის ანგელოზი; 30. Anagharam raochagam — Aneram, Aneran — მარადიწლი სივრცის მფარველი[24].

თუმცა ყოველი კვირის პირველი დღე შემოქმედი ღმერთის — აჰურა მაზდასადმია მიძღვნილი, მათ სხვა სახელები ჰქვიათ (ღვთის ხარისხობრივი სახელი), მაგრამ ღმერთი-შემოქმედის თვისებები და ფუნქციები მიეწერებათ.

თვეთა სახელები, როგორც ვხედავთ, დღეების სახელწოდებებს ემთხვევა, მაგრამ თანმიმდევრობა არეულია. მაგალითად, Bahman-ის შემდეგ მოდის Khordad და არა Shahrivar და ა. შ. ეს გარემოება შემდეგი მიზეზით აიხსნება: როგორც Farvarddin-ის თვის სახელი მეტყველებს, იგი ეძღვნება ფრავაშებს (Fravashis), ანუ გარდაცვლილთა სულებს და ძველირანული ტრადიციის მიხედვით ზაფხულის მზებუდობის პერიოდის შესაბამისი უნდა იყოს[25]. დღევანდელ დღეს კი იგი გაზაფხულის ბუნიობას შეესაბამება. ე. ი. წლის ბოლო ათი დღე სრულდება და 21 მარტს იწყება ნავროზი (Nou Rus)-ირანული ახალი წელი. ამგვარი შეუსაბამობანი გამოწვეულია იმით, რომ თავდაპირველად, ძველ ირანში წელიწადი ორ ნაწილად იყოფოდა — ზამთრის 10 თვე და ზაფხულის 2 თვე-ძირითადად ჩრდილოეთ ირანის კლიმატური პირობების შესაბამისად, მოგვიანებით კი წელიწადის დაყოფა იწყება ზაფხულის 7 და ზამთრის 5 თვედ-ცენტრალური აზიის კლიმატური პირობების შესაბამისად, ალბათ უფრო იქ, სადაც ავესტური მოდგმის ხალხები იყვნენ განსახლებულნი. ამგვარად, ისტორიულ გარემოებათა მიხედვით, წელთაღრიცხვის სისტემაც იცვლებოდა და ახალი წელი ითვლებოდა წელიწადის სხვადასხვა დროიდან, წელთაღრიცხვის სხვადასხვაგვარობას ირანის რეგიონალური განსხვავებულობაც განსაზღვრავდა[26] Dathusho ანუ Dae- drdidehesht აჰურა მაზდას ხარისხობრივი სახელისა და თვისებათა მქონე თვე აღნიშნავს გაზაფხულის დასაწყისს და ემთხვევა გაზაფხულის ბუნიობას. Tir ანუ Tishtrra — Teshtar — ნიშნავს ვარსკვლავ სირიუსს და შემოდგომის დასაწყისის მიმანიშნებელია (გაზაფხულის ბუნიობისას სირიუსის დანახვა შეიძლება მზის ამოსვლამდე). შემოდგომით სირიუსის მზის

---

[24] Mirza H. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 436—455; Modi J. J., დასახ. ნაშრომი, გვ. 405—455; Kulke E., დასახ ნაშრომი, გვ. 17—19; Nanavatty P. დასახ. ნაშრომი, გვ. Karaka D. F., History of the Parsis including their manners, customs, religion and present position, part I. Longon; 1884. გვ. 132—213; Murzban M. M.f Parsis in India, vol. II, Bombay., 1917, გვ. 356—419; Desai S. F., Fairs and festivalt in maharashtra—Census of Inpia, 1961. vol. X, Part VII B, Bombay., 1969, გვ. 51—55; Wilson J, D. D. M. R. A. S. The Parsi religion as contained in the Zand Avasta and propounded and defen.ed by the Zoroastians of India and Persia, Bombay., 1843, გვ. 553—560; Zand Akasih Iranian or Greater Bundahisn. გვ. 29—30.

[25] ფარსული წელიწადის ბოლო 10 დღე ცნობილია, როგორც Fravardegan. ანუ Muktad, ითვლება, რომ ამ დროს მიცვალებულთა სულები სახლში ბრუნდებიან, ამიტომ ამ დღეებისათვის განსაკუთრებით კარგად ემზადებიან. Mukiad მოგვაგონებს სვანურ ლიფანალს და ხევსურულ სულთაკრეფას.

[26] Tagikadeh S. N., Old Iranin Calendars, 1938.

ჩაცვლის შემდეგ ცაზე გამოჩენა და მთელი ღამით ჰორიზონტზე დარჩენა წვიმების სეზონის დაწყების მაჩვენებელი იყო. mehr-mithra (დღის სინათლე) ზამთრის მზებუდობის მაჩვენებელი და აღმშენებელია, რა დროიდანაც დღის ხანგრძლივობა იმატებს[27]. მაშასადამე, თვეები Dae, Farvardin, Tir და mehr გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის სეზონების მაჩვენებლები უნდა ყოფილიყო.

გარდა ზემოაღნიშნული კალენდრისა, დღევანდელი ზოროასტრელები, ძველირანული ტრადიციისამებრ, წლიურ სეზონურ დღესასწაულებსაც ანუ „გაჰანბარებსაც“ აღნიშნავენ (gahanbar — ფალაური ტერმინი, აღნიშნავს რთველს, მოსავლის აღებას-ავესტური yāirya)[28]. წელიწადში 6 გაჰანბარია, თითოეული მათგანი 5 დღეს მიმდინარეობს. ე. ი. გაჰანბარები წელიწადის სეზონურ დაყოფას წარმოადგენს და როგორც უკვე მივუთითეთ, ძველი ირანის გეოგრაფიული და კლიმატური პირობების სხვადასხვაობის გამო ეს დღესასწაულებიც არ შეესაბამება დღევანდელ პირობებს, თუმცა თანამედროვე ზოროასტრული მოსახლეობა კვლავინდებურად, ძველი ტრადიციისამებრ, წელიწადში 6-ჯერ ზეიმობს მას.

ზოროასტრულ რელიგიაში „გაჰანბარების“ სახელით ცნობილი 6 სეზონური დღესასწაული წლის 6 პერიოდის, ანუ ამბრა მაზდას მიერ ერთმანეთის მიმდევრობით შექმნილი ცის, წყლის, მიწის, მცენარეების, ცხოველთა სამყაროსა და კაცობრიობის აღმნიშვნელია:

1. Maidyozarem — ბუნების გაზაფხული, ბუნების გამოღვიძების დასაწყისი; 2. Madyōshem — შუა ზაფხული — თიბვის სეზონი, ზაფხულის მზებუდობა; 3. Paitishahem — მოსავლის აღება, მკის სეზონი, შემოდგომის ბუნიობა; 4. Ayāthrem — ზაფხულის ზამთრის სეზონით შეცვლა (საქონლის დაბინავება); 5. Maidiarem — ბუნების ზამთარი, ზამთრის 5 თვის პერიოდი; 6. Hamasrathmadem ეკვატორის გადაკვეთა ანუ გაზაფხულის ბუნიობა[29].

ბუნების ციკლურობაზე დამყარებული ძველირანული ქრონოლოგია დროის განმავლობაში მითოლოგიურსა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს შეერწყა. თუ ავესტაში „გაჰანბარებს“ მხოლოდ სეზონურ დღესასწაულთა სახე აქვს, მოგვიანო წყაროებში ისინი კოსმოგონიასთანაა დაკავშირებული. გაჰანბარებს უფრო ტრადიციული ფორმით ირანის ზოროასტრელები მისდევენ, ხოლო ინდოეთში მცხოვრები ფარსები წელიწადში 3—4-ჯერ აღნიშნავენ განსაკუთრებით იმ გაჰანბარებს, რომლებიც ზემოაღწერილი ზოროასტრული კალენდრის კარდინალურ პერიოდებს-ზაფხულის, ზამთრის მზებუდობას, გაზაფხულის, შემოდგომის ბუნიობას ემთხვევა. ამის მიზეზია ინდოეთის განსხვავე-

---

[27] M i r z a H. K., Observations on Ancient Iranian tr3ditions. Astronomical evidences, in the Journal of the K. R. Cama Oriental Institute, Bombax. 1976, no. 45. გვ. 61—62. F i l l i o z a t J.f Notes on ancient Iranian and Indian Astronomy, inthe Journal of the K. R. C a m a Oricital Institute, Bombay., 0969. no. 42, გვ. 102—103., Tištrya, ფალაური Tir არის სირიუსი, მაგრამ სპარსულად Tir არის პლანეტა მერკური.

[28] M i r z a H. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 440.

[30] შ. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ინდოეთის ეთნოგრაფიული დღიურები, № 1, 1987, გვ. 9.

ბული გეოგრაფიული, კლიმატური, სოციალურ-ეკონომიური პირობები, სხვა სახის პოლიტიკური თუ კულტურული ფაქტორები[30].

ზოროასტრული სექტები

ზოროასტრული კალენდრის ისტორიული ევოლუციის შედეგად დღევანდელი ზოროასტრელები სამი განსხვავებული წელთაღრიცხვის ვიმდევარნი არიან: 1. შაჰინშაჰი — Shahinshahi — სამეფო; 2. ქადიმი — Kadimi (არაბ)— ძველი, ტრადიციული; 3. ფასლი — Fasli — სეზონური[31].

ირანისა და ინდოეთის ზოროასტრული მოსახლეობის ჯგუფები სწორედ ამ კალენდრების მ-ხედვით განსხვავდებიან. მაგრამ ეს განსხვავება არ ჰგავს, ვთქვათ კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას, შიიზმსა და სუნიზმს, ინდუისტურ კასტებს შორის არსებულ სხვაობას[32]. რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულების ფორმები მსგავსია. განსხვავება მხოლოდ ქრონოლოგიურ მონაცემებშია.

ჩვენ მიერ განხილული ზოროასტრული კალენდრის გარდა, ანუ Sal Oshmurtik — ჩვეულებრივი წელიწადი, რომელიც 365 დღის, 30 დღიანი კალენდარული 12 თვისა და 5 დღისაგან შედგება (5 სთ. და 54 წმ მხედველობაში არ მიიღება), ანტიკურ ირანში არსებობდა მეორე სახის კალენდარიც Sal viherakik — შენაცვლებითი წელიწადი, რომელიც შედგებოდა Oshmurtik-ის 365 დღისაგან, ერთი თვის ინტერკალაციით ყოველ 120 წელიწადში ერთხელ. ამგვარ სისტემაში დამატებითი 5 დღის დართვაც ყოველ 120-ე წელიწადს ხდებოდა იმ თვეზე, რომელიც მომდევნო იქნებოდა წელიწადბრუნვაში. ჩვეულებრივ, 5 დღე მე-12-ე თვეს ბოლოში ერთვის (Sal Oshmurtik). ამ შემთხვევაში კი 120 წლის შემდეგ დამატებითი 5 დღე გადაადგილდებოდა და თავსდებოდა მომდევნო წლის პირველი თვის ბოლოს, რომელიც 120 წლის პერიოდით მიჩნეული იყო ინტერკალარული წლის ბოლო თვედ. მომდევნო 120 წლის განმავლობაში ინტერკალარული წელი დაიწყებოდა ჩვეულებრივი წლის მეორე თვით. ამ პერიოდის შემდეგ დამატებითი ხუთი დღე კვლავ გადაიწეოდა და მეორე თვის ბოლოს მოთავსდებოდა. შემდეგ, მომდევნო, მესამე თვე მიჩნეული იქნებოდა როგორც ინტერკალური წლის პირველი თვე. ამგვარად, ეს პროცესი 120 წელიწადში ერთხელ მეორდებოდა. შესაბამისად, ახალი წელიც მოიაცილებოდა და ყოველი 120 წლის შემდეგ თითო თვით უკან იწევდა.

უკანასკნელ ინტერკალაციას ადგილი ჰქონდა ახ. წ-ით 406 წ., სასანელი იმპერატორის — იეზდიგერდ I (399—420 წწ) დროს[33]. მომდევნო ხანებში, ირანში შექმნილი პოლიტიკური არასტაბილურობის გამო (სასანიანთა იმპერიის დამხობა, არაბთა შემოსევები), ინტერკალაცია ფაქტობრივად აღარ გამოიყენებოდა.

1006 წლისათვის უნდა მომხდარიყო 4 ინტერკალაცია, რის შედეგადაც გაზაფხულის პირველი თვის, ანუ Farvardin-ის პირველი დღე ისევ გაზაფხულის მოსვლას დაემთხვა. ე. ი. Oshmurtik-ისა და Vihezakik-ის წელთაღრიცხვა კვლავ თანხმობაში მოვიდა. 129 წ. ახ. წ-ით ინდოეთის ფარსებმა კვლავ

---

[31] Mirza H. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 448. თეირანსა და კერმანში სეზონურ კალენდარს, ანუ Fasli ეწოდება hēstani. ხოლო იეზდში — Jadid.

[32] Karaka D. F., დასახ. ნაშრომი, გვ. 101—102.

[33] Mirza H. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 443,

მოახდინეს ერთი თვის ინტერკალაცია (ირანელ ზოროასტრელებს კი ეს არ გაუკეთებიათ)[34]. 1720 წელს ირანელმა დასტურმა ჯამასფ ვილაიათიმ. ჭერმანიდან. აწარმოა მოლაპარაკება ინდოეთის ფარსებთან კალენდრის შესახებ. — რომ ირანელ ზოროასტრელთა კალენდარი ერთი თვით წინ უსწრებდა ინდოეთის ფარსებისას, მაგრამ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია. 1746 წ. ინდოეთში, სურატის ზოროასტრელთა ნაწილმა მიიღო ირანული წელთაღრიცხვის სისტემა და ცალკე სექტად ჩამოყალიბდა, რომელთაც ეწოდებათ ქადიმები, ანუ ძველი წელთაღრიცხვის მიმდევრები. ინდოეთის ზოროასტრელებს, რომლებიც წელთაღრიცხვის თავდაპირველ სისტემას მისდევენ. შაჰინშაჰები, ანუ სამეფო წელთაღრიცხვის მიმდევარი ეწოდებათ. ეს ტერმინი სასანიანთა იმპერიის, განსაკუთრებით კი უკანასკნელი სასანელი იმპერატორის, იეზდიგერდ III დროიდან უნდა მოდიოდეს. შაჰინშაჰები რიცხობრივად აღემატებიან ქადიმებს. ქადიმის კალენდარს უპირველესად ირანელი ზოროასტრელები მისდევენ.

ფარსების მესამე ჯგუფი, ფასლის კალენდრის მიმდევრები, შედარებით ახალი ჩამოყალიბებული და ყველაზე მცირერიცხოვანია. მათი ახალი წელიწადი ყოველთვის აღინიშნება (გრიგორიანული კალენდარით) 21 მარტს. წელიწადი 365 დღისაგან შედგება, მაგრამ ყოველი მეოთხე წლის ბოლო თვის (Aspandarmad) ხუთი „გათას“ დღეს ემატება მეექვსე „გათა“[35]. ამის გამო ფასლის მიმდევრები დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან, რადგან ზოროასტრული სალვთო წიგნები და ლიტერატურა კრძალავს დღის ინტერკალაციას, ნებადართულია მხოლოდ თვის ინტერკალაცია[36]. ფასლის მიმდევარნი ამტკიცებენ, რომ ახალი წელი აუცილებლად გაზაფხულზე უნდა იწყებოდეს, შაჰინშაჰებისა და ქადიმების კალენდრებში კი ახალი წელი (Nou Rus) კვლავ მოძრაობია.

ამჯერად, ქადიმების ახალი წელი 19 აგვისტოს, ხოლო შაჰინშაჰების კი 17 სექტემბერს ემთხვევა. შესაბამისად, ერთი თვის განსხვავებით ტარდება დანარჩენი რელიგიური დღესასწაულებიც, სხვა არსებითი სხვაობა ზემოაღნიშნულ სექტებს შორის არ არის (მათ შორის, ჩვეულებრივ, ქორწინებაც ნებადართულია)[37].

კალენდართან და დღესასწაულებთან დაკავშირებული საკითხები მუდმივი დებატების საგანია კონსერვატიულად განწყობილა და რეფორმის ორიენტაციის მქონე ფარსებს შორის. კალენდართან დაკავშირებული შეუთანხმებლობა კვლავაც გრძელდება.

---

[34] Misfree K.ჩ., დასახ. ნაშრომი გვ. 113 (ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ყველა არ იზიარებს Mirza H.K., დასახ. ნაშრომი, გვ .444, უფრო გავრცელებული მოსაზრების მიხედვით უნდა მომხდარიყო კიდევ ერთი ინტერკალაცია ან ხორასანში, სადაც ირანიდან დევნილი ზოროასტრელები ინდოეთში დასახლებამდე ცხოვრობდნენ, ან მათი ინდოეთში მისვლის შემდეგ, რის შესახებაც წყაროები არაფერს ამბობენ, ქადიმები ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური სიტუაციის სირთულის გამო ხორასანში არავითარ ინტერკალაციას არ ჰქონია ადგილი. შაჰინშაჰები კი აღგვარ ინტერკალაციას შესაძლებლად თვლიან.

[35] Mehta N. P., Fhe Zrtoastrian Calendar. m the Journal of the K. R. Cama Oriental Institute, no 34. Combay., 1940.

[36] Mirza H. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 447.

[37] შ. ჭურციკიძე, ინდოეთის ეთნოგრაფიული დღიურები, № 1, 1987, გვ. 6.

ქვემოთ მოგვყავს ზოროასტრული დღესასწაულების, ანუ „ჯაშნების“ ცხრილი[38]. წლიური დღესასწაულების კალენდარი შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: (თვეებს გვერდით მიწერილი აქვს გრიგორიანული წელთაღრიცხვის შესაბამისი პერიოდები).

ფარსების დღესასწაულებს, ანუ „ჯაშნებს“ აქვს რელიგიური, სეზონური და ისტორიული მნიშვნელობა.

| 1 თე — Farvardin | 21 მარტი — აპრილი |

ჯაშნები	დღეები
დაწესებულება 1. Naoroz — ახალი წლის დღეს უწოდებენ, აგრეთვე, ცოდვათა მონანიების დღესაც — Pateti.	**Hormazd**
2. **Rapitwin** — „შუა დღე, ეს დღესასწაული გაზაფხულისა და ზაფხულის დადგომის მომასწავლებელი იყო, მასთან დაკავშირებულ ლოცვებს მხოლოდ თბილი სეზონის ანუ ზაფხულის 7 თვის მანძილზე წარმოთქვამდნენ.	**Ardibehesht**
3. Khordādsāl — აღმოსავლეთ ირანის რეგიონებისათვის ეს იყო Naoroz ანუ ახალი წლის დღედა ცნობილი იყო Naoroz i Buzurg-ის ანუ დიდი ახალი (წლის) სახელით[39].	**khordad** — ეს დღესასწაული აღნიშნება, როგორც ზოროასტრის დაბადების დღე. წყაროებში ზოროასტრის დაბადების თარიღია Hormazd-ის დღე, Farvardin-ის თვეში ალ-ბირუნის მიხედვით, აღმოსავლეთ ირანის (ხორეზმი და სოგდიანა) პროვინციებში Hormazd-ის დღე ემთხვევა დასავლეთ ირანის (ფარსისტანის) პროვინციის khordad-ის დღეს[40].
4. **Farvardagan** მფარველი ანგელოზების — „ფრავაშებისადმი“ მიძღვნილი დღესასწაული.	**Farvardin** ამ დღეს წარმოთქვამენ მიცვალებულთა სულების მოსახსენიებელ ლოცვებს.

[38] „ჯაშნები“ აღინიშნება (სრულდება) მაშინაც, როდესაც თვისა და დღის სახელი ემთხვევა ერთმანეთს. ამ შემთხვევაში, დღესასწაული ეძღვნება ამ დღისა და თვის სახელის მქონე ღვთაებას.

[39] Pahlavi texts. ed by J. M. Jamasp Asa, translated mto English dy K. J. Jamasp Asa. m the k. R. Cama memorial volume, Bombay., 1907, გვ. 122—129; Dhabhar E. B. N. M. A. Jhe persian Rivayets of Normazdyar Eramarz amd athers, Combay, 1632, ხვ. 341.

[40] Mirza H. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 450.

II თვე Ardibehesht	20 აპრილი — 19 მაისი
ჯაშნები	დღეები
5. Ardibehest	Ardibehest
6. Maidyozarem — გაჰანბარი	**Khorshed — Dæpmeher** (წლის 45-ე და თვის მე-15 დღე — შეჯაბამება 4 მაისს) 30 აპრილი — 4 მაისი[41].
III თვე Khordad	20 მაისი — 18 ივნისი
7. Khordad	Khordad
IV თვე Tir	19 ივნისი — 18 ივლისი
8. Tirgan	„თიშტრიას“ ანუ ვარსკვლავ სირიუსის დღე
9. Maidyoshem — გაჰანბარი	**Khorshed — Dæpmeher** წლის 105-ე და თვის მე-15-ე დღე — 3 ივლისი 29 ივნისი — 3 ივლისი
V თვე Avan	19 ივლისი — 17 აგვისტო
10. Amardad	Amardad
VI თვე Shahrevar	18 აგვისტო — 16 სექტემბერი
11. Shahrevar	Shahrevar
12. Paitishasem — გაჰანბარი	**Ashtad — Aneran** (წლის 180-ე და თვის 30-ე დღე — 16 სექტემბერი 12—16 სექტემბერი
VII თვე Meher	17 სექტემბერი — 16 ოქტომბერი
13. **Mehragan** მზის, ანუ მითრას დღესასწაული	**Meher Hormazd**-ის დღე შემოდგომის ბუნიობის დღე იყო და ეს დღესასწაული meher-ის დღეს აღინიშნებოდა
ჯაშნები	დღეები
14. **Jamshidi Naoroz** — მეფე ჯემშიდის სახელთან დაკავშირებული დღე, რომელიც ემთხვევა ფასლების კალენდრის Farvardin-ის თვის Hormazd-ის დღეს.	**21 მარტის** ეს დღესასწაული დღესაც გავრცელებულია ირანსა და მის მახლობელ ქვეყნებში. წელთაღრიცხვა ფნობილია, როგორც „ჯალალის ერა“, იგი ჩამოყალიბდა 1079 წ. ირანის ხელმწიფის, სულთან ჯალალ ად-დინ მალიქშაჰის დროს (მისი დიდი ვეზირის ომარ ხაიამის რჩევით). ეს წელთაღრიცხვა შეერწყა (დაუკავშირდა) ქრისტი-

[41] Bahreini M., Gahanbaran, Seasonal festrivals and commemoration feasts amond the Zartoshtis of Iran and Parsis in India. Paric., 1984. გვ. 43.

როგორც მკვლევარი მიუთითებს, დღევანდელ ირანში გაჰანბარების აღნიშვნა ზემოაღნიშნულ დღეებში ხდება. ე. ი. გაჰამბარებს გრიგორიანული კალენდრის ეს დღეები შეესაბამება

ჯაშნები	დღეები
	ნულ-გრიგორიანულ კალენდარს, — ახალი წლის დღე ყოველთვის თანხვდებოდა 21 მარტს და ამ დღეს დაერქვა Jamshidi Naoroz-ის ძვ. ირანული სახელი[42].
15. **Ayathrem** — გაჰანბარი	**Ashtad—Aneran** (წლის 210-ე და თვის 30- დღე-16 ოქტომბერი 12—16 ოქტომბერი
16. **Avan**	**VIII თვე Avan** 17 ოქტომბერი 15 ნოემბერი Avan
17. **Adargan**	**IX თვე Adar** 16 ნოემბერი — 15 დეკემბერი Adar
18. **Farvardagan** ამ დღესასწაულს აღნიშნავენ, აგრეთვე. Farvardin-ის თვეშიც, Farvadin-ის დღეს	როგორც უკვე აღინიშნა 406 1000 წწ. 5 გათას დღე Ovan-ის თვის ბოლოს თავსდებოდა (vihezakik-ის წელთაღრიცხვით). აქედან მოყოლებული, წელიწად-ს I თვე იყო Adar და თავისი მზიანობით ტოლდებოდა Farvardin-ის თვეს (Oshmurtik-ის წელთაღრიცხვით)[43]. Farvardin-ის დღე
	X თვე Dae 16 დეკემბერი — 14 იანვარი
ჯაშნები	დღეები
19. **Daé — Dādār**	**Hormazd, Dæpadar, Dæpmeher, Dæpdin** დღესასწაულობენ ან ყოველ აღნიშნულ დღეს, ან რომელიმე მათგანს.
20. **Sade** მე-100-ე დღის დღესასწაული (ალბათ მე-100-ე დღე meher-ის თვის Hormazd-ის დღიდან (შემოდგომის ბუნიობა) vihezakik-ის წელთაღრიცხვით 5 „გათას" დღის ჩაუთვლელად, რომლებიც იმ პერიოდში shahrevar-ის თვეს ემატებოდა[44].	**Ovan** დღეც. ირანში ამ დღესასწაულს აღნიშნულ დღეს ზეიმობენ. მხოლოდ Bahman-ის თვეში ძველ ირანში Sade-ს დღესასწაული ზამთრის დადგომას აღნიშნავდა[45].

[42] Mirza H. K., დასახ. ნაშრომი გვ. 451. Mirza H. K., Observations on ancient The era of King Jamshed... გვ. 44. რადიოკარბონული დათარიღების სამეცნიერო მეთოდის მიხედვით, მეფე ჯემშიდს (ან მის დინასტიას) უნდა ეღვაწა დაახლ. 9000 წ. ძვ. წ-ით.

[43] Mirza H. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 452.

[44] Mirza H. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

[45] Zand Akātih Iranian or Greater Bundahisn. გვ. 160. აქ საუბარია ყოველ აგვისტის ცვლის ანუბაზე dae-სთვის, Atar-ის დღეს, Tagizadeh S. H., დასახ, ნაშრომი, გვ. 42. დღესასწაულს Saba ეწოდებოდა, რადგან იგი ზოროასტრული ზამთრის მე-100-ე დღეს ეპოხეოდა, რომელიც 5 თვისაგან შედგება. Aban — Aspandārmad.

ჯაშნები	დღეები
21. **Zarthoshtno Diso** ზოროასტრის გარდაცვალების დღე (Diso — გუჯ. ტერმ. //ფლ. სპარს. rōzgār გარდაცვალების დღე-).	**Khorshed** ზოროასტრის გარდაცვალების თარიღად მიჩნეულია Ardibehesht-ის თვის khorshed-ის დღე, მაგრამ, 8 ინტერკალაციის გამო იგი Dae-ს თვეში აღინიშნება[46].
22. maidyarem — გაჰანბარი	**Cmehcr—Bahram** (წლის 290-ე და თვის 20-ე დღე- იანვარი) 13 დეკემბერი — 4 იანვარი.
23. Bahman	**XI თვე Bahman** 15 იანვარი — 13 თებერვალი **Bahman**
20. Sade (მე-100-ე დღის დღესასწაული, რომელიც ირანში აღინიშნება),	Avan-ის დღე.
	XII თვე Aspandarmad 14 თებერვალი—მარტი (5 დამატებითი „გათას“ დღის ჩთ)
24. Asqandarmad	**Aspandarmad**
25. **Awardadsalgah** ახალი წლის დღესასწაული, რომელსაც აღნიშნავენ მხოლოდ ინდოეთის ფარსები და მხოლოდ შაჰინ შაჰების წელთალრიცხვის მიმდევარნი, ანუ ძველი ახალი წელი, რომელიც ალარ აღინიშნებოდა მას შემდეგ, რაც ინდოეთში მცხოვრებმა ფარსებმა ერთი თვის ინტერკალაცია ამახდინეს.	**Khordad** ინდოეთის ფარსები ამ დღესასწაულს უწოდებენ Visnaginu paradh -ანუ მე-20-ე დღის დღესასწაულს, რადგან იგი აღნიშნებოდა Farvardgan-ის პირველ დღემდე 20 დღით ადრე ე. ი. Aspandarmag-ის თვის Ashtad-ის დღეს[47].
26. **Farvadagan** ინდოეთის ფარსები ამ დღესასწაულს უწოდებენ Sātmadinu parabh ანუ მე-7-ე დღესასწაული, რადგან იგი აღნიშნებოდა Farvardagan-ის პირველ დღემდე 7 დღით ადრე. Oshtad-ის დღე.	**Farvardin**
27. **Farvardagan**-ის დღეები, წლის ბოლო 10 დღე (სანსკრიტ. Muktātman) გარდაცვლილის სული) ინდოეთში ამ დღეებს ეწოდება muktad.	**Ashtad—Aneran** პირველ 5 დღეს ეწოდება მცირე 5 დღე (Panf– ikeh) ხოლო ბოლო 5 დღეს—დიდი 5 დღე(panf — imch), რადგან ისინი წარმოადგენენ „გათა გაჰანბარის“ დამატებით დღეებს.

[46] Mirza H. K., ღასახ. ნაშრომი, გვ. 453.
[47] იქვე, გვ. 454.

ჯაშნები	დღეები
Hamaspathmædem — გაჰანბარი	**Ashtad — Aneran** (წლის 365-ე და თვის 30-ე დღე — 20 მარტი) 16—20 მარტი[48].

როგორც ცნობილია, მკვლევრებს უდავოდ მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ აღნიშნული კალენდარის გამოყენება ირანის მთიანეთის ტერიტორიაზე, შუა აზიაში და სხვა მეზობელ რეგიონებში, ზოროასტრიზმის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. თუმცა ზოროასტრულმა საკალენდრო სისტემამ ოფიციალური სახე სასანური ირანის ხანაში მიიღო, იგი ჯერ კიდევ აქემენიანთა იმპერიაში გამოიყენებოდა (როგორც ცნობილია, ძველი ირანული კალენდარისაგან განსხვავებით, სადაც თვეები და დღეები რიცხვითი სახელებით აღინიშნებოდა, ზოროასტრულ კალენდარში ყოველ დღეს და თვეს განსაზღვრული სახელი ჰქვა[49]. ყოველივე ეს კი საშუალებას იძლევა, გარკვეულწილად ერთმანეთისაგან „გავმიჯნოთ“, განვასხვაოთ ირანული და ზოროასტრული.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი საკალენდრო სისტემათა და ყოველივე ზემოთქმულით, გვინდოდა ხაზი გაგვესვა იმისათვისაც, რომ ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ქართულ კულტურასთან კონტაქტში მყოფი ირანული რელიგია სწორედ ორთოდოქსალური ზოროასტრიზმი იყო.

---

[48] იქვე, გვ. 454—456; შ. ქურციკიძე, ინდოეთის ეთნოგრაფიული დღიურები, №1, 1987, გვ. 8. 10.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ზოროასტრელები Muktad-ის ბოლო ხუთ დღეს ანიჭებენ, იგი აღინიშნება როგორც ყოველ ოჯახში, ისე ცეცხლის ტაძრებში. აღნიშნულ დღესასწაულში კარგად ჩანს წინაპართა კულტის კავშირი აგრარულ კულტურებთან.

[49] Лившиц В. А., Зороастрийский календарь. в кн. Бикерман Э. Хронология древнего Мира. Ближний Восток и античность, М., 1975, ст 320, 321, 324.

Ш. А. КУРЦИКИДЗЕ

ЗОРОАСТРИЙСКАЯ РЕЛИГИОЗНАЯ СИСТЕМА

Резюме

Зороастризм имеет особую ценность и значимость, как живо сохранившаяся первая древнейшая монотеистическая религия, которая представлена в традиционной культуре и быту зороастрийцев Ирана и персов Индии.

Три разновидности зороастрийского календаря (Shahis-hahi — царский, Kadimi — традиционный, древний и Fasli сезонный) представлены тремя соответствующими сектами зороастрийцев.

Зороастрийский календарь дает возможность выявить различия «чисто» иранской и зороастрийской культуры. Как известно, в отличие от другого иранского календаря, где месяцы и дни обозначались числительными, в зороастрийском календаре каждый месяц и день носит имя определенного божества. Такая система позволяет более ясно представить общую систему зороастрийского пантеона. Особенно ясно выражена эта система в зороастрийских празднествах „Jashn" что дает представление об основных божествах зороастрийского пантеона, показывает их религиозное, сезонное и историческое значение.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქართულ-კავკასიურ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ.

ზურაბ კუბალეიშვილი

ნაოსნობა-მეთევზეობის ლექსიკა ქართულში*

ქართულ ნაოსნობასთან დაკავშირებულ კულტურულ-ისტორიულ პრობლემებზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. საკითხთა ამ წრეს განეკუთვნება: ზღვაოსნობის როლი მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, ზღვისპირეთის ურბანიზაციის და დასახლების პრობლემა, ზღვაოსნობასთან დაკავშირებული, რწმენა-წარმოდგენები, ნავსადგურები, ნავმშენებლობის ხალხური ტრადიციები და სხვ. გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე ნაოსნობასთან დაკავშირებული ლექსიკა... აშდენად, ნაოსნობა საკმაოდ დიდი, მრავალწახრივი და მეტად აქტუალური პრობლემაა, რომლის გათვალისწინების გარეშე ნაკლოვანი იქნება ნებისმიერი ზღვის კიდეზე მდებარე ქვეყნის ისტორია. გამონაკლისი არც საქართველოა!

უცხოურ ენებზე არსებული ცნობები ძირითადად დაცულია ბერძენ, რომაელ, ბიზანტიელ, არაბ, თურქ და ევროპელ მოგზაურთა თუ სწავლულთა თხზულებებში**. ეს მონაცემები ქართული ნაოსნობის შესახებ დადასტურებულია უახლესი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ფოლკლორული, მარინისტული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გამოკვლევებით.

ჩვენი ხალხის მაღალდწრაფურებას საზღვაო საქმეში სხვა ფაქტორებთან ერთად მოწმობს ის მდიდარი და მრავალფეროვანი სანაოსნო ტერმინოლოგია, რაც ზღვაოსნობის პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ დააყენა და ქართველურმა ენებმა დღემდე შემოგვინახა. ეს ტერმინოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული მეთევზეობასთან, რადგან მისმა განვითარებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ნაოსნობის ჩასახვა-აღმავლობაც.

ზღვისპირზე ხანგრძლივმა ცხოვრებამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ეროვნული და ფსიქოლოგიური ხასიათის, სულიერი და მატერიალური კულტურის ფორმირება-განვითარებაში. ამასთან, ჩვენ ხალხს ჩამოუყალიბდა საზღვაო ჩვევები მისთვის დამახასიათებელი ეთნოფსიქოლოგიური ნიშნებით.

კულტურულ-ისტორიული კვლევის თვალსაზრისით ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემების შესწავლას, რომლის საფუძველზე მეტ-ნაკლებად მოხერხდა ქართული სანაოსნო ტერმინოლოგიის შემოშავება-დადგენა.

ქართული მარინისტული ლიტერატურა სანაოსნო ტერმინთა მხრივ არსებული მეცნიერული გამოკვლევებით, შეიძლება ითქვას, შედარებით ღარიბია.

---

* სტატიაში ნაოსნობა-მეთევზეობის ლექსიკის მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი, რომელთაგან ზოგიერთი უცხოური ენებიდანაა შემოსული და დამკვიდრებული? დანარჩენი ნაწილი ტერმინებისა განზრახულია გამოქვეყნდეს „მაცნეს" მომდევნო ნომრებში.

** წყაროებისა და ლიტერატურის შესახებ დაწვრილებით იხ.: Т. Бердзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989; ზ. კუბალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბ., 1987.

დღემდე არ გაგვაჩნია ქართული ზღვაოსნობის განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ძვირფასი წყარო იქნებოდა არა მარტო ქართული ნაოსნობის უფრო საფუძვლიანად შესწავლისათვის, არამედ საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების ახლებურად გააზრებისათვისაც. აღნიშნულ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ამ ბოლო დროს გამოსული ნაშრომები[1].

წინამდებარე სტატიაც ამ ნაკლის ერთგვარად შევსების ცდას წარმოადგენს და იგი ემყარება ჩვენ მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს. ამასთან, გამოყენებული გვაქვს სულხან-საბა ორბელიანის (1658—1725), დ. ჩუბინაშვილის (1814—1891), ნ. ჩუბინაშვილის (1790—1847), ნ. მარის (1864—1934), ი. ყიფშიძის (1885—1919), არნ. ჩიქობავას (1898—1885), ი. აბულაძის (1991—1968), თ. გამყრელიძისა, კ. დანელიას და სხვათა ლექსიკოგრაფიული ნაშრომები[2], სხვადასხვა ხასიათის ლექსიკონი[3], ადრე, შუა და გვიან ფეოდალური ხანის ქართული მწერლობის ძეგლები[4], რომელთაგან აღსანიშნავია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“[5], „მიმოსვლის“ ჟანრის ნაწარმოებები[6] და ა. შ.

---

[1] მ. გეგეშიძე, წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში (რიონის აუზი) — იმშ. III, თბ., 1953, გვ. 229—244; თ. ჩიქოვანი, ჯ. ნიკოლაიშვილი, ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან. — ასმშ. III, ბათ., 1958, გვ. 67—87; თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981; მისივე Мореплавание и морская..., გვ. 167—199; ზ. თანდილავა, მეთევზეობა-ნაოსნობის ასახვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში (ლაზური და აჭარული მასალების მიხედვით), — ამყჳს, თბ., 1965, გვ. 74—101; მისივე ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი, 1972; ც. ნარაკიძე, მეთევზეობა-ნაოსნობის ლექსიკიდან ლაზურში, — ადდლ V, თბ., 1986, გვ. 81—89; ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის გაგებისათვის, — თსუ შრომები (ისტორიის... სერია), 310, თბ., 1992, გვ. 165—174; მისივე, ნაოსნობა საქართველოში., გვ. 324—368 და სხვ.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I—II თბ., 1966, 1993; მისივე, მოგზაურობა ევროპაში, თხზულებანი ოთხ ტომად, I, თბ., 1959, გვ. 159—245; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 1984; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961; Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского, языка съ хрестоматиею и словаремъ. С. —ПБ., 1910; ი. ყიფშიძე. რჩეული თხზულებანი, თბ., 1994; არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფ.. 1939; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973; თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959; კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, და ა. შ.

[3] შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბ., 1965; თ. სახოკია: ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბ., 1979; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984; Л. З. Прох. Славарь ветров, л., 1983; Русско-турецкий славарь., Составили Д. А. Магазаник и М. С. Михаилов. м., 1943 და სხვ.

[4] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ., 1973; იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, ტტ. I—II, თბ., 1936, 1948; გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებაი იოვანესი და ევთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), თბ., 1967; ქართლის ცხოვრება, I—II, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, 1959; შატბერდის კრებული X საუკუნისა. ბ. გიგინეიშვილის და ე. გიუნაშვილის გამოცემა, თბ., 1979 და სხვ.

[5] გ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, მგზავრობაჲ თბ., 1967; ტ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსვლა, თბ.,

[6] გ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, მგზავრობაჲ, თბ., 1967; ტ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსვლა, თბ., 1966 და სხვ.

დადგენილია, რომ ნებისმიერი საზღვაოსნო ლექსიკა რამდენიმე დარგის ტერმინთა ერთიანობაა, რომელშიც ძახულია წყლის ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის და მათი ცალკეული ნაწილების, აღჭურვილობის, ეკიპაჟის ცალკეულ წევრთა სახელწოდებანი, სანაპირო ნაგებობათა, ზღვაზე, მდინარესა თუ ტბაზე თევზაობისათვის საჭირო იარაღ-მოწყობილობათა სახელები, ზღვის (მდინარის, ტბის) სანაპიროს და ფსკერის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობის გამომხატველი ცნებანი, ქარებისა და წყლის დინებების სახელწოდებანი, წყალთან დაკავშირებული ღვთაებათა (კეთილი თუ ბოროტი) სახელები და ა. შ. ასე რომ, ქართული სანაოსნო ლექსიკის აღდგენა, თავისთავად, ჩამოთვლილი ცნებების ძველ ქართულ სახელწოდებათა დადგენას გულისხმობს.

ა ბ ო რ დ აჟ-ი (ფრანგ. abordage borg ნავის ბორტი, ძვ. ქართ. ნავის ბაგე, ნავის გვერდი) — წინააღმდეგის ხომალდთან შებრძოლება, რომლითაც მოწინააღმდეგის ხომალდთან შებრძოლება ხდებოდა; საზღვაო ბრძოლის ძველებური ხერხი, როდესაც ხომალდები ერთმანეთთან გვერდგვერდ (ბაგეებით) დადგებიან, შეერთდებიან და კავებით გადაეჭდობიან ხელჩართული შეტაკებისათვის. საზღვაო ბრძოლის ეს ხერხი ცნობილი იყო ძველ ზღვაოსან ხალხებში და მათ შორის კოლხებშიც.

„ა ვ ი-ქ ა რ ი“ (ძვ. ქართ. „პირით კერძო“, წინააღმდეგ, პირისპირ) — ქარი, რომელიც ხვავს პირდაპირ ცხვირში (ძვ. ქართ. „ნავითავე“, ბაბანში) უბერავს; იგივე ფიცხელი, მშრალი ქარი, რომელსაც მტკვრის ხეობაში აგელის, სამელის ან ტიფლის კიულეის (აბერბაიჯანში) უწოდებენ, ეს არის ჩრდილო-დასავლეთის საკმაოდ ძლიერი ქარი, რომლის დროსაც მტკვარზე ნაოსნობას და „ტივის წვალებას“ ერიდებოდნენ. ქართლში ეს ქარი რომ ამოვარდებოდა, იტყოდნენ: აატივებს, აიტივებს, აატივტივებს, მდინარეს წყლით აავსებს, დატბორავს., ამიტომ ასეთ დროს „ტივი კეტებით უნდა აგვეწია, ავატიებდით და წამოვიღებდით. რო დაგვერიყებოდა ტივი, ბარჭაფებს გაუშვებდით, აქეთ-იქიდან შეაგუბებდა წყალსა, ატივდებოდა ტივი და წამოვიდოდა“[7].

ა ლ დ ე (თურქ. alde) — რივითი მენიჩბე ლასეთში.

ა მ ა რ ა ლ ი (აბერბ. amaral) — ნავში შემოსული წყლის ამოსახაპავი მტკვრის ხეობაში. საქართველოს სხვა კუთხეებში იმავე ფუნქციას ასრულებდა ლაოდი, ოფიჩო, როკაი და სხვ.

ა მ ო ნ ი ა — აფრის დასამაგრებელი უკანა ბაწარი, რომელიც ახძის პარალელურადაა გაბმული და, ფაქტობრივად, დამალულია თვალთახედვის არედან, მაგრამ სამაგიეროდ იგი ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი და აუცილებელია საფრო მოწყობილობათა რთულ სისტემაში.

ა ნ ძ ა (ძვ. ქართ. საყე ნავისა, ძელი. ნაჭუჩი, ხალა, დირეგი/დირავი, მარგილი, ანძალი, მალიაკრი) — ხომალდზე აღმართული მაღალი და სწორი ხის (უმეტესად ნაძვი, ფიჭვი), ძელი, რომელზედაც აფრებია გადაჭიმული.

ა რ ა ვ-ი საქართველოს ზღვისპირთში გავრცელებული სამხრეთ-დასავლეთის თბილი ქარი, რომელსაც ჩვენში ბლუარსაც ეძახიან.

ა რ მ ა (თურქ. სარკე) — ნავის ზედაპირის სახელწოდება ლაზეთში გავრცელებული, არმას ჩვენში სხვა მნიშვნელობითაც ხმარობენ. შად., საზღვაო

---

7 ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, ე. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981, გვ. 11—12, 112.

ხომალდის გვერდით ფიცრებს შორის დარჩენილი ღრიჯო, რომელიც ბანძითით (დაძენძილი, დაბეგვილი კანაფი) ამოივსებოდა.

არხი — სანდალზე (იხ.) შემოსაჭედებელი ფიცრების გვერდით ბოლოებს შორის გაწყვრივი ნაკერები, რომლის ამოსადარავად იხმარება ნავმშენებლობაში ფართოდ გამოყენებული სადურგლო იარაღები: ქამრშკაფი, კოლოლი, ხოლო ხის გასასწორებლად — ჭაპოშარი.

ასადგმელა — ნავის ქვეშ შესაყენებელი კონკილა (ქეტი), რომელსაც იყენებდნენ ბაწის ან კირჭის შეკვეთებისას.

ასტამაყი — ნიჩბის მოყვანილობის რკინის საფხეკი იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა ძველებური ხის ნავების ფსკერის წყალმცენარეებისაგან, ნაკარებისაგან და „ნავის დაშაყენებლებისაგან“ გასაწმენდად; ეს უკანასკნელი თევზია (ეჭვნი//ებენი), შავსა და ხმელთაშუა ზღვებში (სხვაგანაც) განსაკუთრებით მოშრაველებული; იგი ეკვრება ნავის ფსკერს და დროთა განმავლობაში გამოჰყავს იგი მწყობრიდან, თუ დროზე არ აიფხიკა, რისთვისაც ა. — თან ერთად გამოიყენებოდა რკინისვე წვეტიანი იარაღი ბარულა

აფრა (საფქიო//ეზო.საბერველი) - ტილოს (სელის Linum colchica L., კანაფის//ექუსუნიი Canabis colchica L.) ნაჭრისაგან დამზადებული აღჭურვილობა ხომალდზე, რომლის საშუალებითაც ქარის ძალა ხომალდის საცურაოდ გამოიყენება. ა. არის ოთხკუთხა, სამკუთხა (ლათინური, არაბული), პირდაპირი, ირიბი და სხვ. სახის. საბასთან აფრა შემდეგნაირადაა განმარტებული: „ესე არს ნავთა აფქიო. გინა ქუდის ანაკეცი. აფრა ეწოდების ნავთა და ხომალდთა აფქიოა, რომელ არს ქართა გამბერველობით ნავთა მატარებელი; კვალად ქუდის ანაკეცსა“ (განუმარტავია). აფრიანი ხომალდი საზღვაო წყლის ტრანსპორტია, რომელიც უძველესი დროიდანვე გამოიყენებოდა ნაოსნობაში დაწინაურებულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. ა. ხ. იყენებდნენ მდინარეებშიც (წალობი, ეეფრატი, ტიგროსი, განგი, იანძი, ფაზის — რიონი და სხვ.); თანამედროვე სუპერ-გიგანტი ხომალდების დამხმარე სამართავ საშუალებად აფრის გამოყენების მთელ რიგ ქვეყნებში (აშშ, იაპონია, კანადა, ინგლისი, ნაწილობრივ, რუსეთი) დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ამ გზით და ძველებური ხომალდების აღდგენით შესაძლებელია დაიზოგოს საწვავი და გაჭუჭყიანებისაგან დავიცვათ ზღვები და ოკეანეები, რაც შავიზღვისპირეთის მიმართაც უპრიანია: ზემოაღნიშნულის გარდა ამგვარი ღონისძიებების გატარება, ერთი მხრივ, მოიზიდავს ჩვენში უცხოელ ტურისტებს და აღადგენს ამ მხარეში ქართული ძველებური ნავების დამზადების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ტრადიციებს, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას მისცემს შესაძლებლობას მყარი ვალუტის სახით..

ჩვენი უძველესი წინაპრების მიერ აფრიანი ნავებით შორეული ნაოსნობის ტრადიციები გააგრძელეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებმა ქართველებმა (ლაზებმა), რომლებიც შავსა და ხმელთაშუა ზღვებში მთელი ანტიკური და ფეოდალური ხანის განმავლობაში (თურქთა გაბატონების შემდეგაც კი) საუკეთესო მეზღვაურებად და „ზღვის მეკობრებად“ იყვნენ აღიარებულნი, რასაც ხაზს უსვამდნენ XIX ს-ის ზღვაოსნობის ისტორიის ბერძენი მკვლევარი იოანიდისი, ნიკო მარი, თუ-

რჩი — კავკასიოლოგი კირზიოღლუ და მრავალი სხვა მარინისტი მწერალი თუ მეცნიერი[8].

აფრასთან დაკავშირებით ნიკო მარი წერდა, რომ ეს ტერმინი ქართველებმა აფხაზებისაგან გადმოიღეს: „В Грузинском, между прочим, сохранилось Абхазское слово а ра — а рыра (აქ საჭიროა ამ შეძთხვევაში а црыра, რომელიც ამ ენაში ფრენას ნიშნავს — ზ. კ.) „арус", абхазское и по форме и по поводу корня „летать „ысвязи с образным их представлсонеи о судне, как птице..." თუმცა ცოტა ქვემოთ შენიშნავს, რომ აფხაზთა ყოფა არ იძლევა ამგვარი იტყიჭების საშუალებას-ო[9]

აფხაზი და ქართველი ხალხები უძველესი დროიდანვე მეტად მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებით ცხოვრობდნენ და სიტყვათა სესხების ფაქტი მათ შორის სავსებით ბუნებრივ მოვლენად ჩანს, მაგრამ „აფრა" აფხაზური. ტერმინი არ არის — „ფრ" ძირიდან მრავალი ძირეული ქართული სიტყვაა წარმოებული: ფრთა-ი, ფრთე-მალე||ფრთამალი||სწრაფი (შდრ. კოლხური ნავის — კაჭარას თვისებებს), ფრიალი, ფრთიანი||ფრთოვანი, ფრინვა-ი, აფრინა, ფრთენა ააფრინა, აფრინდა, აფრინვა, ფლინველი, აფრიალებს, ააფრიალებს, აფქიო, აფთიონი, მეაფთიონე — აფრის გამგებელი, მეაფრე... ეგების ეს სიტყვა ქართულში მას შემდეგ დამკვიდრდა, როდესაც იგი აფხაზურს დაეკისხა ტექნიკურ ტერმინა „აფრას?" პირიქით! უდავოა საწინააღმდეგო მოვლენა — აფხაზური а-црыppa ქართული ენიდანაა ხასესხები, -სე როგორც ქართული ნავის — ნიშის დამკვიდრება აფხაზურ ენაში მოხდა „ანიშის", „ღუზის" (ხუ, ღუ), „ახუ", „აღუზის" „ზღვის" — „აზღვა" — სახელწოდებით და ა. შ. შდრ. რუსული „лодка" და აფხაზური „алодка„, „шхуна" „(ინგლ. schooer -იდანაა რუსულში შესული) — „ашхуна", „море" —„аморе" და სხვა მრავალი საზღვაო ტერმინი და თევზების სახელები აფხაზურში უცხოური ენებიდან და განსაკუთრებით კი, ქართულიდანაა შესული. რაც საყოველთაოდაა ცნობილი. ამასთან, „ფრ" ძირის მქონე სხვა სიტყვა აფხაზეთში არც არსებობს[10]. უფრო მეტიც, როგორც დადგენილია, აფხაზურში ნაოსნობა-მეთევზეობასთან (და სხვა რიგისაც) დაკავშირებული ტერმინოლოგიის უდიდესი ნაწილი ქართველური ენებიდანაა შესული და აფხაზური ვარიანტები მათგან არის მიღებული — პირუკუ პროცესის დაშვებას ეტიმოლოგიასთან ერთად ხელს უშლის სესხების კანონზომიერებანი — აფხაზურ ვარიანტებს ისეთი ფონემატური სტრუქტურა აქვთ, რომ მათგან ქართული ვარიანტების მიღება ვერ იხსნება[11].

ძველ ქართულში „აფრასთან" ერთად „ალმბერველიც" იხმარებოდა, მაგრამ ეს ტერმინი ნაკლებად გვხვდება და, როგორც საბა შენიშნავს, „აფრა-

---

[8] დაწვრ. იხ. ზ. ქუთელიშვილი, ძველქართული ნაუები და თანამედროვეობა, „მაცნე". (ისტორიის...სერია), № 2, თბ., 1993, გვ. 41—66.

[9] Н. Я. Марр. О языке и истории Абхазов, М, — Л.. გვ. 87. 153 და შმდ.

[10] ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი — დ. გულიას სახ. ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 1954, გვ. 294 და შმდ.

[11] თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ზოგი ტოპონიმის საკითხისათვის. — II რესპუბლიკური კონფერენცია ონომასტიკაში, თბ., 1989, გვ. 13—14; მისივე., აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1997, გვ. 35—40.

ნავის აფქიოა, აფრა ეწოდების ნავთა და ხომალდთა აფქიოსა. „ესპანურშიც აფრის შესატყვისია „აფრაგასტ“ (არაგასტ), რაც ფარდას, ნავის იალქანს ნიშნავს და ქართულიდან უნდა იყოს შესული. ძველ ქართულში ფარდის, ქსოვილის ფართო ნაჭრის ეკვივალენტურია სიტყვა „ეზო“, რომელიც აფრის მნიშვნელობითაც გვხვდება, ხოლო აფრიან ნავს, „ნავი ეზობმული“-ც ერქვა; ზოგჯერ განსხვავებული მნიშვნელობებიც ჰქონდა. მაგ., ქედის ანაკეცი, პატარძლის თავსაბურავი, ორი ყველაზე მაღალი, ვერტიკალური ფიცარი ხის სახლის შუაში მოპირდაპირე კედლებს შორის აღმართული[12].

საინტერესოა, რომ ბერძნული φᾶρος-იდანაა მიღებული რუსულ და სხვა ენებში შესული парус, ხოლო ფრანგულში, ჰოლანდიურში, გერმანულში და სხვ. ენებში შესულია ლათინური სახელი აფრისა — velum. თუ სესხებასთან გვექნებოდა საქმე, მაშინ ჩვენს წინაპრებს, როგორც ეს ხშირადაც გვხვდება კიდეც ბერძნულიდან ან ლათინურიდან რომ გადმოეღოთ ეს სიტყვა, უფრო დასაშვებია.

მარინისტული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ზღვისპირზე ხანგრძლივი და უწყვეტი ცხოვრება გადამწყვეტი ფაქტორია ავტოქტონ მოსახლეთა შორის ნავმშენებლობასა და ნაოსნობის ხელოვნებაში დაწინაურებისა, რასაც შესაბამისად აუცილებლად უნდა მოჰყვეს საზღვაოსნო დამეთევზეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გაჩენა-დამკვიდრება. ამ მიმართულებით თანამედროვე მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები და ეთნოგრაფიული მონაცემები აფხაზების მაგალითზე სრულიად საწინააღმდეგო სურათს წარმოაჩენს (დაწვრ. იხ. თ. გვანცელაძის დასახ. ნაშრომები). ასე რომ, „აფრა“ ფრიალიდან (ვარიანტებით) წარმოშობილი ძირეული და ერთ-ერთი უძველესი ქართული საზღვაო ტერმინია, რომელიც სხვა ქართულ სიტყვებთან ერთად აფხაზურში დამკვიდრდა, როგორც ვფიქრობთ, დაახლოებით VIII—XI საუკუნეებში, როცა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობა ყველაზე თვალნათლივ წარმოჩინდა...

საკუთრივ ქართულში ტერმინი „აფრა“ უკვე V ს-დან მოყოლებული ხშირად გვხვდება როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლებში. საერთოდ, თუ ქართულში არ მოიპოვებოდა შესაბამისი ტერმინი, მაშინ სხვა ენებიდან თარგმნისას უცხო ტერმინები გადმოჰქონდათ, მაგრამ „აფრის“ მიმართ ამის თქმა არ შეიძლება, იგი ძველ ქართულშივეა დადასტურებული: „შთაშოჰკრეს აფრაჲ ნავისაჲ აღიპყრეს აფრაჲ იგი მცირჱ კერძო“ (საქმე 27, 17, 40); „...იქმნა ვითარცა აფრაჲ უბოვანი ნავისაჲ“ (Sin. 106, 2), სადაც „უბოვანი „აფრაჲ“ ნიშნავს აშვებულ ნავს გაშლილი აფრით (აფრაგაშლილი ნავი); „განასპეტაკოს ზღვაჲ აფრებითა ნავთა მისაჲთა“ (შატბ. 177, 173, 37) და სხვა მრავალი.

როგორც ცნობილია, სააფრო ქსოვილების (სელისა და კანაფის) დამზადების მაღალი კულტურა ჩვენში ძველთაგანვე ყოფილა განვითარებული, რაც ეთნოგრაფიული მასალებითა და უცხოელ ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით დაადასტურა გ. ჩაჩაშვილმა[13]. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან, სელი და კანაფი (ცვილიც), საუკეთესო ხარისხის კოლხურ ხე-ტყესთან ერთად, რო-

---

[12] ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 401.

[13] გ. ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, I სელ. — საქ. სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XIX—B., თბ., 1956, გვ. 171—194.

მლებითაც ცნობილი იყო ჩვენი ქვეყანა, ძირითადი ნედლეული იყო ნავშენებლობაში.

ამგვარად, სააფრო ქსოვილების დამზადების მდიდარი ტრადიციები. ჩვენში უძველესი დროიდანვე მომდინარეობს, რაც ზღვაოსნობის განვითარების პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ დააყენა და რამაც ძველ ქართულში, შესაბამისად, სპეციალური საზღვაო ტერმინის გაჩენის აუცილებლობა გამოიწვია ამგვარად, აშკარაა, რომ საკუთრივ ტერმინი „აფრა“-ც ადგილობრივ, ქართველური ენების წიაღშია შექმნილი.

აფრის გამგებელი — მეზღვაურის თანამდებობა ძველ საქართველოში, რომელსაც||რეიზი შეარჩევდა ამ საქმეში გამოცდილ და მცოდნე მეზღვაურთა შორის. მის მოვალეობას სააფრო მოწყობილობებზე ზედამხედველობა წარმოადგენდა. ა. გ. ძვ. ქართულის მეაფქიოე, მეაფრეა, რომელიც ხომალდზე რეიზისა და ბოცმანის (იხ.) შემდეგ ყველაზე საპატიო, მაგრამ ამავე დროს, მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობას წარმოადგენდა.

აფრის „ჩასაცმელი“ — აფრის სიმტკიცისათვის ძირითად აფრაზე ჩაკერებული დამატებითი სააფრო ქსოვილი, დამზადებული საუკეთესო და გამძლე სელის ნაჭრებისაგან, რომელიც ცქიპილათი (||კანაფურა Bidens tripartita L., ბალახი, რომლისგან დამზადებული საღებავით შეღებილი სააფრო ტილო დიდი გამძლეობით გამოირჩეოდა) იღებებოდა. ამგვარად, გამზადებული აფრა ჩასმული არა მარტო დიდხანს ძლებდა, არამედ მოქნილი და ადვილად სამართიც ხდებოდა.

აღრჩუნვა (||გამოფაიცრება) — ადრე ხომალდის გვერდითი ფიცრების გამოცვლის დროს ხდებოდა, რადგან ისინი ||(ძვ. ქართ. ბაგე, ნავის ფერდა, პირველი გვერდითი ფიცარი, ანუ ნავის კვერდი, რომლის ნაპირებს, „წვეროები“ || ჭიმი ერქვა; ნავს გააჩნდა ორი ბაგე — „მარჯვენა კერძო ნავისა“ და „მარცხენა კერძო ნავისა“) შედარებით მალე ლპება (ღერძი და სხვა ნაწილები, როგორც წესი, უფრო დიდხანს ძლებს), მათ ააძრობენ და ახლით ცვლიან, რაც „ნავის მოქმედნი“ (იხ.) აღრჩუნვას (გამოფაიცრებას) ეტყოდნენ.

აშია — ფიცრის ლარტყა რომელიც ლაზურ საზღვაო აფრებიან ხომალდს (სანდალს და ფელუკას) და სამდინარო ხოფებიან ნავებს (ოდიშური ნავი, ჭალადიდური ნუშა, საჭილაოს ნავი და სხვ.) უკეთდებოდა გვერდებს ზემოთ; იგი კრავდა ხომალდის ჩონჩხს.

აშოქი — სპეციალური საგუბარი ლაზური ნავის ძირში, რომელიც ნავში შემოსულ წყალს ტვირთის დასველების საშუალებას არ აძლევდა.

აჩათანა — ტარმოკლე ნიჩაბი (ხოფი, ხოპი), რომელიც ურძენა (დრეკადი ხის ტოტები) ხისაგან კეთდებოდა და ძირითადად ბოლო ნიჩბის ფუნქციას ასრულებდა.

აჯილა — ნეფე — პატარძლისათვის განკუთვნილი ადგილი ნავის კიჩოზე || კირჩიზე; (შდრ. მესხური აჯილაკი დაბალი, კედლის სკამი); საინტერესოა, რომ საქართველოს ზღვისპირეთში ძველად ამგვარ საჯდომს დანიშნულებისდა მიხედვით სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა ასე მაგალითად, ორმო (|| ყვერნა), მენიჩბეთა (|| მეხოფეთა||მეხოფურთა) დასაჯდომ სკამს ერქვა, „ხომალდის მაგლინებელი“-ს დასაჯდომს მესაჭის სკამი ერქვა; ნავზე და ტივზე ბოლოში სპეციალურად ჩადგმულ დასაჯდომს მებოლოეს სკამი ეწოდებოდა,

ხოლო ხომალდზე მყოფი საპატიო სტუმრისათვის განკუთვნილ ჯვრიან სავსე ცხულს (მოჩუქურთმებული ხის მაღალზურგიანი სკამი) ეძახდნენ და ა. შ.

ბაიდა (baida) — სატვირთო (საჭვირთე) და სათევზაო ბრტყელძირა ხის საკმაოდ მოგრძო (დაახლ. 19-მ-მდე) და მოზრდილი ნავია გავრცელებული ფოთის აკვატორიაში, სადაც აზოვის მხრიდან არის შემოსული.

ბაკარები — ანძის დასამაგრებელი წინა ბაწრები.

ბარბა — ლაზურ საზღვაო ხომალდზე სიგრძივ ამოღარული ლარტყა რომელზეც ვაგრდება საღუზე თოკი.

ბასლი (ბასილი) და გრიგოლ ზღვის მფარველი ღვთაებანი — საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული ზღვის (წყლის) ღვთაებები, რომლებსაც, სავარაუდოა, რომ ქრისტიანობამდე გაცილებით ადრე მოეპოვებოდათ შესაბამისი წარმართული სახელები. ისინი განაგებდნენ წყლეთსა და მის ბინადართ კკრიას მსგავსად[14].

ბაქანი — ხომალდზე ფიცრებისაგან მჭიდროდ და ჰორიზონტალურად შეკრული ადგილი.

ბედგერა (II უიღბლო) — ნაოსნობის (თევზაობის) წესების დამრღვევი. „ზღვის ჯადო" (იხ.), ხალხის თქმით, აბედგერებს — ხელმოცარულს ტოვებს; „ზღვის ჯადოს" საწინააღმდეგო საშუალებად მენავენი თვლიდნენ ხომალდის კირჭზე ჩამოკიდებულ მონს — თევზის ნიკარებისაგან გაკეთებულ მძივს, რომლის მაგიური ძალა საყოველთაოდ იყო ცნობილი.

„ბედნიერი ნავი" — ნაოსნობაში (თევზაობაში) კარგად დაცდილი ნავი, მას დაძველების შემდეგაც იყენებდნენ — საგანგებოდ დიდი გულმოდგინებით შეაკეთებდნენ და ახალსაც კი ამჯობინებდნენ ხოლმე, რადგან იგი რიონელ მენავეებს „ბედნიერ ნავად" ჰქონდათ წარმოდგენილი, რასაც XVII ს-ში საქართველოში მცხოვრები კათოლიკე — მისიონერი დონ არქანჯელო ლამბერტიც ალნიშნავს[15].

ბოზანდარა — ლაზური საზღვაო ხომალდის კედელში სპეციალურად გაკეთებული სათავსი, საკვების შესანახავად გათვალისწინებული, რომელიც ჩვენში ცნობილია სხვა სახელწოდებითაც მაგ.: დოლაბი, არმანი, კუმეინიწა.

ბორანი — მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელი, ფიცრებისაგან შეკრული მოწყობილობა, რომელთაც გადაჰყავდათ მგზავრები, საონელი და სხვადასხვა დანიშნულების ტვირთიც გადაჰქონდათ ბაგირის ან ნიჩბების დახმარებით. ფართოდ იყო გავრცელებული ჩვენშიც. ხალხის განმარტებით, ბორანი გადაბმულ ნავსაც ჰქვია და იგივე პატარა ტივი ან დიდი ზომის ბრტყელძირიანი უხეში ნავია (ცალპირა, ორპირა).

ბორბალქარი — ძლიერი და მბრუნავი ქარი, იგივე ქარი გრიგალიანი, კონტინენტური „ჩრდილო-აღმოსავლეთის ძლიერი ქარი ხმელთაშუა, შავ და აზოვის ზღვებში; ძვ. ქართ. „ქარი ღელვადგომილი", რომელსაც „ძლიერის ქარიშხლისას" ზღვაში დიდი ღელვა მოსდევს. თუ ნავი ამ დროს ზღვაში მოჰყვა, იგი „ღელვაგუემული იქნება და დაინთქმება".

---

14 ბ. ქილანავა, ბასილ და გრიგოლის კულტი საქართველოში. „მაცნე" ენის... სერია, № 4, 1981, გვ. 87—105.

15 დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი ალ. ჭყონიასი. ტფილისი, 1938, გვ. 157.

ბ ო რ ე ა ს ი (ბერძნ. Βορέας) — ჩრდილოეთის ქარი ელადაში, რომელიც ბორეას (|| ბორიას) სახელწოდებით ჩვენშიაც იმავე მიმართულების ქარის აღმნიშვნელია. ბორეასი რიონის ხეობაში ხ ა ბ ა რ უ ლ ა ს სახელითაც არის ცნობილი.

ბ ო ღ ა ზ-ი (თურქ. boğaz) — მცირე და საშუალო მოცულობის ხომალდთა ნავსაყუდელი.

ბ ო ც მ ა ნ ი (ჰოლანდ. bootsman) — „ნავის კაცი", რომელსაც ევალება მეზღვაურთა ზედამხედველობა (შდრ. „წყლის კაცი" მტკვრის ხეობის მეტიველებაში); ბოცმანი უმცროს მეთაურთა შემადგენლობას ჩინია ხომალდზე; იგი სავახტო მეთაურის თანაშემწეა, რომელიც იცავს წესრიგსა და სისუფთავეს, ხელმძღვანელობს სხვადასხვა სამუშაოს, ასწავლის შემადგენლობას საზღვაო საქმეს.

ბ ო ჰ ი ტ ა (ფურენგი) — წყლის გამოსაშვები პატარა, საგანგებო ხვრელი ლაზურ საზღვაო ხომალდზე (ძვ. ქართ. კოკრობინა. ცანჩხა); იგი იხვრიტებოდა ჯიგალით, ლოპრით, ჰიპრანით...

ბ რ ი ზ-ი (ფრანგ. brise, brisa) — სუსტი ქარი; არსებობენ ზღვის (დღისით რომ უბერავს ზღვიდან ხმელეთისაკენ) და სანაპიროს (ღამით რომ ხმელეთიდან უბერავს) ბრიზებს; ბრიზი ჩვეულებრივ 2-იდან 5 ბალამდე (ბოფორტის შკალით) — 3,3—8,9 მ/წმ მერყეობს (იხ. ზღვაური).

ბუდე — 1. ანძის ჩასადგმელი ადგილი ხომალდზე; ხის კვადრატული ან ოთხკუთხედი ლითონის ან ხისავე მრგვალი ბუდე, რომელიც მაგრდება ქვედა იმბანზე 2. დასაჯდომი მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც ხდება მეაფჩიოეს (||მეაფრის) აყვანა-ანძაზე ძნელად მისადგომ ადგილებში.

ბუხტ-ა (ჰოლანდ. bucht) — ზღვის უბე, ყურე, რომელიც შეჭრილია ხმელეთში და დაცულია ქარისაგან.

გ ა დ ა ბ მ უ ლ ი ნ ა ვ ი — არის ორკორპუსიანი ხომალდი — კატამარანი, რომელიც პერიოდვას სახელწოდებითაა ცნობილი და ფართოდაა გავრცელებული პოლინეზიაში, მალაიზიაში, ზელანდიაში და სხვ. ჩვენში მისი მსგავსია მხოლოდ პალიასტომზე გამოყენებული გადაბმული ნავი საჩალე (სათივე) ნავის სახელწოდებით.

გ ა ჭ რ ი ლ ი ა ფ რ ა — ორად გაკეთებული აფრა, რომელსაც იყენებდნენ ძლიერი ქარიშხლის დროს, იგი არ აძლევს ქარს საშუალებას, დაგლიჯოს აფრა თანაც მეაფრეების შრომაც შედარებით მსუბუქდება. რადგან გაკვეთილი აფრის დაშვება — გაშლა გაცილებით იოლიცაა.

გ ა ხ ი ზ ვ ა — ნავის ფიცრებს შორის დარჩენილი ღრიჭოების ამოვსების ძველი ხალხური წესი, რისთვისაც იყენებდნენ ნაცარში არეულ ადუღებულ თიხის ქოშს, ფიჭის ფისს, კუპრს, რასაც ხაზი ეწოდებოდა.

გ ე დ ა ბ ო ზ ი (||გედაბოძი) — ლაზური საზღვაო ხომალდის ზედა ფიცარში ჩასმული ძელი, რომელზეც ბიიბმება ბაგირი ნავის წყლიდან ამოსათრევად.

გ ე მ ბ ა ნ ი (ინგლ. desk) — ხომალდის კორპუსის გადახურული ნაწილი. სახურავი, პალუბა, რომელიც გემს წყალგაუმტარობას ანიჭებს; გადახურვა (ამ შემთხვევაში ხეფენილი) გვერდების (ბაგების) შემოფიცვრის ანალოგიურად კეთდება და ძირითად მასალად ჩვენში და სხვაგანაც გამოიყენება ნაძვის (ფიჭვის) სქელი ფიცრები. გემბან-ს ქართულში შეესატყვისება: ჩარდახი, ქორედი, საჩე(ჩ)ხი, ბანი, ერდო და სხვ.

„გემების სასაფლაო“ — ასეთ ადგილად შავ ზღვაზე ძველად მიჩნეული იყო და ახლაც მიჩნეულია წყალმარჩხი და მეჩეჩებით სავსე რაიონები, სადაც მრავალი გემი „განისვენებს“ ზღვის ფსკერზე; საქართველოს ზღვისპირეთში „გემების სასაფლაო“-დ ცნობილი იყო სანაპირო ზოლი ფოთსა და ანაკლიაში და ჭობულეთ-ციხისძირს შორის მდებარე ადგილები. სადაც ძველად, საკაბოტაჟო ნაოსნობის პირობებში, გემების დალუპვა სანაპიროსთან ახლოს (კლდეები, წყალმარჩხობა და სხვ.), ხშირი იყო და სახელწოდებაც აქედან მოდის[16].

გემი (თურქ. gemi) — დიდი ზომის საზღვაო წყლის ტრანსპორტის სახელი, რომელიც ქართულში (ისევე როგორც „აფრის“ ეკვივალენტური „იალქანი“) XVIII ს-ში შემოვიდა და დამკვიდრდა; ორთავე ეს სახელი ორიგინალური წარმოშობის იშვიათ თურქულ საზღვაო ტერმინებს მიეკუთვნება.

გვერდის აფრა — ქანდარაზე მისაბმელი აფრის ვერტიკალური ბოლოები.

გვერდულა ტალღები — ტალღები, რომლებიც არათანაბრად ირხევიან და გარკვეულ დრომდე ნაოსნობისათვის საშიში არ არის. მაგრამ თუ ქარიც ამოგირგილდა, რაც ამგვარ ტალღებს ხშირად მოსდევს, მაშინ ყველაფერი ცუდია მოსალოდნელი. მაგ., ტალღების ადევებაც კი. და ამ დროს ზღვაში მყოფთ, ხალხის თქმით, თვით მზოლაშ კულანიც და მესეფიც ვერ უშველის.

გლანი — მცირე მოცულობის ნავის გადასართავი ზის სასრიალო მოწყობილობა ლაზეთში.

გოლაკორონი — გადახურული ხომალდი (დადასტურებულია ძვ. ქართულსა და მეგრულში).

გრიგალი (ბერძნ. γραγάλ) — კონტინენტალური ჩრდილო-აღმოსავლეთის ძლიერი ქარი ხმელთაშუა, შავ და აზოვის ზღვებში (ძვ. ქართ. იგივე ქარი შხალია ზღვის აბობოქრება რომ მოსდევს, სადაც, თუ ნავი მოხვდა, იგი „ღელვაგუემული იქმნება და დაინთქმება“).

დაგმანვა (|| ჴვანვა) — სანავე კანაფის დაბეგვა და ლრიჭოებში ჩატენა, რისთვისაც იყენებდნენ სპეციალურ, ნავსაამშენებლო იარაღებს: თეგს (რკინის პატარა სატეხი; შდრ. გაძოთეგვა, თეგვა), ქართაქს (ნავის ლრიჭოების დასაგოზი ბრტყელი ხის ჩხირი) და სხვ; იგივეა, რაც დაკალაფატება, კალაფატი.

დალაღვა — ნავის წყალში შენახვა (ჩვენში მხოლოდ გურიაში ვხდებით). ამ მიზნით სამდინარო მომცრო ნავს ფსკერზე უკეთდებოდა სპეციალური ნახვრეტი — ებდი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იღებენ (ებდი ხის სოლითაა დაცული) და ნავს წყალში ძირავენ შენახვის მიზნით, როცა ნაოსნობას ჰეზონური ხასიათის გამო წყვეტენ; ტერმინ დალაღვა-ს ეკვივალენტურია ჴალალვა, დაყალვა და სხვ.

დამორვა — გალოპრილ-გაჭირჭილი სატივე ხე (ქართულში).

დამყოლი — სატივეების მოჭრის შემდეგ მისი დანიშნულ ადგილზე მიმტანი.

დამცურე — სატივე ხეების დამცურებელი.

დედაღვთაება ზღვისა — ქართველ ზღვაოსანთა მფარველი.

---

[16] თ. ჯანჯღავა, იახტა „აჭარის“ ერთი ზაფხული, თბ., 1981, გვ. 54.

დ ე დ ა ხ ე — მთავარი ხე ტივზე, რომელზეც დანარჩენ ხეებს წკნელით შემოაკრავენ.

ე ლ ა ხ ო ნ ი ბ ო რ ი ა — ზენა ქარი სამეგრელოში.

ე ლ ა ს ა (|| ჰელესსა) — სამეგრელო-ლაზეთში გავრცელებული შრომის სიმღერა, რომელიც ძირითადად საზღვაო საქმიანობასთან (მაგ., სანავე მორჯ-ბის ტყიდან გამოტანისას, ღუზის ან სათევზაო ბადის ჩაშვება — ამოღება-ს დროს, აფრის დაშვება-გაშლის პროცესში და ა. შ.) დაკავშირებით სრულდებოდა იგი მოტივით ჰგავს რთველის ქართულ ხალხურ სიმღერა აგიდელას.

ელესა (ჰელესსა), როგორც მეზღვაურთა შრომის თემატიკაზე შეთხზული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში, საინტერესოა მუსიკალური ფოლკლორის თვალსაზრისითაც... ეს სიმღერა განსაკუთრებით პოპულარულია ლაზეთში, რომელსაც ხშირად „სანდალიშ ელანჭუში ბირაფა“-ს („ნავის ამოსათრევ სიმღერას“) უწოდებენ. როგორც დადგენილია, „ჰელესსას“ თავდაპირველი სამშობლო ლაზეთია, აქედან იგი შეითვისეს ბერძნებმა, თურქებმა მოლდაველებმა და რუმინელებმა. „ელესას“ გავრცელების ასეთი ფართო არეალი შორეული წარსულიდანვე მეთევზე-მენავეთა და მეზღვაურთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგია.

ე რ გ ა ტ ი (ბერძნ. ἐργάτης — ნაპირზე ღრმად ჩასობილი მსხვილი ბოძი, რომელზეც ჭოჭონაქია მიმაგრებული ნავის წყლიდან ამოსათრევად.

ე ღ ე — მოღუნული ხის ძელი (ტყეში საგანგებოდ შერჩეული) ნავის ფიცრების შემაკავშირებელი.

ე ჩ ო — ნიშის ტიპის ნავთა ამოსალარავად გამოსაყენებელი ერთგვარი ცული.

„ვ ე რ ც ხ ლ ი ს ხ ე“ — ფიჭვი (pinus), რომელსაც სამეგრელოსა და ლაზეთში მენავეები დაჭედილი ხომალდის ასაგებად უპირატესობას ანიჭებდნენ.

ზ ე ნ ა-ქ ა რ ი — ფოთსა და მის შემოგარენში მთებიდან მქროლავი ალმოსავლეთის ქარი, რომელიც გაბატონებულია მთელი წლის მანძილზე და ხშირად ფიონური ხასიათისაა. ზენა ქარი მეტწილად ზომიერად უბერავს და ამიტომაა, რომ ქართველი მეზღვაურები ამ ქარს სიკეთისა და ბედნიერების მომტანად მიიჩნევენ.

ზ უ რ გ ი ს ქ ა რ ი (ძვ. ქართ. „წარმართებელი ქარი“ || „ქარი უკანა კერძო ნავისა“ || „უკანით კერძო“ || „კაი“ ქარი) — მეზღვაურთა ყველაზე სასურველი ქარი, რომლის პატივსაცემად ნაოსნობის დაწყების წინ (ადრეული გაზაფხული) მსხვერპლსაც სწირავდნენ „მზოლაშ კულანს“, რომელიც ამ ქარის და, საერთოდ, ზღვისა და მეზღვაურების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა.

„ზ ღ ვ ა მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა“ — მისალმების ფორმულა ნაოსნობის დროს, როცა ღია ზღვაში შეხვედრისას ზეალმართული ხოფებით ესალმებოდნენ (უსიტყვოდ) ერთმანეთს, რაც ნიშნავდა უხიფათო ცურვის — „ზღვამშვიდობისა“-ს — განხორციელებას.

ზ ღ ვ ა უ რ ი — ქარი სანაპიროს სარტყელში, რომელიც დღისით ზღვიდან სანაპიროსკენ უბერავს; ზღვაური იწყება დილით ადრე, ალიონზე და ყველაზე ვარგის, რაციონალურ ქარად (იხ. ზენა ქარი) არის მიჩნეული; მისი მკვეთრი შეცვლა, რაც სხვა ქარებისათვის დამახასიათებელია, თითქმის გამორიცხულია. ძველად ზღვაურს ქართველი მეზღვაურები ქარების ქალღმერთს თეთროსანს (ბერძენთა ლევკოთეა) ადარებდნენ.

ზღვის ანგარიში (|| ზღვის წესი) — ნადაელის თანაბარი განაწილება.

ზღვის დედა — მეზღვაურთა (მეთევზეთა) ყოველისშემძლე მფარველ ლაზ-მეგრელთა წარმოდგენაში.

ზღვის ჯადო — ნათესობა — თევზაობის დამრღვევთ ხელმოცარულს ტოვებს (აბედგერებს) ან ახრჩობს..

ზღუა||„ზღვა"||ზღვაი||ზღუაი — ერთ-ერთი უძველესი ქართული სანაოსნო ტერმინი, რომელიც ძველ ქართულ თუ მოგვიანო ხანის წერილობით ძეგლებში მრავალგანაა მოხსენიებული. ზღვიდანაა ნაწარმოები: „ზღვთ კერძო-ჲ"|| ზღვის სანაპირო || ზღვის მხარე, „ზღვთკიდე-ჲ || ზღვის სანაპირო, ზღუსპირი||ზღვპირისა „ზღ-ვს კერძ-ჲ" ||ზღვსპირსა ზღუა, ზღუასა ზღვს, ზღვ!ანი, ზღვთაგან, ზღუად, ზღუმდე. ზღუათა: „უწყით სიმარჯუე მათი (ბერძენთა და ქართუელთა) ზღუათა შინა ნავებითა". — გადმოგვცემს ქართველი მემატიანე. ადამიანს, რომლის ძირითადი საქმიანობა ზღვაოსნობა იყო, ჩვენი წინაპრები უწოდებდნენ: „ზღვს მოარულ"-ს, მენავეს, „ზღვრნი"-ს, ზღვაში მყოფთ, „ზღვის კაცნი", „სპანი ზღვისანი", მეზღვაურნი (მეზღვაური), ხოლო ღია ზღვას „ზღვს უფსკრულს". ოკეანეს, ხოლო ხმელეთის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ზღვას ეკვრის „კიდე", „პირი" და „ნაპირი" ერქვა და „ზღვის კიდე", „ზღვის პირი" და „ზღვის ნაპირი" ძველ ქართულში ერთნაირი მნიშვნელობით იხმარებოდა ,თუმცა, ის ტერმინები, ზღვის სანაპიროს გარეშე იმ რეგიონსაც აღნიშნავდა, რომელიც ზღვის გვერდით იყო განლაგებული[17].

თავიაფრა — ქანდარაზე მიბმული აფრის ზედა ბოლო.

თაღიანი ნავი — საქართველოში ძველთაგანვე ფართოდ გავრცელებული ნავის ტიპი. რომელსაც გვერდების ამაღლებით სახურავის (კამარის) ფორმა ეძლეოდა. ნავის გვერდების ამაღლებას ფიცრებით, ჩელტებით (ლატებით), პაყვებით (პაყვა-მოკლე ფიცარი) ჩვენში ლაბაგვას ეძახდნენ (მობაგული ნავი). რისთვისაც იყენებდნენ დაბოგვილ (გამრუდებულ) ფიცარს, რომელიც „ნედლობისას გახმა და დეიგობა". თაღიანი ნავი, რომელიც საქართველოს ზღვისპირეთში ფართოდ იყო გავრცელებული, მრავალმა უცხოელმა მოგზაურმა და მწავლულმა აღწერა.

თერცხანე თერსანე (იტალ. therrsanc) — ნავსაშენი და ნავსადგომი ლაზეთში, რომელიც განლაგებულია ქარისა და ღელვისაგან დაცული ნაპირთან: თერცხანე გადახურულია ყავრით, ხოლო გვერდებიდან ღიად არის დატოვებული, რათა ნავსაშენი ნედლი ხის მშრალა მზესა და ქარში სწრაფად გამოშრეს. ლაზი მენავეები თერცანეს „ნავთა სახლს"-აც უწოდებდნენ.

თუალი — მდინარეთა შესართავში მოწყობილი ნავსადგომი.

ირიბი აფრა — მიმაგრებულია მილისებრ ხის ლარტყაზე ნავის გვერდზე და ჩამოკიდებულია ანძაზე დაჭანებულად.

კავი — მცირე და საშუალო ნავთა უზა ძველ ქართულში.

კამარა — ძველ კოლხეთში ფართოდ გავრცელებული გრძელი, ვიწრო (ზოგჯერ მრგვალ, თაღიან ნავადაც იხსენიებენ, მაგ., ტაციტუსი ჩელები და სხვ.), კარგი მანევრირების, მსუბუქი და სწრაფმავალი აფრიან — ხოფებიანი საზღვაო სათმარი ხომალდი, რომელიც დაახლ. 30—40 (და შეიძლება მეტსაც)

---

17 დაწვრ. იხ. Т. Берадзе, დასახ. ნაშრ., ზ. კუტალეიშვილ. დასახ. ნაშრ.

18 დაწვრ. იხ. ზ. კუტალეიშვილი.

მეომარს იტევდა. კამარა ნავის დაწვრილებითი აღწერა მოგვცა სტრაბონმა (ძვ. წ. 64 — ახ. წ. 24). კორნელიუს ტაციტუსმა (ახ. წ. 55—116). ევლია ჩელებმა (1611—1683), რომლის მიერ აღწერილი ლაზური „მენიქსილა ნავი" ჩვენი აზრით, კამარა ნავის განვითარების შემდეგ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს და 100—300 კაცს იტევდა[19]: კამარას ტიპის ნავი მხოლოდ კოლხეთშია გავრცელებული და სხვა რეგიონში არც ეგხვდება. თავად ტერმინიც „კამარა" ბერძნულში ქართულიდან უნდა იყოს შესული. ეს სიტყვა ძველი ქართული (კოლხური) საზღვაო ტერმინია. ამასთან, მეტად საინტერესოა, რომ ანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ზოგიერთ ტომს („კამარიტებიდან გამომდინარე, ე. ი. ამ ტიპის ნავის ფართოდ გამოყენების გამო) კამარიტები ეწოდებოდათ და ცხოვრობდნენ იბერიელების მეზობლად და მაზისთან (შაშასადამე ერთ-ერთი ტომი კამარიტების აღმოსავლეთ საქართველოშია დადასტურებული. ხოლო მეორე — კოლხეთში): ასევე აღნიშვნის ღირსია ლაზურ საზღვაო ხომალდზე (კიჩოზე) კაპიტნისათვის (რეიზისათვის) მოწყობილი მრავალი და მაღალი ადგილი. საიდანაც „ხომალდის ჰოძღუარი" („ნავის უფროსი") ნავის ეკიპაჟს („ზღვრნი") სათანადო მითითებებს აძლევდა. აქედან ადევნებდა თვალ-ყურს მეზღვაურთა საქმიანობას, ამოწმებდა და აზუსტებდა ხომალდის კურსს, ქარისა და ტალღების დინების და სხვ. როგორც ჩანს, ეს საკმაოდ სათვალთვალო სადგომი, მნიშვნელოვანი დანიშნულების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა ხომალდზე, რომელიც ქართულ საზღვაო პრაქტიკაში ცნობილია სახელწოდებით — „კამარსა". ამ ტერმინის დაკავშირება „კამარა"-სთან შესაძლებლად მიგვაჩნია[20].

კანჯო — საზღვაო ნიჩბებიანი საომარი დანიშნულების ხომალდი ფეოდალური ხანის საქართველოში: ტერმინი კ. ევროპიდან შემოვიდა თურქულში და აქედან ჩვენში გავრცელდა კაუჭის მნიშვნელობით, რადგან ამ ტიპის ხომალდს ცხვირი (წინა ნაწილი, „ნავითავი") მოკაუჭებული ფორმისა იყო. ასეთი ნავებით სხვადასხვა დანიშნულებს ტვირთი გადაჰქონდათ (მაგ., ტყვიაწამალი, საჭურველი), გადაჰყავდათ ჯარისკაცები. კანჯო აფრებიც ჰქონდა ხოლო თვითეულ ნიჩაბს (10—12) თითო მენიჩბე (ჩეხოფური) ემსახურებოდა. ეს იყო უგემბანო ნავი, რომლითაც თბილ წყლებში და მდინარეშიც შეიძლებოდა ცურვა ხოლო საჭიროებისას ნაპირზეც ამოჰქონდათ (შდრ. კამარა ნავს).

კარაჭაპა — საშუალო სიდიდის საზღვაო ნავი ძველ საქართველოში.

კატარღა — ნიჩბიანი სამხედრო საზღვაო ნავი ფეოდალური ხანის საქართველოში, ქართულ წერილობით ძეგლებში პირველად „ვეფხისტყაოსანში" მოიხსენიება („დავკაზმეთ ნავი — კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა"...)[21]. უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ შოთა რუსთაველის გენიალური პოეზია მეტად ძვირფას ცნობებს გვაწვდის იმდროინდელ საქართველოში კოსმოლოგი-

---

19 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 118—119 ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, ნარკვევით და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973, გვ.129; ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 95.

20 ზ. ჯუღაშვილი, ნაოსნობა საქართველოში, გვ. გვ. 42, 167, 205 და შმდ.; ო. ნინიანი, კამარაი — „ძეგლის მეგობარი", № 55, თბ., 1980, გვ. 31—34 და სხვ.

21 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 121 და შმდ.

ური, გეოგრაფიული და განსაკუთრებით საზღვაო (სამხედრო-სავაჭრო) სიტყვის შესახებ..

კ ე ს ი — აფრების ბოლოების დასამაგრებელი წვრილი და საკმაოდ მოკლე ლატანი, რომელიც საბასთანაც ამაღე მნ-შვნელობით გვხვდება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კესის აღსანიშნავად მრავალი ტერმინი იხმარება, მაგ.. საყვავე. სეენი. საწვერე, წიეწაპური, კენწერო და სხვ.

კ ი რ ბ ე ბ ი (კვრბები, კრბი, ყვერბი, ყუერბი. კორბიისი, კირიბი, კირიბიში) — ძველი კოლხების საზღვაო რუკები. ცნობა კირბებზე (Apg., IV, 279—281) ეს არის პირველი ცნობა ძველ ქართულ ტომებში (resp. კოლხებში) არსებული დამწერლობის შესახებ. აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ.295—215) ცნობით „კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ შამათაგან ნაწერი კვრებები (κύρβεις). როშვლებზედაც (ქვის. ხის, თიხის ფირფიტები, სტილები, ტყავის ეტრატები, დაფები, — ზ. კ) არეველი მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი" (Ap. Rod.. Arg.. IV, 289).

აპოლონიოსის ცნობა (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის კოლხეთის სამეფოში მოქმედი ამბებს რომ ეკუთვნის, დადასტურებულია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული. ლინგვისტური და შეკნიერების სხვა დარგების მონაცემებით), რომელიც ემყარება მისთვის ცნობილ, ჩვენთვის უცნობ, რომელიღაც უძველეს წყაროებს, სანდონი არიან. რაც უკანასკნელი ხანის გამოკვლევებით დადასტურდა.

აპოლონიოსის ცნობა კვრბებზე ანტიკური ხანის ქართველი ტომებში არსებული მაღალი კულტურის მატუობილია: კოლხებს ჰქონიათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები („მამათაგან ნაწერი") სამანძილო კვრბების სახით, რომლითაც კარტოგრაფიულ მნიშვნელობა ჰქონდათ და ჩვენი წინაპრები მათ პრაქტიკული მიზნით იყენებდნენ — მოგზაურთათვის კვრბებზე აღნიშნავდნენ ზღვების (მოინარიების, ტბების) და ხმელეთის გზების და საზღვრების მდებარეობას. ამ ცნობას მხარს უჭერს ის ცნობილი ფაქტიც, რომ საქართველოზე ძველთაგანვე გადიოდა დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა — „აბრეშუმის გზა", რომელიც ჩინეთ-ინდოეთ-შუა აზიიდან კასპიის ზღვით მიმოსვლაზე ამოდიოდა, ხოლო აქედან ფაზის — რიონის საშუალებით შავი ზღვის ძველთაძველი ნავსადგურებიდან — ფაზისი. დიოსკურია, ტრაპეზუნტი, ჰალისი და სხვ. — ხმელეთაშუა ზღვის ქვეყნებში ჩაღიოდა და პირიქით: ამჟამად, არსებობდა სხვა გზებიც, მაგ.. შუა აზიისა და საქართველოზე გავლით კავკასიონის გადასასვლელებით ევროპას რომ უკავშირდებოდა: ესენ გზები საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო და მდინარეებზე და ზღვებზე ნავებით მოსვლას ოსაფრთხოებაც გარანტირებული ყოფილა. რაც წერილობით და ად. წ. IV ს-ის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის რუკის — „Tabula Peutingeriana"-ს მიხედვითაც დადასტურდა.

კოლხური კირბების შესწავლის საფუძველზე. ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით, გერმანელი გეოგრაფოსი კარლ რიტტერი (1779—1759) თვლის, რომ კარტოგრაფიული ხელოვნების პატივდიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული. იგი ბევრად უფრო ადრე ყოფილა ხმარებაში კოლხ ზღვაოსანთა შორის.

ამგვარად, სახელწოდება „კირბები". (ვარიანტებით) უძველესი ქართული (resp. კოლხური) საზღვაო ტერმინია, რაც ენობრივი მონაცემებისა და წერი-

ლობითი წყაროების მაგალითზე დამაჯერებლად დაადასტურა აკაკი ურუშაძემ (1918—1988) თავის ცნობილ ნაშრომში[22].

კ ო მ პ ა ს ი (ძვ. ქართ. ფურსვლა, ფურუსულა, სპარს. ყიბლამა) ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება კურსი — ხომალდის მოძრაობის მიმართულება. ქართული ფურსულა || ფურუსულა || ფურსვლა თურქულიდან უნდა შემოსულიყო, მაგრამ არც იტალიური (bussola) გავლენაა გამოსარიცხი...

საინტერესოა, რომ ძველი ქართველი ზღვაოსნები ბუნებრივ ალღოს და პრაქტიკულ ცოდნა-გამოცდილებას უფრო ემყარებოდნენ, ვიდრე ნაცნობ-საფუძვლებს, რადგან საზღვაო საქმეში მომხდარი პროგრესული გადაგვარებები, ხელსაწყო-აპარატურა და სხვ. XV ს-იდან ჩნდება. ეს კი ის პერიოდია, როცა თურქ-ოსმალებმა ბიზანტია დაიპყრეს (1453) და შავი ზღვიდან გასასვლელი სრუტეები (ბოსფორი და დარდანელი) თავიანთ კონტროლს დაუმორჩილეს, რამაც ჩვენი ქვეყანა ბუნებრივია, ჩამოაშორა კულტუროსან ევროპასთან ადრინდელ კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს. ეს კი სანავიგაციო საქმის განვითარებასაც დიდად აფერხებდა. ამიტომ იყო, რომ, ისევე როგორც ძველ დროში, ჩვენი წინაპრები ზღვაზე მოგზაურობის დროს ეყრდნობოდნენ ციურ მნათობებს და მათი მოძრაობის ცოდნას, ანუ ასტრონომიას (შდრ. კირბები კონტრიშის ხეობაში ნაპოვნი ბრინჯაოს ცის თაღის გამოსახულებით, რომელიც გლობუსის რუკის ნაირსახეობად მიაჩნიათ და სვანეთის ეკლესიებში ნაპოვნი სამწახნაგა ჯოხები წარწერებით, რომელთაც ძველი კოლხები იყენებდნენ საორიენტაციო კომპასის მსგავს დანიშნულების საგნად ზღვაზე შორეული ნავიგაციის დროს). მაგალითად, ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ კომიტი ცის მზომველობით ნავთ მატარებელი მანათობელია, ისინი (კომიტნი) წინ უძღოდნენ შიკრიკივით ნავით მავალთ და ა. შ.

ძველად ჩვენში მეზღვაურებისათვის ორიენტირის ფუნქციას ასრულებდა მზე, ვარსკვლავები, მთები და ა. შ. ამასთან ხომალდით მიჰყავდათ ჩიტებიც: ჩვეულებრივი ალკონი — Alcedo athis Linnaeus, 1758., მურტალასნაირნი — Podicepetiformes Pallas.), დიდი მურტალა — Podicerscristatus L. 1758, ჭარიშხალა Puffinus puffinus Brünnich. 1764; ოქროსფერი მეკვაია — Charadrius apricarius L., 1761; ზღვის კაჭკაჭი —Haematopus ostrabegus L.' 1778 და სხვ.

ეს ჩიტები ძირითადად ზღვაზე ფრინავენ (ბოტაკი). მაგრამ ბოლოს მაინც ნაპირს აშურებენ. ამიტომ, როცა ამისი საჭიროებაა (მაგ.: მარშრუტის დაკარგვა, ნაპირის მიუგნებლობა, ნისლი, წვიმა და ა. შ.), ამგვარ ჩიტს გაუშვებდენ ხომალდიდან და ისიც ზუსტად უჩვენებდა მეხომალდეებს მიმართულებას სანაპიროსკენ... შეიძლებოდა კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა, როცა ჩვენი მეზღვაურები კომპასისა და სხვა სანავიგაციო ხელსაწყოების უქონლობას ავსებდნენ ხალხური სანაოსნო ხელოვნების ზემოჩამოთვლილი საშუალებებით...

კ ო ნ ც ხ ი (|| კუნცხ|| კუნჩხი ძვ. ქართ. ტერმინია; ბერძ. ἄκρα || აკარა || აკრა აფხაზურში შუქურას მნიშვნელობით შევიდა) — წყალში მკვეთრად

---

22 ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964, გვ. 151—168.

შეჰრილი ხმელეთის ნაწილი კონცხი ზღვის პირას აღმართულ მაღალ კლდესაც ერქვა, რომელიც ზღვაში ეშვებოდა.

კ ო პ ა ნ ო — ნიჩბებიანი ნავის ტიპი ფეოდალურ საქართველოში.

„კ უ დ ი ა ნ ი ქ ა რ ი“ (ბურწულაც, გრძნეული) — ქარი, რომელიც პირველ ხანებში არაა საშიში, მაგრამ მოულოდნელად შეიძლება ისე გამძვინვარდეს, რომ დიდი უბედურება დაატეხოს ზღვაში მყოფთ. ეს ქარი ძირითადად ფოთის უკიდურეს ჩრდილოეთით სოხუმის მიმართულებითაა გავრცელებული. მავრამ, საბედნიეროდ, იშვიათად ადგილს. სადაც ჰაერის ეს მასები შემოიჭრებოდა, ძველი მზღვაურები „სიკვდილის ნაპირს“ ეძახდნენ: კუდიანი ქარის წინასწარი გამოცნობა უახლოესი ხელსაწყოებითაც კი შეუძლებელია, ამიტომ მეტეოროლოგიის დარგში ხალხური გამოცდილების მნიშვნელობა და მისი ნაოსნობაში გამოყენება ჩვენს დროშიც გასათვალისწინებელია და ხშირ შემთხვევაში მისაღებიც რადგან ეს ქარი 0 ბალიდან უცებ 10—12 ბალამდე (ბოფორტის შკალით) ადის ისე, რომ ხელსაწყობი ამას ვერ აფიქსირებენ[23].

კ ო მ ა ტ ი (ბედიანი დღე) — ჩვენს წინაპრებს ნაოსნობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა შერწყმული ჰქონდათ ბუნების რიტმთან. რაც ქართველთა ყოფაში ცნობილმა ავსტრიელმა ეთნათვალმცნიერმა და ეთნოგრაფმა ბლაიხშტაინერმაც (1891—1954) აღნიშნა[24].

ამიტომ ჩვენი ზღვაოსნებისათვის ძველად გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე დღეს. ამინდის საერთო აღმნიშვნელი სიტყვა ადრე „ტაროსი“ იყო. ეს ტერმინი „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება:

„სანუთრო კაცსა ყოველსა ვით ტაროსი უხვდების,
ზოგჯერ შუა და ოდესმე ცა რისხვით მოექუხების“...

ან:

„მენით წავიდეს, იარეს, არ თურმე ხანსა ზჩიდიან,
მიხვდეს ტაროსა ამოსა, ნიადაგ ამოდ ვლიდიან“[25]

და ა. შ.

როგორც ჩანს, რუსთველი ტაროსს ყოველგვარ ამინდს უწოდებს. მაშინ როცა მისი თანამედროვე პოეტებისათვის ტაროსი მხოლოდ კარგ ამინდს აღნიშნავს:

„ხაზარეთს დაჰყვეს, რუსეთსაც გაჰყვეს
ზღვის პირით ქროდის ტაროსთა ქარი“.
„კონსტანტინოპოლის ნავნი ააგეს
ზღვა წყნარად იყოს, ტაროსი ჰქონდეს“[26]

სწორედ ამიტომაც ლექსიკონში, რომელიც ზემოაღნიშნული პოემის მიხედვითაა შედგენილი, ტაროსი კარგ ამინდადაა მიჩნეული. ოქმცა ქართველ მეწაველთა თქმით. „ზღვაზე ტაროსი ცვალებადია“:

ამგვარად, ჩვენში ძველად ტაროსი ხან ყოველგვარი ამინდის მნიშვნელობით იხმარებოდა, ხან კი მხოლოდ ზღვაოსნობისათვის ხელსაყრელი ამინდის სი-

---

23 ზ. კ უ ტ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი, ხალხური ცოდნა-გამოცდილება საბალხო მეურნეობას ამინდის წინასწარი გამოცნობა. — კურნ. საქართველოს სოფლის მეურნეობა. № 5. 1984.

24 გ. ჩ ი ტ ა ი ა, პროფ. რობერტ ბლაიხშტაინერის წერილების მიმოხილვა. „მაცნე“ (ისტორიის... სერია). გვ. 227. თბ., 1982, გვ. 283—284.

25 შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 136, 197.

26 ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე, ქება ბეფისა თამარისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, ქართველი მეხოტბენი, I თბ., 1957, გვ. გვ. 198—199, 263.

ნონიმად, რაც შეეხება კუმატ (|| ბედიან||იღბლიან||ბედნიერ) და უკუმატო (||უბედო, არაიღბლიან||არაბედნიერ) დღეებს, ხალხის განმარტებით, როგორც აღინიშნა, მათი წინასწარი გამოცნობა შეიძლება ცხოველებისა და ფრინველების ქცევაზე დაკვირვების გზითაც...

საინტერესოა, რომ კოლხები, რომლებიც ძველთაგანვე მნათობთა დიდი თაყვანისმცემლები იყვნენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მთვარის მოქცევის დროს მოშხდარ მოვლენებს და იმის მიხედვით ხასიათდებოდა ამა თუ იმ საქმის დაწყების აუცილებლობა. მათი რწმენით, სავსე მთვარის ბოლოს კუმატი დღეები იწყებოდა და ზღვაზე გასვლა, თევზაობა და სხვა, ნაოსნობასთან დაკავშირებული საქმიანობა ბედიანი იქნებოდა. მთვარის მოქცევის პერიოდში დაწესებული ჰქონდათ კვიმატიანი (კუმატიანი) დღეები ცალკეული თვეების მიხედვით, რაც ძველ კალენდარშიცაა შეტანილი. სავსე მთვარეზე, რომელიც არაკუმატიანად ითვლებოდა, სანაოსნოდ თუ სათევზაოდ ზღვაში შორს წასვლას ერიდებოდნენ. მაგ., ლექსში „გასაჭირი ზღვაზე“ ნათქვამია:

„არსად წასვლა არ იფიქრო
მთვარის ცუდი მოქცევისას“...

მიუხედავად ამისა, „ზღვის მაწანწალებს“ (ასე უწოდებდნენ შეჯოგეებს და სხვა არაზღვაოსანნი ლახ მეზღვაურებს) არაკუმატიან დღეებშიც კი უჭირდათ თავიანთი ძირითადი საქმიანობის გადადება, რადგან, მათი თქმით, „სიცოცხლე (ცხოვრება) ზღვის გარეშე ფუჭია“, „ზღვა ჩვენი მარჩენალია“, „ლაზის ბაღი ზღვაა“ და სხვა მრავალი გამონათქვამი ხალხური ლექსი თუ ანდაზა ჩვენში, დღესაც პოპულარულია არა მარტო მეზღვაურთა შორის, არამედ, არაზღვაოსანთა ზეპირსიტყვიერებაშიც.

მართლაც მეზღვაურთა საქმიანობა სავსეა საბედისწერო შემთხვევებით, წვიმა სიცივე, ქარიშხალი და აბობოქრებული ზღვის ტალღები მენავეთა რისხვას წარმოადგენდა, მაგრამ მას სხვა გამოსავალი არც აქვს და არსებობისათვის ბრძოლაში სასტიკი ტაროსის პირობებშიც და არაკუმატიან დღეებშიც იძულებულია „სველ მიწდორზე“ (ე. ი. ზღვაში) მოიპოვოს სარჩო, რათა ოჯახი შეინახოს.

ქართულმა მითოლოგიამ დარისა თუ ავდარის და კუმატი დღის მრავალ წარმართული ღვთაება შემოგვინახა, ამასთან არსებობდა ზღვის, ქარის, ღვთაებებიც. მაგრამ, მათ თავიანთ სახელს არ ეძახდნენ იმის შიშით, რომ ისინი (ღმერთები) განრისხდებოდნენ და ზღვაოსანთა უბედურებას დაატეხდნენ, რაც სხვა ზღვაოსან ხალხებშიც (მაგ., ფინიკიელებში, ბერძნებში...) დადასტურებულია...[27].

კ ე ნ ძ უ ლ ი — წყლით გარშემორტყმული ადგილი. ძვ. ქართ. „ზღუათა და წყალთ საშუალო ადგილი — მელი, კუნძული, ჭალაკი, ხერთვისი“, რომელიც ამავე დროს ნახევარკუნძულსაც აღნიშნავდა. ფეოდალურ ხანაში ყველაზე ხშირად „ჭალაკი“ იხმარებოდა*.

კ უ ხ უ ნ ი — ტალღების ოდნავი ხმაური, რასაც შემდეგ, ხალხის დაკვირვებით, დიდი ღელვა მოჰყვება*.

---

27 ზ. თ ა ნ დ ი ლ ა ვ ა, ლაზური ხალხური პოეზია, გვ. 60—66 და შმდ.

* გაგრძელება იქნება

ნანა გუგუშვილი

ქალის უფლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საქართველოში

(განქორწინების მოტივების მიხედვით)

60-იანი წლების დამდეგიდან მედიევისტთა სამეცნიერო ფორუმების დღის წესრიგში დადგა პრობლემა — ქალი შუა საუკუნეების ევროპაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის გახლდათ, რომ ამ პერიოდში ემანსიპაციის პროცესის გაღრმავებამ არაჩვეულებრივად გააღვივა ინტერესი გარდასულ ეპოქათა ქალის მდგომარეობის შესწავლისადმი. ევროპულ ისტორიოგრაფიაში დაისვა საკითხი — როგორი იყო ქალის მდგომარეობა შუა საუკუნეებში? გაჩნდა სპეციალური ფემინისტური საზოგადოებები და ჟურნალებიც კი რომლებიც ამ მიმართულებით აწარმოებენ კვლევა-ძიებას[1].

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა იყო კოპენჰაგენში 1996 წ. 18—24 აგვისტოს ჩატარებულ ბიზანტინისტთა XIX საერთაშორისო კონგრესზეც. მონაწილეებმა პლენარულ და სასექციო სხდომებზე წარმოადგინეს არა ერთი მოხსენება, სადაც განხილული იყო ბიზანტიელი ქალის სახის თუ სოციალური მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტები. მომხსენებლები განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას ქალი უფლებებზე ოჯახში და ქორწინებისა თუ განქორწინების შემთხვევებში[2].

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეების ქართველი ქალის ხატის შესწავლას მხოლოდ ეპიზოდური სახე აქვს. მართალია, ამ პრობლემის გარშემო მასალების შეგროვება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო[3],

---

[1] ფემინისტური საზოგადოებიდან ცნობილია მაგ. „შუა საუკუნეების ფემინიზმის სწავლების" საზოგადოება (The society for medieval feminist scholarship). ქალთა შემსწავლელი ეროვნული ასოციაცია" (National womenis studies association); ჟურნალებიდან კი „Feminist studies", „Gender and history". „Genders". „Journal of feminist studies in religion", „Journal of woman's history". „signs: journal of women in culture and society".

[2] უფრო დეტალურად ამის შესახებ იხ: Byhantium. Identity, Image, Influence, Abstracts, XIX International Congress of Bysantain Studies. University of Copenhagen, 18—24 August, 1996.

[3] დ. ბაქრაძე, ქართველი ქალები, ისტორიული მიმოხილვა. „ცისკარი", 1860, № 4; თ. სახოკია, ქალები, ბათომი, 1895; ა. ტატუნაშვილი, ქალი და მისი დანიშნულება, ტფილისი, 1897; განსაკუთრებით ხშირად იბეჭდებოდა ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი სტატია-გამოკვლევები ჟურნალ-გაზეთებში: ს. მესხი, რა დაუკარგავთ ქალებსა და რას დაიძებენ ისინი „კრებული", 1871, № 4; ბ. ეულენტი, გათანასწორება სამკვიდრო მამულისა დედაკაცთა და მამაკაცთ შორის, „ცისკარი", 1865, № 7; მიხ. ასათიანი, შიკრიკი (ქალის დანიშნულება), „იმედი", 1881, № 2; ი. ჭავჭავაძე, ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი, „ივერია", 1877, № 16; ექ. ხელაძე, საქართველოს მატიანე (სოფლელი ქალების გაბრიყვება და მათი მდგომარეობა ქალაქად), „ივერია", 1877, № 15; ე. ვაშაკიძე, დედათა კითხვა თანამედროვე მეცნიერების წინაშე, „მოამბე", 1897, № 11, განყ. II; ჩხოკუთელი, ქალები არიან დამნაშავე თუ კაცები? (ქართველ ქალთა მოღვაწეობის შესახებ), „კვა-

მაგრამ პირველ ყოვლისა ის განხილულია სამართლის ძეგლების მიხედვით იერისტების[4], ან ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ეთნოგრაფების მიერ. რაც შეეხება ქართულ ჰაგიოგრაფიულ თუ საისტორიო თხზულებებს, ისინი ნაკლებადაა შესწავლილი ამ კუთხით ისტორიკოსების მიერ.

ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის ნათელ სურათს გვიხატავს განქორწინების წესების შესწავლაც. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ჩვეულებრივ, ქორწინება უნდა შეწყდეს მხოლოდ რომელიმე მეუღლის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ქრისტიანული ქვეყნების კანონმდებლობა ცხოვრების პირობების კარნახით, იძულებული ხდებოდა შეემუშავებინა განქორწინებისათვის საჭირო სხვა საკანონმდებლო მოტივებიც. ეს მოტივები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა, და, როგორც წესი, მათ რაოდენობრივად ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. ასეთი მდგომარეობა იყო როგორც ბიზანტიაში, ასევე საქართველოში, რადგანაც შუა საუკუნეების ქართულ სამართალზე დიდ გავლენას სწორედ ბიზანტიური სამართალი ახდენდა.

ცოლ-ქმრის გაყრის შესაძლებლობა ჩანს პირველივე ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში — „შუშანიკის წამება". როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ქმრის მრისხანება შუშანიკისადმი და სასჯელიც სარწმუნოებრივი დევნის

ლი", 1896, № 6; გ. წერეთელი, იაპონელი და ქართველი ქალების შედარება, „ქვალი", 1895, № 22; ა. თუმანიშვილი-წერეთლისა, ჩვენი საკირბოროტო საქმე (ქალთა განათლება), „ქვალი", 1895, № 21; გარდა ამისა, იწერებოდა და ითარგმნებოდა სტატიები ქალთა მდგომარეობის შესახებ: ლეკვალდი ფანნი, ქალების საარგებლოდ და წინააღმდეგ, თარგმანი კატ. ღუდიაშვილისა, „მნათობი", 1871, №№ 6, 7. 8, 1872, №№ 2, 4—5, 8 და; მილლი ჯონ სტიუარტი, ქალების განთავისუფლება, თარგმანი ნ. ისაშვილისა, „მნათობი", 1869, მაისი, ივნ. და აგვ; ბ. კახიანი, ქალთა კითხვის დღევანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი საზღვარგარეთ (წერილი მიუნჭენიდან), „ქვალი", 1902, № 32; საოჯახო დრამები (ქალის მდგომარეობა რუსეთში), „საქართველოს მოამბე", 1863, № 3; ტარასოვი, ქალების განათლება, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა, ტფ., 1885 და სხვ.

[4] გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI—XIII ს. ს. საქართველოში, თბ., 1959; მისივე, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965; მისივე, განქორწინება ქართული სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973; მისივე, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1974; ნ. ხიზანიშვილი, რჩეული იერიდიული ნაწერები, დასაბეჭდად მოამზადა ი. დოლიძემ, თბ., 1982; ბ. ზოიძე, ზნეობის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული ვახტანგ VI-ის სამართალში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1987; ი. დოლიძის მიერ გამოცემული სხვადასხვა სამართლის ძეგლებთან დართული კომენტარები და წინასიტყვაობები და სხვ.

[5] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939; ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965; ვ. ითონიშვილი, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ. 1970; მისივე, კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, ისტორიული ნარკვევი, თბ., 1977; მისივე, ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში, თბ., 1959; მისივე, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; ნ. ბაჩაბელი, ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან (მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში), ბ. 1976; მისივე, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ, 1978; ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), ნაწ. I, თბ, 1955, გ. გოცირიძე, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბ, 1987; დ. ჯალაბანიძე, საქორწინო და საოჯახო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, კრებ. 4, თბ., 1993. და სხვა.

შედეგი არ ყოფილა, არამედ გამოწვეული იყო შუშანიკის წასვლით [illegible] სიდან, რაც ვარსქენს თავისი თავის და სახლობის შერცხვენად მიუჩნევია"[6].

აქედან გამომდინარე, ყურადღებას იპყრობს თხზულების ერთი ადგილი, რომელიც ეხება შუშანიკის მიერ ვარსქენის მიტოვების შემდგომ პერიოდს: „და მერმე მოციქული მიავლინა პიტიახშან და ჰრქუა: „ან ნებაჲ ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად; უკუეთუ არა მოხვდე შინა, ჩორდ წარგცე ანუ კარგად კარაულითა"[7].

სიტყვა „კარაული" ძველ ქართულში ვირს ნიშნავდა[8], ე. ი. შუშანიკის მარტვილობის ზემოთმოტანილ ციტატაში ლაპარაკია იმ ჩვეულების შესახებ, რომლის მიხედვითაც ქმარი დამნაშავე ცოლს ვირზე საჯაროდ შესვამდა და ასე გაწბილებულს გაისტუმრებდა სამშობლოში, ან სადმე, ხალხმრავალ ადგილზე.

ზაერთოდ, შუა საუკუნეების საქართველოში ვირზე შესმა და ასე ტარება ძნელი გამაწბილებელ სასჯელად ითვლებოდა, რომლის მიზანიც დამნაშავისათვის ეფრო მორალური ტანჯვის მიყენება იყო. ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით, კოლხებმა ჯორზე შესვეს გუბაზ მეფის მკვლელები, რაც როგორც ჩანს, უდიდეს და ამავე დროს ხშირს მომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა კოლხებისათვის[9].

საინტერესოა, თუ რა სახის დანაშაულისათვის შეეძლო ქმარს ცოლის ვირზე შესმა და ასე გაგდება. დავით ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა მრუშობაში ან მისადმი ხელის შეწყობაში მხილებულ პირს ვირზე შესვამდნენ, ტალახით გათხუპნიდნენ და ხალხის თავშესაყრელ ადგილზე ჩამოატარებდნენ. ამასთან ერთად ბატონიშვილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მის დროს ასეთი რამ საქართველოში უკვე იკრძალული ყოფილა[10].

როგორც ვხედავთ, ვირზე შესმა და ასე ხალხმრავალ ადგილებში ტარება შეიძლებოდა ხოლმე დიდ დანაშაულში მხილებული ადამიანისა. ასეთი ხასიათის სასჯელი შეიძლება შეეფარდებინათ მრავალი სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის, მათ შორის მრუშობისათვისაც. ერთ-ერთი ასეთი დანაშაული V საუკუნეში, ალბათ, ცოლის მხრიდან ქმრისადმი დაუმორჩილებლობა და ოჯახიდან თვითნებურად წასვლა უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეეძლო ვარსქენს თავის ცოლს დაბეჭრებოდა ვირზე შესმით და ასე ქუჩა-ქუჩა ტარებით.

თხზულებაში დაცულია კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: როდესაც შუშანიკს მოახსენებენ ვარსქენის განზრახვის შესახებ, მას ქმრისათვის უთქვამს: „უბადოო და უგულისჴმოო, ბოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე"[11].

---

[6] იხ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—VIII სს.), თხზ., ტ. 8, თბ., 1977, გვ. 59.

[7] იაკობ ცურტაველი, წამებაჲ შუშანიკ დედოფლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1, (V—X სს.), რედ. ილ. აბულაძე, თბ., 1963, გვ. 24, 2.

[8] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წ. 1, თბ., 1966, გვ. 351.

[9] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 3, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1936, გვ. 153.

[10] დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959, მუხ. 983.

[11] წამებაჲ შუშანიკ დედოფლისაჲ, გვ. 24 5.

ამასთან დაკავშირებით იაკობ ხუცესი განაგრძობს: „და გულს ეტყოდა პიტიახში... ვითარმედ: „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“. და მიერი-გან არღარავინ მიაველინა მისა“[12].

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, ვარსქენ პიტიახში შიშობს, რომ თუ იგი შეშანიკს ჩორდს გაგზავნის, მაშინ შეიძლება ეს უკანასკნელი ვინმე მთავართაგანს ცოლად გაყვეს. ვარსქენის მხრიდან ასეთი ზომების მიღების შემდეგ ალბათ, ვარსქენი და შეშანიკი გაყრილად ჩაითვლებოდნენ. ამის შემდეგ კი შეშანიკს შეეძლო მეორედ გათხოვება.

შემდეგი ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომელშიც ჩანს განქორწინებისათვის აუცილებელი მოტივი, არის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქართულ საისტორიო წყაროებში უკვე ნათლად არის გამოკვეთილი ის პირობები, რომლებიც აუცილებელი იყო ქორწინების შეწყვეტისათვის. მათგან ერთ-ერთი მთავარი და უძველესი იყო მრუშობა. ამ მიზეზით მეუღლეთა განქორწინება დაშვებულია ჯერ კიდევ სახარების მიერ[13]. VI მსოფლიო საეკლესიო კრებაც მისდევს მათეს სახარებას და კრძალავს განქორწინებას მრუშობის გარდა ნებისმიერი სხვა მოტივით[14].

შუა საუკუნეების ქართული წყაროები საკმაოდ ვრცელ მასალას გვაწვდიან სიძვა-მრუშობის შესახებ. ამ ორ ტერმინს ერთი შეხედვით ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პატარა შინაარსობრივი განსხვავება მათ შორის მაინც ყოფილა: „სიძვისაჲ სამი არს განყოფილებაჲ: ქურივსა თანა დაცემაჲ და მჯევალსა და მეძავსა... ხოლო მრუშებად მას ვიტყჳთ, რაჟამს ქმრისა ცოლსა თანა ვინმე, დაეცეს; ანუ ცოლოსანსა მოუწოდოს დედაკაცმან თჳსთა-ნა დაცემად“[15].

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, კაცსა და ქალს შორის უკანონო კავშირი ორგვარი ყოფილა: ერთი, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი მაინც დაოჯახებულია, და მეორე — როცა ქალი თავისუფალია, კაცი კი „გინათუ ცოლოსანი იყოს, გინა თუ უცოლო“[16]. დამნაშავენიც შესაბამისად ისჯებიან: მრუშობისათვის 15 წელი, ხოლო სიძვისათვის — 7. სხვა ადგილას კანონმდებელი ზუსტად აკონკრეტებს დასჯის არსს: „რომელმან იმრუშოს ქმრის ცოლსა თანა, ათხუთმეტ წელ უზიარებელ იყოს წმინდათა საიდუმლოთა: ოთხ წელ შესტიროდის, ხუთ წელ მსმენელთა თანა დაეწესოს, ოთხ წელ დავრდომით აღასრულოს, ორ წელ მორწმუნეთა თანა დადგეს და მერმე-ღა ღირს იქმნას ზიარებისა...

რომელმან ისიძვოს, შვიდ წელ უზიარებელ იყოს წმიდათა საიდუმლოთა: ორ წელ შესტიროდის, ორ წელ მსმენელთა თანა იყოს, ორ წელ დავრდომით აღასრულოს, ერთ წელ მორწმუნეთა თანა დადგეს და მერვესა-ღა წელსა შეიწყნარონ ზიარებად“[17].

---

[12] წამებაი შუშანიკ დედოფლისაი, გვ. 24, 5.

[13] ამ საკითხში წინააღმდეგობაა მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს შორის: მარკოზი და ლუკა, ფაქტობრივად კრძალავენ განქორწინებას ნებისმიერ შემთხვევაში (მარკოზი, X, 11—12, 18), მაშინ როდესაც მათეს სახარების მიხედვით განქორწინება დაშვებულია ცოლის მრუშობის მიზეზით (მათე, V, 31—32; 1, 19), იოანე კი არანაირ კონკრეტულ ცნობას არ გვაწვდის.

[14] А. С. Хаханов, Правила VI Вселенского Собора. 1903, გვ. 50—51.

[15] მცირე სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადა ელ. გოუნაშვილმა, თბ, 1972, გვ. 94.

[16] იქვე, გვ. 100.

[17] იქვე, გვ. 80.

მრუშობისათვის უფრო მკაცრი დამსჯელი ღონისძიებების დაკანონება ოჯახის სიწმინდის დაცვის მცდელობიდან უნდა მომდინარეობდეს, და არა მარტო სიწმინდის. მრუშობა ოჯახის ფიზიკურ არსებობას ემუქრებოდა იგი გაყრის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი იყო, ამიტომ საერო და სასულიერო ხელისუფლება, რომლებიც მტკიცე და ძლიერი ოჯახის მომხრეები იყვნენ, ყოველმხრივ სდევნიდნენ მისი დახგრევის მცდელობებს.

ერთ-ერთი უძველესი ცნობა საქართველოში ცოლის მრუშობის გამო გაყრის შესაძლებლობის შესახებ დაცულია პეტრე იბერის ცხოვრების ასურულ რედაქციაში: პეტრე იბერის ბიძამ (მამის ძმამ), არსილიოსმა (არჩილმა), შეიტყო, რომ მისმა ცოლმა „სამარცხვინო საქმე ჩაიდინა“. პირველად რბილად გაკიცხა ის და მეორედაც რომ წააწყრო, საყვარელს უთხრა: „მიჩუქებია შენთვის სიცოცხლე და სისხლი. აჰა საგზალი და სამგზავრო ფული! სასწრაფოდ მომშორდი და ამ ქვეყანაში ნუ გაჩერდები...“ ცოლს კი უთხრა: „შენ ამ საქციელის გამო არ გაგეყრები, მაგრამ შენს უპატიოსნებას სასაცილოდ ავიგდებ...“[18].

როგორც ვხედავთ, ადრე შუა საუკუნეების საქართველოში ცოლის მრუშობის შემთხვევაში ქმარს შეეძლო ცოლის საყვარელი მოეკლა კიდეც, ცოლს კი გაშორებოდა. ამაზე, როგორც ჩანს, ეკლესიაც და საერო ხელისუფლებაც თანხმობას იძლეოდნენ, გაწბილებულ ქმრებს ეს უფლება მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცამეტი საუკუნის შემდეგ ვახტანგ VI ფაქტობრივად იმასვე იმეორებს: „თუ ბატონმა ყმის ცოლს უპოიოს ან ღამით და ან დღისით, და ცოლთან საწოლად დააჭეროს და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდების“[19].

ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიაშიც. აქაც მრუშობის ფაქტზე წასწრების შემთხვევაში ქმარს შეეძლო ცოლიც და მისი საყვარელიც მოეკლა. ასევე შეეძლო სახლიდან გაეგდო ცოლი, მაგრამ როდესაც თვითონ ჩავარდებოდა იგივე მდგომარეობაში — მხოლოდ ჯოხის თორმეტჯერ დარტყმით ისჯებოდა[20]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოშიც ასევე განსხვავებულად ისჯებოდა ერთი და იმავე ცოდვის ჩამდენი ქალი და მამაკაცი. უფრო მეტიც, მცირე სჯულის კანონი საერთოდ უარყოფს მემრუშე ქმრის მიმართ ნებისმიერი დამსჯელი ღონისძიებების აუცილებლობას. ცოლის მრუშობის განჭორწინებისათვის საპატიო მიზეზად დასახელების შემდეგ ექვთიმე მთაწმინდელი წერს: „ხოლო მამაკაცი, თუ ცოლოსანი ისიძვის დეს არა ჯელ-ეწიფების ცოლსა მისსა განშორებად მისგან, რამეთუ ესრეთ არს ჩვეულებაჲ ამის საქმისაჲ: დალაცათუ ურწმუნოჲ იყოს ქმარი და ცოლი მორწმუხე და ქმარსა მას ჯერ უჩნდეს ყოფაჲ მას თანა, არავე უბრძანებს მოციქული დატევებად ქმრისა მის, რამეთუ: „განწმიდებისო ქმარი ურწმუნოჲ ცოლისა მის მორწმუნისაგან“[21]. ამ მოსაზრების სისწორეზე მეტყველებს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დაცული ერთი ფაქტიც. ადარნასე კურაპალატმა „შეს. მენითა მეძუსა ქალისაჲთა, რომლისა თანა იმრუშებდა იგი, უსამართლოდ განი-

---

18 ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურული რედაქცია, გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივანე ლოლაშვილმა„ თბ., 1988· გვ. 84.

19 სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ, 1963, მუხ. 42.

20 Г. Г. Литаврин Как жили Византийцы, М., 1978. გვ. 125, 136—138,

21 მცირე სჯულის კანონი, გვ. 91.

შორა სიცრუეითა სიძვისაითა სარწმუნოდ ცოლი თჳსი და წარგზავნა ქუეყანად აფხაზეთად, ვინაცა მოეყვანა იგი"[22].

ადარნასეს საყვარელს თავისი მეტოქის — ადარნასეს ცოლის თავიდან მოშორების მიზნით მისთვის ჩაუგონებია, თითქოს ცოლი მას ღალატობდეს, ადარნასეს საყვარელმა, თურმე „განთქუა სახელი მისი ვითარცა შეძავისა"[23] ადარნასემაც ეს ცილისწამება დაიჯერა, ცოლი მოიშორა და მისი ცოლის ვითომდა შემცდენელი ყმაწვილი სასტიკად დასაჯა — მოკლა და ამით „სისხლი უბრალოდსა ჰაბუკისაჲ დასთხია"[24].

საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, რომ ადარნასე კურაპალატმა ცოლი გაგზავნა თავის სამშობლო — აფხაზეთში, სადაბაც თავის დროზე მოიყვანა იგი. ამგვარად, ამ წყვილის დაშორება მოხდა მრუშობაში ქალის უსამართლოდ დადანაშაულების გამო, მაშინ როცა მრუშობის აშკარა ფაქტი ადარნასეს მხრიდან სახეზე იყო.

ამ ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან ისიც კარგად ჩანს, თუ რა აქტიურ მონაწილეობას იღებს ეკლესია მრუშობის მიზეზით ოჯახის დანგრევის საქმეში, გრიგოლმა „მრავალგზის ჰხილებაჲ მიაწია ადარნასეს ზედა"[25], მაგრამ ვერაფერი შეაგნებინა. ასევე, როდესაც აშოტ კურაპალატმა დედოფლისათვის აშენებულ არტანუჯის ციხეში „მოიყვანა დედაკაცი სიძვისაჲ, — რომლისა თანა იმრუშებდა"[26], გრიგოლმა შეაგონა იმ დედაკაცს და დედა ფებრონიასთან გაუშვა მონასტერში.

უკვე ამ დროიდან მოყოლებული განვითარებული შუა საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლებში გვხვდება გაყრის შესახებ მსჯელობის შემთხვევები. სახელმწიფო ცდილობს დაიცვას ოჯახის სიმტკიცე და ამიტომ მკაცრად განსაზღვრავს მისი დანგრევისათვის აუცილებელ პირობებს. მრუშობა კვლავ რჩება გაყრის მთავარ მიზეზად, მაგრამ მას ნელ-ნელა ემატება სხვა მოტივებიც: ავადმყოფობა, სოდომურ ცოდვაში მხილება და სხვ.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის მიხედვით მემრუშე კაცს მრუშობა ძვირად უჯდება, ცოლის უბრალოდ დაგდებაზე („ნახევარი სისხლი") გაცილებით ძვირად[27]. კანონმდებელი თვლის, რომ პირველ ყოვლისა ცოლიანი მამაკაცია დაზარალებული. მემრუშე მამაკაცი კი ხელყოფს ქალის ქმრის პატივსა და ღირსებას, და ამიტომ დამნაშავემ სისხლი უნდა დაუურვოს მის მიერ შეურაცხყოფილი ოჯახის მესვეურს. ამასთან ერთად, ცოლის „კურო" პატრონის ბრძანებით ქვედა საცვლის ამარა ყელსაბლიანი უნდა ატარონ ქუჩა-ქუჩა. ეს კი მძიმე ხასიათის გამაწბილებელი სასჯელი იყო. იგი შუშანიკის წამებაში დაცული ვირზე შესხმული ქალის ქუჩა-ქუჩა ტარების მსგავსად კანონმდებლის მიერ ჩვეულებითი სამართლის ნორმებიდან უნდა იყოს აღებული.

ამავე სამართლის ძეგლიდან ჩანს, რომ ცოლის მრუშობის შემთხვევაში, ქმარს უფლება აქვს გაეყაროს ცოლს, მაგრამ იგი ვალდებული არ არის ასე

---

[22] გიორგი მერჩულე, ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, გვ. 298, 8.

[23] იქვე. გვ. 283, 14.

[24] იქვე, 296, 10.

[25] იქვე. 298, 20.

[26] იქვე, 297, 15.

[27] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, ძველი ქართული სამართალი, ი. დოლიძის რედაქციით, თბ, 1953, მუხ. 29.

მოიქცეს. მრუშობაში მხილებულ მამაკაცს შეურაცხყოფილი ქმრისათვის მხოლოდ მაშინ უნდა გადაეხადა ორმოცეტი ათასი თეთრი, თუ ეს უკანასკნელი ცოლს გააგდებდა, ხოლო თუ მრუშ ქალს ქმარი არ გაეყრებოდა, მაშინ მემრუშე კაცს მისთვის მხოლოდ ექვსი ათასი თეთრი უნდა დაეურვებინა[28].

მრუშობის გარდა განქორწინების კანონიერ საფუძვლად კანონმდებელი ცოლის მიერ ქმრის შეურაცხყოფასაც აღიარებს. ბექას სამართლის წიგნის 50-ე მუხლის მიხედვით, თუ „უბედი დიაცი" საჯაროდ შეურაცხყოფას მიაყენებდა ქმარს მრუშობაში ბრალის დადებით, ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა ასეთ ცოლს გაყროდა და არავითარი საზღაური არ მიეცა. ე. ი. სისხლის ფასი არ გადაეხადა „უბედის დიაცის მეყვისთ".

ერთი შეხედვითაც კი ნათელია, რომ ამ მუხლით კანონმდებელი მამაკაცის, ქმრის ღირსებას იცავს, რომელიც შებღალულია „უბედი" ცოლის ბრალდებებით. ამ ბრალდებების სიმწორე კი კანონმდებელს მაინცდამაინც არ აინტერესებს.

ოჯახის დაცვა მრუშობისაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასულიერო პირთათვის, ვინაიდან ისინი საზოგადოებისათვის ზნეობრივი მოძღვრის როლში გამოდიოდნენ. ამის გამო ბექა მანდატურთუხუცესი ცალკე განიხილავს ხუცესის ცოლთან მრუშობის შემთხვევას. 41-ე მუხლის მიხედვით, პირველ ყოვლისა, ხუცესის ინტერესებია დაცული, ცოლის მრუშობამ. შეიძლება, იგი იძულებული გახადოს ერისკაცად იქცეს და თავი მოიხსნას საზოგადოებისაგან, თუ ეს ასე მოხდა, ცოლის შემცდენელმა სრული სისხლის გადახდით უნდა აგოს პასუხი; უფრო რბილი სასჯელი ელოდა დამნაშავეს, თუ ხუცესი ანაფორას არ გაიხდიდა და მხოლოდ ცოლს გააგდებდა სახლიდან — ნახევარი სისხლი. როგორც ჩანს, ცოლთან გაყრა გაცილებით ნაკლებ ტრამვად ითვლებოდა.

ანალოგიური მუხლი გვხვდება ბაგრატ კურაპალატის სამართალშიც[29]. აქაც ხუცესის ცოლის „მოყივნებისათვის" დამნაშავემ სისხლის ფასის კიდევ სამოცი ათასი თეთრი უნდა დაუმატოს. ეს დანამატი, თუ ჯარიმა ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ მორალური ტრამვა სასულიერო პირს მიეყენებოდა, რაც ამცირებდა ხუცესის ავტორიტეტს თავის სამწყსოში და ამით ხალიყოფვოდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესები.

მიუხედავად ასეთი მკაცრი კანონებისა, ცხოვრება მაინც თავისას შვრებოდა და როგორც ვხედავთ, ასევე სასულიერო პირები ცოდავდნენ ხოლმე ამ მიმართებით. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებით საერთო ფეოდალებისაგან სასულიერო პირებს ისჯებოდნენ — მათ აძევებდნენ ეკლესიიდან. ვახუშტი ბატონიშვილთან დაცულია ამ ბრივ ჩვენთვის საინტერესო ერთი ფაქტი: მეფე ალექსანდრე ლევანი ძის (ავგიორგის ძის ძე) დას, „რომელსაც აღერჩია ენქრატისობა[30] და სცხორებდა ალავერდს... ფარულად თანაუყოფოდა ალავერდელი"[31]. ერთხელაც როდესაც ამ უკანასკნელს მეფის დავალებით დიდძალი საჩუქრები მიჰქონდა იერუსალიმში, მისმა საყვარელმა შეატყობინა, რომ ორსულად იყო. ალავერდელ-

---

[28] იქვე, მუხ. 26,

[29] ბაგრატ კურაპალატის სამართალი, ძველი ქართული სამართალი, მუხ. 105.

[30] ენქრატარისი — დედათ მოწესე — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი I, თბ, 1966, გვ. 236.

[31] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ, 1973, გვ. 580, 2.

საწრაფოდ უკან დაბრუნდა, ოქროულობა მეფეს გაუგზავნა, თვითონ კი მოიტაცა ქალი და მასთან ერთად იმერეთში გაიქცა. ეს ამბავი რომ გახმაურდა „კრულ-ჰყო პატრიარქმან ალავერდელი“. ალექსანდრე მეფემ კი „ვინაჲთგან განკრეჭილ იყო“ დააქორწინა თავის დაზე და მიწებიც მისცა[32].

როგორც ვხედავთ, ალექსანდრეს დის დაორსულებამ დააჩქარა პროცესი. თორემ მათი ფარული „თანაყოფა“, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა.

პეტრე იბერის ასურულ რედაქციაში ვნახეთ, რომ ქმარს შეეძლო თავისი ცოლის საყვარლის მოკვლა. ეს უფლება გაწბილებულ ქმრებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რჩებათ მთელი შუასაუკუნეების მანძილზე. ბასილი უჯარმელი, ქამთაალმწერლის მიხედვით, „თანა ეყო ესუქნის, და არა რიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა, და ჩოჯანიცა აღიკადა, და მთავრობა მიიტაცა, ამის უწესობისათჳს მოიკლა ბასილი“ დავით ულუს მიერ[33].

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, განვითარებული შუა საუკუნეების ხანის წყაროებში მრუშობის გარდა განქორწინებისათვის სხვა მოტივებიც ჩნდება. მათგან ერთ-ერთი, რომელშიც ნათლად ჩანს მამაკაცის პრიორიტეტული მდგომარეობა, იყო ავადმყოფობა. და აქაც მხოლოდ ცოლის ავადმყოფობა ითვლებოდა გაყრის მიზეზად. ამასთანავე გაწესებული შეღეწები მოჰყვებოდა ცოლის დასნეულებას ქორწინებამდე და ქორწინების შემდგომ. თუ ცოლი ქორწინების შემდეგ დასნეულდებოდა, ქმარს შეეძლო მისი მოშორება, ოღონდ უნდა დაეფიცა, რომ გაეყარა არა სიძულვილის, არამედ სნეულების გამო[34].

ბაგრატ კურაპალატის სამართლის 140-ე მუხლში დაცული სიტყვები: „თუ ცოლი დასნეულდეს ქმარი ცოლისა გვარსა არას ემართლების...“, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ თუ ცოლი გათხოვებამდე იყო სნეული, ქმარს არა თუ თავისუფალი გაყრის, არამედ ქალის მშობლებისადმი სხვა პრეტენზიის წაყენების უფლებაც უნდა ჰქონებოდა[35]. ოღონდ რა სნეულებას გულისხმობდა ქანონმდებელი, საბართლის წიგნიდან არ ჩანს. ალბათ, რაიმე მძიმე, განუკურნავი სენი ჰქონდა მხედველობაში.

როდესაც განვითარებული შუა საუკუნეების ქალის ჩაგრულ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ვაჰანის ქვაბთა წარწერებს. მათი წაკითხვისას ირკვევა, რომ ახალგაზრდა მანდილოსნები ნაადრევად ცოუწყვეტიათ ამქვეყნიური ცხოვრებისათვის და ძლით აღუკვეცათ მონაზვნად. ისინი ჩივიან, რომ ვერ გაიხარეს ვერც ჩაცმით, ვერც ჭამა-სმითა და ნათესავ მეგობრებით. ზოგიერთი მათგანი თავის ინტიმურ განცდებსაც აღწერს. ზოგი კი სიკვდილსაც ნატრობს[36]. მართალია, წარწერებში პირდაპირ არ არის მითითებული ეს ქალები გათხოვილები იყვნენ თუ არა, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქმრები არასასურველ ცოლთან განშორების მიზნით ხანდახან მათ მონასტერში წასვლასაც აიძულებდნენ.

---

[32] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი გვ. 580, 8.

[33] ქამთაალმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 267—268.

[34] ბაგრატ კურაპალატის სამართალი, მუხ. 140.

[35] გ. ნადარეიშვილი, განქორწინება ქართული სამართლის მიხედვით, გვ. 310.

[36] ვ. ცირაკარეიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ, 1954, ნაკვ. 30, გვ. 168—180; შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, საბჭოთა ხელოვნება, 1957, № 7, 1960, № 8.

გვიან შუა საუკუნეებში განქორწინებისათვის აუცილებელი მიზეზები რა-ოდენობრივად კიდევ უფრო იზრდება. და რაც მთავარია, თუ ადრე შუა საუკუნეებში ქალის ინიციატივით ოჯახის დანგრევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო (განქორწინებისათვის ყველა საპატიო მიზეზი ქალის მხრიდან დანაშაულის ჩადენას გულისხმობდა, იქნებოდა ეს მრუშობა, ავადმყოფობა თუ სხვა) დროთა განმავლობაში იგი ნელ-ნელა იპოვებს მბრალდებალად ყოფნის უფლებას, რაც საბოლოოდ კანონის სახით ფორმდება ვახტანგ VI-ის სამართალში[37]. მიუხედავად ასეთი დიდი პროგრესისა, ბუნებრივია, არც ეს კანონმდებელი არ არის თავისუფალი პატრიარქალური აზროვნებისაგან. იგი თვლის, რომ ცოლის მხრიდან მრუშობა ქმრისათვის ისეთი შეურაცხყოფაა, რომ მან შეიძლება, ცილდაწამებული ცოლიც კი გაუშვას: „დედაკაცმან სხვას დედაკაც თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი შენთან არისო, და იმ დედაკაცის ქმარს გააგონოს, და იმ კაცმან ამ სიტყვისათვის თავსი ცოლი გაუშვას მაშინვე, ბოზობისოდენი სისხლი წამძახებელს ქმარმა მისცეს"[37]. ამ შემთხვევაში არ ჩანს გარკვევით, ნამდვილად იმრუშა ქალმა თუ არა. შეიძლება, ცილისწამებასთანაც კი გვქონდეს საქმე. მიუხედავად ამისა, როდესაც ქმარი დგება ისეთი ფაქტის წინაშე, რომ სხვისი მეუღლე მის ცოლს საჯაროდ, ქმრის გასაგონად ბრალებს: „ჩემი ქმარი შენთან არიო", მას უფლება აქვს გაშორდეს სახელგატეხილ მეუღლეს.

ასეთ გამოუძიებლობას, ცილისწამებით ცოლთან გაყრის უფლებას იყენებდნენ ფეოდალები, როდესაც რაიმე სხვა მიზეზის გამო სურდათ განშორება, ასე მოიქცა იმერეთის მეფე, მაშინ ჯერ ბატონიშვილი ალექსანდრე III (გიორგი III-ის ძე). ჰყავდა ცოლად ჰყავდა გურიელის ქალიშვილი. „შემდგომად ორისა წლისა შესწყრა ალექსანდრემ ცოლსა თვსსა, რეცა სიძუად ქუთათელის ეპისკოპოზმა თანა და განუტევა ცოლი თვსი და წარავლინა ძით თვსით ბაირატით მამისა მისისა გურიელის მამიას თანა"[39]. კიდევ უფრო სასტიკი ისტორია აქვს აღწერილი ქან შარდენს: ოცდათხი წლის ასაკში ლევან დადიანმა შეირთო აფხაზეთის მთავრის ასული, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა. ეს იყო მეტად ლამაზი და ჭკვიანი დედოფალი, მაგრამ მას ბრალად დასდეს ქმრის ღალატი. შეიძლება ეს შურისძიებით იყო გამოწვეული მისი ქმრის აშკარა, ყოველდღიური ღალატის პასუხად. იმ ქალებს შორის, რომლებიც მას მოსწონდა იყო მისი ბიძის — გიორგის ცოლიც. მას ერქვა დარეჯანი და წარმოშობით დიდგვაროვან ჭილაძის ოჯახიდან იყო. დარეჯანი არაჩვეულებრივად ლამაზი და ასევე უზომოდ ბოროტი და პატივმოყვარე იყო. ის არ დაკმაყოფილდა ცოლ-ქმრული ურთიერთობის დარღვევით და ორი წლის განმავლობაში ჩასხლარევითი ქავშირით ქმრის ძმისწულ მთავართან. მან ამ ხნის განმავლობაში მთააგონა მთა-

---

37 ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, მუხ. 87.

38 ვახტანგ VI-მდე მხოლოდ ქმრის სოდომურ ცოდვაში მხილება აძლევდა ცოლს გაყრის მოთხოვნის კანონიერ უფლებას. ეს ცოდვა ადამიანის ბუნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა და სასტიკად ისჯებოდა. მიუხედავად ამისა, წყაროებიდან ჩანს რომ ეს პრობლემა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე აქტუალური იყო — მცირე სჯულის კანონი, გვ. 97; ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, (XI—XIX ს. ს.), ტექსტები გამოცა, შენიშვნებ და საძიებლები დართოი. დოლიძემ, თბ, 1970; მუხ. 15, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 40,3; 40,7; 41,5; 41,13; მცნებაჲ მღუდელთათჳს, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, გვ. 877.

39 ვახუშტი, გვ. 826,3.

ვარს, რომ მოეტაცნა და შეერთო იგი და განქორწინებოდა თავის ცოლს, ლევანმა მოთხოვნა შეასრულა. ეს მრუში დედაკაცი მოიტაცა ქმრის ოჯახიდან და შეირთო ცოლად. რვა დღის შემდგ აფხაზეთის მთავარს უამალოდ და სირცხვილნაჭამი გაუგზავნა თავისი ასული, რომელსაც ყურები, ცხვირი და ხელები ჰქონდა დაჭრილი. ასეთი უკიდურესი სისასტიკის გასამართლებლად მან ცოლს ბრალად დასდო ღალატი ვაზირთან, რომელსაც პაპუნა ერქვა და რომ ყველა დაერწმუნებინა ამაში, ცოლის დასახიჩრებასთან ერთად ვეზირი ზარბაზანში ჩაატენინა. მიუხედავად ამისა, ყველა ირწმუნებოდა, რომ დედოფალსა და ვეზირს შორის არავითარ ბოროტებას არ ჰქონდა ადგილი. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჭილაძის სიავისა და ეჭვიანობის შედეგი იყოო, რასაც ლევანმა მსხვერპლად შესწირა თავისი ცოლი და ვეზირი[40].

ა. ხახანაშვილს გამოცემული აქვს ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთი დოკუმენტი. მასში გიორგი მურუსიძე ცოლის მრუშობის გამო განქორწინებისა თვის დასტურს თხოულობს სასულიერო ხელისუფლებისაგან: „ცოლი გაუშვი, მაგრამ ბოზობის მიზეზით გაუშვი. თუ სხვა მიზეზით გამეშოს... ქრისტესა წინა შენ პასუხი მოგცე“. გიორგი მურუსიძის გარდა ორმა მისმა მეზობელმაც შემოსჭიცა რომ მან მართლაც მრუშობის გამო გაუშვა ცოლი[41].

ამ საბუთიდან არ ჩანს, დააკმაყოფილა თუ არა ასეთი სახის დამამტკიცებელმა საბუთმა დოსითეოს ნეკრესელი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეც მოხდა.

ამგვარად, ქართული საისტორიო წყაროები გვიჩვენებს, თუ რა დაუნდობელია კანონი მრუშობის მიმართ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ვხედავთ, რომ ქმარს, რომელიც ცოლის მრუშობას შეიტყობდა, განსაზღვრული ფიცები ჰქონდა, მაშინ როდესაც თვითონ ანალოგიურ შემთხვევაში დაუსჯელი რჩებოდა. ამაზე მეტყველებს აგრეთვე, ქართველ დიდებულთა შორის ბუშებისა და ხარჭების ყოლის არაერთი შემთხვევაც[42], რომელთაგან აქ მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანთ: თამარის ისტორიკოსის მიხედვით გიორგი III-ეს ხარჭები ჰყოლია. სწორედ ერთი ამ „ხარჭთაგანისა ნაშობი“ თამარის ნახევარდა მიათხოვეს სალდუხისძეს ძეს მუტაფრადინს[43]. ასევე დავით ულუსაც. ვინაიდან მისი კანონიერი მეუღლე ჯიგდა ხათუნა უშვილო იყო, „ენება... მოყვანა... ალთუნ, ნათესავით ორი მეუღლედ, აღმთქმელად, უკეთუ მიეცა ყრმაწული. არღარა შეიწუნარის არამედ განუტევოს“[44]. და მართლაც, ცოტა ხანში უშვა ალთუნმა მეფეს ძე – გიორგი, „რომელი აღიქუა და შეიყვანა შვილად დედოფალმა ჯიგდა-ხათუნ“[45]. ამის შემდეგ კიდევ ერთი შვილი გააჩინა მეფის ხარჭამ, და ულუ დავითმა „აქა შინა განიშორა საყუარელი თჳსი ალთუნ“[46]. უფ-

---

40 ჯან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ მ, თბ, 1975, გვ. 234—235.

41 ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გუჯრები. ქუთაისი, 1891, გვ. 80—81.

42 ხარჭა — ცოლის გარდა სხვა ქალი (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV, ე. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ, თბ, 1966, გვ. 416.

43 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველ ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ, 1959, გვ. 44.

44 თამთაალმწერელი, გვ. 236, 21.

45 იქვე, გვ. 236, 24.

რო გვიან, XVII ს-ში კი ალექსანდრე IV იმერთა მეფემ „განუტევა დიდებული ქალი ვითარცა ცოლად მყოფი, რომლისა თანა ესხნეს ძენი: სჳმონ და გიორგი უქორწინოდ“ და მოიყვანა ცოლად გიორგი აბაშიძის ქალიშვილი თამარი[47].

რაც შეეხება ბუშებს, ოჯახში მათი მდგომარეობის დასადგენად არაერთი დოკუმენტი არსებობს. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ისინი მართალია კანონიერი შვილების უფლებებით ვერ სარგებლობენ, მაგრამ გარკვეული სტატუსი მაინც გააჩნიათ[48].

ცოლის უუფლებობა, გამოეხატა აქტიური პოზიცია მრუში მეუღლის მიმართ, კარგად ჩანს ავ-გიორგის ძის ლევანის მეუღლის თინათინ გურიელის ანდერძში. ეტყობა, სიცოცხლეში თინათინმა ვერ მოახერხა მოღვაწეობინა ან გაყროდა თავის მემრუშე ქმარს. ამიტომ სიკვდილის წინ დაიბარა, რომ „არა დამარხონ გუამი მისი ქმრისა თჳსისა ლევანის თანა, არამედ დაემარხოს იგი შუამთას თჳსსა აღშენებულსა მონასტერსა“, რადგანაც „ლევან იყო სიძვისა და მრუშების მოყუარე“[49].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახტანგ VI-ის სამართალში ქალთა ემანსიპაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა — ოჯახის დანგრევა ქმრის მიზეზითაც გახდა შესაძლებელი. ეს მიზეზი კი სიგიჟე და ქმრის იმპოტენცია გახდა.

„გიჟისა და ბნედიანის ცოლისათჳს. თუ ეს სენი ქორწილს წინათ სჭირს და ქმარს შეატყუეს, მას უკან გამოუჩნდა და ქმარმან არარ იწადოს, ის შეიტყუონ სწორედ გასინჯვით, თუ ქორწილს უკან დამართებია.

თუ უწინვე სჭირებია და შეიტყო, ქორწილს უწინვე გაუშვა, ვერავინ მოედავების.

და რადგან შეუტყუებიათ და ქორწილი უქნია, ღონე მეტი აღარ არის, სამ წელიწადს უნდა მოუაროს. თუ ეშველა, ვერ გაუშვებს, თუ არ ეშველა და გაუშვას უსისხლოდ, ასე რომე ზითევი ქალისა ქალს მისცენ და ნიშანი კაცისა.

აგრეთვე თუ კაცი დასნეულდეს, იმ სენით ხუთს წელიწადს ქალმა. მოუცადოს და მოუაროს. აგრევე ძნელი არის მათი გაყრა. მაგრამ რადგან აღარ იჭნება, კათალიკოზმა და მოსამართლემ გააშვებინონ, ზითევი და ნიშანი უკლებლივ ქალს მისცენ“[50].

როგორც ვხედავთ, სიგიჟე და ბნედიანობა (ეპილეფსია) განქორწინების თვის კანონიერი საფუძველია. ოღონდ, თუ ქმარს ავადმყოფ ცოლს შეატყუებენ, იგი ვალდებულია სამი წლის განმავლობაში უმკურნალოს მას . თუ ცოლი განიკურნება, ქმარი მას ვერ გაუშვებს და თუ ვერ განიკურნა — გაუშვებს „უსისხლოდ“. ქმრის დასნეულების შემთხვევაში კი ცოლმა ხუთი (!) წელიწადი

---

46 ქამთაალმწერელი, გვ. 237, 2.

47 ს ა ხ უ შ ტ ი, გვ. 856, 21.

48 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 44; ბერი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 442; სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მუხ. 110, 115; განჩინება გერმანოზიშვილის ბუშისათვის მამულში წილის დების თაობაზე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI—XVIII სს), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები, და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ, 1972, გვ. 223; განჩინება ზაქარი და ედიშერ ციცოშვილების მამულის საქმეზე, იქვე, გვ. 529; განჩინება ჰიპიკო ქიტაშვილისა და ანა ბარაბაშვილის საქმეზე, იქვე, გვ. 489.

49 ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 492, 21; ს ა ხ უ შ ტ ი, 572, 7.

50 ვახტანგ VI-ის სამართალი, მუხ. 225.

უნდა მოუცადოს, უმკურნალოს მას და მოუაროს. თუ ამის შემდეგაც არაფერ-ეშველა, კათალიკოსმა და მოსამართლემ ქალს განქორწინების ნება უნდა მის-ცეს.

საინტერესო და აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI განქორწინების მიზეზად არ თვლის ქალის უშვილობას: „უშვილობისათვის კაცი ძალად და მის უნებუ-რად ცოლს ვერ დააგდებს და თუ დააგდებს, სრული სისხლი უნდა მისცეს...“[51] სამართლის ეს დებულება თითქოს, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ დოქტრინას და ამტკიცებს, რომ ქორწინების უმთავრესი და ერთადერთი მიზანი შთამომავლობის გაჩენა არ არისო. ასევე იქცევა კანონმდებელი კაცის მიმართაც. იგი ასხვავებს მამაკაცის ქალთან შეუღლების უნარს განაყოფიერების უნარისაგან. თუ მამა-კაცს განაყოფიერების უნარი არ აქვს, მაგრამ სქესობრივი შეუღლების უნარი გააჩნია, ცოლი ვერ მოითხოვს განქორწინებას. მამაკაცის მხრიდან მხოლოდ სქესობრივი შეუღლების უუნარობა აძლევს ქალს მასთან განქორწინებისათვის საჭირო საფუძველს[52].

შუა საუკუნეების წყაროებიდან ჩანს, რომ ოჯახები ხშირად კანონიერი მოტივების გარეშეც იშლებოდა. ცოლთან ასეთ განშორებას ქალის „უბრა-ლოდ დაგდება“ ერქვა: „კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ, და მისი შეუ-ცოდარი იყოს და გაეყაროს ასეთსა ნახევარი სისხლი დაუურვოს მის დიაცის გუარსა ზედა“[53], — წერს გიორგი ბრწყინვალე.

ასევე ბექა მანდატურთუხუცესის სამართალშიც ლაპარაკია „უბრალოდ ცოლის დაგდებაზე“[54]. თუ კაცმა ცოლი „უბრალოდ“ დააგდოსო, ამბობს კანონმდებელი, — „სისხლისა ნახევარი მისცეს“ და მზითვიც სრულიად გაატანოსო.

რა თქმა უნდა, ანალოგიური დარღვევისათვის ცოლს გაცილებით უფრო მკაცრად სჯიდა კანონმდებელი. ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი ამასთან დაკავშირებით მეტ სისასტიკეს იჩენს ცოლის მიერ ქმრის თვითნებურად მი-ტოვების დროს: „პირველად დიაცი ქმრის დაგდებასა არა ღირსა, თუ რადჰე დააგდოს, ღმერთი შერისხდესუ მისითა ენაჭრელობითა. რა გვარისაცა იგი კაცი იყოს, ეგეთი სისხლი მისცეს დიაცმან“[55]. როგორც ვხედავთ, ცოლის ცალმხრივი ნებით ქმრის მიტოვება ორჯერ უფრო სასტიკად ისჯება ქმრის ანალოგიურ მოქმედებასთან შედარებით.

„კათალიკოზის კანონებიდანაც“, ჩანს, თუ როგორი სასტიკი ღონისძიებებით ცდილობდნენ შუა საუკუნეების საქართველოში უკანონო განქორწინების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ კანონების 23-ე მუხლის მიხედვით,, ვინც უმიზეზოდ გაეყრებოდა თავის ცოლს, იგი სრკვდილით უნდა დასჯილიყო[56]. ცხადია ასეთი ნორმა მეტად სასტიკია და იგი ქართულ სინამდვილეს. ალბათ არც ასა-ხავდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ საქა-რთველოში ხელისუფლებას ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის ქმარი სიკვდი-ლით დაესაჯა. კათალიკოზის კანონების გაგრძელება ითვლებად ე. წ. ბიჭვინთის

---

51 ვახტანგ VI-ის კანონთა წიგნი, მუხ. 225.

52 იქვე, მუხ. 168.

53 ი. დ ო ლ ი ძ ე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ. 1957, მუხ. 21.

54 ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 29.

55 იქვე, მუხ. 32.

56 ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 397.

ეკლესიის აქტები, რომლებიც ა. ხახანაშვილმა გამოსცა[57]. იგი შედგენილია XIV—XVIII სს და შედარებით ჰუმანური ხასიათისაა. აქტების § 18-ის მიხედვით ცოლის ებრალოდ დაგდებისათვის სრული სისხლის გადახდაა დაწესებული.

ამ დანაშაულისათვის იგივე სასჯელს აწესებს ვახტანგ VI-ც[58] და თან უფრო მეტად აკონტროლებს სასჯელის ფორმას ცოლ-ქმრის სოციალურ მდგომარეობასთან მიმართებით. არკვევა, რომ კანონიერი მოტივების გარეშე, „უბრალოდ" მეუღლის დატოვების შემთხვევაში დამნაშავე, განურჩევლად იმისა, კაცია ის თუ ქალი, უხდის დაზარალებულს იმ რაოდენობის სისხლს რაც ქმრის გვარს შეეფარდება. იმ შემთხვევაში, კი, თუ დაზარალებულია ქმარზე უფრო მაღალი სოციალური წარმოშობის ცოლი, სისხლის ფასი მაინც ქმრის გვარიშვილობით განისაზღვრება[59].

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი საკმაოდ ფრთხილად გვიხატავს ქორწინებაში ცოლისა და ქმრის არათანაბარუფლებიანობის სურათს. იგი ამორალურ ქმედებად უთვლის ქალს ქმრის დაგდებას („...დედაკაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა და ნურც ჰყადრებს. და თუ ღმერთი შერისხდეს და მიაის უსირცხვილობით ქნას..."). ამავე დროს ანალოგიურ გამოთქმებსა და მსჯელობას ერიდება, როცა ქმრის მიერ ცოლის „დაგდებაზეა" საუბარი. ამასთანავე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მატერიალურადაც ქალი და მამაკაცი მეუღლის „უბრალოდ" დაგდების შემთხვევაში თანაბარ მდგომარეობაში არ არის ჩაყენებული. თუ ქმარი მასზე უფრო მაღალი წარმოშობის ცოლს დაუგდებს, ყოფილ მეუღლეს მხოლოდ თავისი გვარის მიხედვით, ე. ი. უფრო დაბალი განრიგით უხდის სისხლის ფასს. ცოლი კი მასზე უფრო წარჩინებული ქმრის დაგდებისათვის მაღალი განრიგით („რასაც გვარსა იგი კაცი არის") მთელ სისხლს იხდის.

ბიზანტინისტთა XIX საერთაშორისო კონგრესზე თესალონიკის უნივერსიტეტის პროფესორის ქ-ნ დაფნა პაპადატუს მიერ წაკითხულ მოხსენებაში „განქორწინება მეუღლეთა ორმხრივი თანხმობით ბიზანტიის იმპერიაში" ნაჩვენებია, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ბიზანტიის ხელისუფალთ არაერთხელ მოუცათ თანხმობა განქორწინებისათვის ორივე მეუღლის თხოვნის საფუძველზე. მართალია, ამ პერიოდის ქართული სამართალი ბიზანტიური კანონმდებლობის დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ ჩვენს წყაროებში არ არის დაფიქსირებული მსგავსი ნაგალითები. მხოლოდ XVIII ს-ის ერთ დოკუმენტში გვხვდება ცოლ-ქმრის ოფიციალური გაყრის ფაქტი ორივე მეუღლის სურვილით. ეს არის 1740 წლის განქორწინების ოქმი: ლუარსაბ გოსტაშაბიშვილს „თავისი შვილი იორამისათვის ამილღაბარის ქალი ეთხოვნა და დაქორწინებინა, თუმცა ხანი დაეყოთ ქორწილის უკან, განა შფოთითა და საძულვილითა. რა ერთმანეთისობა ღარ მოჰხდენოდათ. მოვიდნენ და ჩვენ ყოველის საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს ბატონიშვილს ბატონ დომენტის მოგვახსენეს. აწ ჩვენ ყოვლისა საქართველოს მაკურთხეველმან კრება ვყავით და, გავსინჯეთ ამათი სიტყვა და საჩივარი... და შევიტყეთ, რომ, რა ჯვარი დაიწერაო და შეერთებულიყვნენ, მაშინვე სიძულვილი და უყვარლობა ხთვისებოდათ, და არც მას აქეთ ამათში ერთობა და საცოლქმროთ შეყრა ჰქონებიათ, ცხრა

---

57 ა. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 130—134.

58 ვახტანგ VI-ის სამართალი, მუხ. 72.

59 იქვე, მუხ. 73, 74.

წელიწადი გავიდა ამათს ქორწილს უკან, მრავალს ცდილიყუნენ ამათნი დედამამანი ამათის შეერთებისათვის. მაგრამ არას სიტკბოებით და არას სიმწარით ამათ ერთობა ალარ ექმნათ. ახლა, რადგან თვითაც ერთმანეთისაგან მოშორების ნება ჰქონდა და ჩვენც შენდობას გუთხოვდნენ და ვხედევდით, რომელ სიძულილსა შინა მტრობა და კაცის კვლა მოჰხდებოდა, და ესე ბოროტი უფრო ადვილად გავრცელდებოდა, ამისთვის ჩვენც ჩვენთან შეკრებულთ ამით პატიოსანთა საჭვდელოთა დასთათა და თანა მორწმუნეთა საქართველოს მთავართა შენდობა მივეცი, რომელ თუ ვაჟსა ენებოს ვისიცა ქალი ცოლად შეირთოს, და აგრევე ქალმა ვინცა უნდეს ქმრად შეირთოს, ერთმანეთთან არა რა ხელი აქვსთ და არცა რა სადათად რაჭე სალაპარაკო გაგვიშვია[60].

როგორც ვნახეთ, მთელი შუა საუკუნეებს მანძილზე ოჯახის სიმტკიცის დაცვა საერო და სასულიერო ხელისუფლების ზრუნვის საგანია. მათი წარმომადგენლები არ იშურებენ ძალისხმევას, რომ ცოლ-ქმრის საქორწინო კავშირი ურყევი გახადონ. ამისათვის გამოსცემენ კანონებს, აქტებს, შეტი დამაჯერებლობისათვის იშველიებენ სახარებასა და ბიბლიას. ვინაიდან ჯვრისწერა ერთერთ საიდუმლოებად გამოცხადდა, ეკლესიამ თავის თავზე აიღო მისი დაცვა და გვაცნო, რომ „თუ მეძავეობა მოხდა რაჭე იმ ოთხელში და გამოცხადდა, თავის ეპისკოპოზთან უნდა იჩივლონ და საშართალი იმან მისცეს და საკანონოსაც ეპისკოპოზი აიღებს, სხვა საქმე არა აქვს, ეპისკოპოზის მეტს"[61]. განქორწინებისათვის აუცლებელი მიზეზებიც მაქსიმალურად შეიზღუდა. ისინი მხოლოდ ცოლის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ითვალისწინებდნენ. აქედან გამომდინარე, კაცები პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და დაუყოვნებლივ ისარგებლეს კიდეც ამით — აძევებდნენ სახლიდან მრუშობაში ეჭვმიტანილ ან ცილდაწამებულ ცოლებს, თვითონ კი იგივე ცოდვას დაუსჯელად სჩადიოდნენ.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში ნათესაური კავშირების ცენტრში იყო არა საქორწინო კავშირები, არამედ სისხლით ნათესაური კავშირები. ეს უკანასკნელი უფრო წმინდა, ღრმა და მჭიდრო იყო, ვიდრე საქორწინო. ამ ნიშნით გადის მთელი ფეოდალური ეპოქა. ამიტომ საქორწინო კავშირების შექმნა და დარღვევაც ამ ინტერესს ექვემდებარებოდა, ყოველ შემთხვევაში მაღალ საზოგადოებაში მაინც. ცოლის მოყვანის დროს, საქმროსათვის მთავარი იყო საცოლის მშობლებს ვინაობა, ავტორიტეტი და მზითვი, სიყვარული კი შედარებით ნაკლებ როლს ასრულებდა. ასევე განქორწინების დროსაც მთავარი იყო ოჯახის უფროსის, გვარის ინტერესების დაცვა. ოჯახის თავი, რომლის ცხოვრების აზრი მემკვიდრის შეძენასა და მისთვის თავისი ქონების გადაცემაში იყო, ყოველმხრივ ცდილობდა ამ მემკვიდრის შენარჩუნებას. იგი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო რომ მემკვიდრე ნამდვილად მისია, რომ ის სხვის სისხლსა და ხორცს არ ზრდიდა. ალბათ ამითაც იყო გამოწვეული ის საოცარი სიმკაცრე, რაც მრუშობში მხილებულ ცოლსა და მის საყვარელს ელოდა. ქმარს შეეძლო მოღალატე ცოლის მოკვლა განქორწინებაც. მაგრამ ეს უკანასკნელი მისი უფლება იყო და არა ვალდებულება. ალბათ იმიტომ, რომ განქორწინების შემთხვევაში ცოლი მიდიოდა სახლიდან თავისი ერთ დროს

---

[60] საქართველოს სიძველენი, ტ. I, წიგნი I, გამოც. II, ტფ. 1920, გვ. 90—91.

[61] Акты. ტ. I, 1866, Тифлис, გვ. 58 –59.

ვიტანილი მხითვით, რაც შეიძლება, ოჯახის მეურნეობის მნიშვნელოვანი წილი ყოფილიყო, ე. ი. ოჯახის ქონება (ცხრავიც, მოძრავიც) მცირდებოდა, რაც არაფრით არ შედიოდა ქმრის ინტერესებში, ამიტომ ქმარს კანონით ეძლეოდა არჩევანის გაკეთების საშუალება, რომელშიც მას არავინ ზღუდავდა. ქალი კი ასეთ უფლებას მოკლებული იყო. მხოლოდ XVIII ს-ში ვახტანგ VI-ის მიერ მიეცათ ქალებს მბრალდებელად ყოფნის უფლება, რომლის მოპოვებაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მათი ემანსიპაციის პროცესში.

Н. Н. ГУГУШВИЛИ

ПРАВОВОЕ ПОЛОЖЕНИЕ ЖЕНЩИНЫ В СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ

(По мотивациям бракоразводных источников)

Резюме

На протяжении средних веков защита прочности семьи являлась прерогативой церковной власти страны. Её представители не жалели сил издавая законы, акты, для пущей убедительности ссылаясь на Библию и Новый Завет.

Обязательные для бракоразвода причины были максимально ограничены и сводились лишь к преступлениям совершенным жёнами. Исходя из этого мужья оказались в привилегированном положении и немедленно воспользовались этим — изгоняя из семьи подозреваемых или оговорённых в измене жён, они безнаказанно совершали те же грехи.

Надо отметить, что в средние века в центре родственных союзов стояли не столько брачные узы, сколь родственные. Они считались более священными, глубокими и прочными. Под этим законом проходит вся феодальная эпоха. Исходя из этого, можно утверждать, что свершение и расторжение брачных союзов подчинялось тем же интересам, по крайней мере в высших слоях общества. При женитьбе, главным для мужа было происхождение и авторитет родителей будущей супруги, а также приданное, отдаваемое ими за дочерью. Любовь играло меньшую роль.

То же самое при разводе. Главу семьи заботили фамильные интересы. Для него главным смыслом жизни являлось рождение наследника и передача ему имения. Глава семьи всячески стараясь сохранить наследника, в то же самое время должен был быть уверен в своём отцовстве, в том, что воспитывает свою плоть и кровь. Именно это и было одной из главных причин той беспощадной суровости наказания, которому подвергалась неверная жена и её сожитель. Муж по своему усмотрению мог убить жену, либо развестись с ней, хотя к последнему его никто не принуждал. Причину этому следует искать в том, что в случае развода, жена уходя из дома забирала некогда принесённое ею приданное. То есть, движимое и недвижимое семейное имущество сокращалось, что никоим образом не входило в интересы мужа. Именно по этому закон давал мужчине право выбора, в котором его никто не стеснял. Женщина же была лишена аналогичного права.

Лишь в XVIII веке Вахтанг VI дал женщинам обвинительное право при разводе, что несомненно явилось серёзным шагом в процессе эмансипации.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა.

გოჩა ხუნდაძე

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის საკითხისათვის (XVIII ს-ის მეორე ნახევარი — XIX ს-ის მეოთხედი)

ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. XVII ს-სა და XVIII ს-ის I ნახევარში პოლონეთის სამეფოს დაინტერესება საქართველოს საკითხით განპირობებული ჩანს ანტითურქულ კოალიციაში სპარსეთის ან მისი ვასალის — საქართველოს სამეფოების (ქართლი, კახეთი) ჩაბმით[1]. ამიტომ პოლონელ ელჩთა თუ მოგზაურ-მისიონერთა ცნობები საქართველოს შესახებ XVII ს-სა და XVIII ს-ის პირველ ნახევარში საკმაო რაოდენობითაა შემონახული, თუმცა ამ მასალის სამეცნიერო ბრუნვაში მოქცევა, სამწუხაროდ, ჯერ არ მომხდარა. ცხადია, ესაფუძვლოდ გამოიყურება პოლონელი ისტორიკოსის იან რეიხმანის მტკიცება თითქოს XIX ს-ის დასაწყისამდე პოლონელი მოგზაურები, რომლებიც კავკასიის გავლით მიდიოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში (სპარსეთი, ინდოეთი და სხვ.) ამიერკავკასიაში არ ჩერდებოდნენ, არ იწერდნენ შთაბეჭდილებს, არ აკეთებდნენ ჩანაწერებს, არ მოეთხოვებოდათ სამეფო კარზე ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ მოხსენებითი ბარათების წარდგენა[2].

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან პოლონეთი ევროპის დიდი ქვეყნების საცილობელი გახდა. ამიერიდან პოლონეთის მესვეურთა წინაშე ახალი ამოცანა დადგა — საკუთარი ტერიტორიის დაცვა. ცხადია, ამიერიდან პოლონეთი დიდ პოლიტიკას ჩამოშორდა, მას საკუთარი თავის დაცვაზე უხდა ეფიქრა და, ცხადია, სპარსეთისა და მისი ვასალების (საქართველოს ჩათვლით) ანტითურქულ კოალიციაში მიმხრობის ამოცანაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ამიტომ საქართველოს საკითხისათვის პოლონეთის საგარეო პოლიტიკაში ადგილი აღარ რჩებოდა და შესაბამისად, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ამსახველი მასალებიც წყდება.

როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობისათვის პოლონეთის ბრძოლა XVIII ს-ის 90-იანი წლებიდან მარცხით დამთავრდა — პოლონეთი ევროპის დიდმა ქვეყნებმა გაინაწილეს. პოლონეთის მესვეურთა ნაპოლეონთან კავშირს შედეგად ის მოჰყვა, რომ ვენის ტრაქტატით (1815 წ.) პოლონეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, მაგრამ ცარიზმის კოლონიური რეჟიმს პოლონელი ხალხი არ შერიგებია, ასე დაიწყო ბრძოლა ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ.

---

[1] ამ ურთიერთობის შესახებ: ი. ც ი ნ ც ა ძ ე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1966; გ. ზ ე დ გ ე ნ ი ძ ე. ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიურ ასპარეზზე, თბ., 1983.

[2] J a n R e y c h m a n. Podroznicy Polscy na Bliskim wschodzie w XIX W., Warszawa, 1972, გვ. 176.

XIX ს-ის დასაწყისში ცარიზმმა ქართული სამეფოები გააუქმა, დაწყარდა ცარიზმის კოლონიური რეჟიმი, რომელსაც ქართველი ხალხი ებრძოდა. ასე რომ ქართველი და პოლონელი ხალხები XIX ს-ის დასაწყისიდან ბედით თანაზიარი აღმოჩნდნენ და მათ წინაშე ახალი ერთობლივი ამოცანა დადგა — ბრძოლა ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ.

სწორედ XIX ს-ის 20-იანი წლებიდან იწყება ახალი პერიოდი ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობაში. ესაა ამ ორი ხალხის ერთობლივი ბრძოლის პერიოდი ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე გაგრძელდა. ამასთან, ამ ახალი პერიოდის დასაწყისს დაემთხვა თვით რუსეთში დეკაბრისტების გამოსვლა, რამაც ერთმანეთთან დააკავშირა ქართველი და პოლონელი ხალხების მოწინავე შვილები.

ამრიგად, XVIII ს-ის მეორე ნახევარი და XIX ს-ის პირველი მეოთხედი, ესაა პერიოდი, როცა საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ამსახველი მასალები ნაკლებად ჩანს (ყოველ შემთხვევაში ჯერ გამოვლენილი არ არის). სავარაუდოა, რომ ამ გარდამავალ პერიოდში შეიქმნა ერთგვარი ვაკუუმი, რადგან პოლონეთს შესაძლებლობა აღარ ჰქონდა ანტითურქულ კოალიციაზე და მასში საქართველოს ჩაბმაზე ეფიქრა, ხოლო საქართველოს — პოლონეთიდან რაიმე დახმარების მიღების იმედი გადაეწურა. მართებული არ იქნებოდა იქეთი დასკვნის გაკეთება, თითქოს ამ მეორე ეტაპზე ქართველ-პოლონელთა ურთიერთობა მთლიანად ჩაკვდა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო XVIII ს-ის შუა წლებიდან რუსეთში მცხოვრები ქართველი პოეტის მამუკა ბარათაშვილის ერთ-ერთმა ლექსმა „პოლკის ხმამ".

XVIII ს-ის მეორე ნახევარში რუსეთში მცხოვრებ ქართველებს პოლონეთში მიმდინარე ამბების საქმის ვითარება უნდა სცოდნოდათ და შეუძლებელია თავიანთი პოზიციაც არ ჰქონოდათ. მამუკა ავთანდილის ძე ბარათაშვილის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ცნობილია, რომ 1724 წლის 15 ივლისს პოეტი რაჭის გზით რუსეთს გაჰყოლია ვახტანგ VI-ს. 1728 წელს შედიოდა რუსეთის მთავრობის მიერ სპარსეთში გაგზავნილ დიპლომატიურ მისიაში. ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ მამუკა ბარათაშვილი რუსეთის ქვეშევრდომი და რუსეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა. 1731 წლის 1 თებერვალს ამთავრებს თეორიულ ტრაქტატს, „სწავლა ლექსის თქმისა და დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ჰაშნიკისა, პოვნილი მამუკა ბარათაშვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან". ხსენებული ნაწარმოები პოეტიკის ტიპურ სახელმძღვანელოა[3]. მამუკა ბარათაშვილმა მწყობრი ვერსიფიკაციული სისტემა შექმნა. იგი თეორეტიკოსის ცოდნითა და პოეტური ალღოთი ჩასწვდა ქართული ლექსის ბუნებას, შიაგნით მის კანონზომიერებას, რის საფუძველზეც ქართული ლექსთმცოდნეობის ფუძემდებლად არის აღიარებული. მისი გამოკვლევა შესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც ყველა ქვეყნის ჰეშმარიტ პოეტიკურ აზროვნებას დაამშვენებდა. მამუკა ბარათაშვილის პოეზია გამსჭვალულია ღრმა სევდით, რაც სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობითა და პოეტის ტრაგიკული ცხოვრებითაა გამოწვეული, თუმცა შიგა და შიგ სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებსაც წერდა.

---

[3] ცნობები მამუკა ბარათაშვილის შესახებ აღებულია: მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, შესავალი წერილი, გამოკვლევა და რედაქცია გ. მიქაძისა, თბ., 1969.

მამუკა ბარათაშვილის პოეტურ ქმნილებებს შორის „პოლკის ხმას" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. პოეტმა, როგორც ჩანს, კარგად იცის პოლონეთის სახელმწიფოს უკიდურესად დაძაბული ვითარება, შინა კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და სამი მეზობელი სახელმწიფოს აგრესიული მიზნები, განსაკუთრებით გაამწვავა მდგომარეობა პრუსიის იმპერატორის ფრიდრიხ II-ის მიერ წამოწყებულმა შვიდწლიანმა ომმა. ფრ. ენგელსი XVIII ს-ის 60-იანი წლების ვითარების დახასიათებისას აღნიშნავდა, რომ თავისი კონსტიტუციის წყალობით პოლონეთი საერთო ეროვნული მოქმედების უნარმოკლებული, ნგრევის პირად მისული და მეზობლების სათარეშოდ ქცეული ქვეყანა იყო[4].

მამუკა ბარათაშვილს ამ ლექსში სწორედ ის ახარია და არეულობის გამოძახილი აქვს გადმოცემული, რომელიც XVIII ს-ის შუა ხანებიდან შეიქმნა ლიტვა-პოლონეთის (ეჩ-პოსპოლიტა) სახელმწიფოში. როგორც ჩანს, მამუკამ გარკვეული წყაროებით კარგად იცოდა პოლონეთის იმდროინდელი მდგომარეობა და სიბეჩავე პოლონელი ხალხის, „წარხდა ღონე კურნებისა, არსით უჩანს წამალია, დაეცონა, არვინ ემწო, ღადარი ჰსწვავს და ალიაჯ". პოეტის სხვა ლექსებში სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულია გადმოცემული, მწვავედ განიცდის სამშობლოს დაკარგვას და მის უმწეო მდგომარეობას. სევდით დაწერილ „პოლკის ხმა-ში", დიდი სიმპათიაა გამჟღავნებული პოლონელთა და პოლონეთისადმი, რომელიც მისი საყვარელი სამშობლოს — საქართველოს ბედშია. ამიტომაც მიმართავს პოეტი განგებას, „კაცია გონიერთა", რათა გადაარჩინოს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ტანჯული ქვეყანა:

ჰსაჯეთ, კაცთა, გონიერთა მოთმენა აქვს მრავალია,
ეპატრონეთ უღონო ქმნილს, ღმერთსა თქვენსა ავალია,
დარჩა სამოწარკვეთლო, ვერა ჰპოვა წამალია,
სიხარული ჩემგან მისჯის სატანჯველი ყოველიან[5].

ამრიგად, მიუხედავად იმ სიცარიელისა, რომელიც არსებობს XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველო-პოლონეთის ურთიერთობაში, ქართულმა პოეზიამ მაინც მოახერხა აესახა ის რეალური ვითარება, რომელიც პოლონეთის სახელმწიფოში იქმნებოდა XVIII ს-ის მეორე ნახევარში და თავისი გულისტკივილი გამოეხატა იმ ხალხისადმი, რომელთანაც საქართველოს საუკუნოებრივი მეგობრობა აკავშირებდა.

შემდგომი ძიება, ალბათ, მოსკოვსა და პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა პოლონელებთან კავშირს გამოავლენს.

XIX ს-ის 10-იანი წლებიდან საქართველოში ჩანს პოლონელთა საკმაო რაოდენობა.

ქართული წყაროებითა და სამეცნიერო ლიტერატურით კარგადაა ცნობილი თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დარიალის გზას ფეოდალური საქართველოსათვის. XIX ს-ის დასაწყისიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მისი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამ საქმეში თავიანთი წვლილი პოლონელმა სამხედრო ტყვეებმა შეიტანეს, მაგრამ აქ ჩვენთვის გზის მშენებლობის ისტორია კი არაა მთავარი, არამედ მშენებლობაზე მყოფ პოლონელთა ქართველებთან კონტაქტების ძიების საკითხი.

---

4 И. Маркс и Фр. Энгельс, Сочинения, издание 2-е, т. 22, гг. 17—32.

5 მამუკა ბარათაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

6 იქვე.

ცნობილია, რომ ნაპოლეონის არმიის ერთ-ერთ დამრტყმელ ჯგუფს პოლონელები შეადგენდნენ, რომელთა კონტიგენტიც 100 ათასი ჯარისკაცით განისაზღვრებოდა. აქედან 40 ათასიანი არმია მარშალ იუზეფ პონიატოვსკის მეთაურობით. როგორც საფრანგეთის მეკავშირენი, იმ არიერგარდში შედიოდა, რომელმაც ნემანი გადალახა და ვილნაში შევიდა[7]. დანარჩენი პოლონელი კი სხვადასხვა შენაერთებში გაანაწილეს. შემდგომ „მარშალ იუზეფის (პონიატოვსკი — გ. ხ.) კორპუსი დიდი არმიის მარჯვენა ფრთაზე იბრძოდა და მოგვიანებით მინსკი აიღო"[8]. ეს არმია ნაპოლეონს გამოყოფილი ჰყავდა გენერალ პ. ბაგრატიონის არმიის გასანადგურებლად. რუსეთის ჯარებმა ნაპოლეონის არმიის უდიდესი ნაწილი გაანადგურა, ხოლო ნაწილიც ტყვედ ჩაიგდო, მათ შორის პოლონელებიც. ტყვე პოლონელი ჯარისკაცების ერთი ნაწილი რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთ გუბერნიებში გაიგზავნა, ხოლო მეორე ნაწილისაგან შეიქმნა „სარემონტო რაზმი" („ремонтная команда") და სამხრეთში, კერძოდ, კავკასიაში გადმოისროლეს[9].

ვიდრე შევეხებოდეთ „სარემონტო რაზმის" საქმიანობას, საჭიროა გავიხსენოთ საქართველოს სამხედრო გზის მდგომარეობა ამ მომენტში. 1803 წელს მთავარმართებელ პ. ციციანოვის გეგმით საქართველოს სამხედრო გზის გაყვანა დაიწყეს გუდამაყრის ხეობით, რომელიც ბურსაჭირის უღელტეხილით ღუდუშაურსა (სნო) და დარიალის ხეობაში უნდა გადასულიყო. ვინაიდან მეფის მთავრობა თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ გზას, იგი შენდებოდა სპეციალური სამხედრო-საინჟინრო ნაწილების მიერ, რომლისათვისაც ფინანსებს მეფის მთავრობა სპეციალურად გამოჰყოფდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გზის მშენებლობა მძიმე ტვირთად აწვა მშენებარე გზის გაყვრივ მდებარე სოფლების მოსახლეობას (მთიულებს, მოხევეებს, ხევსურებს, ფშაველებს და სხვ.), რაც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მიზეზი გახდა. მართალია, 1804 წლის ოქტომბერში მეფის ჯარმა ქართლის მთიანეთის აჯანყება ჩააქრო[10], მაგრამ მეფის მთავრობა იძულებული გახდა ხარ-ურმისა და სამხედრო გზაზე მუშაობისათვის სათანადო ქირა დაეწესებინა[11]. ომებმა ირანთან (1804—1813) და თურქეთთან (1806—1812) კიდევ უფრო გაუარესეს რუსეთის ფინანსური მდგომარეობა, იმოქმედეს რუსულ ასიგნაციაზე[12]. სახელმწიფო-ბიუროკრატულ აპარატში მოკალათებული ჩინოვნიკები აგრძელებდნენ მექრთამეობას[13]. იქმნებოდა მოჩვენებითობა, თითქოს სახელმწიფო მათ მხარს უჭერდა. 1806 წლიდან გამოცხადდა მობილიზაცია[14]. რამაც დამატებითი ხარჯები მოითხოვა. გაძნელდა

---

[7] Historia Polski, T. II, cresć II (1795—1831), pod redakcia stefana Kieniewicra Wavsrawa, 1058' გვ. 183—184.

[8] იქვე, გვ. 184.

[9] ЦГАОР. Ф. 109. Д. 147, I экспелиция, «об офицерах Польской ремонтной команды, задержанных внутри империи», ფფ. 1—2.

[10] ვ. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება, თბ., 1951.

[11] საქართველოს ისტორია, ტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 401—402.

[12] Шиман, Александр I, М., 1911, გვ. 14—15.

[13] იქვე, ტვ. 15.

[14] «В 1806 г. было мобилизовано 612 000 чел. запасных; после битвы при Полтуске число их было уменшению ло 262 000 (но и этого составляло тяжелое бремя для страни. В сентябре 1807 г. был объявлен роспуск запасных, но помещикам,

საქართველოს სამხედრო გზის აღდგენა-მშენებლობის საქმე, ცარიზმი კი აჩქარებდა მის დამთავრებას, რადგან ამ გზას ამჯერად განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

1813 წლიდან ცარიზმმა, როგორც ზემოთ ითქვა, საფრანგეთის არმიაში მომსახურე პოლონელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან შექმნა სპეციალური „სარემონტო რაზმი“ და კავკასიისაკენ გადმოისროლა, როგორც მაშველი ძალა საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის დაჩქარებისათვის[15]. 1813 წლის 9 აგვისტოს კავკასიის ხაზის სპეციალური ბატალიონის უფროსი გენერალი ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევი ინჟინერ-გენერალ დევოლანტს ატყობინებდა, რომ „საქართველოს სამხედრო გზის შეკეთება-მშენებლობისათვის საჭიროა მუშები, რომელთა დაქირავებისათვის საჭირო სახსრები არ გაგვაჩნია, ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვყოთ მოსახლეობისგან თავისუფალი მუშახელი[16]. როგორც გენერალ რტიშჩევის პატაკიდან ჩანს, 1813 წლამდე საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა და აღდგენითი სამუშაოები, მართლაც, გართულებულია ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, მაგრამ სურათი მკვეთრად შეიცვალა 1813 წლიდან. სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ რუსეთმა დიდი ყურადღება დაუთმო ხსენებული გზის მშენებლობას, დაახმარა მის მშენებლობას სარეზერვო არმიის ნაწილები, ვინაიდან საქართველოს სამხედრო გზა პირველი რიგის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტად გამოაცხადა.

სამხედრო გზის მშენებლობის დაჩქარებისათვის მეფის მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიაში IV ოლქის უფროსის შეცვლა ამ პოსტზე და „თავისი საქმის კარგი მცოდნის პოლკოვნიკ აპუხტინის დანიშვნა“[17]. გზის მშენებლობის დასაჩქარებლად ამ უკანასკნელმა შეადგინა გეგმა, რომელიც უფროს ინჟინერ-გენერალს დევოლანტს წარუდგინა. ამ გეგმის შესახებ გენ. რტიშჩევი ატყობინებდა გზათა მიმოსვლის უწყებას შემდეგს: პირველი, «Для укрепления берегов р. Терека срочним образом предписано от меня на Кавказской линии ген.-м. Портнягину нарядить 500 чел. пленных Французкой службы ПОЛЯКОВ (ხაზი ჩვენია — გ. ხ.) с тем, чтобы они работы производили под распоряжением чиновников путей сообщения, а за поведением их во время производства работ смотрели бы поселение у Терека казаки и воинския команды, тутже расположения, и на сем основании ПОЛЯКИ будут состоят в завездывании кордонного начальника, провиантом же довольствоваться будут от казни, получая сверх того каждый в сутки по 15 коп. из суммы для укрепления Терских берегов в ведомстве начальника 4-го округа

городским и сельским общинам было предоставлено право оставить запасных на службе взамен рекрутского набора, и так именно и делалось, потому что это было удобнее для господ»; შ ი მ ა ნ ი, დასახ. ნაშრომში, გვ. 15, შენიშვნა № 1.

15 ოქტომბრის რევოლუციის არქივში ნაპოვნი პოლონელი ოფიცრების სია (სათაური „Список польских офицеров, которые находились под надзором“) 51 კაცით განისაზღვრება. აქედან — 36 ოფიცერია, 15 — სამოქალაქო პირი. ამავე სიაში მოხსენიებულია ორი პოლონელი, გვარად ტროპოლსკები — ლეონ და ქსავერი. მათი გვარების გასწვრივ სამხედრო წოდება და წარმომავლობა აღნიშნული არ არის (პოლონელ ოფიცერთა სია იხილე დამატებაში).

16 АКТЫ, т. 5. Отношение ген. Ртищева к инженер-ген. Деволанту, от 9-го августа 1813 года. № 357, გვ. 301.

17 იქვე.

путей сообщения, полк. Апухтина имеющейся; равным образом из той-же суммы будет исправляться одежда их и обувь до того времени, пока не распределятся в полки».[18] მეორე, „ვლადიკავკაზიდან ტფილისამდე გზის მშენებლობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება, ვლადიკავკაზის კომენდანტს. გენერალ-მაიორ დელპოცოს“[19]; მესამე, საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის დასამთავრებლად გამოყოფილი იყო 950 კაცი, საგზაო უწყებას მიმართავს სამხედროს სამინისტროს მმართველი გენერალ-ლეიტენანტ უორჩაკოვისათვის, რათა გაედიდებინათ გზის მშენებლობაზე მომუშავე სამხედრო მოსამსახურეების რიცხვი. ამ რიცხვის გაზრდა უნდა მომხდარიყო იმ სამხედრო მოსამსახურეების ხარჯზე, რომელნიც გამოუსადეგარნი იყვნენ მოქმედ არმიაში, ნაწილიც კი საქართველოში გამოგზავნილი ტყე პოლონელების ხარჯზე უნდა გაზრდილიყო[20].

როგორც პატაკიდან ჩანს, საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობაზე გამოყოფილი ყოფილა 950, სამხედრო მოსამსახურე, რომელთაგან 500 პოლონელი სამხედრო ტყვეა. აღსანიშნავია, რომ „სარემონტო რაზმში“, რომელიც მეფის მთავრობამ სპეციალურად ჩამოაყალიბა, ძირითადად ოფიცრები იყვნენ, უმეტესად სამხედრო ინჟინრები და თავის საქმის დიდი სპეციალისტები, რომელთა ნაკლებობასაც განიცდიდა მეფის რუსეთის არმია. პროფ. შიმანს თავის წიგნში „ალექსანდრე I“ შენიშნული აქვს, რომ სამხედრო ინჟინრები არმიაში ძირითადად ბალტიისპირეთიდან და გერმანიიდან იყვნენ მოწვეული. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სპეციალურ პუნქტად შეიტანეს მოთხოვნა ტყვე პოლონელთათვის დღეში 15 კაპიკის გადახდა და დამატებით გზის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხიდან მათი უზრუნველყოფა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით.

ერთი წლის შემდეგ საქართველოს სამხედრო გზის უდიდესი ნაწილი შეკეთებულა და მხოლოდ მცირე ნაწილიღა დარჩენილა შესასრულებელი. 1814 წლის 5 აგვისტოს მიწერილობაში გენერალი ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევი ვლადიკავკაზის კომენდატს. გენერალ-მაიორ დელპოცოს ატყობინებდა, რომ „ცუდმა ამინდებმა თავისებური გავლენა იქონიეს მშენებლობაზე, ადიდდა მდინარეები, რამაც ხელი შეგვიშალა სამუშაოს ბოლომდე მიყვანაში, მაგრამ მშენებლობა თითქმის დამთავრების პირზეა მისული და კიდევაც დავამთავრებთ თუ, რა თქმა უნდა, დამხმარე ძალა აღმოგვაჩნდება. ამ დამხმარე ძალას პოლკ. აპუხტინის სიტყვებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭება, თუ ისინი პოლონელი სამხედრო ტყვეები იქნებიან“[21].

როგორც გენერალ რტიშჩევის მიწერილობიდან ჩანს, დარჩენილი პოლონელი სამხედრო ტყვეები მეტად შრომატევად სამუშაოს ასრულებდნენ და საქმის ცოდნითაც გამოირჩეოდნენ. მიუხედავად მძიმე ბუნებრივი პირობებისა და ტექნიკის დაბალი დონისა, სარემონტო რაზმმა 950 კაცის შემადგენლობით ერთი წლის მანძილზე მაინც შეძლეს ძირითადი სამუშაოების დამთავრება. ამ მშენებლობაში დიდი წვლილი, რა თქმა უნდა, პოლონელ სამხედრო ტყვეებსაც ეკუთვნით.

---

[18] АКТЫ, ტ. 5, გვ. 301.

[21] იქვე, Предписание ген. Ртишева ген-м. Дель-поцо от 5 августа 1814, № 364, გვ. 308.

[19] იქვე.

[20] იქვე.

როგორც საბუთებიდან ჩანს, პოლონელებს ტყვეობის ვადა განსაზღრული ჰქონდათ, მაგრამ პოლონელთა ერთი ნაწილი ადრევე ტოვებდნენ სამუშაოს და იპარებოდნენ მშობლიურ პოლონეთში. ოქტომბრის რევოლუციის არქივში ნაპოვნ საბუთებში მითითებულია ორი ტყვე ოფიცრის გვარი — კლეჩკოვსკი და გრაბოვსკი, რომლებიც კურსკის მიდამოებში დაიჭირეს, ხოლო დანარჩენი ასტრახანში, ვორონეჟში, პენზასა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში[22]. მეორე ნაწილი, თურქეთში გადადიოდა, საიდანაც სამშობლოს უბრუნდებოდა, ან კიდევ თურქეთიდან, საფრანგეთის საელჩოს დახმარებით, საფრანგეთში, ემიგრაციაში მიდიოდა[23].

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ გაქცეულ პოლონელთა ნაწილი რუსეთის ქალაქებში დაკავებული ჩანს, ხოლო მეორე ნაწილი — თურქეთის გზით პოლონეთსა და საფრანგეთში ჩადის. (აქ აშკარად ჩანს, რომ ქართველი მოსახლეობა მათ ეხმარებოდა). მათი ტყვეობა 1815 წლის ჩათვლით გაგრძელდა, შემდგომ დარჩენილი ტყვეები გაათავისუფლეს და საცხოვრებელი ადგილის ამორჩევის საშუალება მისცეს. უმეტესი ნაწილი სამშობლოში — პოლონეთში დაბრუნდა და ზოგიერთმა მათგანმა მოგონებებიც გამოაქვეყნა[24], მცირე ნაწილი კი მეფის რუსეთის სამსახურში დარჩა.

იმ ხუთასი პოლონელ სამხედრო ტყვეებს გარდა, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზის აღდგენა-მშენებლობით სამუშაოზე მონაწილეობდნენ, საქართველოში მოქმედ არმიაში განაწესეს მრავალი ტყვე პოლონელი. მოქმედ არმიაში განაწილებულ პოლონელ ტყვეებზე უარყოფითი შეხედულების იყო ადგილობრივი მთავარსარდლობა. 1813 წლის 31 ივლისის პატაკში გენერალი ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევი გრაფ რუმიანცევს ატყობინებდა, რომ ...Я еще до получения сего письма донесил военному министру, что для службы Е. И. В. может быть вредно иметь их в войсках в здешне пограничном крае, тем более, что многие из них не хотели присягать на верность службы Е. И. В., а дезертировавшие — было до 90. Сыи многие переловлены в разных местах, показали при допросах, что они не расположены служить в Российских воисках и при побеге своем имели целью пробраться к Французскому послу или к Консулам, чрез коих могли-бы быть отправлены к Французской армии[25]. როგორც ვხედავთ მათი არასაიმედოობა დამაჯერებლადაა არგუმენტირებული: ტყვეებს არ სურთ დაიფიცონ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე, რამდენადაც რუსეთის არმიაში ცარიზმის ინტერესებისათვის სამსახური თავიანთ ვალდებულებად არ მიაჩნიათ. ამავე პატაკიდან ჩანს, რომ რუსეთის სასაზღვრო სამსახურის გუშაგებმა დაიჭირეს 90-მდე, მაგრამ ადგილობრივი (ქართველი — **გ. ხ.**) მოსახლეობის მხარდაჭერით ბევრი მათგანი გაქცეულა და თურქეთის დედაქალაქ სტამბულში, საფრანგეთის საელჩოში გამოცხადებულა.

---

[23] ЦГАОР. ф. 109, ს. 147, ფ. 3. Письмо дежурного генерала II отделения Военному Министру об двух польских офицерах порутчика Клечковского и капитана Грабовского, которые отправились по неизвестной причине в г. Курск.

[23] Акты, ტ. 5, გვ. 727.

[24] St. Nomacki, Podróże do Georgii wczacie mojej niewoli w Rosji odbukate wr—1813, 1815. Poknau, 1833; Z. Gerszewski' Pamieliki zniewoli. Poznan, 1810.

[25] Акты, ტ. 5. Донесение ген. Н. Ф. Ртищева гр. Румянцеву, от 31 июля 1813 г., № 871, გვ. 727.

მათგან, რუსეთის წარმომადგენლობის მოთხოვნით, ზოგიერთი ტყვე დაუბრუნებიათ და ოდესაში გადაუგზავნიათ, ხოლო უმეტესობა საფრანგეთში ჩასულა — ემიგრაციაში. თურქეთის ამ საქციელს ასე ხსნის რუსეთის ოფიციალური ელჩი, ტიტულარული მრჩეველი იტალინსკი; „თურქეთს სძულს საზღვრული დრო, ამ შემთხვევაში სამი წელი, რომლის გასვლის შემდეგ პორტა ბუქარესტის ზავის შეუსრულებლობამ და მისი მუხლების უგულებელყოფამ რუსეთის დიპლომატიის მხრივ[26].

როგორც ვხედავთ, დეზერტირობა, პოლონელი სამხედრო ტყვეებისა მოქმედ არმიაში უფრო მეტია, ვიდრე იმ სარემონტო რაზმებში, რომელიც მეფის მთავრობამ საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობისათვის შექმნა ეს, ჩვენი აზრით, გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ, რომ სარემონტო რაზმებში, სამხედრო ტყვეები, რჩებოდნენ, როგორც პოლონელები: მათ გააჩნდათ განსაკუთრებული დრო, ამ შემთხვევაში სამი წელი, რომლის გასვლის შემდეგ მეფის მთავრობა მათ ათავისუფლებდა და სამშობლოში წასვლის ნებას აძლევდა. უფრო მეტიც, მათ შეეძლოთ დროზე ადრე განთავისუფლებულიყვნენ, თუ სამხედრო გზის მშენებლობას მორჩებოდნენ, ამიტომაც ბუნებრივია ისინი თავდადებით მუშაობდნენ და გენ. რტიშჩევის ცნობა, რომ ერთი წლის შემდეგ ე. ი. 1814 წლის 5 აგვისტოსათვის სამხედრო გზის სამუშაოები ძირითადად დამთავრებულ იყო, ბუნებრივად გამოიყურება. რაც შეეხება მოქმედ არმიაში განწესებულ პოლონელებს, მათ სულ სხვა მდგომარეობა შეექმნათ. ისინი მრავალი წლის განმავლობაში უნდა მოსწყვეტოდნენ თავიანთ სამშობლოს, ოჯახს, და რუსეთის იმპერიის არმიაში ცარიზმის ინტერესებისათვის ებრძოლათ, რაც მათ ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ეს კარგად იცოდა კავკასიის არმიის მთავარსარდლობამაც და ამიტომ, არ მიაჩნდა მიზანშეწონილად საქართველოში მოქმედ არმიაში ანტიცარისტულად განწყობილი, 1812 წლის ნაპოლეონის არმიის მებრძოლი პოლონელი ტყვეების ყოფნა, რადგანაც „არასაიმედონი იყვნენ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისადმი".

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა — აღდგენით სამუშაოების დროს თავისი წვლილი შეუტანიათ პოლონელ ტყვეებს, რომელნიც კეთილსინდისიერად მოეკიდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და ზოგი მათვანი ადრე იქნა განთავისუფლებული, ხოლო უმეტესობა 1815 წლის დასასრულისათვის განთავისუფლდნენ და მიეცათ სამშობლოში დაბრუნების საშუალება. კავკასიაში გადმოსახლებული იმ სამხედრო ტყვეების ერთერთ მონაწილეს, კერძოდ სტანისლავ ნოვაცკის, აღწერილი აქვს ტყვეობის მძიმე წლები და მითითებული აქვს ზუსტი თარიღი — 1815 წლის 3 დეკემბერი, როდესაც უკანასკნელმა სამხედრო ტყვეებმა, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობაზე მუშაობდნენ, დატოვეს კავკასია და ნოვოჩერკასკიდან, ეკატერინოსლავის, ელიზავეტგრადის, ზლატოპოლის, ბრესტ-ლიტოვსკის და ბელოსტოკის გავლით 1816 წლის 1 მაისს ვარშავაში დაბრუნდნენ[27].

როგორც ჩანს ტყვე პოლონელების მცირე ნაწილი დარჩა საქართველოში. დარჩენილთაგან უმეტესობამ შეითვისა ქართული ტრადიციები, გაქართველდნენ და ქართული კულტურის პროპაგანდისტები გახდნენ.

---

[26] Акты, ტ. 5, Письмо т. с. Итальянского к ген-м. Дель-поцо. 1816 г. № 970, გვ. 840—841.

[27] Wactaw Kubacki, Malwu na Kaukazie Warsz., 1969, გვ., 66.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ЦГАОР, Ф, 109, д. 147, л. 1. Подлинник.

1813 г.* — СПИСОК ПОЛЬСКИХ ОФИЦЕРОВ, КОТОРЫЕ НАХОДИЛИСЬ ПОД НАДЗОРОМ

л. 1. Список офицеров польской ремонтной команды

Клечковскій, Поруч.
Грабовскій, капитан
Гурджеевский, майор
Ендлювский, Порут.
Зонічковскій, подпорут.
Бежанскій, от ранга порут.
Бобровскій, порут.
Борсйко, подпор.
Шеміоть, подпор.
Вадевскій, капитан
Завадскій, порут.
Красовскій, порут.
Краснискій, подпор.
Лилинскій, порут.
Лиринскій, порпор.
Бартосевичь, подпор.
Бжешинскій, подпор.
Рожанскій, подпор .
Никирович, подпор.
Скержинскій, капитан
Четвертинский Владислав, князь, подпоруч.
Четвертинский Борис, князь, подпоруч.
Маршинкевич, порут.
Трипольский, леон.
Трипольский, Ксаверій
Тарновский — граф.
Лапинский — Губерн. Секретарь
Линкевич — Франциско
Масьский — Дворянин
Мархоцкій — Граф
Дубиелевскій — Адвокат
П Козакевич — Колежа регистратор
Барановский — Шляхтич
Блюм — Барон
Фальковский — октав оп
Фальковскій — Владислав
Боровицкій — Помещик
Калинскій — Хоронжскій
Ежевскій — студент
Закревскій — студент
Нымо—посасор
Горновский — помещик
Оссолинский — Граф
Карбицкій — порут.
Грушевскій — помещик
Новолинскій — помещик
Петровскій — —«—
Олизар — Граф
Пісрадовскій — Адвокат
Гуисковскій Майор
Аллебрахть — Карл, Лекар при ремонтном депо.

* დოკუმენტს არ აზის თარიღი, მაგრამ რამდენადაც ის აღმოჩნდა 1813 წლის საქმეში, აქვგარეშეა, იმავე წლით თარიღდებ.

Г. ХУНДАДЗЕ

К ВОПРОСУ ПОЛЬСКО-ГРУЗИНСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ (ВТОРАЯ ПОЛОВИНА XVIII — ПЕРВАЯ ЧЕТВЕРТЬ XIX ВВ.)

Резюме

Начало межгосударственных отношений Грузии и Польши, восходящее к 15 веку, обусловлено усилением общего врага — Турции. Информация об этом периоде представлена в описаниях польских путешественников и дипломатов. Со второй половины XVIII в. как у Грузии, так и у Польши, помимо других экспансионистски настроенных государств, появляется еще один опасный завоеватель в лице России. В начале XIX века оба государства оказались в составе Российской империи. Перед народами с одинаковой судьбой стояла единая задача — борьба против российского колониального режима. 1813 — 1815 годами датируются восстановительные работы на Дарьяльской, или Военно-грузинской, дороге, которые осуществлялись силами попавшей в плен в войну 1812 года польской инженерной части. Пятистам польским военнопленным инженерам, отличившимся на строительстве магистрали стратегического назначения, по приказу императора, было предоставлено право свободного выбора местожительства. Из них часть вернулась на родину, в Польшу, часть поступила на службу в царскую армию, а часть осталась в Грузии. Большинство поселившихся в Грузии поляков впитало культуру страны проживания и стало ее пропагандистами.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრამ.

მანანა ხანაძე

ქართლის სამეფო VI საუკუნეში

(პოლიტიკური ისტორიის საკითხები)

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის მეფე ხდება მისი უფროსი ვაჟი ირანელი ქალისაგან ბალანდუხტის ძე, დაჩი. ვახტანგის ანდერძის თანახმად მისმა მეორე ცოლმა, ბიზანტიის იმპერატორ ლეონის ასულმა ელენემ, თავისი შვილებით (მათგან ლეონი იყო უფროსი და მირდატი უმცროსი), საგამგებლოდ მიიღო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამი საერისთავო: წუნდის, ოძრხის და კლარჯეთის; აგრეთვე იმპერატორის მიერ მისთვის მზითვად მიცემული ტერიტორია — აფხაზეთის ნაწილი (ქვეყანა ეგრის წყალსა და კლისურას შორის). დროთა განმავლობაში, ელენესა და მისი უფროსი ვაჟის ლეონის გარდაცვალების შემდეგ, მხარის ერთადერთი გამგებელი გახდა მირდატი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მირდატმა კიდევ უფრო გაიფართოვა ტერიტორია: აფხაზეთის ნაწილის სანაცვლოდ ის დაეუფლა ჯავახეთს. მემატიანე ამ ფაქტს ქართლის მეფე დაჩიდან მომდინარე ინიციატივად მიიჩნევს. წყაროს მიხედვით, თვით დაჩი სთავაზობს მირდატს ტერიტორიების გაცვლას და აფხაზეთის სანაცვლოდ ჯავახეთის გადაცემას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს დაჩის სურვილით მომხდარიყო. აფხაზეთის ტერიტორია მირდატისთვის ისედაც ძნელად მისაწვდომი და სამართავად მოუხერხებელი უნდა ყოფილიყო, ჯავახეთი კი უშუალოდ ეკვროდა მის სამფლობელოებს და მისი შემოერთება მირდატისთვის საგრძნობ ტერიტორიულ გაფართოებას მოასწავებდა. ამდენად, ნაკლებ საფიქრებელია, დაჩი ასეთ არასახარბიელო ტერიტორიულ გაცვლას თავისი სურვილით და მით უფრო საკუთარი ინიციატივით დასთანხმებოდა. უფრო სავარაუდოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობისდა მიუხედავად (მირდატი „იყო მორჩილ დაჩი მეფისა, ძმისა თვისისა“)[1], ბიზანტიით ზურგგამაგრებულმა მირდატმა ჯავახეთი თვითონ მიიტაცა და თავისი ნახევარძმა, ქართლის მეფე დაჩი, ფაქტის წინაშე დააყენა.

ასე იყო თუ ისე, VI-ს-ის დასაწყისში ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ოთხი საერისთავოს (წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის და ჯავახეთის) ტერიტორიების ბაზაზე ჩამოყალიბდა მსხვილი სამთავრო, რომელსაც ვახტანგის უმცროსი ვაჟი მირდატი და მისი ჩამომავლები განაგებდნენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მირდატს მეფე კი არ ეწოდებოდა, არამედ ერისთავთა მთავარი[2].

რამდენი ხანი მეფობდა დაჩი, დანამდვილებით ამის თქმა ძნელია. ერთი რამ კი ცხადია, დაჩის და მისი ძის, ბაკურის მეფობა VI ს-ის I ოცწლეულზე მოდის (523 წ გურგენის აჯანყების ხანისთვის ქართლის მეფე უკვე ფარსმანია).

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილია, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, გვ. 205.

[2] იქვე.

აქედან აღნიშნული პერიოდის ძირითადი ნაწილი სწორედ დაჩის მეფობაზე მოდის. ბაკურ დაჩის ძეს, ჩვენის აზრით, დიდხანს არ უნდა ემეფა — მატიანემ არაფერი შემოგვინახა მისი მეფობის ხანიდან. დაჩის მეფობა მნიშვნელოვანი აღმშენებლობითი საქიანობით აღინიშნა: „დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რაჲთუ მოოხრებულ იყუნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი“, მანვე „განასრულა ზღუდენი ტფილისისანი“, და მამის ანდერძის მიხედვით, დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა. მცხეთა კი იქცა კათალიკოსის სატახტო ქალაქად[3].

რა სიტუაცია იყო VI-ს-ის 20-იანი წლების დასავლეთ საქართველოში? ბიზანტიური წყაროების მიხედვით დასავლეთ საქართველო (ლაზიკა) 523 წლამდე ირანის მორჩილებაში იმყოფებოდა, მისი გამგებელი წათე მაზდეანურ სარწმუნოებაზე იყო მოქცეული. თეოფანე ქამთააღმწერლის ცნობით, ირანის შაჰს კავადს (488—531 წწ) „წათე იმდენად უყვარდა, რომ ის ლაზთა მეფედ დააყენა“[4]. ფაქტია, კავადი მეფედ ვერ დააყენებდა პიროვნებას ბიზანტიის დაქვემდებარებაში მყოფ ქვეყანაში, ამდენად, 523 წლამდე როგორც ლაზეთი, ისე ქართლის სამეფო სამხრეთ-დასავლეთი საერისთაოებითურთ (წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის და ჯავახეთის) ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. შესაბამისად 523 წლამდე ლაზეთის ირანზე დაქვემდებარება ბიზანტიის მიერ არასასურველ, მაგრამ „კანონიერ“ საქმედ ყოფილა მიჩნეული. ამდენად, აღნიშნულ ფაქტს (ირანის ლაზეთში გაბატონებას) V ს-ში უნდა ჰქონოდა ადგილი და, შესაძლოა, მართლაც იყოს დაკავშირებული ვახტანგ გორგასლის დასავლეთ საქართველოში წარმატებულ ლაშქრობასთან.

523 წ. ლაზთა მეფე წათე, ბიზანტიური წყაროების ცნობით, ირანის შაჰს კავადს აუჯანყდა, გაიქცა ბიზანტიაში იუსტინე კეისრის წინაშე, უკუაგდო მაზდეანური სარწმუნოება, ოფიციალურად მოინათლა, მეფედ იკურთხა უკვე ბიზანტიის იმპერატორის მხრიდან და ბიზანტიელ დიდგვაროვან ქალზე დაქორწინებული დაბრუნდა ლაზეთში[5].

ამავე 523 წ. პროკოპი კესარიელის ცნობით, ირანს შაჰს აუჯანყდა „იბერიის მეფე“ გურგენი. აჯანყების საბაბი ყოფილა კავადის დაჟინებითი მოთხოვნა გურგენის მიმართ ქრისტიანობის უარყოფისა და მაზდეანობაზე გადასვლისა[6]. ცხადია, წათეს და გურგენს გამოსვლა ირანის წინააღმდეგ შემთხვევით არ დამთხვევია ერთმანეთს. როგორც ჩანს, მათ აჯანყებას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი. წათე და გურგენი მომიჯნავე რეგიონების გამგებლები იყვნენ (გურგენზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი), ორივენი ირანის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდნენ, ორივენი ქართულ რეგიონებს განაგებდნენ, ორივესთვის მათი რეგიონების გამგებლობა ირანის მხრივ გარკვეულ პირობას უკავშირდებოდა — მაზდეანობაზე გადასვლას (წათეს უკვე მიღებული ჰქონდა მაზდეანობა, ხოლო გურგენისგან ამას დაჟინებით მოითხოვდნენ). ასეთ პირობებში, როგორც ჩანს, ქართული რეგიონების აღნიშნული „მეფეები“ ერთმანეთში შეთანხმდნენ, პარალელურად ისინი დაუკავშირდნენ ბიზანტიის იმპერატორს იუსტინეს (518—527 წწ.) და, მისი

---

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 205.

[4] თეოფანე ქამთააღმწერელი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, 1941., გვ. 77.

[5] იქვე, გვ. 78; იოანე მალალა, გეორგიკა, ტ. III, 1936, გვ. 263—64.

[6] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 49—50.

სამხედრო მხარდაჭერის მოიმედეებმა. დაიწყეს აქტიური მოქმედება ირანის შაჰის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ბიზანტიამ, მართლაც, შეძლო წათესათვის დახმარება და მის დასაჯველად ლაზეთში შემოსული ირანელი მხედრობის უკუგდება. გურგენის აჯანყებამ კი მარცხი განიცადა, რაც გურგენის მთელი ოჯახით ჯერ ლაზეთში (თავის მოკავშირე წათესთან). ხოლო შემდეგ ბიზანტიაში გადახვეწის მიზეზი შეექნა.

ვინ იყო სინამდვილეში პროკოპი კესარიელთან დასახელებული 523 წ ირანის წინააღმდეგ აჯანყებული „იბერიის მეფე" გურგენი? ამ საკითხის შესწავლას თავისი ისტორია აქვს. პირველად აღნიშნული ცნობა განიხილა მ. ბროსემ. მისი აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: გურგენი არაა ქართლის, იბერიის მეფე, ის, შესაძლოა, არის რომელიღაც სომხური რეგიონის მთავარი. შესაბამისად, მან ამ შემთხვევაში უფრო სანდოდ ჩათვალა „ქართლის ცხოვრების" მონაცემები, რომლის მიხედვითაც დაჩის შემდეგ მეფობდა ბაკური, მისი ვაჟი ფარსმანი, მისი ძმისწული „ფარსმან სხვაი" და ამ უკანასკნელის ვაჟი ბაკური[7].

აღნიშნულ საკითხს შეეხო ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიის" I წიგნში. მან პირიქით, უპირატესობა პროკოპი კესარიელის ცნობას მიანიჭა. შესაბამისად, გურგენი იბერიის მეფედ მიიჩნია, ხოლო „ქართლის ცხოვრების" მონაცემები VI ს-ის I ნახევრის ქართლის მეფეების შესახებ ნაკლებად დამაჯერებლად ჩათვალა. პროკოპი კესარიელის ცნობის აღნიშნული გააზრების მიხედვით, ივ. ჯავახიშვილმა 523 წ. გურგენ ქართლის მეფის ქართლიდან გაძევებისა და ირანის მიერ ქართლში მეფობის გაუქმების თარიღად აღიარა[8]. ეს თვალსაზრისი დიდი ხნის განმავლობაში იყო გაბატონებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ასე შევიდა ის ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევებში. აღნიშნული მოვლენები დღესაც ამგვარად შეიქება სკოლის სახელმძღვანელოებში.

523 წ. აჯანყებისა და გურგენის პიროვნების საკითხს სპეციალურად შეეხო ვ. გოილაძე. მან ქართული და ბიზანტიური წყაროების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე საკმაოდ დამაჯერებლად წარმოაჩინა გურგენის ვინაობა და წარმომავლობა. მისი თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: გურგენი არაა ქართლის მეფე, ის ეკუთვნის მირდატ ვახტანგის ძის ტოტს და, შესაბამისად, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთით ოთხი საერისთავოს ბაზაზე წარმოქმნილი მსხვილი სამთავროს მთავარია[9]. შემდგომ ის მიჰყვება „ქართლის ცხოვრების" კონცეფციას ქართლში დაჩის მეფობის შემდეგ ბაკურის, ორი ფარსმანის და კვლავ ბაკურის მეფობის შესახებ და მეფობის გაუქმებას ქართლში 537 წლით, ანუ ირან-ბიზანტიის ომი დაწყების წინა ხანით ათარიღებს[10] ამ დათარიღების საყრდენად მას „ევსტათე მცხეთელის მარტვილობა" მიაჩნია, რომელიც, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთხმად გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ასახავს VI-ს.-ის 40-იანი წლების დასაწყისში ქართლის სამე-

---

7 მ. ბ რ ო ს ე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1895 წ. გვ. 87.

8 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 243–46.

9 ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, 1990 გვ. 140—150.

10 იქვე, გვ. 156.

ფოში შექმნილ ვითარებას: უმეფობის (523 წლიდან; ვ. გოილაძის მიხედვით კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 537 წლიდან) ხანასა და თბილისში ირანელი მარზპანის გამგებლობის პერიოდს.

ასეთია საკითხის ირგვლივ არსებული ძირითადი თვალსაზრისები. ახლა შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ აღნიშნული მოვლენების ჩვენეული ხედვა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ, ვიზიარებთ რა ვ. გოილაძის თვალსაზრისს გურგენის ვინაობის და წარმომავლობის შესახებ, ჩვენი მხრივ გვინდა შევამაგროთ მთელი რიგი არგუმენტებით.

1. საკუთრივ „ქართლის ცხოვრება" გვაძლევს ჩვენ ცნობას, თუ რომელი რეგიონის გამგებელი იყო გურგენი. ფარსმან ბაკურის ძის ცხოვრების აღწერისას ვკითხულობთ, რომ ფარსმან ბაკურის ძის მეფობის ხანაში ქართლში შემოვიდა ირანის შაჰი. ფარსმანმა მას მორჩილება დაუდასტურა და, შესაბამისად, ქართლი, ანუ ფარსმანის წილხვედრი ქართლი გადაურჩა ირანელთა მხრივ აოხრებას. რაც შეეხება მირდატის მემკვიდრეებს (და მათ წილხვედრ ქვეყანას — ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონს), ისინი გამოსულან ფარსმან მეფის ქვეშევრდომობიდან და მიმხრობიან ბერძნებს[11]. ბიზანტიურ წყაროებთან „ქართლის ცხოვრების" აღნიშნული ცნობების შეჯერებით აშკარა ხდება, რომ აქ სწორედ 523 წ. გურგენის აჯანყების ამბავია მოთხრობილი. ბიზანტიელებისათვის, რა თქმა უნდა, ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთში აღმოცენებული სამთავროც იბერია იყო და მისი მთავარი — იბერიის მეფე. საინტერესოა, რომ იგივე პროკოპი კესარიელი, რომელიც 523 წ. ირანის წინააღმდეგ აჯანყებულ გურგენს იბერიის მეფედ იხსენიებს, უფრო მოგვიანებით, 535 წ. გუთების წინააღმდეგ გაგზავნილი ბიზანტიელი მხედართმთავრებიც ჩამოთვლისას, გურგენის ვაჟს პერანს „იბერიელთა სამეფო გვარის წევრს" უწოდებს[12] და არა მეფის ძეს, რაც, გურგენის მეფობის შემთხვევაში, უფრო მოსალოდნელი იქნებოდა.

2. თუ რომელი რეგიონის მმართველი იყო გურგენი, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ბიზანტიური წყაროები, როდესაც ისინი მოგვითხრობენ 532 წ. საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ირანსა და ბიზანტიას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე. გარდა ლაზიკის ორი ციხე-სიმაგრისა, რომლებიც წაართვა საგამგებლო ქვეყანაში მდებარეობდა, მოლაპარაკებებში ფიგურირებს კიდევ ორი სიმაგრე: ფარანგიონი, იგივე „ოქროსმადნიანი" მთები და ბოლონის სიმაგრეები[13]. ს. ყაუხჩიშვილმა, როგორც ცნობილია, ანუშირვანი იუსტინიანესგან, ასაბუთებდა რა ამ მოთხოვნას იმით, რომ „ფარანგიონი" პერანგის მთებია სამხრეთ აჭარაში, ჭანეთის მეზობლად, ხოლო ბოლონის სიმაგრე კი ბოლოს ციხე ბასიანში, იგივე სომხური წყაროების ბოლო-ბერდი[14]; აშკარად ამ სიმაგრეების უპირობო გადმოცემას მოითხოვდა ხოსრო ანუშირვანი იუსტინიანესგან, ასაბუთებდა რა ამ მოთხოვნას იმით, რომ ისინი ირანის კუთვნილ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ, რასაც ბიზანტიური მხარე არც უარყოფდა. როდის და რანაირად აღმოჩნდნენ ეს სიმაგრეები ბი-

---

11 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 206—207.

12 პროკოპი კესარიელი, დასახ. ნაშრ., გვ. 232, სქოლიო.

13 იოანე მალალა, გვ. 269—70; პროკოპი კესარელი, გვ. 60.

14 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 2, გვ. 58 სქოლიო; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965; გვ. 67.

ბიზანტიის ხელში? ფაქტია, გურგენი, თუ მას ქართლის მეფედ მივიჩნევთ, აღნიშნულ სიმაგრეებს ირანის წინააღმდეგ აჯანყებისას ბიზანტიელებს ვერ გადასცემდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი უშუალოდ მისდამი დაქვემდებრებულ ტერიტორიაზე არ მდებარეობდნენ (მირდატის მემკვიდრეთა ხელთ იყვნენ). ამდენად რომელ რეგიონს განაგებდა გურგენი, ჩვენი აზრით, ამას ზემოთ მოყვანილი მსჯელობაც ადასტურებს. სავარაუდოა, გურგენის აჯანყება ირანის წინააღმდეგ სწორედ აღნიშნული სიმაგრეების ბიზანტიელებისადმი გადაცემით დაიწყო.

3. VI-ს-ის 70-იანი წლებში ირანის წინააღმდეგ ქართლში აჯანყების მოთავესა და პირველ ერისმთავარს ბიზანტიური წყაროები გურგენად იხსენიებენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იგივე პიროვნება გუარამის სახელითაა ცნობილი. ჩვენამდე მოღწეულია მისი ერისმთავრობის პერიოდის მონეტა, წარწერით „გნ“. რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული პიროვნების სახელი ნამდვილად გურგენია[15] (გუარამი, გურგენ ერისმთავრის სახელის უფრო გვიანდელი გადაკეთება უნდა იყოს და, შესაძლოა ბაგრატიონთა საგვარეულოს ფარნავაზთა დინასტიათან დაკავშირების მცდელობას წარმოადგენდეს). „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი ეს გურგენ-გუარამი გვევლინება გორგასლიანთა კლარჯეთული შტოს ჩამომავლად, მირდატის დისწულად. ამდენად, სახელი „გურგენი“ მეორეჯერ გვხვდება VI-ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიაში და გვხვდება სწორედ გორგასლიანთა კლარჯეთულ შტოში, რაც კიდევ უფრო ამაგრებს ჩვენს თვალსაზრისს გურგენ I-ის ვინაობის შესახებ. უფრო მეტიც, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით გურგენ II-ს (გუარამს) ეპყრა სწორედ მთავრობა მირდატიანთა სამთავროში. როგორ აღმოჩნდებოდა ქალის ხაზით მემკვიდრე სამთავროს სათავეში? რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კაცის ხაზით მემკვიდრეები ამოწყდებოდნენ. მართლაც, ბიზანტიური წყაროებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ გურგენ I-მა, აჯანყების დამარცხების შემდეგ ბიზანტიაში გაქცევისას, თან წაიყვანა მთელი თავისი ოჯახი, ძმები და შვილები. ისინი შემდგომ აგრძელებენ მოღვაწეობას ბიზანტიის კეისრის კარზე და მის სამსახურში იხოცებიან სხვადასხვა დროს. ამდენად, სრულიად აშკარა უნდა იყოს, რომ 523 წ. ირანის წინააღმდეგ აჯანყებული „იბერიის მეფე“ გურგენი, სინამდვილეში იყო ქართლის სამეფოს სამხრეთ დასავლეთის ოთხი საერისმთავროს ერისმთავარი, ანუ მირდატიანთა სამთავროს მთავარი, მირდატის ჩამომავალი (შესაძლოა, მირდატის ვაჟი), რომლის მთელი ოჯახით ბიზანტიაში გადასახლების შედეგად წყდება მირდატიანთა კაცური შტო და სამთავროს მირდატის დისწულები ეუფლებიან. რაც შეეხება ქართლის მეფეებს, ანუ ვახტანგის ძის დაჩის ჩამომავლობას, სრულ სანდოობას იძენს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები აღნიშნულ პერიოდში, ანუ VI-ს-ის I ნახევარში, ბაკურ დაჩის ძის, ფარსმან ბაკურის ძის, „ფარსმან სხვაის“ და მისი ვაჟის ბაკურის მეფობის შესახებ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ VI ს-ის ქართლის მეფეებზე „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებთან საოცარ იდენტურობას ავლენს „მოქცევაი ქართ-

---

[15] გ. დუნდუა, ეგრეთ წოდებული სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, I, გვ. 103. თ. დუნდუა, საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, წ. I, 1995; გვ. 57—58.

ლისა", რომელიც ან თვითონ გვეუბნება VII ს-ის ძეგლად, ან ხარგქსლოფს VII ს-ის შუა წლების ქრონიკად, რომლიდანაც უცნობი ავტორის თქმით მასალას „აწმყოფილად" გადმოსცემს[16].

ფარსმან ბაკურის ძის მეფობას ჩვენ დაახლ. 512—528/29 წწ. ვდებთ. 528/29 წლებიდან კი უნდა გამეფებულიყო ფარსმან ბაკურის ძის ძმისშვილი, აგრეთვე ფარსმანი, რომელიც, ბიზანტიურ წყაროებში ძაძანარძი-ზამანაზის სახელით მოიხსენიება. მისი გამეფების ზუსტ თარიღთან დაკავშირებით გარკვეულ ორიენტირად გვევლინება იოანე მალალას შემდეგი ცნობა: „ამ ხანებში მეფობდა ღმრთისებრივი იუსტინიანე, ხოლო სპარსთა მეფე იყო კოადი დარაბთენე, ძე პეროზისა, რომში კი ალარიხი, გალემერიაკეს შთამომავალი, აფრიკის მეფე იყო გილდერიხი, გინზერიხის შთამომავალი, ავქ-უმიტ-ინდების მეფე კი იყო ანდალი, რომელიც ქრისტიანი იყო, ხოლო იბერებისა — ზამანაზი"[17]. იგივე პიროვნება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეოფანესთან „ძამანარძის", ხოლო კედრენესთან „ძაბანარძის" სახელით მოიხსენიება.

იუსტინიანე გამეფდა 527 წ., ირანის შაჰი კავადი გარდაიცვალა 531 წ., ხოლო ჰილდერიხი აფრიკაში მეფობდა 523—539 წწ. ივიკი საყრდენებით ხელმძღვანელობს ს. გოილაძე, და ფარსმან (ძამანარძის) მეფობის დასაწყისად დაახლ. 526/27 წწ. მიიჩნევს. როგორც ვხედავთ, პრინციპული განხვავება ჩვენს შორის აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით არაა. საამისოდ საფუძვლიანად ვანხვავდება ჩვენი თვალსაზრისები ფარსმან (ძამანარძის) მეფობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. ს. გოილაძის თვალსაზრისით, ფარსმან VI-ის მეფობა 536 წ. უნდა დასრულებულიყო, სოლო მისი ძე ბაკური კი ირანის შაჰს თანა შეეპყრო 537 წ. (ამ შემთხვევაში სებეოსთან მოხსენიებულ „ეგერთა მეფეს"[18] ის ქართლია მიეღება მიიჩნევს და ცნობას მისი შეპყრობის შესახებ ქართლში ხოსრო ანუშირვან-ს მიერ მეფობის გაუქმების ფაქტს უკავშირებს)[19]. ამდენად, ს. გოილაძე ქართლში მეფობის გაუქმების თარიღად 537 წ. თელის, აშკარაა ს. გოილაძისათვის ისევე როგორც სხვა მკვლევართათვის, ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა", რომელიც ალებულია ქართლში მეფობის გაუქმების ზედა ზღვრად. ფორმულირება შემდეგია: როგორც ეს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან" აშკარაა, ქართლში მეფობის გაუქმება არ შეიძლება მომხდარიყო 540/41 წლებზე უფრო გვიან. ახლა სპეციალურად შევეხებით „ევსტათი მცხეთელის მარტვილობას" და შევეცდებით მისი მონაცემების ადეკვატურად ზემოაღნიშნული დებულების უარყოფას.

„მარტვილობაში" აღნიშნულია, რომ: „წელსა მეათესა ხვასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზპანობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსელითა"[20]. როგორც ვხედავთ, მთავარ ქრონოლოგიურ საყრდენად ტექსტში დასახელებულია ირანის შაჰის ხოსროს მმართველობის მეათე წელი. ვინაიდან ჩვენს ისტორიოგრაფიაში ზემოდასახელებული ხოსრო გაიგივებულია ირანის შაჰ კავადის ძე ხოსრო ანუშირვანთან (531—579 წწ.), ამდენად, ევსტათეს

16 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გ. აბულაძის რედაქციით, წ. I, 1963; გვ. 95.

17 იოანე მალალა, გვ.

18 История епископа Себеоса [перевод С. Т. Малх сани], гл. 30, с.

19 ს. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 151—157.

20 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 30.

ქართლში მოსვლის თარიღად მიჩნეულია 541/542 წწ. (ამ ბოლო ხანებში აღნიშნულ საკითხს სპეციალურად შეეხო მ. ჩხარტიშვილი. მისი თვალსაზრისით ევსტათეს მცხეთაში მოსვლის თარიღად 601 წელია მისაჩნევი. საკუთრივ ევსტათეს წამებას კი ის 613—17 წლებზე დებს. მძლავრი არგუმენტი ამ გადათარიღებისათვის არის ერთ-ერთი სომხური აგიოგრაფიული თხზულების ცნობა იმის შესახებ, რომ ხოსრო ანუშირვანის დროს ქართლის მარზპანი იყო ხოსრო ფარავნის მეფობაში. იმ დროს, როდესაც სირიული წყაროების მონაცემებით, ხოსრო ანუშირვანის დროს ქართლის მარზპნებად დასახელებულნი არიან ფირანი და ბიქრა, მაგრამ არა არევანდი)[21], რაც შეეხება მეორე ქრონოლოგიურ საყრდენად ქართლის მარზპანის არევანდ გუშნაპის მოხსენიებას, ამ ინფორმაციაში, ჩვენის აზრით, მაინდამაინც უჩვეულო არაფერია, როგორც ცნობილია, გუშნაპიები მემკვიდრეობით ფლობდნენ მარზპნის სახელოს და 520-იან წლებში ირანში გატარებული სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად, განაგებდნენ ჩრდილოეთის კუსტოდიას (რეზიდენცია ბარდავში) და მათი, როგორც მარზპანების დაქვემდებარებაში იყო ქართლი. მთავარი ამ შემთხვევაში სხვა საკითხია: გაუქმებულია თუ არა ამ დროს ქართლში მეფობა და ადგილი გუშნაპის რეზიდენცია — თბილისში, თუ ბარდავში. რაც შეეხება თხზულების დასაწყისში ამგვარივე ქრონოლოგიურ საყრდენად ქართლის მეფის მოუხსენებლობის ფაქტს, ჩვენ ვიცით ანალოგიური შემთხვევა „შუშანიკის წამებაში“ ქართლის მეფის მოუხსენებლობის, მაგრამ ამით ვახტანგ გორგასლის მეფობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევსტათეს წამების მომენტისთვის ქართლში მეფობა უკვე გაუქმებულია, ასე რომ ქრონოლოგიურ საყრდენად მოხსენიება მეფისა, რომელიც, მართალია, ევსტათეს ქართლში წოსვლის დროს მმართველობდა, მაგრამ ბევრი წამების მომენტისათვის გარდაცვლილია და საერთოდ, თვით მეფობის ინსტიტუტიც კი გაუქმებულია, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. ირანის შაჰი ხოსრო და ქართლის მარზპანი გუშნაპი კი პრიქით, მყარ ქრონოლოგიურ საყრდენს ქმნიდნენ.

გავყვეთ ძოვლენათა მიმდევრობას. ევსტათე ქართლში გახმაურდან მოდის ხოსრო ანუშირვანის მმართველობის მეათე წელს. ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია აღნიშნულია, რომ ის ჯერ კიდევ გახმაურში იყო გაქრისტიანებული. შესაბამისად, ის განძაკიდან მოდის ქართლში თავშესაფრის საძიებლად, ხოსრო ანუშირვანის მიერ ბიზანტიასთან ომის დაწყების წინ ირანში გაჩაღებული ანტიქრისტიანული კომპანიის გამო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართლში ამ დროს მეფობა გაუქმებული იყო, თბილისში მარზპანი იჯდა და ქართლი ირანულ პროვინციად იყო ქცეული, ევსტათეს მხრივ ირანული ხელისუფლებისგან თავდაცვის მიზნით ქართლში მოსვლა უცნაურად შეიძლება ჩაითვალოს. სულ სხვანაირად იქნება საქმე, თუ მივიჩნევთ, რომ ევსტათეს ქართლში მოსვლის ჟამს ქართლში ჯერ მეფობა გაუქმებული არ იყო და, შესაბამისად, ქრისტიანი ირანელისთვის ის უსაფრთხო ქვეყნად ითვლებოდა. „მარტვილობის“ ცნობით ევსტათე მცხეთაში რომ მოსულა, მას მეზობლობა შეუწყალებია. შემდეგ კი ცოლი მოუყვანია, ერთი სიტყვით, დასახლებულა. სრულიად უცხო ქვეყანაში მოსულ კაცს ხელობის დაუფლებაზე, ენის შესწავლაზე და იმ მი-

21 მ. ჩხარტიშვილი, მარტვილობა და მოთხრობება წმინდისა და ნეტარისა ევსტათი მცხეთელისა; ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა სერაპიონ ზარზმელისა, 1995, გვ. 35.

ნიმალური ქონების დაგროვებაზე, რომ პატარა სახლი შეეძინა, რათა ოჯახს მოჰკიდებოდა, სულ მცირე 2—3 წელი მაინც დასჭირდებოდა. გარდა ამისა, თხზულებიდან ვგებულობთ, რომ მარზპან ბუზმირს მისთვის ურჩევია: „შვილო ჩემო ევსტათი, ისმინე ჩემი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხოვრებისა შენისათა ქრისტიანებისათვის და ნუ ჭურიე სუამ ცოლსა შენსა და ობოლ შვილთა შენთა“[22]. აქედან ვგებულობთ, რომ ევსტათეს მისი შეპყრობის დროისთვის არა მარტო ცოლი, არამედ შვილებიც ჰყოლია, თანაც არა მხოლოდ ერთი. შესაბამისად, მას ქართლში საკმაოდ ხანგრძლივად უცხოვრია (სულ ცოტა ათი-თხუთმეტი წელი). მაშ რატომ არ შეიპყრეს ის მანამდე?

თხზულებაში მისი შეპყრობის საბაბად დასახელებულია ირანული წარმოშობის მცხეთელ მეჯადაგეთა და მეხამლეთა ტოზიკობა, რაზეც ისიც, როგორც ირანელი, მოუწვევიათ, მას კი ქრისტიანობა მოუმიზეზებია და მაზდეანურ ღვესასწაულზე არ მისულა. ევსტათეს დაახლოებით ათი-თხუთმეტწლიანი (თუ მეტი არა) მცხეთაში ცხოვრების პერიოდში განა ეს მცხეთელ მაზდეანთა პირველი ტოზიკობა იქნებოდა, რომელსაც ევსტათე არ დაესწრო? მას ხომ ცოლიც ქრისტიანი ჰყავდა მოყვანილი და, ე. ი. ჯვრისწერაც საჯაროდ ეკლესიაში ჰქონდა ჩატარებული. რატომ იმთავითვე არ დაასმინეს ევსტათე ციხისთავისა და მარზპანის წინაშე? განა რა მოხდა ქართლში ისეთი ევსტათეს მოსვლიდან დაახლოებით თხუთმეტი წლის შემდეგ, რომ ამან მის ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა?

ჩვენის აზრით, პასუხი ამაზე ერთია: 541/2 წლისთვის ირანელი ქრისტიანი ევსტათე ირანში ქრისტიანთა დევნის დაწყებისთანავე მისთვის უშიშარ ქვეყანაში — ქართლის სამეფოში მოვიდა. ამ დროს ქართლში მეფის ხელისუფლება არ იყო ჯერ ირანის მიერ გაუქმებული, შესაბამისად, ქართლი თავის ავტონომიურ გამგებლობას ინარჩუნებდა, განსკუთრებით რელიგიის საკითხში. ამდენად, ირანიდან გადმოხვეწილი დევნილი ქრისტიანები აქ ქართლის მეფის ხელისუფლების ქვეშ დაცულად გრძნობდნენ თავს.

ვითარება მკვეთრად იცვლება, ჩვენის აზრით, 550-წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ხოსრო ანუშირვანი სარგებლობს ქართლში შექმნილი ვითარებით (ბაკურ ფარსმანის ძის ახალგაზრდა ასაკში გარდაცვალებით, რის გამოც, როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს, მას დარჩა მცირეწლოვანი შვილები „რომლებიც ვერ იპყრობდნენ მეფობას“) და ბიზანტიასთან ომის დამთავრებით (როგორც ცნობილია, ირანსა და ბიზანტიას შორის საომარი მოქმედებები 558 წლის შემდეგ აღარ განახლებულა და დროებითი დაზავება 562 წ. დადებული საზავო ხელშეკრულებით განმტკიცდა) და ქართლში მეფობას აუქმებს. ჩვენი აზრით, იმის გარდა, რომ საკითხის ასეთი გააზრება თავისთავში წინააღმდეგობას არ შეიცავს და კარგად ხსნის მოვლენათა თანმიმდევრობას, ის თავ-თავის ადგილზე აყენებს ქართული და ბიზანტიური წყაროების მონაცემებს ფარსმან-ძაძანარძეს მეფობისა და ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ფარსმან VI-ის (ძაძანარძის) მეფობის ხანას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ის ტახტზე დაახლ. 528/29 წწ. უნდა ასულიყო (შესაძლებელია, ცოტა ადრეც). მის მეფობასთან დაკავშირებით გვაქვს რამდენიმე საყრდენი.

---

[22] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 43.

1. თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, 535 წ. ის მეუღლითურთ ჩასულა კონსტანტინოპოლში, სადაც დიდი პატივით მიუღია იუსტინიანეს. იუსტინიანესა და ფარსმანს (ძამანარძეს)) შორის დადებულა სამეგობრო ხელშეკრულება, რის შემდეგაც ფარსმანი დასაჩუქრებული გამოუშვიათ თავის ქვეყანაში[23].

„ქართლის ცხოვრება" არაფერს გვამცნობს ფარსმანის კონსტანტინოპოლში სტუმრობის შესახებ, მაგრამ ცხვაშხრივ ეხმიანება აღნიშნულ მოვლენას. მოქმატიანის ცნობით, ფარსმანის მეფობაში ქართლის ეკლესიას მოუპოვებია მნიშვნელოვანი პრივილეგია: „და მოკვდა კათალიკოსი ჩერმაგ და ამანვე ფარსმან დაუდგა საბა. აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს წრჩინებულთა ნათესავნი"[24]. სხვათა შორის, ამავე ადგილას არსებულ ჩანართში ვკითხულობთ: „ხოლო ითხოვეს იუსტინიანესაგან ქართველთა, რათა დასხდებოდნენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველთანი, რამეთუ მოვიდოდენ კათალიკოსნი საბერძნეთით. ხოლო იუსტინიანემ დაწერა წიგნი და დააბეჭდა თვისითა ბეჭდითა ესრეთ, რათა დასხდებოდნენ კათალიკოსად ნათესავნი ქართველთანი და აჭუნდეს უალრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღდელ-მთავართა ზედა"[25]. ჩვენ ვთვლით, რომ ეს მნიშვნელოვანი პრივილეგია, რომლითაც დასრულდა ფაქტობრივად ქართული ეკლესიის ავტოქეფალურ ეკლესიად ფორმირების პროცესი, ფარსმანის მიერ სწორედ კონსტანტინეპოლში სტუმრობის დროს იქნა მოპოვებული.

2. მეორე საყრდენი ფარსმანის მეფობასთან დაკავშირებით არის შიო მღვიმელის ცხოვრებაში დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც „ჟამსა მას ოდეს თვითმპყრობელი იუსტინიანოს მეფე ბერძენთაი ჰბრძოდა კერძოთ ოვსეთისასა, საზღვარსა ავაზგიასასა, ნათესავსა ტასკუნთასა. რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოუძღვნა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარსმანმა ქართველთა მეფესა და ევედრა, რათა შეეწიროს მხედრობასა მისსა ყოვლითა ძალითა თვისითა, და ბრძოლა უყოს ტასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრებაი ბერძენთა მეფისა და დაუტევა ევაგრე მცველ სამეფოისა თვისისა. ხოლო უკუე თვით წარვიდა და შეწევნითა ღმრთისაითა დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთაი და მთავარნი მათნი ყოველნი შეპყრობილხი წარავლინა წინაშე იოსტინიანესსა. მერმე მოიქცა თვისადვე სამეუფოდ[26]. გაზიხილავს რა აღნიშნულ ცნობას ვ. გოილაძე თვლის, რომ ეს ლაშქრობა ფარსმანს 536 წლამდე უნდა ეწარმოებინა[27]. ამოსავალი ამ შემთხვევაში მისთვის ისევ „ევსტათე მცხეთელის მარტვილობაა", ანუ ის, რომ მისთვის 540 წლიდან ქართლში მეფობის გაუქმების ფაქტი ეჭვს გარეშეა. როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, 541/42 წწ. ევსტათეს მოსვლა ქართლში აქ უმეფობის ხანას სულაც არ უნდა გულისხმობდეს, არამედ პირიქით, გარდა ამისა, VI ს-ის 30-იან წლებში ბიზანტიას არ უწარმოებია არც ერთი საბრძოლო მოქმედება კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ამავე საუკუნის 50-იან წლებში ის მნიშვნელოვან საომარ ოპერაციებს აწარმოებს აბაზგების, აფსილების (550 წ) დამისიმიელების (555 წ) წინააღმდეგ. სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე და შიო მღვიმელის ცხოვ-

---

23 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 77.

24 ქართლის ცხოვრება, გვ. 207.

25 იქვე, გვ. 207.

26 ცხოვრება შიოსი და ევაგრესი. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, 1955; გვ 108–109.

27 ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 151.

რებაში" დაცული ცნობის საფუძველზე მიდის ს. ყაუხჩიშვილი იმ დასკვნამდე, რომ ფარსმან VI-ს მონაწილეობა უნდა მიეღო 550 წ. ბიზანტიის კეისრის იუსტინიანეს მიერ აბაზგების წინააღმდეგ გამართულ მსხვილ საომარ კომპანიაში[28]. მართლაც, როგორც ბიზანტიური წყაროები გვამცნობენ, 550 წ. ადგილი ჰქონდა აბაზგების მძლავრ აჯანყებას. მათ წინააღმდეგ ბიზანტიელები ტრაქეას ჩრდილოეთით, ზღვიდან გადასხამენ ლაშქარს. აბაზგებს, როგორც ჩანს, მათი მეზობელი ტომებიც ეხმარებოდნენ. სწორედ აჯანყებული აბაზგების ზურგში საომარი ოპერაციების საწარმოებლად და მათი მოკავშირე ტომების უვნებელსაყოფად უნდა მოეწოდებია იუსტინიანეს ფარსმანისთვის. ფარსმანის ასეთი დაუფარავი პრობიზანტიური პოლიტიკა ირანსა და ბიზანტიას შორის მიმდინარე ომის ფონზე, რა თქმა უნდა, ხოსრო ანუშირვანის გაღიზიანებას გამოიწვევდა, მაგრამ ბიზანტიის წინააღმდეგ ლაზეთში წარმოებული მძიმე ომების ფონზე, ქართლში აქტიური საომარი მოქმედებების დაწყება, აქ ძეფობის გაუქმება, რასაც უცილობლად მოჰყვებოდა ქართლის აჯანყება, ირანს მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნიდა. ამდენად, ამჯერად ქართლის მეფის წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღება ირანის შაჰს, როგორც ჩანს, ხელსაყრელად არ მიუჩნევია და მასთან ანგარიშსწორება სამომავლოდ გადაუდია. 550 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში აღნიშნული ლაშქრობის შემდეგ, ჩვენის აზრით, ფარსმანს ხანგრძლივად ალარ უნდა ეძეფა და, ალბათ, დაახლ. 553/54 წწ. უნდა გარდაცვლილიყო. შესაბამისად, ამავე პერიოდში იწყებს მეფობას მისი ვაჟი ბაკური, ბაკურის მეფობა ხანმოკლე უნდა ყოფილიყო და ის ახალგაზრდა უნდა გარდაცვლილიყო. ამაზე ჩვენ ორი ფაქტი მიგვითითებს: 1. „ქართლის ცხოვრებამ", ფაქტობრივად, არაფერი იცის ბაკურის მეფობაში მომხდარი ფაქტების შესახებ. ვარსქენის და შუშანიკის ამბავი, მისი მეფობის ამსახველ ტექსტში, როგორც ცნობილია, შეცდომითაა ჩართული. 2. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ბაკურს დარჩა მცირეწლოვანი შვილები, რომლებიც ვერ იპყრობდნენ მეფობას. ეს ინფორმაციაც უთუოდ მეტყველებს იმაზე რომ ის ფრიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ძწორედ ბაკურის გარდაცვალებით, მისი შვილების მცირეწლოვანებით და ბიზანტიასთან ომის დასრულებით უნდა ესარგებლა ირანის შაჰს, ხოსრო ანუშირვანს და ქართლში მეფობა გაეუქმებია. ჩვენის აზრით, ამ აქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 557—62 წწ. ამავე პერიოდში უნდა მომხდარიყო ევსტათეს პირველი შეპყრობა, ხოლო რამდენიმე წელიწადში კი მისი წამება. მთელი ჩვენი ზემოთმოყვანილი მსჯელობა კიდევ რამდენიმე არგუმენტით გვინდა გავამაგროთ.

1. ქართლში მეფობის გაუქმებასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრება" შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის: „მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ მისცა ძესა თვისსა რანი და მოვაკანი, რომელსაც ერქვა ქასრე ამბარვეზი. მოვიდა და დაჯდა ბარდავს, და უწყო ზრახვად ერისთავთ ქართლისათა: ალუთჭუა კეთილი დიდი და დაუწესა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი და თვისთვისად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა"[29]. ურმიზდის, ანუ ჰორმიზდ IV-ის მეფობასთან ბაკურის მეფობის დაკავშირება „შუშანიკის წამების" ბაკურის მეფობასთან მცდარი დაკავშირებიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც შეეხება ირანელი

[28] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა IV, 1941, გვ. 83—84.

[29] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 217.

უფლისწულის (ალბათ, ჰორმიზდის) რანში მოსვლას და უფლისწულობის პერიოდში ქართლში მეფობის გაუქმებაში მის აქტიურ მონაწილეობას, ეს იმდენად სარწმუნოდაა აღწერილი, რომ ძნელია ამაში ეჭვის შეტანა. 40-იანი წლების დასაწყისში კი არა თუ ხოსრო ფარვიზი, არამედ მისი მამაც — ჰორმიზდი, ისეთ ასაკში ვერ იქნებოდა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე მონაწილეობა მიეღო.

2. „ქართლის ცხოვრება“ უმეფობის ხანას ქართლში ხანგრძლივ პერიოდად არ მიიჩნევს. მეფობის გაუქმების შესახებ ამბების თხრობის შემდეგ ის აღნიშნავს: „შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა იქმნენ შფოთნი დიდნი სპარსთა შინა... მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქვემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს რათა უჩინოს მეფე“[93]. მართლაც გურგენ კლარჯთა ერისმთავრის მეთაურობით ქართველთა აჯანყება, როგორც ცნობილია, იწყება 571 წ. შესაბამისად პერიოდს რომლის დროსაც ქართლში მეფობა გაუქმებული იყო — 562—571 წწ.-ხანგრძლივს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

3. საბოლოოდ გვინდა შევეხოთ „ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში“ დასახელებული ქართლის კათალიკოსის, სამეულის საკითხს, კათალიკოს სამუელ I-ის შემდეგ, რომელიც ფარსმან ბაკურის ძის მეფობის დასაწყისშივე უნდა გარდაცვლილიყო (რადგან ფარსმან ბაკურის ძის მეფობაში კიდევ გარდაიცვალა თავფეჩაგი და დაჯდა კათალიკოსად ჩერმაგი), VI-ს-ის 60—70-იან წლებამდე ჩვენ არ გვხვდება არც ერთი კათალიკოსი, რომელიც სამუელის სახელს ატარებდეს. 60—70-იან წლებში კი ორი სამუელი მოსდევს ერთმანეთს ქართლის საკათალიკოსო ტახტზე. „ქართლის ცხოვრებაში“ გურგენ-გუარამის ერისმთავრობის ხანის აღწერიდან ვგებულობთ, რომ „მოკუდა კათალიკოსი სვიმონ და დაჯდა სამოელ და მოკუდა კათალიკოსი სამოელ და დასვეს სამოელიცე“. გურგენი („ქართლის ცხოვრების“ გუარამი) კი ქართლის აჯანყებას 571 წლიდან უდგას სათავეში. ჩვენის აზრით, „ქართლის ცხოვრება“ აქ მცირე უზუსტობას უშვებს, როცა თვლის, რომ კათალიკოს სვიმონის გარდაცვალება და შესაბამისად, სამუელ II-ის კათალიკოსად კურთხევა გურგენის ერისმთავრობის ხანაში მოხდა. სამუელი კათალიკოსია გურგენის დროს, მაგრამ ის კათალიკოსად უფრო ადრე, 60-იან წლებში (როგორც ჩანს, 60-იანი წლების დასაწყისში) ხდება. სხვათა შორის, არც მემატიანეა ამ შემთხვევაში კატეგორიული. რას ვგულისხმობთ ამაში? თუ ჩვენ მეფე დაჩიდან ერისმთავარ ადარნასეს ჩათვლით „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს გადავხედავთ, თვალში გვეცემა ერთი კანონზომიერება. დაჩიდან მოყოლებული ფარსმან VI-მდე კათალიკოსები, ასე ვთქვათ, თვითონ ჯდებიან, მაგ. „მოკუდა პეტრე კათალიკოსი და დაჯდა სამუელ“, ან „მოკუდა კათალიკოსი სამუელ და დაჯდა კათალიკოსად თავფეჩაგ და მოკუდა თავფეჩაგ და დაჯდა კათალიკოსად ჩერმაგ“. მიზეზი გასაგებია — ამ დროს ჯერ ქართლის ეკლესიას არ ჰქონდა მოპოვებული უფლება საკუთარი კათალიკოსის დასმისა. ვითარება იცვლება ფარსმან VI-ის მეფობის ხანიდან. ამის შემდეგ მემატიანე ყოველთვის აღნიშნავს: „მოკუდა კათალიკოსი ჩერმაგ და ამანვე ფარსმან მეფემან დასუა საბა“, ან მოკუდა კათალიკოსი საბა და მანვე მეფემან დასუა კათალიკოსად ეულათი“, ან „მოკუდა სამოელ კათალიკოსი და ამანვე სტეფანოზ დასუა ბართლომე

[93] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 217.

კათალიკოსად"; ან „მოკვდა კათალიკოსი ბართლომე და ამან აღარნასემ დაჯდა კათალიკოსად იოანე". გამონაკლისი მხოლოდ გურგენ-გუარამის ერისმთავრობის ხანაა. მის დროს ვკითხულობთ: „მოკუდა კათალიკოსი სვიმონ და დაჯდა სამოელ და მოკვდა კათალიკოსი სამოელ და დასუეს სამოელივე". ამდენად, მემატიან სამუელ II — ის კათალიკოსობას გუარამის ერისმთავრობის ხანაზე კი დებს, მაგრამ მტკიცედ არაა დარწმუნებული გუარამმა დასვა თუ კათალიკოსად, თუ არა. ჩვენს ვარაუდს, რომ სამეულ II-ს საკათალიკოსო ტახტი გურგენ-გუარამის გაერისმთავრებამდე, ანუ 60-იან წლებში (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მისი კათალიკოსობის დასაწყის თარიღად 558—62 წწ. მივიჩნევთ, როცა უნდა გაუქმებულიყო ქართლში მეფობა და როდესაც მოხდა ევსტათე მცხეთელის პირველი შეპყრობა) უნდა დაეკავებინა, უშუალოდ ეხმიანება „მოქცევაი ქართლისას" ცნობა, რომლიდანაც ვგებულობთ: „და შემდგომად მისა მეფობდა ბაკურ... და მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაი ქართლისაი. მაშინ მცხეთაი ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდა და კალაი განდიდდებოდა. სპარსნი უფლობდეს ქართლს და სომხითს და სივნიეთს და გუასპურაგანს. და კათალიკოსი იყო სამოველ და ნელადვე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისმთავრად გუარამი და მერმე კურაპალატადცა"[31].

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. 523 წ. აჯანყების ხელმძღვანელი გურგენი არ იყო ქართლის მეფე, არამედ იყო მირდატიანთა სამთავროს მთავარი, შესაძლოა მირდატის ძე.

2. გურგენის აჯანყება მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს, ლაზიკის გამგებელთან წათესთან შეთანხმებით და მიზნად ისახავდა აღნიშნული რეგიონების, როგორც ირანის, ისე ქართლის მეფის დაქვემდებარებიდან გამოსვლას. ამდენად, ქართლში არც 523 წ. და არც 532 წ. ირან-ბიზანტიის ზავით მეფობა არ გაუქმებულა.

3. შესაბამისად, „ქართლის ცხოვრების" მონაცემები დაჩის შემდგომ ბაკურის, ფარსმან ბაკურის ძის, ფარსმან „სხვაის" და ბაკურის მეფობის შესახებ სანდოა, ისევე როგორც სანდოა მატიანეში მოცემული მათი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

4. ევსტათე მცხეთელის მარტვილობას ადგილი ჰქონდა ქართლში უმეფობის ხანაში, მაგრამ ევსტათეს ქართლში მოსვლისას ქართლში მეფობა გაუქმებული არ იყო და აქ ფარსმან VI მეფობდა. ევსტათე ქართლში ხანგრძლივად ცხოვრობს. მისი შეპყრობა და წამება კი პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრ ცვლილებას, ანუ ქართლში მეფობის გაუქმების ფაქტს უკავშირდება, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ირან-ბიზანტიას შორის ომის დამთავრებისა და ზავის დადების პერიოდში, ანუ 558—62 წწ. ყველაზე მძლავრი არგუმენტი ამ მოვლენის დათარიღებისათვის არის „მოქცევაი ქართლისას" ინფორმაცია ქართლში უმეფობის პერიოდში სამუელის (სამუელ II) კათალიკოსობის შესახებ, სამეული კი, ერთი მხრივ, უფროსი თანამედროვეა გურგენ-გუარამ ერისმთავრისა და, მეორე მხრივ, თანამედროვეა ევსტათე მცხეთელის მარტვილობისა.

---

31 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები გვ. 95.

М. В. САНАДЗЕ

КАРТЛИЙСКОЕ ЦАРСТВО В VI В.

(Вопросы политической истории)

Резюме

В грузинской историографии датой упразднения иранским шахом Кавадом царства в Картли традиционно считается 523 г., т. е. год восстания против Ирана картлийского правителя Гургена, который, опираясь на сведения византийского историка Прокопия Кесарийского, был признан царем Картли.

В последнее время В. Гоциладзе в своих работах высказал мнение, что Гурген, восставший против Ирана 523 г., не являлся царем Картли, а был представителем младшей ветви Фарнавазидов, потомком Мирдата, младшего сына Вахтанга Горгасала, правителем юго-западной провинции (четырех эриставств) картлийского царства. Нами приведена добавочная аргументация, подтверждающая это мнение.

Восстание Гургена происходило совместно с правителем Зап. Грузии, Лазики — Цате и имело целью вывод подвластных им областей из под власти Ирана, а также картлийского царя Фарсмана. Т. о. в самом Картлийском государстве царство не было упразднены ни в 523 г., ни позже по мирному договору между Ираном и Византией 532 г.

Сопоставление данных грузинских и византийских источников приводят к мнению, что в I-ой половине VI в. Картлийским государством правили цари. В этом свете большее доверие заслуживают сведения «Картлис цховреба» и «Мокцеван Картлиса», которые повествуют о царствовании после Дачи (сына Вахтанга), Бакура, Фарсмана, «другого» Фарсмана и Бакура. Упразднение же царства в Картли, по нашему мнению, имело место в конце 50-их и в начале 60-их годов и являлось следствием окончания ирано-византийской войны и усилением иранского гнета в восточном Закавказье, остававшегося под игом Ирана по мирному договору 562 г.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა.

ნიკო ხუციშვილი

საჯვარისმამო საკუთრება თბილისში XVII ს-ის მეორე ნახევრიდან XIX ს-ის დასაწყისამდე

(საქართველო-პალესტინის ურთიერთობის ამსახველი ისტორიული დოკუმენტების მიხედვით)

საზღვარგარეთის ქართული ეკლესია-მონასტრების შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, სხვადასხვა პირთა მიერ ნაგალებული შეწირულებების გარდა, იყო ის მეტ-ნაკლებად რეგულარული გადასახადები, რომელიც იკრიბებოდა ამ მონასტრების კუთვნილი მამულებიდან, თუ სხვა სახის საკუთრებიდან. მონასტრებს საკუთარი მიწები ჰქონდათ როგორც მათი მდებარეობის ადგილას, ასევე საქართველოში. ბუნებრივია, რომ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერს ამ მხრივ ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, რადგან ჯვარი „მესვეურობდა ქართველთა კოლონიის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებას. ჯვარს მუდმივი კავშირი ჰქონდა მოწინავე ქრისტიანულ ქვეყნებთან, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ იერუსალიმში... ჯვრის მონასტრის ეკონომიკურ თუ უფლებრივ მდგომარეობაზე ზრუნავდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული პროგრამის ნაწილი იყო. ამით აიხსნება ძლიერი ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა, რომელიც მას ჰქონდა საქართველოდან“[1]. ჯვრის მონასტრის კუთვნილი ადგილები, საჯვარისმამო მამულები, საქართველოს ბევრ კუთხეში იყო და, როგორც ჩანს, თავის დროზე, მდიდარი შემოსავლის წყაროც უნდა ყოფილიყო[2].

საქართველოში მდებარე ჯვრის მონასტრის საკუთრების შესახებ მდიდარ ინფორმაციას იძლევა საქართველო-პალესტინის ურთიერთობის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები, დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტსა და საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. ეს მასალა საშუალებას გვაძლევს შევაგსოთ და დავაზუსტოთ ამ მამულები სია, უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მათი ისტორია და როლი ჯვრის მონასტრის ეკონომიკურ ცხოვრებაში[3].

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართველთა კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 155.

[2] იცხაკ დავიდი თავის „ნაწერებში“ ასახელებს ვინმე იბნ ფადალ-ლაჰ ალამრის, რომელსაც იერუსალიმი მოუნახულებია 1347 წელს და ქართველ ბერებთან უსაუბრია: „ბერებმა მიამბეს, რომ მათ საშობლოში აქვთ მონასტრის კუთვნილი ქონება-მამულები... იქ მონასტრისათვის შეუწირავთ ცხენები და კეცების გაყიდვით მიღებული შემოსავალი ეგზავნებათ ბერებს. თანხაც ფრიად დიდია“. იცხაკ დავიდი, ნაწერები, თელ-ავივი-იერუსალიმი, 1976, გვ. 295.

[3] ამ საკითხზე მუშაობა დავიწყეთ 1991 წელს, როდესაც ხელნაწერთა ინსტიტუტში მოქმედმა საქართველო-პალესტინის ურთიერთობის ისტორიის შემსწავლელმა ჯგუფმა (ხელმძღვანელი ე. მეტრეველი) დაიწყო აღნიშნული დოკუმენტების კომპიუტერული დამუშავება. დოკუმენტებს იძიებდა და ამზადებდა ნ. მშვიდობაძე, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფა და მასალის შეტანა-დამუშავება გვევალებოდა ზ. პოლიექტოვა-ნიკოლაძესა და ჩვენ. დოკუმენტების კომპიუტერში შესატანად მოვამზადეთ მონაცემთა ბაზა ჩვენი კონკრეტული ამოცანი-

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯვრის მონასტერს საკუთარი ადგილები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჰქონდა. ამჯერად შევჩერდებით თბილისის საჯვარისპავო საკუთრებაზე. ამ თემასთან დაკავშირებული მასალის ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროის მეცნიერულ პუბლიკაციებში. ჩვენი მიზანია ერთ მთლიანობაში წარმოვადგინოთ ეს ინფორმაცია და შეძლებისდაგვარად, შევავსოთ ამ საკუთრებათა ისტორიის ცალკეული დეტალები დამუშავებული დოკუმენტებიდან ამოკრეფილი ცნობებით. ეს დოკუმენტები ქრონოლოგიურად შემოსაზღვრულია XVII ს-ის II ნახევრითა და XIX ს-ის დასაწყისით.

მოკლედ შევეხებით იმას, თუ როგორი იყო ჯვრის მონასტრის უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა აღნიშნული პერიოდისათვის. XVII ს-ის მეორე ნახევრიდან, ჯვარისმამა ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის დასრულების შემდეგ, ქართველთა მდგომარეობა ჯვრის მონასტერში კიდევ უფრო დამძიმდა. საქართველოს გართულებული პოლიტიკური მდგომარეობა მძლავრი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ჯვრის მონასტრის ალორძინების გზაზე. იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოსის წერილები ქართველი მეფეებისა და სასულიერო პირებისადმი ნათლად წარმოაჩენენ ამ მძიმე ვითარებას. ქართველები ვერაფრით ახერხებდნენ უზარმაზარი ვალების დაფარვას. ხოლო, თუ რომელიმე მოღვაწე საქართველოში მოახერხებდა ფულის შეგროვებას, ეს თანხაც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ჩადიოდა დანიშნულების ადგილამდე, ან სათანადოდ არ ხმარდებოდა ვალების გასტუმრების საქმეს. ქართული მონასტრები ნელ-ნელა ბერძენთა საპატრიარქოს ხელში გადადიოდა. როდესაც ერთხელ გაბაშვილმა იმოგზაურა იერუსალიმში (1757—1758 წწ.), მას ქართველთა სავანეები სხვათაგან მიტაცებული დახვედრია, ქართული ელემენტი კი იქ ძალზე შესუსტებული იყო. XIX ს-ის პირველი ეთხედისათვის ჯვრის მონასტერში არც ერთი ქართველი მოღვაწე აღარ ცხოვრობდა[4].

თბილისის საჯვარისმამო საკუთრების მიმოხილვისას პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჯვრი მონასტრის მეტოქი, ანუ მისი ნაცვალი საქართველოში, ჯვარისმამის ეკლესია[5]. ასე უწოდებდნენ ამ ეკლესიას, რადგან იქ იჯდა ჯვრის

დან გამომდინარე. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მასალის კომპიუტერულმა დამუშავებამ საშუალება მოგვცა ერთ საძიებო კატალოგში გაგვეერთიანებინა დოკუმენტებში შემავალი ჩვენთვის საჭირო მთელი ინფორმაცია (ეს გულისხმობს თითოეული საბუთისათვის 13 პარამეტრს). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაადვილებულია საძიებო სამუშაოების ჩატარება, მასალის დახასიათება და სხვადასხვა კომბინაციებით წარმოდგენა. ასეთი სახით დამუშავებული მასალა, რა თქმა უნდა, ინფორმაციის მასივის ზრდასთან ერთად უფრო მეტად ფასეული ხდება.

[4] ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი ე. მეტრეველისა, თბ., 1956; ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 122—129; А. Цагарели. Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, Палестинский Сборник. СПБ., 1888 გვ. 77—88.

[5] ტერმინი „მეტოქი" (ბერძნ. μετοχή) აღნიშნავს სხვა მონასტერზე მიწერილ მომცრო მონასტერს, საზღვარმარეთ მდებარე მონასტრის ბინას ან ბაზას სხვაგან. ალ. ცაგარელს თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში აღწერილი აქვს ჯვრის მონასტრის ორი ხელნაწერი, XI—XII საუკუნეების თვენი და XIII—XIV საუკუნეების ზატიკი, რომელთაც აქვთ გვიანდელი, XIV—XVI საუკუნეების მინაწერი, სადაც თვითონ ჯვრის მონასტერია დასახელებული აღდგომის ეკლესიის მეტოქად. „და თუ რომ ქართველნი აღარ იყუნენ აღდგომას, მერმე მეტოქს (ჯვრის მონასტერს) დაიდვას..." — ნათქვამია იქ.

მამა, რომელსაც ნიშნავდნენ საქართველოს მეფე-კათალიკოსები. ის იღებდა გადასახებს, ან აგროვებდა შეწირულებებს და უგზავნიდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. ეკლესია მდებარეობს დღევანდელ ლესელიძის ქუჩაზე, სიონის მოპირშეჩევის მიერ შედგენილ გეგმაზე ივი ქართულ ეკლესიადაა აღნიშნული, რომ ამჟამად იგი ჰოქმედია. „ეკლესია ჯვარის გუმბათიანი მშვენერი" — შენიშნავს მის შესახებ ვახუშტი[6]. იგი აღნიშნული უნდა იყოს მის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზეც, თუმცა საძიებელში არაა მითითებული[7]. 1785 წლის პიშჩევის მიერ შედგენილ გეგმაზე იგი ქართული ეკლესიადაა აღნიშნული, ხოლო 1800 წელს კაპიტან ჩუიკოს მიერ შედგენილ გეგმაზე ბერძნულ ეკლესიათა რიგშია მოხსენიებული[8].

როდის უნდა იყოს აშენებული თბილისის ჯვარისმამის დღევანდელი ეკლესია უცნობია. ძველი ეკლესია დანგრეულა XIV ს-ის დასასრულს თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად, ხოლო მის ნანგრევებზე აშენებულა ახალი, დღემდე არსებული[9]. ზოგიერთი მოსაზრებით „ჯვარისმამა" უნდა იყოს XVI საის ნაგებობა, გადაკეთებული XVIII ს-ეში[10]. „განახლა აწ იმერლისშვილმან" შენიშნავს მის შესახებ ვახუშტი[11].

პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ ჯვარისმამის ეკლესია მთელი თავისი არსებობის მანძილზე იყო მეტოქე სამი ქართული მონასტრისა: ილია წინასწარმეტყველისა, ჯვარისა და წმინდა იაკობისა[12]. სხვა რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ არ გაგვაჩნია. როგორც ცნობილია, წმინდა იაკობის ეკლესია ქართველებს XIII ს-ში დაუკარგავთ[13]. რაც შეეხება ილია წინასწარმეტყველის მონასტერს იგი იერუსალიმის ქართულ მონასტერთა შორის არა აქვთ დასახელებული არც ა. ცაგარელს, არც ტიხოთე გაბაშვილს. XVIII ს-ის ცნობილ რუს პილიგრიმს, ბარსკის მოხსენებული აქვს ილია წინასწარმეტყველის მონასტერი ბეთლემთან, იერუსალიმის მახლობლად, მაგრამ არსად არ უთითებს მის კავშირზე საქართველოსთან[14].

იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელიც ორჯერ იყო საქართველოში (1647—50 და 1681—83 წლებში), ერთ თავის წერილში თხოვს ერეკლე I-ს ნაზარალიხანს, რომ მან მისცეს ერთი ეკლესია თბილისში იერუსალიმის ჯვრი მონატერს და რაიმე ადგილი წმინდა სუაფლვს, სადაც პაპა სერგი მოაწყობდა სენაკებს წმინდა საფლავის მამებისათვის[15]. ძნელი წარმოსადგენია, რომ დოსითეოსს, რომელიც ნაყოფი იყო საქართველოში, არ ცოდნოდა ჯვრის მო-

---

[6] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1949, გვ. 53.

[7] ვ. ბერიძე, XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, თბ., 1947, გვ. 139.

[8] გეგმები დამოწმებულია მ. ბერძენიშვილის წიგნიდან „თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში", თბ., 1965.

[9] П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, თბ., 1866, გვ. 64.

[10] ნ. ბადრიაშვილი, თბილისი, თბ., 1946, გვ. 169.

[11] ვახუშტი, გვ. 53.

[12] Ю. Иоселиани, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[13] А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

[14] Странствования Василия Григоровича — барского святым местам Восмока, I, Спб., 1885, გვ.

[15] Послания Иерусалимского патриарха Досифея в Грузию, საქართველოს სასულიერო მახარებელი, 1866, IV (ცალკე ამონაბეჭდი.) გვ. 8.

ნასტრის მეტოქის არსებობა. ეს წერილი შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ ჯვარისმამის ეკლესია ამ პერიოდისათვის არ მოქმედებდა. დოსითეოსის აღნიშნული წერილი უთარიღოა. პატრიარქის ამ თხოვნას ეხმაურება 1694 წლის ერთი საბუთი, სადაც აღწერილია ჯვარისმამის ეკლესიის იმჟამინდელი მდგომარეობა და ერეკლე I-ის მიერ ჩატარებული ღონისძიებები მის აღსადგენად[16] აქ ნათქვამია: „ტფილის ქალაქში ჯვარის მონასტრის მეტოჭი ეკლესია ქამთა ვითარებისაგან ათხრებულიყო. თეიმურაზ მეფის ძემ, ხელმწიფე ნაზარალიხან, მისმა დედამ, დიასამიძის ასულმა ელენემ, მათმა შვილებმა დავითმა და კონსტანტინემ ეკლესია გაუწმენდინეს და ტფილელ მიტროპოლიტ დომენტის ანაზომით აკურთხებინეს". იმავე საბუთში აღნიშნულია, რომ ეკლესიის მახლობლად მცხოვრები ორი კომლი, ეროვნებით სომხები, ვინმე ყუთლუაშვილები, ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავთ და, როგორც ამგვარ შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადებისაგან გაუთავისუფლებიათ. როგორც ჩანს, ჯვარისმამის ეკლესიას შემდეგშიც არაერთხელ გასჩენია პრობლემები. 1752 წლის საბუთში ჯვარისმამის დეკანოზი იოანე „უსარჩობაზა და უსაწყოსობას ჩივის"[17].

XIX ს-ის საბუთები ძირითადად ეხება ჯვარისმამა ბენედიქტეს მიერ გაცემული სესხების თამასუქების გადავადებასა და სხვა მსგავსი საკითხების მოგვარებას. ესაა ცნობილი ბენედიქტე ვიტონელი, რომლის წარწერაცაა ამოკვეთილი ჯვარისმამის ეკლესიის კარიბჭის ქვაფიცარზე. ამ წარწერაში ჯვარისმამა ხაზს უსვამს თავის დამსახურებასა და ღვაწლს ეკლესიის წინაშე. წარწერა გამოქვეყნებულია ვ. დონდუას ნაშრომში „ქალმასობა, როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში"[18]. წარწერაში ნათქვამია შემდეგი: „წელსა ჩყკე (1825) აღვაშენე ახლითა საფუძველითა კარის ბჭე ესე სამრეკლოითურთ რომელიცა შევაერთე ძუელად ნაშენსა ეკლესიასა და აღუაშენე სასახლენი გარემოს ამისსა მდგომარენი და შევსძინენ ყმანი და მოვუპოვენ საჭსავე სამეუფოსა შინა, ეს ეგი ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა შინა დაკარგული მამული, მე, ჯუარის მამამან ბერძენმან არქიმანდრიტმან ვენედიქტე ვიტონელმან".

ჯვრის მონასტერს ჰქონია თბილისში საკუთარი ქარვასლაც. 1719 წლის 2 აპრილის ბრძანებით მეფე ბაქარი უმტკიცებს ჯვარისმამის ქარვასლას იმ შეღავათს, რომელიც მისთვის გიორგი XI-ს მიუნიჭებია: „მეფე პატრონს გიორგის ტფილისის ქალაქს ჯვრის მონასტრის ქარვასლისათვის ასეთი წიგნი ებოძებინა, რომე ვერა მოძალადე და უნებური მდგმური ვერ დადგებოდა, ვერცავინ იქიდამ ვერას დაჭირებისათვინ ცხენს ვერ გამოიყვანდა... ჯვრის მონასტრის, ქარვასლაში ნურც თავადი, ნურც აზნაურნი, ნურც სტუმარნი და გლეხნი ძალად ნურავის დაუყენებთ ნურას დაჭირებისათვინ..."[19] აღნიშნულ საბუთშივე ნათქვამია, რომ ეს წიგნი ჯვარისმამა პართენს თან წაუღია მოსკოვში და პატრიარქ სერგის მოუთხოვია მისი განახლება. ქარვასლის მდებარეობა საბუთში არაა მითითებული. არ არის იგი აღნიშნული არც ვახუშტის გეგმაზე, რაც მისი ნაკლებმნიშვნელოვნებითაა ახსნილი. პლატონ იოსელიანი თავის წიგნში „თბი-

---

16 სსცსა, ფ. 1450, დ51, ს177.

17 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ., Hd 13090.

18 ვ. დ ო ნ დ უ ა, საისტორიო ძიებანი, თბ., 1967, გვ. 269.

19 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 119, № 100.

ლისის სიძველეების აღწერა" იმოწმებს ქარვასლის შეწირულების ტექსტს, რომლის მიხედვითაც მეფე გიორგი XI, მისი მეუღლე თამარი, მათი ვაჟები: ბაგრატი, ლეონი, ლუარსაბი და სულეიმანი 1678 წელს სწირავენ ჯვარისმამის ეკლესიას შაჰ-აბასის მიერ აოხრებულ ადგილებს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ადგილებს ეწოდებათ ქარვასლა და მისი დანიშნულება იყო მოგზაურებისა და იერუსალიმიდან ჩამოსული ბერების მიღება[21]. როგორც ვხედავთ, ოველ შემთხვევაში 1719 წლამდე ეს ქარვასლა მოქმედებდა.

იმავე 1678 წელს გიორგი XI-ს ჯვარის მამის ეკლესიის წინამძღვრისა და მონასტრის ბერისათვის უბოძებია საცხოვრებელი სახლი[22]. უფრო ადრე ჯვარისმამა მელეტიოზს ჰქონია საკუთარი სახსრებით აშენებული სახლი ჯვრის ჯუთვნილ მიწაზე, რომელიც მას იერუსალიმში წასვლის წინ, 1666 წელს, გა ქირავებია უფლებით მოუბარებია თბილელისათვის[23]. მელეტიოზის წასვლიდან თორმეტი წლის შემდეგ კვლავ დამდგარა ჯვარისმამის სახლის საკითხი. „ვითაც ქალაქში თქვენის მონასტრის ბერსა და ჯვარისმამის სახლი არა ჰქონდა, შემოვწირეთ ქალაქს გალავანს გარეთ, კარის პირდაპირ, მამუკას ნაკონი სასახლე ერთი მიდგმა არის დათუნას სახლის კედელი, მეორე მიდგმა არის შიომ ზედგინძის სასახლე"[24]. ჯვარისმამის სახლის ადგილი იდენტიფიცირებულია გ. ბერძნიშვილის ზემოდასახელებულ ნაშრომში. „კარის პირდაპირ" გულისხმობს „წყლის კარს", იგივე „დაბლა" ანუ „ქვემო კარს". ეს სახელწოდება მას შეერქვა იმის გამო, რომ თბილისის სხვა კარებებთან შედარებით უფრო დაბლა, ქვევით იყო. ეს კარი მდებარეობდა დაახლოებით შავთელისა და ბარათაშვილის ქუჩების კუთხეში. ეს რაიონი ცნობილია ანჩისხატის ქუჩის სახელით და იმდროისათვის ყველაზე არისტოკრატიული უბანი იყო თბილისში. მეფისა და ბატონიშვილების გარდა აქ ცხოვრობდა ბევრი საერო და სასულიერო წარჩინებული პირი. ჯვარისმამის სახლის მდებარეობის ადგილად სწორედ ამ ქუჩის დასაწყისია მითითებული[25]. ჯვარისმამის სახლი ამავე ადგილას რჩება მთელი XVIII ს-ის მანძილზე. ჯვარისმამის წინამძღვარს თავის მეზობლად იხსენიებს ალექსანდრე ამილახვარი 1770 წლისათვის, ხოლო ამილახვრის საცხოვრებელი ადგილი ცნობილია[27]. 1749 წლის ერთი საბუთი იტყობინება, რომ ჯვარისმამის სახლის უკან ქარვასლა ვაუხსნიათ ბებუთაშვლებს[27].

---

[20] მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 67.

[21] П. Иоселиани. დასახ. ნაშრომი.

[22] „მონასტრის ბერი" შეიძლება გულისხმობდეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან მიყენილ ბერს, რომელიც ჯვარის მამასთან ერთად მონაწილეობდა საჯვარისმამო მამულების მართვა-გამგეობასა და შეწირულობების შეგროვების საქმეში.

[23] ხელნაწერთა ცენტრ., Ad 63.

[24] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 32. № —28.

[25] მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8. ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: საბუთში ნათქვამია, რომ ჯვარისმამისათვის სახლი უბოძებიათ „ქალაქს გალავანს გარეთ" ეს ცნობა ეწინააღმდეგება იმის მტკიცებას, რომ ჯვარისმამის სახლი ანჩისხატის ქუჩაზე მდებარეობდა. საფიქრებელია, რომ მისი ადგილი იყო გარეთუბანში.

[26] მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10. ამილახვრის სახლი ვახუშტის მიერ შედგენილ გეგმაზე აღნიშნულია ანჩისხატის ქუჩაზე მე-7-ე ნომრით.

[27] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 214, № 180. მ. ბერძნიშვილმა ჩვენთან საუბრისას გამოთქვა ვარაუდი, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ჯვარისმამის კუთვნილი სხვა სახლი, რომელიც შესაძლოა მდებარეობდა ხარაზხანაში, ჯვარისმამის ეკლესიის მახლობელ ტერიტორიაზე. ამ მოსაზრების საფუძველს იძლევა საბუთის ტექსტი, სადაც ქარვასლის ადგილი მოხსენიებულია იმ სახლებთან ერთად, რომლებიც მდებარეობდნენ ხარაზხანაში.

თბილისის საჯვარისმამო საკუთრებებს შორის ჩანს მიწის ნაკვეთი ვანქისასაფლაოსთან. ზემო ქართლის სარდლის, გივი ამილახორის შვილს გიორგის, მის ძმასა და ძმისწულებს 1709 წელს ქრისტეს წმინდა საფლავისათვის შეუწირავთ საკუთარი ნასყიდი ადგილი „ქალაქს გალავანს გარეთ, ხევს გალმა, მოედნისაკენ, ვანქის სასაფლაოსთან, ქალაქისაკენ ადგილის ფართობი ყოფილა ორმოცდახუთი ადლი ოცდახუთზე. ამის სამაგიეროდ იერუსალიმის პატრიარქს მათი მამისა და დედის, თამარ ბატონიშვილის, აღდგომის დიდ შაბათს ყამი უნდა ეწირა, ხოლო ქრისტეს საფლავზე კი ერთი დაუნელებელი კანდელი უნდა ანთებულიყო“[28].

ვანქის უბანმა სახელი მიიღო იქ მდებარე სომხური ეკლესიის ვანქისაგან. უბანი მდებარეობდა მუხრანთუბანსა და ორბელიანების უბანს შორის, მდებარე მტკვრის ნაპირზე. ვანქის დასაწყისით იყო სომეხთა სასაფლაო, რომელსაც, როგორც ეს ვახუშტისა და პიშჩევიჩის გეგმებიდან ჩანს, საკმაო ადგილი სჭერია[29]. ამილახვრების მიერ შეწირული მიწის ნაკვეთი ამ სასაფლაოსა და ქალაქს შორის მდებარეობდა.

ამ შეწირულებასთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი საბუთი. 1711 წლისა, სადანაც ვგებულობთ, რომ იგი შეუწირვინებია პაპა სერგის, რომელსაც შემშემდეგ იქ საკუთარი სახსრებით სახლი აუშენებია[30]. ამ ფაქტს რატომღაც მეტად ალუშფოთებია კათოლიკოსი დომენტი, იმდენად, რომ პაპა სერგისაგან ეს სახლი გამოუსყიდიათ კიდეც ოცდათხუთმეტ თუმნად. საბუთის მინაწერიდან ჩანს, რომ ამ გადაწყვეტილებას დათანხმებიან ამილახვრებიც. აღნიშნული საბუთი გაცემულა პაპა სერგის მიერ და ის ხელს იღებს ამ მამულზე. საინტერესოა შემდეგი ფრაზაც: „ამა პირსა ზედა არას ჟამში არ ჭნილიყო და ერთი საქმე ექნი. რომ ზემო ქართლის სარდალს ამილახორის შვილის გიორგისაგან ქალაქს მიწა შევაწირვინე და ეკლესია ავაშენე. თქვენც გასინჯეთ და დაინახეთ: არც კარგი იყო საქართველოსთვის და არც თქვენის საყდრისათვის“[31].

საბუთებში არის სხვა ცნობებიც ჯვრის მონასტრის კუთვნილი სახელებისა და დუქნების შესახებ თბილისში. ზემოხსენებულ პაპა სერგის ნაზარალიხანისათვის გაუხსენებია, რომ ვინმე ზარაფ ზალინს. სახლ-კარი მისი ყოფილა. ერეკლე I-სა და მისი ოჯახის წევრებს განუახლებიათ ეს შეწირულება[32].

ასეთია ჯვრის მონასტრის საკუთარი ადგილები სია თბილისში შედგენილი მოძიებული საბუთების მიხედვით.

---

28 ხელნაწერთა ინსტ., Ad 1741.

29 თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977, გვ. 56.

30 ხელნაწერთა ინსტ., Ad 2048.

31 პაპა სერგი იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მიერ იყო გამოგზავნილი საქართველოში, როგორც ჩანს, იგი პატრიარქის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი იყო და მას დაკალებული ჰქონდა საჯვარისმამო მამულების მოვლა-პატრონობა. იხ.?

32 სსცსა, ფ. 1450 დ. 51 ს. 227.

Н. М. ХУЦИШВИЛИ

СОБСТВЕННОСТЬ ИЕРУСАЛИМСКОГО КРЕСТОВОГО МОНАСТЫРЯ В ТБИЛИСИ С ПОЛОВИНЫ XVII ДО НАЧАЛА XIX ВЕКА

Резюме

Грузинский монастырь Святого Креста в Иерусалиме имел во многих районах Грузии собственные владения, доходы от которых играли важную роль в экономической жизни монастыря. Определенный интерес для изучения истории этих владений представляют ряд документов, хранящихся в Институте рукописей им. К. Кекелидзе и центральном историческом архиве Грузии. Целью данного исследования является изучение собственности монастыря в гор. Тбилиси с начала XVII до XIX веков. Основным из этих владений является сохранившееся до настоящего времени подворье или «метохи» Крестового монастыря — «Джваримама», настоятель которог собирал и отправлял в Иерусалим пожертвования и доходы разного рода. В распоряжении церкви был каравансарай, служащий для приема приезжающих из Иерусалима иноков. Настоятель подворья обладал домом в начале Ланчисхатской улицы. До нас дошли сведения о существовании монастырского участка, расположенного вблизи армянского кладбища Ванкик. Кроме того, Крестовый монастырь имел в Тбилиси несколько домов и духанов, точное местонахождение которых нам неизвестно.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა.

მანანა იამანიძე

ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ისტორიისათვის

XVII ს-ის II ნახევარში ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც გამოიხატება მისი ახალი მიზნებისა და მიმართულების წარმოქმნით, რამაც მოგზაურს ბევრი საინტერესო, საპასუხისმგებლო და არაორდინალური მისია დააკისრა. ყოველივე ეს საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის ფინანსთა მინისტრის, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ჟან ბატისტ კოლბერის (1619—1683) სახელთანაა დაკავშირებული. მას დიდი წვლილი მიუძღვის საფრანგეთის ვაჭრობის, ინდუსტრიისა და საზღვაო საქმის, აგრეთვე, ხელოვნების, კულტურისა და ლიტერატურის განვითარებაში. ჟ. ბ. კ ო ლ ბ ე რ ი-მრავალმხრივ განსწავლული ადამიანი, დიდ ინტერესს იჩენდა სხვადასხვა ქვეყნისადმი, განსაკუთრებით აღმოსავლეთისადმი, რომელსაც ის იკვლევდა ძველი რიტორიკული გეგმებისა და რუკების მიხედვით.

აღსანიშნავია მისი ღვაწლი მოგზაურობისა და მოგზაურული ლიტერატურის განვითარებაში. თავისი მოსაზრება ახალი მოგზაურობის შესახებ მან საზოგადოებას გააცნო 1671 წელს გამოქვეყნებული თხზულებით „კოლბერის რჩევა-დარიგებანი მარკიზ დე სეგნელეისადმი, მისი იტალიაში მივლინების გამო“. სადაც აშკარად ჩანს ჟ. ბ. კოლბერის გადაწყვეტილება — მოგზაურობის გამოყენება თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამგვარად, მან მოგზაური უჩვეულოდ რთული პრობლემის წინაშე დააყენა — მას დაევალა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული გამოკვლევა და დეტალური აღწერა. ჟ. ბ. კოლბერის პროგრამა ითვალისწინებს მოგზაურების ისეთ სპეციფიურ მომზადებას, რომლის მსგავსი არც ერთ თეორეტიკოსს არ დაუსახავს. იგი სცდება ჩვეულებრივი მოგზაურის შესაძლებლობებს. აი, როგორია, ძალზე მოკლედ, მისი პროგრამა: „მოგზაური ვალდებულია შეისწავლოს სამოგზაურო ქვეყნის ღირსშესანიშნაობანი მისი ისტორიული და კულტურული ძეგლები და რაც მთავარია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. დიდი სიფრთხილით უნდა დაადგინოს ქვეყნის საზღვრები, ქალაქებისა და სოფლების რიცხვი, მათი ზუსტი დასახელება, სახელმწიფოს ფორმა, მთავრობისა და საზოგადოების სტრუქტურა, დიდგვაროვანთა ვინაობა და მათი ზუსტი სია, ცნობები მმართველობით სისტემაში მათი მონაწილეობის შესახებ, მათი ღირსება და ფუნქციები. ასევე. უნდა დაზუსტოს მონაცემები სახელმწიფო საბჭოსა და სხვა ხელისუფლების შესახებ. ვინ წყვეტს ქვეყანაში მშვიდობისა და ომის საკითხს, ვის აქვს უფლება შევიდეს სახელმწიფო მმართველობაში, თუ არსებობს არჩევნები, უნდა აღინიშნოს რეზულტატებიც. აგრეთვე უნდა აღწეროს საამირო, სასამართლო, არმიის

---

1 C l e m e n t P i e r r e Relation d'un voyage du Marguis de Seignclay, Paris, 1867, 96—97. გვ.

საბჭოს საქმიანობა საზღვაო და სახმელეთო სასაზღვრო ჯარების შემადგენლობა, ასევე დიდი ინტერესი უნდა გამოიჩინოს იმ კანონებისა და ადათ-წესების მიმართ, რომელიც მიღებულია იმ ქვეყანაში". პროგრამის ამ მცირე მონაკვეთიდანაც ჩანს, რომ ჟ. ბ. კოლბერს ახალი მოგზაურის შექმნა ჰანუზრახავს, მას პოლიტიკურ, დიპლომატიურ, მეცნიერულ მისიას სთავაზობს და ავალებს, რომ მისი საქმიანობა თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესებს დაუქვემდებაროს. ჟ. ბ. კოლბერის პროგრამამ მოგზაურულ ლიტერატურაში საგრძნობი ცვლილება გამოიწვია.

მიუხედავად სხვა ცნობილ მკვლევრებთან მისი იდეური სხვაობისა ჟ. ბ. კოლბერი იზიარებს მათ მოძღვრებას: „მოგზაურმა უნდა შეძლოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და უცხო ქვეყანაზე დაკვირვებისას. უნდა მიენდოს საკუთარი აღქმის უნარს, გრძნობას, გონებას, გემოვნებას"[2].

აღმოსავლეთი შუასაუკუნეებიდანვე იპყრობდა საფრანგეთის ინტერესს. ჟ. ბ. კოლბერის ღვაწლი ამ მხრივაც თვალსაჩინოა. აგზავნიდა ახალგაზრდებს აღმოსავლეთის ქვეყნებში ენის შესასწავლად, რათა შეძლებოდათ სამეფო მდივნად და თარჯიმნად მუშაობა. მოგვიანებით ამ ექსპერიმენტმა რეგულარული ფორმა მიიღო და ამგვარად, შეიქმნა ახალგაზრდებისათვის უცხო ენების სკოლა (Ecoles de Feunes Langues), რომლის კურსდამთავრებული იქნებოდა მოგზაურის თანმხლები პირი და დაეხმარებოდა მას უცნობი ქვეყნის, მისი ცხოვრების უკეთ ათვისებაში. ჟ. ბ. კოლბერის მოწადინებითა და ხელშეწყობით მრავალი ფრანგი მოგზაური წვეულა აღმოსავლეთს და არაერთი საინტერესო მოთხრობა დაუწერია მის ხალხზე, მის ზღაპრულ ქალაქებზე.

როგორც აღვნიშნეთ, ჟ. ბ. კოლბერამდე მოგზაურული ლიტერატურის არც ერთ თეორეტიკოსს ასე აქტიურად არ ჩაუბამს მოგზაური ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სამსახურში. ჟ. ბ. კოლბერის მოგზაურის მიზანი საზღვარგარეთ ემსგავსება დიპლომატიურ მისიას ან კონტრშპიონაჟს. მოგზაურობა ჰარგავს რომანტიკულობას, არჩევანის თავისუფლებას, ყოველივე იმას, რის საშუალებითაც ის ხიბლავს და იზიდავს შორეული ქვეყნების შესწავლის მსურველს. საბედნიეროდ, დროთა განმავლობაში აშკარა გახდა პროგრამის შერბილების და გაკეთილშობილების საჭიროება სხვა არანაკლებ აუცილებელი და სასიამოვნო საკითხებით, რომელიც მოგზაურმა და თეორეტიკოსმა რიჩარდ ლესელმა 1671 წელს გამოცემულ ნაწარმოებში ჩამოაყალიბა. მისი აზრით, წინასწარ უნდა შემუშავდეს პროგრამა, თუ როგორ მოემზადოს მოგზაური, რომ მისმა მოგზაურობამ კარგი შედეგი გამოიღოს მისთვის და მისი სამშობლოსათვის. ამის შემდეგ საგანგებოდ შერჩეული და შემოწმებული ახალგაზრდა უკვე შესწავლილი მარშრუტით უნდა გაგზავნოს შერჩეულ ქვეყანაში. რ. ლესელი კარგადაა გარკვეული თუ რომელ ქვეყანაში რა საქმის დაუფლება არის უფრო მიზანშეწონილი: „ხელოვნებისა და მეცნიერების შესწავლა — იტალიაში, ქცევის წესები, გალანტერეა, სამხედრო საქმე, ცეკვა — საფრანგეთში. ოჯახის გაძღოლა, სტუმართმოყვარეობა, მესაკუთრული საქმიანობა — გერმანიაში, ინდუსტრიული და ეკონომიკური საქმის წარმოება — ჰოლანდიაში. გარდა ამისა ყოველი მოგზაური ვალდებულია ზედმიწევნით შეისწავლოს ლათინური ქვეყნების ძვირფასეულობა"[3]. ის ურჩევს ახალგაზრდებს

---

[2] Lessel Richard, Voyage d'Italie, Paris, 1671, 169 გვ.

იმოგზაურონ იმ პედაგოგთან ერთად, რომელიც კარგად იცნობს სამოგზაუროდ შერჩეულ ქვეყანას, წინასწარ შეისწავლონ საჭირო სიტყვები იმ ქვეყნის ენაზე, თან წაიღონ მისი რუკები, გეგმები და, რაც მთავარია, უნდა აწარმოონ ყოველდღიური ჩანაწერი.

რ. ლესელი, ჟ. ბ. კოლბერის მიმდევარი და მისი იდეების დამფასებელია, იმ განსხვავებით, რომ რ. ლესელი სამოგზაუროდ უხმობს მხოლოდ განათლებულ ადამიანებს, რომელთა წერის მანერა უფრო დახვეწილი და მიმზიდველია, ისინი იყენებენ მსუბუქ იუმორს, ცინიზმს, დიალოგს, ეძებენ შესაფერის სტილს. ყოველივე ამის შედეგად შეიძლება უფრო გამოჩნდეს ავტორის ინდივიდუალობა, განწყობილება, ანალიზის უნარი. რ. ლესელის თეორიას ბევრი არ დაეთანხმა, წინ აღუდგა მის განზრახვას — მოგზაურული ლიტერატურის მკაცრი სახის ირონიით, იუმორით და ღიმილით შეცვლის შესახებ. რ. ლესელს საიმედო მხარდამჭერი გამოუჩნდა მოგზაურული ლიტერატურის დიდი თეორეტიკოსის ბოდელო დე დერვალის სახით, მან კიდევ უფრო გაამდიდრა ლესელის მოსაზრებანი, თავისი თხზულებით „მოგზაურობის ესთეტიკა“, რომელიც 1688 წელს გამოქვეყნდა პარიზში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით საფრანგეთში მოგზაურული ლიტერატურის თეორიის განვითარება ათეული წლების შემდეგ დაიწყო, იგი მაინც ვერ ასცდა მშრალ და მკაცრ დიდაქტიკას, ერთფეროვნებას და ინფორმაციულობას. ბოდელო დე დერვალმა, შეიძლება ითქვას, გზა გაუხსნა თავისუფალი ტიპის მოთხრობას, სადაც მოგზაური საუბრობს უცხო ქვეყნის ისტორიაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, კულტურაზე და რაც შეიძლება მეტს ადამიანებზე, მათ ადათ-წესებზე და განათლებაზე. თავის თეორიულ თხზულებაში ავტორი მოგზაურებს არწმუნებს, რომ „მოგზაურობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ერის ცივილიზაციის დონის შესწავლა: არქეოლოგიური კვლევით — ერის ისტორიის, ხელოვნების და კულტურის, თარგმანების გაცნობით — მისი ენობრივი შესაძლებლობების, მჭერმეტყველებისა და ლიტერატურის“[4]. ბ. დე დერვალის რჩევები ემსახურება თავისუფლად მოაზროვნე საინტერესო პიროვნებას. ის თვლის, რომ რაც უფრო საზრიანი და განათლებულია მოგზაური, მით მეტად გეიგრძნობს ქვეყნის ცივილიზაციის დონეს, მის ღირსებებს, მან დამოუკიდებლად უნდა შეადგინოს მოგზაურობის ისეთი მარშრუტი, რომელიც მის თვალწარმტაცს გააფართოებს და თან უდიდეს სიამოვნებასაც მიიღებს. ბ. დე დერვალის თეორიებმა ერთგვარად მოხსნა ჩარჩოები, რომელიც ზღუდავდა მოგზაურის და მოგზაურული ლიტერატურის თავისუფლებას.

XVII ს-ის მიწურულს ფრანგმა მოგზაურმა მაქსიმილიან დე მისონმა თავისი თხზულებით „ახალი მოგზაურობა იტალიაში“[5], საბოლოოდ გამოიყვანა მოგზაურული ლიტერატურა ტრაქტატების, დებულებების, მოძღვრებათა და დაუსრულებელ შეგონებათა ტყვეობიდან. მეტი უპირატესობა მიენიჭა სახელმძღვანელოებს, მსოფლიოს ხალხთა, ისტორიული ძეგლებისა, კულტურული კერების, გზებისა და მხარეების შესწავლის შესახებ, რომელიც პრაქტიკულ საჭიროებას წარმოადგენს შორეული ქვეყნებისაკენ მიმავალი მოგზაურისათვის. მ. დე მისონი უცხო ქვეყნის ტოპოგრაფიის, ხელისუფლების და ადმინისტრაციის აღწერას უინტერესოდ და უსარგებლოდ მიიჩნევს. ამით ის ჟ. ბ. კოლბე-

---

[4] De Derval, Baudelot, Esthetique de voyage, Paris, 1688, გვ. 62.

[5] Misson Maximalien de, Nouveau voyage eu Italie, „Avis„, La Haye, 1681.

რის პროგრამას უპირისპირდება, თუმცა ღრმა პატივისცემით მოიხსენიებს შე-პიროვნებას. მ. დე მისონი გმობს შემეცნებით და ალმზრდელობით მოგზაურულ ლიტერატურას, მის შემბოჭველ წესდებასა და კანონებს. მას მიაჩნია, რომ მოთხრობაში უნდა იყოს გამოყენებული მოგზაურული ლიტერატურისათვის შესაფერები გამოთქმები. ზედმეტი შელამაზება და სპეციალური ტერმინებით გადატვირთვა ტექსტს უინტერესოს და გაუგებარს ხდის. მკითხველს უნდა მიეწოდებოდეს რეალური სინამდვილე მეცნიერული დამაჯერებლობითა და რომანტიკულობით.

მ. დე მისონი მოგზაურის თავისუფლებისათვის მებრძოლია, ამავე დროს, მისგან მოითხოვს ზომიერებისა და რეალობისადმი პატივისცემას. რადგან წერილები, საგანგებო ჩანაწერები, დღიურები, ამონაწერები ბორტის ჟურნალიდან და სხვ. პუბლიკაციამდე საჭიროებს მრავალჯერ შესწორებას. ეს სტილისტური, თუ სხვა სახის ცვლილება ხდება იმ საზოგადოების გემოვნებისა და მოთოვნილებების გათვალისწინებით, ვისთვისაც ეს მოთხრობაა დაწერილი. თუ ავტორი თავისუფალია ზეწოლის ან სპეციალური დავალებისაგან, იგი წერს თავისი ნება-სურვილის, ინტერესისა და მისწრაფების მიხედვით. ყოველ მოგზაურს აქვს თავისებური ხედვის უნარი და სიუჟეტის გადმოცემის ინდივიდუალური მანერა, რაც მის ნაწარმოებს რამდენადმე განსხვავებულს ხდის. ერთი და იმავე ქვეყნის აღმწერელი მოგზაურებიდან თითოეულს თავისი მოთხრობა მიაჩნია უფრო ზუსტი და რეალური. ამასთან დაკავშირებით მაჭსიმილიან დე მისონი ამბობს: „ქვეყნის აღწერისას ზედმიწევნით ვცდილობ ყველაფერი გავითვალისწინო, არც ერთი წვრილმანი არ გამომრჩეს, მაგრამ სიზუსტეს მაინც ვერ დავიჩემებ. წერილებს დაელოდეთ მხოლოდ და მეტს ნურაფერს დამავალებთ!“[6].

მოგზაურის ნაამბობის რეალურობის პრობლემა განსაკუთრებით გაძაფრდა XVII ს-ის დასასრულს და გაგრძელდა XVIII საუკუნეში. ქვეყნის, რაც შეიძლება მეტი სიმართლით აღწერა გახდა XVII—XVIII საუკუნეების მოგზაურ თეორეტიკოსთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი.

უცნობი ავტორი თავის გამოკვლევაში „სარგებლიანი მოგზაურობის ხელოვნება“ ამგვარად ხსნის ამ საკითხს: „ის, რაც მოგზაურთა წიგნებშია გადმოცემული ყოველთვის როდია სინამდვილე, რადგან წესიერება, დროის, სახელწიფოსა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ზედმეტი სიფრთხილე, ცოტა პირმოთნეობა და სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზი ჭმნის თითქოს უხილავ დაბრკოლებას აღწეროს სრული სინამდვილე“[7].

მოგზაურ თეორეტიკოსთა შეშფოთება არ არის უსაფუძვლო, რადგან მანძილი მოგზაურის მოთხრობასა და რეალობას შორის ხანდახან გამიზნულად იზრდება. გასაგებია, რომ მოგზაურობამდელი წარმოდგენა ამა თუ იმ ქვეყანაზე, მისი ნახვის და მერეც, მასზე თხრობის დროს გარკვეულ ცვლილებას განიცდის, მაგრამ არც თუ იშვიათად მოგზაური თვალთმაქცობს, იშველიებს საგანგებო სიტუაციებს: თითქოსდა მოხვდა საპყრობილეში, მძიმედ დაშავდა, ავად გახდა და ა. შ., ან მოიპოვებს ძველი თარიღის დოკუმენტებს, ან დაიმოწმებს ამბის მომტანს, როგორც „საიმედო“ პირს, ბოლოს თავისი ფანტაზიებისა და

---

[6] „Avertissement, La Haye, Van Bulderen, 1591, გვ. 79.

[7] A n o n y m e, L'Art de voyager utilement, Amsterdam, 1698, გვ. 2.

მჭერმეტყველების მოშველიებით ქმნის არარეალურ, მეორეხარისხოვან ნაწარმოებს.

მომზაურთა შთაბეჭდილებები ავტორის სარკეა, ის შეიძლება იყოს სუბიექტური, იმისდა მიხედვით, თუ, რამდენადაა ეს დამოკიდებული მოგზაურის განათლებაზე, გემოვნებაზე, კულტურაზე და კეთილსინდისიერებაზე.

მოგზაურული ლიტერატურის ყველა ეპოქისა და მიმართულების წარმომადგენელს ერთი საერთო მიზანი აქვთ — მოგზაურობის და მოგზაურული ლიტერატურის განვითარება. ამ მხრივ მათ ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია. ფრანგული მოგზაურული ლიტერატურა ძლიერი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი შეხვდა შემდეგ საუკუნეებს. XVI—XVIII საუკუნეები ყველაზე რთული და ამავე დროს ძალზე საინტერესოა ლიტერატურის ისტორიაში. ეს არის მისი ჩამოყალიბებისა და თვითდამკვიდრების პერიოდი, იგი, როგორც სიახლე, იმთავითვე გახდა საზოგადოებრიობის ყურადღებისა და ცნობისმოყვარეობის საგანი და შესაბამისად დამკვირვებელი, შემფასებელი და დამრიგებელიც უხვად შეიძინა. ამ პერიოდში ყველაზე ნათლად ჩანს, თუ რა რთულად მიმდინარეობს მისი ზრდა და წინსვლა, თანდათან იკვეთება მისი მიზანდასახულობანი, ინტერესი, დანიშნულება და ადგილი ლიტერატურის ისტორიაში.

ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ისტორიის ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია დავრწმუნდეთ თუ რაოდენ დიდი მდიდარი და მნიშვნელოვანია მოგზაურული ლიტერატურა, თუ რამდენი ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მოგზაურია ჩაბმული მისი წარსულისა და ახლის კვლევა-ძიებაში.

ყოველივე ეს აძლიერებს ჩვენს ინტერესს: გამოვავლინოთ თუ როგორ გამოიყურება საქართველო ამ უსაზღვრო სივრცეში, რასაც მოგზაურული ლიტერატურა ჰქვია.

М. П. ЯМАНИДЗЕ

К ИСТОРИИ ФРАНЦУЗСКОЙ ПУТЕШЕСТВЕННИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Резюме

В статье рассмотрены пути развития французской путешественнической литературы XVI—XVII вв. — самого сложного и в то же время наиболее интересного периода в ее истории — периода ее становления и самоутверждения.

На основании анализа литературных произведений известных французских путешественников-ученых того времени Ж.-Б. Колбера, Р. Леселя, Б. де Дерваля, М. де Мисона и анонимного автора показан вклад путешественнической литературы в изучение различных областей науки.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ცოცხალმა

ლეილა ხუბაშვილი

ტამპლიერების ორდენის დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს მოწამეობრივი სიკვდილი

(ჯოვანი ბოკაჩოს „ცნობილ მამაკაცთა“ ფათერაკებისა „შესახებ“ და ჯოვანი ვილანის „ქრონიკის“ მიხედვით)

ტამპლიერების ორდენი ჩამოყალიბდა 1118 წელს. სახელწოდება ტამპლიერი (ფრანგ. tample, ლათ. templum, ტაძარს ნიშნავს, templiers — მეტაძრეები) მიიღო იქიდან, რომ იერუსალიმის მეფე ბოდუენ II-მ (1118—1131) ორდენის წევრებს გადასცა თავისი სასახლის ერთი ნაწილი, რომელიც სოლომონის ტაძრის ნაადგილარზე იყო აგებული. ორდენის წევრები ატარებდნენ თეთრ მოსასხამს, რომელზედაც წითელი ჯვარი ჰქონდათ გამოსახული. 1128 წელს შემუშავებული წესდებით, რომელიც პაპმა ჰონორიუს II-მ დაამტკიცა, ორდენი მკაცრ ცენტრალიზებულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. 1139 წელს პაპმა ინოკენტი II-მ ტამპლიერებს დიდი პრივილეგიები უბოძა. ორდენის მიზანი თავდაპირველად სალოცავად მავალთა დაცვა და პალესტინაში ჯვაროსანთა სამფლობელოების განმტკიცება-გაფართოება იყო.

XII—XIII სს-ებში ტამპლიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჯვაროსნულ ლაშქრობებში. ორდენი თანდათან გამდიდრდა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად იქცა. ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში ტამპლიერების ორდენი უდიდესი ფეოდების მფლობელი გახდა. ორდენის გამდიდრების წყარო ვაჭრობა, უმთავრესად კი მევახშეობა იყო, ტამპლიერების რეზიდენცია პარიზში ფართო საბანკო ოპერაციების ცენტრი გახდა. თავისი სიმდიდრით ტამპლიერების ორდენი მეფეებს არ ჩამოუვარდებოდა და მოკლე ხანში იმდენად გაძლიერდა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი სამფლობელო დაექვემდებარა. ორდენს ჰქონდა ბანკები, რომელთა მეოხებითაც იგი მსხვილ მევახშეობას ეწეოდა. ჰყავდა საკუთარი საზღვაო ფლოტი.

ტამპლიერების ორდენისათვის დამღუპველი აღმოჩნდა საფრანგეთის მეფის ფილიპე IV ლამაზის პოლიტიკა. მის მიერ გატარებული აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად წარმოებულ ხშირ ომებს უზომო თანხები დასჭირდა. სამეფო ხაზინა კი დაცარიელდა. ამის გამო მეფემ ტამპლიერების ორდენისაგან ერთხელ აიღო სესხი და ახლა ცდილობდა როგორმე თავიდან მოეცილებინა თავისი მევალე, რადგანაც ვალის გადახდას არც აპირებდა და არც სურდა. 1307 წლის 13 ოქტომბერს მან ბრძანება გასცა ტამპლიერების დატუსაღებისა, ხოლო მათ ქონებას კონფისკაცია უყო. ტამპლიერებს ბრალი დასდეს ერესში და ღმერთის საწინააღმდეგო საქმიანობაში. ორდენისათვის წაყენებული ბრალდებები მასებმა ადვილად ირწმუნეს იმის გამო, რომ ორდენის წევრები მართლაც ეწეოდნენ მევახშეობას, გარყვნილ ყოფა-ცხოვრებას და სხვა. ტამპლიერების ნაწილი კოცონზე დაწვეს, ნაწილი სატუსაღოებში გამოამწყვდიეს, დანარჩენები კი საფრანგეთიდან გაასახლეს. 1310 წელს ორდენის დიდი მაგისტრი ჟაკ

დე მოლე დაწვეს. 1312 წელს ფილიპე IV-მ ისიც მოახერხა, რომ ავინიონის პაპმა კლემენტი V-მ ორდენი საბოლოოდ გააუქმა. ასე და ამრიგად, საფრანგეთის მეფე არა მარტო განთავისუფლდა თავისი ყოფილი მოვალისაგან, არამედ მის ხელში აღმოჩნდა ტამპლიერთა ორდენის ოქრო-ვერცხლის უზარმაზარი მარაგი, რაც შეეხება ორდენის მამულებს (სულ 10 000 მამული ჰქონდათ), ფილიპე IV-მ ხელი არ ახლო და პაპის თხოვნით ჰოსპიტალიერების ორდენს გადაცა, ოღონდ ეს საჩუქარი ისეთნაირად შეაპირობა, რომ ჰოსპიტალიერებმა ალარ იცოდნენ როგორ დაელწიათ თავი მეფის ამ „წყალობისაგან".

ტამპლიერთა ორდენის განადგურება ფილიპე IV ლამაზის მიერ და მათი დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს მოწამეობრივი სიკვდილი აღწერილი აქვს ჯოვან ბოკაჩოს თავის ისტორიულ თხზულებაში „სახელოვან მამაკაცთა ფათერაკები". ამის შესახებ იგი მოგვითხრობს IX წიგნის 21 თავში. ამ ისტორიას ბოკაჩო აღწერს მამამისის მონათხრობის მიხედვით, რომელიც თითქოსდა ამ ტრაგიკული სცენის თვითმხილველი იყო: „Ut aiebat Bobcaccius genitoz meus, gui tunc forte Parisiis negotiator, honesto cum lebore rem curabat augere don esticam, et se his testabatur interfuisse rebus"[1].

ბოკაჩო წერს: „უველაფერი მოეწყო ისე, რომ წმინდა პაპის კლემენტი V-ის თანხმობით ერთსა და იმავე დღეს ფილიპეს ბრძანებით მთელ სამეფოში დაპატიმრებულ იქნა ტამპლიერების ორდენის უველა წევრი თავიანთი დიდი მაგისტრის ჯაკობის ჩათვლით. მეფის დაცვამ ხელთ იგდო მეტაძრეების უველა საწყლობელო თავიანთი საგანძურით. უველა დაკავებული მეფის სახელით გაგზავნეს პარიზში, სადაც დიდხანს ჰყავდათ ჯაჭვებ დადებული და სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ დაეთანხმებინათ მონანიებაზე. მაგრამ უველაფერი ამაო იყო; მეტაძრეებს სიტყვის მოსმენაც არ სურდათ მათგან, ვინც თითქოსდა ცდილობდა შეგონებით მათ გადარჩენას. ისინი ერთხმად ამბობდნენ, რომ იმ შემთხვევაში თუ სასამართლო სამართლიანი იქნება, თვითონ შეძლებდნენ თავის დაცვას და თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცებას. მეფემ, რომელიც საშინლად იყო მათი ჯიუტობის გამო განრისხებული, ბრძანა — ეწამებინათ დაპატიმრებულები და ამგვარად ეთქმევინებინათ მათთვის სიმართლე, რადგან ამის გაკეთება მშვიდობიანი გზით ვერ შეძლო. მაგრამ არც ამან გამოიღო შედეგი. მაშინ გადაწყვიტეს სიცოცხლე შეენარჩუნებინათ ორდენის დიდი მაგისტრისათვის და მისი სამი უახლოესი პირისათვის. დანარჩენები კი, რომლებიც კვლავ ჯიუტობას განაგრძობდნენ, საჯაროდ დაეწვათ.

ამგვარად, დიდი ხნის გარჩევისა და წამების შემდეგ, რომელმაც შესაძლებელია არაფერი მოგვცა, მეფის ბრძანებით ყოველი მეტაძრე მიაბეს ცალკეულ ბოძს, რომელსაც გარს შეშა ჰქონდა შემოწყობილი. დაანთეს ცეცხლი, რის შემდეგაც ჯალათმა გამოაცხადა, რომ თუ განსასჯელები საჯაროდ მოინანიებდნენ თავიანთ ცოდვებს, სიცოცხლესა და თავისუფლებას აჩუქებდნენ. ამასვე ცრემლებითა და მუდარით სთხოვდნენ მათ ახლობლები და მეგობრები. მაგრამ არც ერთმა განსასჯელმა არ ისურვა ქედი მოეხარა განრისხებული მეფის წინაშე და მონანიებით ეხსნა თავი. უველა მეტაძრე, როგორც

[1] Б р а н к а, Боккаччо средневековый. М., 1983. გვ. 297. („ეს ისტორია მე მოვისმინე მამაჩემისაგან, ბოკაჩოსაგან, რომელიც მაშინ განგების ნებით იმყოფებოდა სავაჭრო საქმეებზე პარიზში, სადაც პატიოსანი შრომით ცდილობდა თავისი ქონების გამრავლებას. მან დამარწმუნა, რომ პირადად ესწრებოდა ამ ამბავს".

ერთი, მტკიცედ და ამაყად იდგა. მაშინ მწვალებლებმა ცეცხლი მოუკიდეს მათ ფეხის ქუსლებზე. შემდეგ კი ცეცხლის ენებმა თანდათან მთელი მათი სხეული მოიცვა. მათი ტანჯვა-წამებისა და კვნესის ხმა ცას სწვდებოდა. ტამპლიერები ყვიროდნენ, რომ ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ და ყოველთვის იცავდნენ ამ წმინდა რწმენას. ამ კვნესასა და ყვირილში დაიწვა მათ სხეულები და სულიც თანბრძოლებრობით დალიეს...

ჯაკობო, რომელიც ციხეში ხანგრძლივი ყოფნისგან დასუსტებულიყო, ჩამოიყვანეს ლიონში, სადაც ყოველნაირად ცდილობდნენ მის დაყოლიებას, რომ თითქოს ის წმინდა პაპის კლემენტის წინააღმდეგ იყო. ამ ალიარების შემდეგ იგი უკან, პარიზში გაგზავნეს. სადაც ორი ლეგატის თანდასწრებით მეფის დაცვამ ხმამაღლა გამოაცხადა ბრძანება, რომლითაც მაგისტრი თავისუფლდებოდა, ხოლო ორდენი გაუქმდებოდა, მაგისტრმა თავისი ორდენის ორ თანამოძმესთან ერთად (ერთ-ერთი მათგანი დოფინ ვიენის ძმა იყო). დაიყვირა, რომ მისთვის მოესმინათ. მას ნება დართეს. მაგისტრმა ყველას გასაგონად დაიფიცა ყველა წმინდანი და თქვა, რომ ორდენის სხვ წევრებთან ერთად იმსახურებს, სიკვდილს, მაგრამ არა იმ საქმისათვის, რაც მეფის ბრძანებაშია, არამედ იმიტომ რომ დაუჯერეს წმინდა პაპისა და მეფის სიტყვას და ამაო დიდებით გატაცების საზიზღარ წყურვილს, რომ ბინძური ტყუილით გასვარეს ასეთი დიდებული ღვთის ორდენი, ჩრდილი მიაყენეს თანამოძმეებს. პატიოსნებას, რომ საბოლოოდ აღმოჩნდნენ მეტისმეტად უღირსები ასეთი დიდი მამაკაცების, ბრწყინვალე მეომრების, ორდენის წევრებისა და ძმების, გვერდით ყოფნის, ამიტომ ისინი უმალ ამჯობინებენ სიკვდილს ჭეშმარიტებისათვის თუნდაც უსამართლო ხელიდან, ვიდრე თავს ნებას მისცემენ ქედი მოუხარონ არასწორ გადაწყვეტილებას.

იმავე წუთს გაისმა სასტიკი ბრძანება ტამპლიერების სიკვდილით დასჯისა. ჯაკობოსა და დოფინის ძმას ელოდებოდა ის, რაც სხვა დანარჩენებს, ორი სხვა კი დატოვეს ცოცხლად, რათა სამარცხვინოდ გაეტარებინათ თავიანთი დარჩენილი დღეები.

ორივე სიკვდილმისჯილი დასაჯეს მეფის თანდასწრებით. ორივეს თავი ეჩვრა მტკიცედ და უშიშრად და გამოიჩინეს სულის ისეთივე სიმტკიცე, როგორც მანამდე დასჯილებმა"[2].

ტამპლიერების ორდენის განადგურება ფილიპე IV ლამაზის მიერ და ჟაკ დე მოლეს სიკვდილის სცენა აღწერილი აქვს ავრეთვე ცნობილ ფლორენციელ მემატიანეს ჯოვანი ვილანს თავის „ქრონიკაში". ბოკაჩოს მიერ აღწერილ დასჯის სცენას თუ შევადარებთ „ქრონიკის" შესაბამის ნაწყვეტს (VIII, 92), ივი საოცრად ემთხვევა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წერის მანერა სავსებით განსხვავებულია: ვილანის მშრალი და ლაკონური სტილი აშკარად განსხვავდება ბოკაჩოს მხატვრული დ მეტაფორული ენისაგან. შედარებისათვის მოგვყავს ჯოვანი ვილანის შესაბამისი ნაწყვეტი „ქრონიკიდან": „პაპმა იმისათვის, რომ ესიამოვნებინა მეფისათვის, დათანხმდა ამაზე. მეფის გამგზავრების შემდეგ მან ყველგან დაგზავნა თავისი სიგელები და ერთ და იმავე დღეს მთელ ქვეყანაში შეპყრობილ იქნა ყველა მეტაძრე, წაართვეს მათ ტაძრები, სახლები და სამფლობელოები, სადაც უთვალავი მიწა და სიმდიდრე იყო. საფრანგეთში

---

[2] Бокаччо, О злоключениях знаменитых мужей, М., 1972.

მეფის ბრძანებით სამეფო სასამართლო დაეპატრონა მეტაძრეების ქონებას. პარიზში დააკავეს ორდენის მაგისტრი, ძმა ჟაკ დე მოლე, წარმოშობით ბურგუნდიიდან, მასთან ერთად 60 კეთილშობილი რაინდი — ბერი, რომლებიც დააღანაშაულეს ერესში, ჰეშმარიტების წინააღმდეგ ცოდვებში. მეფისაგან მიღებული ფაქტების მიხედვით, ბრალდებულებები სხვადასხვანაირად აწამეს, რომ გამოეტეხათ. მაგრამ არც ერთ მეტაძრემ არ აღიარა ბრალდება და არ მოინანია ცოდვები, ისინი დიდხანს ჰყავდათ ციხეში და არ იცოდნენ რით დამთავრდებოდა მათი პროცესი (ბოლოს ერთხმად გადაწყვიტეს, რომ გაფრთხილებოდნენ თავიანთ მაგისტრს, დოფინ ვიენელის ძმას, ძმა უგო დი პარალდოს და კიდევ ერთს ხელმძღვანელებიდან)... 57 მეტაძრე მიაბეს ცალ-ცალკე ბოძს და ცეცხლი წაუკიდეს ფეხის ქუსლებზე, შემდეგ კი მთელ სხეულს. თანაც ამავე დროს თითოეულს უმეორებდნენ, თუკი მოინანიებთ დანაშაულს, სიცოცხლეს გაჩუქებთო. ამასვე ემუდარებოდნენ მათი ტანჯვის შემყურე ახლობლები და მეგობრებიც, მაგრამ არც ერთმა მეტაძრემ არ ისურვა მონანიება. ისინი ქვითინებდნენ და ყვიროდნენ, რომ უდანაშაულონი იყვნენ, რამდენადაც ყოველთვის ჰეშმარიტი ღმერთი სწამდათ. ისინი ევედრებოდნენ და დახმარებას სთხოვდნენ ქალწულ მარიამს, იესო ქრისტეს და სხვა წმინდანებს, ამ ტანჯვა-წამებაში დაიწვა მათი სხეული, სული კი ღმერთს მისცეს...

ჟაკ დე მოლე და მისი ამხანაგები ჩამოიყვანეს პუატიეში, სადაც ისინი წარსდგნენ პაპისა და მეფის წინაშე. მათ აღთქმული ჰქონდათ შეწყალება თუ დანაშაულს აღიარებდნენ, როგორც ამბობენ, მათ ზოგი რამ მართლაც აღიარეს. რის შემდეგ ისინი დააბრუნეს პარიზში, სადაც ჩამოვიდა ორი კარდინალი-ლეგატი, რომლებსაც უნდა გამოეცხადებინათ განაჩენი და გაესამართლებინათ ისინი მონანიების საფუძველზე... მაგრამ, აქ ჟაკ დე მოლე წამოდგა და იყვირა, რომ მისთვის მოეისმინათ: როდესაც ბრბო დაწუნარდა, მან განაცხადა, რომ ის ცოდვები ღმერთისა და რწმენის შესახებ, რაშიც მას ადანაშაულებენ. არასოდეს ჰქონია, რომ მეტაძრეები ყოველთვის იყვნენ ერთგული შვილები ჰეშმარიტად წმინდა კათოლიკური ეკლესიისა, მაგრამ ის, მაინც იმსახურებს სიკვდილს, რადგან წაბებისაგან შეშინებულმა, პაპისა და მეფისაგან მოტყუებულმა თავის მოძმეებთან ერთად აღიარა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია. მაშინ მეფის ბრძანებით მაგისტრი თავის ამხანაგებთან ერთად წაიყვანეს სიტში და როგორც დანარჩენი მეტაძრე, დაწვეს ნელ ცეცხლზე სამეფო სასახლის წინ. ცეცხლის ენებმა თანდათან მოიცვეს მაგისტრი, ის კი მაინც განაგრძობდა მტკიცებას, რომ მათი ორდენი და მათი რწმენა ჰეშმარიტად კათოლიკურია, უხმობდა ღმერთსა და ქალწულ მარიამს. ასევე იქცეოდა დოფინის ძმაც, ხოლო ძმა უგო და პარალდომ და კიდევ ერთმა მეტაძრემ ვეღარ გაუძლო წამებას და აღიარებით დაადასტურეს ის, რაც ადრე თქვეს პაპის და მეფის წინაშე. იმჯერად კი დააღწიეს სიკვდილს თავი, მაგრამ სულერთია, შემდეგ მათ საკოდავი დასასრული ელოდათ"[3].

ამრიგად, ორივე ავტორის მიერ აღწერილი სცენა იმდენად აშკარად ემთხვევა ერთმანეთს, რომ შეუძლებელია არ დავინახოთ მათი ურთიერთ დამოკიდებულება. რამდენადაც ჯოვანი ვილანი თავისი „ქრონიკა" დაწერა ბოკაჩოს „სახელოვან მამაკაცთა ფათერაკებზე" ადრე, სავარაუდოა, რომ ბოკაჩომ ისარგებლა „ქრონიკის" ტექსტით. მოთხრობების მსგავსებ უფრო აშკარაა,

[3] Вилани Дж. Хроники, СПБ, 1873, გვ. 156

ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი სხვადასხვა ტონალობაშია გადმოცემული. ბოკაჩოს მოთხრობა დაწერილია აშკარა მორალური, ჰკუის დამრიგებლური განზრახვით და ჩასმულია ნაწარმოებში, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ორიგინალურ ფილოსოფიურ შეჯამებაზე, ვილანის მოთხრობა კი მშრალი და ლაკონური გადმოცემაა ქრონიკის. შესაძლებელია ბოკაჩომ მართლაც მამისაგან მოისმინ ტამპლიერების ტრაგიკული ხვედრის შესახებ, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ, როცა თვითონ მოიწია ამ სცენის აღწერა, ის ბუნებრივია, მიმართავდა ლიტერატურულად დამუშავებულ ისტორიულ წყაროს. ასეთი კი იყო ჯოვანი ვილანის „ქრონიკა", რომელსაც ის, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა და იყენებდა კიდეც სხვა ისტორიული თხზულებების დასაწერადაც*.

Л. Б. ХУБАШВИЛИ

МУЧЕНИЧЕСКАЯ СМЕРТЬ ВЕЛИКОГО МАГИСТРА ТАМПЛИЕРОВ ЖАКА ДЕ МОЛЕ ПО РАССКАЗУ ДЖ. БОККАЧЧО «О ЗЛОКЛЮЧЕНИЯХ ЗНАМЕНИТЫХ МУЖЕЙ» И ДЖ. ВИЛЛАНИ «ХРОНИКИ»

Резюме

Тамплиеры — духовно-рыцарский орден, был основан в 1118 г. вскоре после I-го крестового похода. В 1128 г. был выработан устав ордена, превративший его в строго централизованную организацию. В XII—XIII вв. орден стал наиболее организованной военно-политической силой. Обогащению тамплиеров содействовали занятия торговлей и ростовщичеством. К финансовым услугам тамплиеров прибегали феодалы, государи, римские папы. Король Франции Филипп IV Красивый, опасавшийся роста могущества ордена, стремившийся овладеть их богатствами, добился обвинения тамплиеров в ереси. Против них был возбужден инквизиционный процесс. Осенью 1307 г. почти все тамплиеры были арестованы; после жестоких пыток «уличены» в ереси и сожжены, достояние ордена было конфисковано королевской казной. В 1310 г. в Париже сожжен был на костре Великий Магистр ордена Жак де Жоле. О его мученической смерти рассказывает Боккаччо в своей книге «О злоключениях знаменитых мужей» (21-я глава из книги IX).

Но, если сравнить рассказ о тамплиерах в книге Боккаччо с соответствующим отрывком из хроники Джованни Виллани (VIII, 92), создается твердое убеждение, что рассказ Боккаччо связан, и отнюдь не отдаленно, с текстом «Хроники». Рассказы так явно совпадают во многих моментах, что невозможно не предположить их зависимости друг от друга. А так как Виллани писал свою «Хронику» на много лет раньше боккачиевской книги «О злоключениях знаменитых мужей», очевидно, Боккаччо использовал текст «Хроники». Сходство рассказов выявляется гораздо больше, чем это представляется на первый взгляд, особенно, если учесть, что они выдержаны в разной тональности: рассказ Боккаччо написан с явно морализующим намерением и вставлен в произведение, претендующее чуть ли не на оригинальное философское обобщение, рассказ Виллани — сухое и лаконичное изложение хроники.

P. S. ჟაკ დე მოლეს სიკვდილით დასჯის სცენა უცნობი მხატვრის მიერ შესრულებულ ოლეა გურამიშვილმა აჩუქა პავშავაძეს. სურათი ამჟამად საგურამოს სახლ-მუზეუმში ინახება.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრამ

თამილა ქაჯაიაძე

კადარის „მაცხოვრის“ ეკლესია

აბაშის რაიონის სოფ. კადარში დგას საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია[1]. აქ ჩვენ მოგვიყვანა აკად. ექ. თაყაიშვილის აღწერამ, რომელიც მას ჩაუტარებია 1913 წ. რამდენადაც ეკლესიამ დაგვაინტერესა ანაზომებიც მოვიძიეთ. იგი აღმოჩნდა ძეგლთა დაცვის ინსტიტუტში („საქრესტავრაციის“ არქივში)[3].

ძეგლისადმი მიძღვნილი ზემოხსენებული სამივე პუბლიკაცია განსხვავდება ერთმანეთისაგან. ექ. თაყაიშვილის აღწერით „ყავრით დახურული ეკლესია ძლიერ დაზიანებულია“. 1946 წლის ანაზომზე ეკლესიას ყავრის სახურავი აღარა აქვს და სამხრეთის კარი გნგრეულია. ჩვენი იქ ყოფნის დროს ეკლესია სანახევროდ დანგრეული დაგვხვდა. როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, იგი დაუნგრევია 50-იანი წლების მიწისძვრას.

ეკლესიის მთლიანობის წარმოსადგენად აუცილებელია გამოვიყენოთ ექ. თაყაიშვილის აღწერა. აქ მოვიყვანთ მის შეორე ნაწილს: „ეკლესიის გარედან ყურადღებას იქცევენ ლამაზი ჩუქურთმიანი ნათელი ქვები, რომელნიც ჩაუტანებიათ აგურის კედელში, სამხრეთის კარის ზემოთ და მარჯვნივ და მარცხნივ. ეს ქვები თავის გრეხილიანი ჩუქურთმებით ამშვენებენ სამხრეთის კარის შესავალს. ამ ჩუქურთმების მიხედვით ეკლესია უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს XIV -ისა. შიგნით ეკლესია წინათ სულ მოხატული ყოფილა კარგი ფრესკებით, მაგრამ ეხლა უმეტესი ნაწილი მხატვრობისა ან სულ გაფუჭებულია, ან შეთეთრებული. საკურთხეველში უფრო უკეთ არის შენახული მხატვრობა. ზემოთ აქ დახატულია მაცხოვარი, ეხლა დაზიანებულია, მას ქვემოთ იესო ქრისტეს მოწაფენი, „წ-ა, პ-ტრე, წ-ა პავლე, წ-ა ფილიპე“ და სხვა სულ ათი; ქვემოთ ეკლესიის მამანი, სულ ცხრა: „წ-ა რომანოზ, მღვდელმოძღვარი; გრიგოლი დიოლოღონი, წ-ა ნიკ-ლზ, წ-ა ი-ე ოქრობირი, წ-ა ბასილი“ და სხვ. ამათ ყველას ხელში აქვთ ეტრატები და ეტრატების წარწერანი მსხვილი ასომთავრულით არის. თვით ეკლესიაში მხატვრობიდან კიდევ განირჩევა: ხარება, ფერისცვალობა, ლაზარეს აღდგენა. ქვემოთ ჩრდილოეთის კედელზე მოჩანან მთავარანგელოზები, მიქელ და გაბრიელ, წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი. დასავლთისაკენ ჩრდილოეთის კედლისა ყოფილა სურათები დადიანებისა, ქმარი, ცოლი და შვილი და ერთი კიდევ სხვა პირი, მაგრამ სურათები ძრიელ გაფუჭებულია და ძლივსღა ეტყობა მხოლოდ ზემო ნაწილი. ისტორიულნი პირები ყოფილან აგრეთვე წარმოდგენილნი დასავლეთის კედელზეც, რომელიც

---

[1] კადარის ეკლესიის შესასწავლად ვიყავით, ნოქალაქევის ექსპედიციის წევრებთან ერთად, 1986 წ. ივლისში.

[2] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. II, ტფილისი ,1914, გვ. 23—33.

[3] არქიტექტორ ს. ბოლქვაძეს აზომვები ჩაუტარებია 1946 წ.

ეხლა შეთეთრებულია. მხატვრობის შემკობილებანი, სადაც დაცულია, ძრიელ ლამაზია. კანკელი ეკლესიისა ახალია, ძველი ხატები აქ არ არის დაცული"[1].

ახლა ის რაც ჩვენ დაგვხვდა.

ეკლესია დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთის მონკვეთში. საშუალო ზომების (14, IX7. 8 მ.) მქონე დარბაზული ეკლესიის კამარა ჩანგრეულია და ასევე, თითქმის დანგრეულია დასავლეთის მონაკვეთის კედლები. მაგრამ ბევრი რამის წარმოდგენა შეიძლება ადრე შესრულებული ანაზომების მიხედვით. ამ ნახაზებისა და მაშინდელი ფოტოების მიხედვით არ დგინდება სახურავი და სამხრეთის კარი.

ეკლესიის გეგმა შეერილაფისდიანი დარბაზია (სურ. I). შესასვლელი ჰქონია სამხრეთით და დასავლეთით პირველი მათგანი ანაზომების მიხედვით დიდადაა განგრეული, ხოლო მეორეს წირთხლები ჩამოძარცული აქვს, წინასწარ უნდა-აღვნიშნოთ, რომ ეკლესიის ხუროთმოძღვარი ვერ ყოფილა მაღალი დონის ოსტატი. ძეგლის ფორმებს აკლია სიმკვეთრე. ხაზები დრუნჩია, პროპორციებიც დაუხვეწავია.

სწორკუთხა დარბაზის გადამხურავი კამარა შეისრული ფორმისაა თითქმის იმავე ფორმისაა ეკლესიის კონქიც. ეკლესიის აფსიდი, ერთი შეხედვით, ნახევარწრიულია, მაგრამ სინამდვილეში შვიდწახნაგაა. ასეთი შთაბეჭდილება იმიტომ გვრჩება, რომ წახნაგები მკვეთრად არაა გამოყვანილი. თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ წიბოები მკვეთრად დაახლოებით 1.5 მეტრის სიმაღლემდეა გამოყვანილი, ზემოთ კი თანდათანობით წრეზე გადადის. შიგნიდან მრავალწახნაგა აფსიდი იშვიათია. შესაძლოა აფსიდის კუთხოვნება გამოიწვია საშენ მასალად აგურის გამოყენებამ. აფსიდი ღრმაა და დასაწყისის ორსავე მხარეს მოზრდილი სწორკუთხა უბეებია ინვენტარის შესანახავად (სურ. 1.2).

ეკლესია შიგნით ნათდება სარკმლით, ამათგან ოთხი განლაგებულია საკურთხეველში (სურ. 1,2), ორი კი — დასავლეთის კედელში. საკურთხეველში ჩვეულებრივ კეთდება ერთი. ან სამი სარკმელი, ოთხი კი ქერძო შემთხვევაა. რაც შეეხება სარკმლების ფორმას, უნდა აღინიშნოს, რომ აქაც არაა სიზუსტე დაცული. ოსტატი სიმაღლის ნახევრიდან იწყებს მომრგვალებას და თანდათანობით ავიწროვებს ჭრილს. ბოლოს კი ორი აგურის სამკუთხად დაყენებით ამთავრებს. არის კიდევ ოთხი თითქმის კვადრატული ამბრაზურა დასავლეთით სარკმლების ზემოთ, ერთ ხაზზე, მათი დანიშნულება გაურკვეველია (ასეთი გადაწყვეტა ჩვენ არ შეგვინიშნავს). აფსიდის კედელში, როგორც აღვნიშნეთ ორი ღრმა ნიშაა და სამი პატარა.

ეკლესიის დარბაზის გადამხურავი კამარა ორ პილასტრზე გადასული საბჯენ თაღებზე ეყრდნობა (სურ. 1.2). პილასტებს შორის ინტერვალი თანაბარია დასავლეთის ორ შემთხვევაში, აღმოსავლეთის მონაკვეთი კი სიგანით მათი ნახევარია.

დარბაზის კედლები მთლიანად დაფარული ყოფილა ფრესკული მხატვრობით (სურ. 3). ახლა მხოლოდ მისი კვალი ჩანს. გადარჩენილ საკურთხევლის კედლებზე ახლაც შეიძლება ექ. თაყაიშვილის მიერ აღწერილი კომპოზიცი-

---

[1] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—33.

[2] ექ. თაყაიშვილი ეკლესიის მხატვრობის აღწერისას შემდეგს დასძენს: „ზოგიერთები თ. კიუნეს ჩვენ ფერადებით გადმოვალებინეთ". მხატვარ-ფოტოგრაფ თ. კიუნეს მიერ გადმოღებულ პირსა და ფრესკის ფოტოს, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ.

ბის ამოკითხვა. ნამდვილი ფერის ნახვა ჯერ კიდევ ხერხდება შედარებით ისეთ დაცულ ადგილებში როგორიცაა ნიშები. საერთო შთაბეჭდილებით იგი ანალოგებს პოულობს ლევან მეორე დადიანის (1611—1657 წწ.) დროს ნაწილობრივ მოხატულ ისთ ძეგლებში როგორიცაა — მარტვილი, ხობი, ცაიში და წალენჯიხა.

ეკლესია მთლიანად აგურითაა ნაგები, აგური ინტერიერში ნალესობის გამო არ ჩანს, მაგრამ ფასადებზე იგი კარგადაა გამოვლენილი.

ეკლესიის სამი ფასადი ბრტყელი ზედაპირითაა, ხოლო მეოთხე, აღმოსავლეთისა წახნაგოვანია. წახნაგი ექვსია, წახნაგების წიბოები არაა მკვეთრად გამოვლენილი. თანაც აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ წახნაგები სარკმლის ქვედა დონემდე ჩანს, მერე კი წრეზე გადადის (სურ. 8, 9).

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე განლაგებული სარკმლები მართივი სწორკუთხედებია. ფასადის მორთვაზე ოსტატს მხოლოდ აღმოსავლეთით უზრუნვია. აქ ოსტატი აგურის წყობით ამკობს ფასადისათვის ერთგვარად ლაზათის მიცემას. სარკმლის ზედა ნაზზე, სამ რიგად აგურები ცერადაა დაწყობილი (ასეთ წყობას, ჩვეულებრივ „თევზისფხურს" უწოდებენ). ამას მოსდევს აგურის ჰორიზონტალური წყობა ორ რიგად. შემდეგ ასეთი წყობა, როგორც ეტყობა, კიდევ ორჯერ მეორდებოდა. ასეთი წყობა ნამდვილად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს (სურ. 5, 6).

ეკლესიის ორი კარიდან ხის ძელით გადახურული დასავლეთის კარი სწორკუთხაა მაგრამ, რადგან კარი განიერი იყო, ამიტომ ზედა კედლის დაწოლის საწინააღმდეგოდ ოსტატს განმტვირთავი თაღი გაუკეთებია. იგი ერთი აგურის წყობითაა მიღებული და კარის ღიობს განივრად ადგას.

სამხრეთის კარი კი მშენებელს საგანგებოდ მოურთავს ჩუქურთმიანი კანკელის ფრაგმენტით (სურ. 4). ეს კარი ფრაგმენტებით 40-იან წლებში უკვე ადგილზე აღარ იყო. ფასადში ჩართული კანკელის ფრაგმენტების შესახებ ექ. თაყაიშვილი შემდეგს წერს: „ეკლესიის გარედან ყურადღებას იქცევენ ლამაზი ჩუქურთმიანი ნათალი ქვები, რომელნიც ჩაუტანებიათ აგურის კედელში სამხრეთის კარის ზემოთ მარჯვნივ და მარცხნივ. ეს ქვები თავის გრეხილიანი ჩუქურთმებით ამშვენებენ სამხრეთის კარის შესავალს. ამ ჩუქურთმების მიხედვით ეკლესია უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს მეთოთხმეტე საუკუნისა"[6]. ავტორს ახლდა ფოტოგრაფი კიუნე, რომლის მიერ გადაღებული ერთი ფოტოს ნეგატივი ინახება ხელოვნების მუზეუმის ფოტოტეკაში.

ამ ფოტოზე გამოსახულია კადარის ეკლესიის სამხრეთის კარი. იგი ხუროთმოძღვარს მოურთავს რომელიღაც ეკლესიის კანკელის ფრაგმენტებით (სურ. 4). ფრაგმენტი შვიდია. ამათგან სამი, თაღედის ერთნაირი ფორმის ფრაგმენტია. ესენი კანკელის ცენტრალური მონაკვეთებია ორ-ორი ნახევართაღით. კიდევ ორი ისევ ერთნაირი ფრაგმენტია მხოლოდ ორი თაღედის განაპირა ფილებია. არის აგრეთვე ორი ფრაგმენტი, რომლებიც თაღედის კოლონების ნაწილებია. ესენი კვადრატული იმპოსტებია, რომლებიც დაყრდნობილია შეწყვილებულ ლილვებზე, ლილვები გლუვზედაპირიანია, ხოლო კაპიტელები, დაფარულია გეომეტრიული ჩუქურთმით.

ფრაგმენტები მთლიანად მოჩუქურთმებულია. თაღები ნახევარწრიული მოხაზულობისაა. თაღებს ორნამენტირებული არშიები შემოუყვება, ხოლო თაღებს

---

[6] ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

შორის მოზრდილი კოპებია, რომელთა ზედაპირიც მთლიანად ჩუქურთმებითაა დაფარული. ამ კოპებსაც წრიულად ვიწრო ჩუქურთმიანი არშია უვლის.

თითოეულ თაღზე შემოყოლებულ არშიაზე ცალკე მოტივია ამოკვეთილი. ეს კი იძლევა თაღების თანმიმდევრობით დალაგების საშუალებას. ასეთი ცდის შედეგად გაირკვა, რომ კანკელი ხუთი თაღისაგან შედგებოდა და აკლია ორ თაღს შორის მდებარე ერთი ფრაგმენტი. საკარაუდოდ ეს უნდა ყოფილიყო მეორე და მესამე თაღს შორის მდებარე ფრაგმენტი. თავისთავად ხუთთაღიანი კანკელი დიდ ეკლესიას გულისხმობს, ვთქვათ ისეთი როგორიცაა სეფიეთის ბაზილიკა, რომელიც აქედან ჩრდილოეთით რამდენიმე კილომეტრზეა. სხვა ეკლესიის ნანგრევი, რომლის ნაწილიც ეს კანკელი შეიძლებოდა ყოფილიყო კადარის სიახლოვეს ახლა არ ჩანს.

კანკელის დათარიღებისათვის ერთადერთია სტილისტიკური მონაცემები. ჩუქურთმა მხოლოდ გეომეტრიულია და შესრულების მხრივ მეტად მშრალია სწორედ ამან ათქმევინა მის პირველ გამომკვლეველს რენე შმერლინგს, რომ იგი XIII—XIV საუკუნეების ნაწარმოებიაო[7]: ჩვენ კი დავსძენთ, რომ იგი უფრო XIV ს-საა.

ეკლესიას, როგორც ზემო განხილვიდან ვნახეთ, ზუსტად დამათარიღებელი მონაცემები არ ახლავს[8]. ზოგადად კი იგი XVI—XVIII საუკუნეებისაა. გვიანი საუკუნეების ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე აგებული ეკლესიები, ან ძველ ეკლესიებზე მიშენებული ექვტერები, ყველა ქვისაა და განსახილავი ძეგლისათვის შესადარებლად უშუალოდ არ გამოდგება.

ალნიშნულ ეპოქაში რესტავრირებული ძეგლებიდან კადარის ეკლესიის დასათარიღებლად ნაწილობრივ გამოდგება ცაიშის ტაძრის გუმბათი. ეს დიდი ტაძარი 1614 წლის მიწისძვრამ ძლიერ დააზიანა და იგი 1616—1618 წლებში აფხაზეთის კათალიკოს მალაქიას აღუდგენია. ოსტატი აქაც ვერ ყოფილა მაღალი დონისა და იგი გუმბათის ყელს აკეთებს რალაც საშუალოს ცილინდრსა და პრიზმას შორის. წიბოები ისე დუნედაა გამოყვანილი, რომ ქვემოდან თითქმის არ შეიმჩნევა[9].


როგორც ვნახეთ, კადარის ეკლესია სოფლის რიგითი ნაგებობაა, მართალია იგი ყველა თავისი დეტალით გვიანი საუკუნეებისაა, უფრო XVII ს-ეს მიეკუთვნება.

---


[7] R. Шмерлинг, малые формы в архитектуре средневековой Грузии. 1962, გვ. 192—193.

[8] ეკლესიას მისი პირველი გამომკვლეველი, ექ. თაყაიშვილი კანკელის მიხედვით ათარიღებს „არა უგვიანეს მეთოთხმეტე საუკუნისა" (დასახ. ნაშრომი. გვ. 32). კანკელი სხვა ეკლესიისაა ამიტომ იგი ამ ეკლესიას, ცხადია, ვერ დაათარიღებს.


[9] ვ. ზაქარაია, ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, თბ., 1956, გვ. 32—34, სურ. 3, 4, ტაბ. VI—VIII.




1. ქადარი. ეკლესიის გეგმა და გრძივი განაკვეთი



2. კადარი. ეკლესიის განივი განაკვეთები და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები



3. კადარი. ეკლესიის საკურთხეველი შიგნიდან



4. ქედარი. ეკლესიის სამხრეთის კარის კანკელის ფრაგმენტები



5. კადარი. ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



6. კადარი. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის დეტალი

Т. О. КАПАНАДЗЕ

ЦЕРКОВЬ «СПАСИТЕЛЯ» В СЕЛЕ КАДАРИ

Резюме

Село Кадари расположено в районе Абаша. На северо-западной окраине села находятся развалины церкви.

Церковь зального типа, средних размеров. Она сейчас в плохом состоянии, но о ней можно судить по материалам экспедиции Е. Такайшвили[1] и по обмерам 1946 г. архитектора С. Болквадзе.

План церкви прямоугольный с выступающей апсидой. Двери расположены с юга и запада, а окна — с востока и запада. Свод стрельчатой формы покоится на подпружинных арках. Стены интерьера были покрыты фресковой росписью. От фрески остались только небольшие фрагменты

Церковь целиком построена из кирпича. Внутренние стены заштукатурены, поэтому кирпич не виден, а снаружи хорошая кладка напицо. Шестигранную выступающую апсиду мастер заканчивает в три ряда косопоставленными кирпичами.

Автор церкви украсил южный фасад откуда-то доставленными фрагментами алтарной преграды. Эти фрагменты датируются XIV веком.

Сама церковь, по стилистическим данным, датируется позднефеодальной эпохой, в частности, XVII веком.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმმა.

[1] Е. Такайшвили. Археологические экспедиции, разыскания и заметки, Тифлис, 1914, кн. II, стр. 32—33

ჯემალ ზარაშვილი

შეწირულობის ინსტიტუტი შუმერში

წინამდებარე სტატიაში ჩვენ საუბარი გვექნება ხალხის რელიგიურ წარმოდგენებზე დამყარებული ერთი რიტუალის შესახებ, რაც ალთქმული მსხვერპლის შეწირვის ჩვეულებაში გამოიხატება. იგი ყველა ეპოქისათვისაა დამახასიათებელი იმ დროიდან, რაც კი რელიგია ჩაისახა. დროის ვრცელ მანძილზე ამ ჩვეულებამ ოდნავი, თითქმის შეუმჩნეველი ცვლილება განიცადა რიტუალის ჩატარების წესის თვალსაზრისით, შინაარსობრივად კი უცვლელად კონსერვატული დარჩა: ალთქმული მსხვერპლის შეწირვის მთავარი დანიშნულება იყო და არის შემწირველის მიერ ღვთაების გულის მოგება რაიმე თხოვნის აღსრულებაში ზენაარის შემწეობის ცდუნების მიზნით. ამ მხრივ ეს რიტუალი უაღრესად უტილიტარული და პრაგმატულია.

ისტორიის ასპარეზზე შუმერთა პოლიტიკური არსებობის ათასხუთასწლოვანი პერიოდის მთელ მანძილზე (ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან 2024 წლამდე) აქტიური ჩვეულების დადასტურებას ეხვდებით ყოველთვის. ადრეულ. საწყისი პერიოდისათვის ამის შესახებ არქეოლოგიური მასალა მოგვითხრობს, შემდგომებით კი კერძოდ, ძვ. წ. XVI ს-დან ამ რიტუალის შინაარსის უკეთ წარმოდგენა საქმეში უკვე წერილობითი წყაროები გვეშველებიან[2].

ალთქმული მსხვერპლის შეწირვის შესახებ ყველაზე უხვი ცნობები მოღწეულია ახალშუმერული ხანის ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის, ე. წ. ურ III დინასტიის ხანიდან (ძვ. წ. 2132—2024 წწ.) ჩვენს ხელთაც ამჟამად საკმაოდ მაშინდელი ლურსმული დოკუმენტების მონაცემების გარკვეული კუთხით განალიზება წარმოადგენს. აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ საანალიზო წერილობითი მასალა იმდროინდელი შუამდინარეთის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური და სოციალური ვითარების ზოგადი სურათის აღსადგენად ერთი მხრის უკეთ წარმოსაჩენისათვის გვაინტერესებს.

პირველი, ვინც შუმერში არსებულ შეწირულობის ჩვეულებასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალა მიმოიხილა, იყო ი. გელბი. მან 1972 წელს გამოაქვეყნა შუმერის ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური და პოლიტიკური ცენტრიდან ქალაქ ლაგაშიდან მოძიებული ორი ვრცელი დოკუმენტი, რომლებიც წარმოადგენენ ამ დასახლების ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ტაძრისადმი შეწირული ქონების აღწერის აქტებს[3]. მათში არაერთხელ იხსენიება შეწირულების სახით შემოსული სხვადასხვა სახის ნივთები,

---

[1] L e n z e n H. J., Mesopotamische Tempelanlagen vor der Frühzeit bis zum zweiten Jahrtausend, ZA 51 (1955), გვ. 1—37; Б р е н т ь е с Б., От Шанидара до Аккада, М., 1976, გვ. 137, 269, 175—177.

[2] D e i m e l A., Die Orferlisten Urukaginas und seiner Vorgänger, OrSP (1928), გვ. 26 შმდ.; ი ა ნ ი ვ ე, Religiouse Abgaben (maš—da—ri—a), OrSP 26 (1927), გვ. 1—29.

[3] G e l b I J., The Arua Institution, RA 66 (1972), გვ. 1—32.

პირუტყვი და ადამიანები. მაშინ ი. გელბს არც ჰქონია მსგავსი ხასიათის ტექსტური ცნობების სრულად მოხმობა-განხილვის პრეტენზია და მის ნაშრომში ამას ვერც ეხვდებით[4]. ამ მხრივ კიდევ უფრო მწირია ი. გელბის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების მსგავსი მესამე საბუთის პუბლიკაციისადმი მიძღვნილი სტატია დ. ფოქსვოგისა[5], რომელიც მხოლოდ საბუთის ავტოგრაფირება-ტრანსლიტერაციითა და მისი შინაარსის მოკლე მიმოხილვით შემოიფარგლება. ეს არის და ეს. შუმეროლოგთაგან შეწირულობის საკითხს სპეციალურად დღემდე არავინ შეხებია.

აღნიშნული ეპოქის დროინდელი შუმერული საზოგადოება-სათვის ერთობ დამახასიათებელია ხშირი მსხვერპლთშეწირვა. საკალენდრო გადასახადის საბით სამსხვერპლოდ განკუთვნილი ცხოვრებისა და ნივთების გამოღება ექვირებოდა მეფიდან დაწყებული რიგით მეთემემდე ყველას. სხვადასხვა სახისა და დანიშნულების სამსხვერპლო გამოსაღების აღსანიშნავად შუმერულ საეკონომიო თუ საკანონმდებლო შინაარსის დოკუმენტებში დამოწმებულია შემდეგი ტერმინები: siskur, *niqu* „მსხვერპლი (ლოცვის თანმხლები, არარეგულარული)"[6], sá-du$_{11}$, *alluk'u* „რეგულარული (სადღესასწაულო) მსხვერპლი"[7] და nu—túm, *šuruhtu* „რეგულარული საკალენდრო (სამსხვერპლო) გამოსაღები, შემონატანი"[8]. ეს უკანასკნელი ძირითადად ცხოველებით გამოღებულ გადასახადს გულისხმობდა. იგი იყო რეგულარული (წლიური), საკალენდრო და იხდიდა ყველა — მეფე (mu—túm—lugal), ოლქის მმართველი (mu—túm—énsi), აქა თუ იმ თანამდებობის პირი და რიგით მეთემე.

რაც შეეხება ღვთაებისადმი პირთმეულ ნებაყოფლობით საკლთქმო შესაწირს, იგი ძირითადად ორი ტერმინით გადმოიცემოდა. პირველი a—muru, *išruk* „წილძღვნა, შესწირა"[9]. იგი შედარებით იშვიათად იხმარებოდა; ძირითადად სამეფო წარწერებში გვხვდება მეფეთა მიერ ღვთაებათადმი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გამოსათხოვრად (nam—ti—la—ni—šè) მიძღვნილ შესაწირთა აღსანიშნავად[11]. ამავე შინაარსის მქონე, ოღონდ უფრო ხშირად ხმარებული, მეორე ტერმინი a—ru—a *širkum* „მიძღვნილი, ნაჩუქარი. ნაბოძები, საჩუქრად

---

[4] Gelb I. J., დასახ. ნაშრ., გვ. 7 სათანადო წყაროების იგნორირებული მიმოხილვა არასრულია, მაგრამ მკვლევარს მისი ნაშრომის ორიოდე გვერდზე ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ არა ერთი უმნიშვნელოვანესი მოსაზრება აქვს გამოთქმული, რაც ჩვენ მხრივ მისაღებია და გაზიარებულია კიდეც.

[5] Foxvog D. A., Third Arua Summary from Ur III Lagash, RA 80 (1986), გვ. 19—29.

[6] SL II, 438: 6; MEA, 438; AHw. გვ. 793.

[7] SL II, 457: 39b; MEA, 457; AHw, გვ. 1201.

[8] AHw, გვ. 1287.

[9] დაწვრილებით იხ. Hallo W. W., A Sumerian Aumerian Amphictyony, JCS 14 (1960). გვ. 88—114.

[10] AHw, გვ. 1183.

[11] RISA, გვ. 98, 4, I III 40; გვ. 128, 14: 13; 15: 16; 17: 6 და სხვა.

[12] NG III, გვ. 93. (შეად. NG I. გვ. 87. შენიშვნა 6).

[13] a—ru—a ტერმინს ა. დამელი თარგმნის ასე: „საჩუქრად მიძღვნილი (ადამიანები, ცხოველები და ნივთები)" (იხ. SL II, 579: 140). ი. გელბის ძახედვით ამ ტერმინში ნაგულისხმევია „საკლთქმო შესწირი — given ex—voto (იხ. AI, გვ. 5). მკვლევართა ერთი ნა-

ძიძლვნილი[13], შეწირული"[14]. იგი წარმოდგენა ზმნისაგან **a-ru**, *šarāki* ძიცემა, მიძღვნა, ჩუქება"[14]. სამეურნეო და იურიდიულ დოკუმენტებში აღ ტერმინით აღნიშნება წებაყოფლობით გაღებული შესაწირი - ნივთები, ცხოველები და ადამიანები. ჩვენც ამჯერად სწორედ „არუა" შესაწირს შევეხებით.

ტერმინებზე საუბრის დასასრულს ერთსაც დავუმატებდით. „არუაში ნაგულისხმევი ცხოველები და ნივთები (ადამიანები არა) ზოგჯერ მოიხსენიება **sá—du$_{11}$** და **mu—túm** ტერმინებითაც. ზემოთ მიუთითეთ, რომ ეს ტერმინები სასხვერპლოდ განკუთვნილი ცხოველებისა და ნივთების საკალდებულო გამოღებას, საკალდებულო გადასახადს გულისხმობენ. აქედან გამომდინარე, ტაძარში შემოსული ცხოველებისა და ნივთების შიშართ როცა ნათქვამია, რომ ესაა **a-ru-a-mu-túm**[15] ან **a-ru-a-sá-du$_{11}$**[16] შეიძლება ვიფიქროთ, „არუა" შესაწირს რამ. დენადმე საკალდებულო ხასიათი ხომ არ ჰქონდა? ყოველთვის ეს, ალბათ, ასე არ იყო, მაგრამ ტაძარი ზოგჯერ მაინც ხომ შეეცდებოდა, რომ იდეოლოგიური ზემოქმედების კვით აეძულებინა მორწმუნეები, რათა მათ ღვთაებისათვის შეეწირათ რაიმე შედარებით ხშირად. რეგულარულადაც კი. მოსალოდნელია, რომ თავდაპირველად ნებაყოფლობითი შეწირვა თანდათანობით სავალდებულოდ გადაქცეულიყო.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც. ურის III დინასტიის ხანაწყისში „არუა" შემოსულობა შედარებით ნორმალური ხასიათით გვხვდება, მაშ, ამ დროს, მართლაც, რომ ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა. ზოგჯერ კი, კერძოდ, ამ დინასტიის უკანასკნელი მეფის იბისუენა ზეობაში (ძვ. წ. 2046—2024 წწ). — ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქვეითების ხანაში შექმნილი კრიზისული ვითარების გამწვავების კვალობაზე შედარებით ხშირდება „არუა" შემოწირულების შემოსვლის შემთხვევები[17]. უნდა ვიფიქროთ, რომ საყოველთაო გაჭირვების დროს ქურუმები იქნებ ავალდებულებდნენ იმდენ მოქალაქეებს და რაღაც მეთოდებით აიძულებდნენ მათ, უფრო რეგულარულად შემოეტანათ „არუა" შემოსაწირი.

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ „არუა" შემოწირულება ყოველთვის თუ არა, გარკვეულ პერიოდში მაინც სავალდებულო ხასიათი ჰქონდა[18].

ახლა გადავიდეთ უშუალოდ გასარკვევ საკითხზე, რომელსაც ვეფიქრობთ, უმჯობესი იქნება განვიხილოთ ამგვარი თანმიმდევრობით: I. ვის სწირავდნენ:

წილი აღნიშნულ ტერმინს თარგმნის, როგორც „საჩუქარი" (იხ. J a c o b s e n T., CTC. გვ. 57; Д ь я к о н о в И. М., Люди города ура, М., 1990, გვ. 121; Grégoire J.—r., AAS. 143:2) ან „შემოწირული" (იხ. Т ю м е н е в А. И., ГХЛШ. გვ 262) „მძღვნილი" (იხ. С т р у в е Е. Г., Лагерь военнопленных женщин в шумере конца III тысячелетия до н. э., ВДИ, 1952 №3, გვ. 17, ნოტი VI 5). „საჩუქარი; გადასახადი" (იხ. L e g r a i n L., UET III 2. გვ. 54).

[14] MEA. 579; AHw, გვ. 1183.

[15] AT. 53 და მსგავს შემთხვევებში იხ. TEL. 249. ეკ. 5; CBT I. 14516, TVD. 51—7—8. YOS IV. 228:2; UET III. 83:10; SAT. 266. ეკ. 1.

[16] UET III. 160:6; SAT. 20:4.

[17] UET III. 78; 83; 249; 250; 256 და სხვ. (ადგილის სიმცირის გამო ყველა დოკუმენტის მითითებისაგან აქ და ქვემოთაც თავს ვიკავებთ).

[18] ამას ერთგან ი. დიაკონოვიც შენიშნავს გაკვრით, მაგრამ თავის მოსაზრებას არ ასაბუთებს (იხ. Д ь я к о н о в И. М; დასახ. ნაშრ. გვ. 121).

II. რას სწირავდნენ; III. ვინ სწირავდა და IV. როგორ, რა დანიშნულებით იყენებდნენ შემოწირულს.

1. **ვის სწირავდნენ.** რა თქმა უნდა, ტაძრებს. რომ შეწირულება ძირითადად ტაძრებში შედიოდა, ამ ფარემოებაზე დოკუმენტებში ყოველთვის არა. მაგრამ საკმაოდ ხშირად კი არის ნათქვამი, რომ ესა თუ ის შემოწირული განკუთვნილია ღვთაებებისათვის (a-ru-a-dingir-re-ne)[19]. ზოგჯერ მითითებულია კონკრეტული ღვთაება, რომელსაც მიერთმევა შემოწირული — a-ru-a-^{d}Na-na-a „შემოწირული ღვთაება ნანასადმი"[20] ან უფრო ხშირად იხსენიება კონკრეტული ღვთაების ტაძარი-a-ru-a-e-^{d}Nin-dar-a[21], კონკრეტული დასახლებული პუნქტის ტაძარი[22] და ა. შ.

ტაძარში შემოსულ შემოწირულს, ძირითადად კი პირუტყვსა და ადამიანებს, შემდეგ გადაანაწილებდნენ სახელმწიფო მეურნეობის ფილიალში[23]. მათ მიმართ საბუთებში ყოველთვის აღნიშნულია, რომ ისინი შეშოწირული არიან(a-ru-a-me), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნაგულისხმევი პირუტყვი თუ ადამიანები თავის დროზე უშუალოდ სახელმწიფო მეურნეობის ამა თუ იმ ფილიალს შესწირეს ტაძრის გვერდის ავლით. უშუალოდ სახელმწიფო მეურნეობისადმი ადამიანებისა და პირუტყვის შეწირვის დოკუმენტური ცნობა ჩვენ არ გაგვაჩნია. არ გაგვაჩნია ადამიანებისა და პირუტყვის მიმართ. ვამბობთ, თორემ სახელმწიფო მეურნეობის რომელიმე ფილიალისადმი ამა თუ იმ ნივთის შეწირვის ერთი შემთხვევა წერილობითაა დადასტურებული. ჩვენს განკარგულებაშია საგანგებოდ გაფორმებული იურიდიული საბუთი იმის თაობაზე, რომ ერთმა პიროვნებამ ორი ცალი ვირის თოქალთო შესწირა (სიტყვ. „აჩუქა" an-no-ru) ქალაქ გირსუს (ლაგაშის ოლქის ცენტრალური პუნქტის) საფიცრო საწარმოს[24]. აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით თუ ვალიარებთ სახელმწიფო მეურნეობის ფილიალ-დაწესებულებებში ტაძრების გვერდის ავლით „არეა" შემოწირულობების მოხვედრის შესაძლებლობას, ეს მხოლოდ და მხოლოდ ნივთების მიმართ უნდა დავუშვათ და ესეც ძალზე გამონაკლისად მივიჩნიოთ.

II. **რას სწირავდნენ:** ადამიანებს, ცხოველებსა და ნივთებს. მაგრამ სამწუხაროდ, დოკუმენტებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში სწირავდნენ, ვთქვათ ადამიანს და რა შემთხვევაში ცხვარს ან რაიმე ნივთს. უეჭველია, ცხვრის მაგივრად ადამიანს არავინ შესწირავდა და არც პირიქითული მოვლენის დაშვება იქნებოდა რწმენა-წარმოდგენით გამართლებული. არადა ამისი გაგება ერთობ მნიშვნელოვანი იქნებოდა ძველი შუამდინარეთელი ადამიანის სულიერი სამყაროსა და საერთოდ ძველაღმოსავლური რელიგიის არა ერთი ნიშანდობლივი მომენტის წარმოსადგენად.

---

[19] AI, A XIII 2; STA. I VIII 2.

[20] UTZL. 14:2; UET III, 74: 4; ITT III2, 5027:4; 5223:1 და სხვ.

[21] AI, A III 17 შმდ.; B II 24 შმდ.; MOS XVI. 150 I I 10 და სხვ.

[22] UET III, 83:11.

[23] შემოწირულ ქალებს, მაგალითად, საკმაოდ მრავლად ვხვდებით საფეიქრო საწარმოებში (იხ. MOS XVI, 159 V29 და შმდ.; 162 II 21; UET III, 13:8) ან წისქვილებში (იხ. MOS XVI, 154 I 29; WMAH I, 176 XIV 11).

[24] WMAH I, 173:1—5.

1). ადამიანთა შეწირვის შემთხვევები მხოლოდ და მხოლოდ „არუა“ შეწირულობაშია დადასტურებული. ამ მხრივ შეწირულობის ეს წესი ძალზე საინტერესოა და ნიშანდობლივი. დადასტურებულია ორივე სქესისა და სხვადასხვა ასაკობრივი მონაცემების მქონე პირთა შეწირვის 230-ზე მეტი შემთხვევა უფრო მეტად სწირავდნენ ქალებსა და გოგონებს, შედარებით იშვიათად კი — მამაკაცებსა და ბიჭუნებს[25]. შემოწირველები მაძრობითი სქესის საშუალო ძალას, ჩანს, ძალზე უფრთხილდებოდნენ და წარამარა შესაწირად მას ვერ იმეტებდნენ.

პიროვნების შეწირვა ხდებოდა ძირითადად სამუდამოდ და მთლიანად. ამ უკანასკნელი გარემოების განმარტებისათვის ვიტყვით შემდეგს: „მთლიანად შეწირვა“ იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის პირი ტაძარს გადაეცემოდა მთელი სიცოცხლით უვადოდ და უპირობოდ. ამგვარად შეწირული ტაძარი გამოიყენებდა ყველგან და ყოველთვის თავისი შეხედულებისამებრ. მთლიანად შეწირვისაგან განსხვავებით დადასტურებულია რამდენიმე საინტერესო შემთხვევა ე. წ. „სანახევროდ შეწირვისა“. დოკუმენტებში ამგვარი ფაქტების ფიქსირებისათვის გამოყენებული ფრაზა: „შეწირულია 1/2 კაცი, ქალი (საკუთარ სახელზე მითითებით)“.

შესაწირავთა შემოსავლის ერთ აქტში ნათქვამია, რომ „1/2 ურუნანინი ფიქარ შაგადუგას მიერ“[26]. დუმუზის ტაძრისადმი შემოწირული ღვთაება (არის) იმავე დოკუმენტში ორი ქალის მიმართ ნათქვამია: „1/2 გემედაგა შემოწირული ღვთაება დუმუზის ტაძრისადმი მითევზე ურნინგიზიდას მიერ; 1/2 ზიზი შემოწირულია ღვთაება ნინდარას ტაძრისადმი სახელმწიფო მეურნეობის გამწევი ძალის ინსპექტორ-ზედამხედველის ურმესის მიერ“[27]. მსგავს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გამორიცხულია, რომ პიროვნებას ნამართ ნახევარი წილადი 1/2 (-ნახევარი) ფიზიკურ მთლიანს გულისხმობდეს. ყოყმანის გარეშე უნდა განვაცხადოთ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს შემწირველის მიერ ტაძრის ვანკარაულებაში შეწირული პიროვნების სანახევროდ გადაცემის ფაქტთან, ე. ი. შეწირული მოემსახურებოდა ტაძარს (ანდა მისი ადმინისტრაციის ნებით სახელმწიფო მეურნეობის რომელიმე ფილიალ-დაწესებულებას), ვთქვათ, ნახევარი თვის (და შესაბამისად წლის) მანძილზე. წლის დანარჩენი დროის განმავლობაში ასეთი პიროვნების შრომის ექსპლოატაციის უფლებას შემწირველი იტოვებდა.

სანახევროდ შემოწირული მუშა ქალები უნდა იგულისხმებოდნენ „არუა“ პირებს შორის მოხსენიებულ géme à 1/2 „ნახევარი სამუშაო ძალის (მქონე) მუშა ქალებში. ი. გელბის მიერ გამოქვეყნებული ზემოხსენებული ერთი დო-

---

[25] დამოწმებულია ქალთა შეწირვის 170-ზე მეტი შემთხვევა (იხ. CTB, 54; NAT. 166; TAS. I; WMAH I. 277; MVN VI. 322; MOS XVI. 160; 155; 158; 159; 162; ITT IV. 7318; TEL. 241; TCL V. 5039; CT X. 14313 და სხვა). გოგონას სწირავენ 32 შემთხვევაში (ი. CTC. 54 II 4; MOC XVI. 150 II 7; 155 III 10; 162 V 16; UET III. 1438 III 7—8 და სხვა). მამაკაცებს სწირავენ მხოლოდ 26-ჯერ (იხ. TCL V. 5674 18; CTC. 54 IX 23; MOS XVI. 151 I 31; 154 I 28—29; 159 X 14; SAT. 59: 1; 144: 3; 503, რა. 1; GDD. 393:1 და სხვა). ბიჭებს კი—6-ჯერ (იხ. CTC. 54 I 26 შდ.; SA. CLXV, 145:1—7; TEL, 241 X 15).

[26] AI. A I 23—24. 27 (ესაა მამაკაცის სანახევროდ შეწირვის შემთხვევის ჯერჯერობით ერთადერთი დადასტურებული ფაქტი.)

კუმენტის ტექსტში ექვსი ასეთი ქალია დასახელებული[28]. ნახევარ სამუშაო ძალაში (á—1/2) აქ, უეჭველია, იგულისხმება შემოწირულთა მიერ მთელი დრის (თვის, წლის) ნახევრის მანძილზე ტაძრის სასარგებლოდ მუშაობის ვალდებულება[29].

რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა კატეგორიის ხალხს სწირავდნენ ტაძრებს ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემისათვის საჭირო ცნობებს ყოველთვის ვერ ვპოულობთ დოკუმენტებში. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში თუ არის ნათქვამი რაიმე შემოწირულთა წარმომავლობაზე, შემოწირვამდელ მდგომარეობაზე.

შემოწირულთა შორის საკმაოდ ხშირად ვხვდებით სამხედრო ტყვეებს (nam—raak). ჩვენამდე მოღწეულია საგანგებოდ შედგენილი ორთი დოკუმენტი დუბლიკატითურთ[30], რომელშიც საუბარია ჭ. უმას შემოგარენი მდებარე ღვთაება შარას ტაძრისადმი ერთ ჯერზე 172 სული სამხედრო ტყვის შეწირვის შესახებ (nam-ra-ak-a-ru-a-^{d}Šara-šè. სტრ. 6.). ამათგან 113 ქალია 46 — გოგონა, 13 კი—ბიჭი. დოკუმენტში არაფერია ნათქვამი შემომწირველის შესახებ, მაგრამ ასეთად, ალბათ, სახელმწიფო, სამეფო ხელისუფლება უნდა ვიგულისხმოთ. კერძო პირისაგან ტყვეთა ასეთი დიდი რაოდენობის შემოწირვა ნაკლებ მოსალოდნელია.

უმადან მომდინარე ერთ ვრცელ დოკუმენტში კი, რომელშიც ტყვეთა ბანაკის ბინადართა შესახებ ცნობებია წარმოდგენილი, ნათქვამია, რომ ვინმე ლუდინგირა სწირავს ღვთაება შარას ამ ტყვე ქალს. ხოლო თითო ტყვე ქალს მიუძღვნის ღვთაებებს ნინურასა და გულას[31]. ეს არის და ეს. სხვა ცნობა ტაძრებისადმი სამხედრო ტყვეთა შეწირვის შესახებ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

შემოწირულთა ერთი ნაწილი მოიხსენიება სხვაზე დამოკიდებული პირის, უმცრო მდგომარეობაში მყოფი პერსონის აღმნიშვნელი ტერმინით ir (მამაკაცისათვის) და gême (ქალისათვის). ამ ტერმინებს თითქმის დღემდე არასწორად თარგმნიან როგორც „მონა“ და „მონა ქალი“. მაგრამ სათანადო დოკუმენტური ცნობების გამოწვლილვითი გასინჯვა გვარწმუნებს, რომ ამ ტერმინების ქვეშ ნაგულისხმევი პირებთან თითქმის არც ერთ, ან ყოველ შემთხვევაში ძალზე მცირე რაოდენობას თუ მიესადაგება მონის სტატუსი და ისიც ძალზე პირობითად მთელი რიგი შენიშვნა-განმარტებების თანდართვით. მონას, როგორც

---

[27] AI. A III 12—17.

[28] AI. A IX 9.

[29] ურის III დინასტიის დროინდელ დოკუმენტებში მოხსენიებული სრული და არასრული სამუშაო ძალის მჭონე მუშაკთა უფლება-ვალდებულებების შესახებ იხ. Шарашенидзе Дж. М., формы эксплуатации рабочей силы в государственном хозяйстве Шумера II пол. III тыс. до н. э., Тб., 1986, გვ. 82 შმდ.

[30] BGS, 1:1—7=YOS IV, 67:1—7.

[31] TBL V, 6039 V 30—VI 5. ამ დოკუმენტის ტექსტის რარიგიანი კომენტარებითურთ იხ. Струве В. В., დასახ. ნაშრ., გვ. 14—18. ძველ შუამდინარეთში არსებულ სამხედრო ტყვეთა შესახებ დაწვრილებით იხ. Gelb I. J., Prisoners of War in Early Mesopotamia, JNES 32 (1973), გვ. 70—98.

[32] ყმების (ir) შეწირვის ფაქტების შესახებ იხ. TEL, 241 VIII 23; MOS XVI, 154 I 29; CT I, 14313 I 9. ყმა ქალების (gême) შეწირვის ფაქტების შესახებ იხ. TEL, 109:1; MVN V, 322, უკ. 1.

ასეთს (ე. ი. პირს, რომელიც არის სხვისი სრული საკუთრება) არ იცნობდა ძველმოსავლური საზოგადოება საერთოდ, შუმერის საზოგადოება კი განსაკუთრებით. ir და géme იყვნენ ისეთი პირები, რომელთა სოციალური და ეკონომიკური სტატუსი ძალზე უახლოვდებოდა ფეოდალური ეპოქის დროინდელ ყმათა სტატუსს (ამის შესახებ ჩვენ ცალკე ნაშრომში გვექნება საუბარი).

საერთოდ géme-ir კატეგორიის პირთა მიმართ წყაროების მონაცემებით დადასტურებულია მეპატრონეების მიერ მათი გაყიდვის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის და სხვა ამგვარი ქმედების გამოვლენის ფაქტები. ამ თვალზე სრულიადაც არაა მოულოდნელი, რომ ეს პირები მათ პატრონებს შეეწირაო კიდეც ტაძრებისათვის. ამასთან დაკავშირებით ამთავითვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: საერთოდ გაყიდვის, გაჩუქების ან ტაძრისათვის შეწირვის ფაქტების მოშველიებით ვერ დავასაბუთებთ იმას, რომ გაყიდულ-გაჩუქებულ-შეწირული პირი მაინც და მაინც მონა იყო. მსგავსი ქმედებები ხომ შეეძლო პატრონს ყმურ მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართაც განეხორციელებინა. ასე, რომ შემოწირულთა ზუსტი სოციალური სტატუსის დადგენა მარტო შემოწირვის ფაქტზე დაყრდნობით შეუძლებელია. ეს საკითხი ამჯერად ღიად უნდა დარჩეს. დაბეჯითებით ვიტყვით მხოლოდ იმას რაც, აშკარაა: შემოწირულები (რა ტერმინითაც არ უნდა იხსენიებოდნენ ისინი) შემომწირველებისადმი გარკვეულ დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ როგორი ხასიათისა იყო ეს დაქვემდებარება — ყმური თუ მონური, გარკვევით არ ჩანს.

დაბოლოს, გვინდა ჩვენთვის საინტერესო საკითხთაგან გამოვყოთ ერთი: შეწირულთა შორის ხომ არ შეიძლება ვიგულისხმოთ თავისუფალი პირებიც, რომლებიც, როგორც ი. გელბი ფიქრობს, მოსალოდნელია, გამოსულნი ყოფილიყვნენ ღარიბესი ოჯახებიდან და შეწირულიყვნენ ტაძრის ოჯახის უფროსების მიერ, რადგანაც ამ უკანასკნელთ სხვა არაფერი გააჩნდათ შესაწირი, გარდა თავიანთი ცოლ-შვილისა[33].

გარკვევით უნდა ითქვას, რომ რაიმე პირდაპირი დოკუმენტური ცნობა ამის თაობაზე არ გაგვაჩნია. საერთოდ კი ამგვარი შემთხვევის დაშვება შესაძლებელია. ოღონდ ერთი შენიშვნით: ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ღარიბს ცოლ-შვილის შეწირვა რწმენის გამო გაეკეთებინა. თუ ასეთი რამ ხდებოდა, ეს განპირობებული იქნებოდა უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვებით და არა რწმენის გამო. ადრინდელ იურიდიულ დოკუმენტებში არა ერთი შემთხვევა ფიქსირებული ღარიბი ოჯახის თვითგაყიდვისა[34], ღარიბი მშობლების მიერ შვილების გაყიდვის[35], სხვის ყმობაში ნებაყოფლობით შესვლისა[36] და ბოლო. ასეთ ვითარებაში მოულოდნელი არაფერია, რომ ღარიბ ოჯახს მთელი თავისი შემადგენლობის ან მისი რომელიმე წევრის სამუდამო გაყიდვის მაგივრად გადაეწყვიტა მათი შეწირვა ტაძრისათვის, ე. ი. თვითგაყიდვა შეეცვალა გაცილებით მსუბუქი ფორმით — თვითშეწირვით. ტაძარში (resp. სახელმწიფო მეურნეობაში) მას

---

[33] AI, გვ. 9.

[34] RKU, 63:1—8; NG II, 38:7—8. შდრ. Siegel C. J., Slavery Dering the Third Dynasty of Jr, „American Antrican Anthropologist", 49, No. 1, ნაწ. 2, 2 (1947), გვ. 13; Mendelsohn I., Slavery in the Ancient Near East, New York, 1949, გვ. 14—15.

[35] NG I, გვ. 85—86.

[36] BE III 1, 4:1—8. შდრ. NG I, გვ. 87, შენიშვნა 3.

ელდა გარანტირებული სამუშაო შრომის ანაზღაურება და, უკეთეს შემთხვევაში, მეურნეობის ადმინისტრაციის მიერ დროებით სარგებლობაში უფლებით ძოძებული მცირე ზომის მიწის ნაკვეთზე საკუთარი სახლ-კარის მოწყობის შესაძლებლობაც კი.

დასასრულს ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ი. დიაკონოვის მიერ გაკვრით დასაბუთების გარეშე ნათქვამი ერთი ფრაზის შესახებ. პატივცემული მკვლევარი ბრძანებს, რომ საკვლევ ეპოქაში ტაძრებს თითქოს სწირავდნენ მოხუც და უძლურ პირებს, ხეიბრებსაც კი[37]. ამის მაგვარი რამ დოკუმენტურად არსად დასტურდება. პირიქით ყველა შეწირული მცირეწლოვანების გამოკლებით, სრულფასოვანი სამუშაო ძალის მჭონე პირია. მათ ვხვდებით სახელმწიფო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე, სადაც, ჰქონდათ რა ამისი უნარი, ისინი საკმაოდ რთულ და მძიმე სამუშაოებს ასრულებდნენ[38]. შეწირულთა უძლურობა-მოხუცებულობის ანდა ხეიბრობის სამტკიცებლად, ვეჭვობთ, გამოდგეს შეწირულთა შორის შემჩნეული სიკვდილიანობის შემთხვევები[39] (თუმცა ამაზე . დიაკონოვი არც ამახვილებს ყურადღებას). სიკვდილიანობა სახელმწიფო მეურნეობის ყველა კატეგორიის მუშახელის მიმართ დასტურდება, მაგრამ იგი ჩვეულებრივ ბუნებრივ ზღვარს არასოდეს აჭარბებდა[40]. ამ მხრივ შეწირულთა შორის განსაკუთრებული რამ არ დასტურდება.

2). **ცხოველების შეწირვა.** „არუა" შეწირულობის გზით ტაძარში ცხოველების შემოსვლა სხვა გზებისა და საშუალებებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ „არუას" დროს გარკვეულწილად დაცული იყო ნებაყოფლობის პრინციპი, რა თქმა უნდა, აბსოლუტური ნებაყოფლობა, ჩანს, არც აქ იქნებოდა გახორციელებული; ზოგიერთი ისე ფეხათრევით ასრულებდა ცხოველების შეწირვას, რომ რაღაცნაირი ფორმით რომ არ ყოფილიყო ძალდატანება, ისე ისინი (ეს განსაკუთრებით მდიდარ და მალალი თანამდებობის პირებზე შეიძლება ითქვას) „არუა" შეწირულობის რიტუალს თავისი ნებით, საქვეყნოდ რომ ასრულებდნენ.

დოკუმენტების მონაცემები რამდენადმე იმის მტკიცების შესაძლებლობას საც იძლევა, რომ როგორც ყველა ეპოქაში, ისე ურ-III დინასტიის ხანაშიც ტაძრებს საღთქმოდ („არუად") უფრო მეტად მოზარდ ცხოველებს სწირავდნენ — ხბოებს[41], კრავებს[42], თოკნებსა[43] და ჩოჩორებს[44]. რა თქმა უნდა, დადასტურებულია ზრდასრული ცხოველების შეწირვის ფაქტებიც[45], მაგრამ საზოგადოების რიგითი წევრები ამ მხრივ მაინც და მაინც დიდ გულუხვობას არ იჩენენ. ამ საქმეში შედარებით ხელგაშლილობას მეფე ამჟღავნებდა[46].

---

[37] Дьяконов И. М., Люди города Ура, გვ. 345, შენიშვნა 52.

[38] MVN VI, 293 I 20—21, IV 1—3, უკ. III 4—5, 14 და სხვა.

[39] MOS XVI, 158 VIII 18; 159 VI 7, VII 5, IX 29, 33, X 14; TEL, 109:1.

[40] Шарашенидзе Дж. М., დასახ. ნაშრ., გვ. 130, შეიშვნა 75.

[41] NLC II, 83, 73: 13; GDD, 144: 10; TAS. I 1 20, 24: AI, A II 15, 10; II 19; UET IX, 2044: 1—3. და სხვა.

[42] MVN VI, 237: 1; ITT III 2, 5141: 3.

[43] ITT III 2, 5027: 2; TAD, 51: 8.

[44] ITT III 2, 6090: 1, 3; AI, B III 9, 14.

[45] ITT II 1, 4135: 4; ITT III 2, 5027: 1; 5141: 3; 5223: 1; GDD, 404: 4; UTZL, 14: 1; ÇBT I, 13599 და სხვა.

[46] SACT II, 236: 1—4; UET III, 1505 V 37.

აჲ ორი თავისებურების გარდა „არუა“ შემოწირულობის გზით ტაძარში (resp. სახელმწიფო მეურნეობაში) ცხოველებს შემოსვლა სხვა ნიშანდობლივი გარემოებებით არ გამოირჩევა.

3). **ნივთებისა და პროდუქტების შეწირვა.** „არუა“ შეწირულობის ეს ინგრედიენტები ტაძარში შემოდიოდა ყოველგვარი შერჩევის გარეშე. შემომწირველი სწირავდა იმას, რაც, მას ჰქონდა, რაც, ისე ვთქვათ, ხელში მოხვდებოდა და რაც შეიძლება საჭირო და გამოსადეგი ყოფილიყო შეწირულობის მიმღებისათვის. ამიტომაცაა, რომ დოკუმენტებში შეწირული ნივთებისა და პროდუქტების ჩამონათვალში ათასი რამ გვხვდება: მიწის ნაკვეთი[47], სამეურნეო[48] და სამრეწველო[49] იარაღები, სხვადასხვა ტვირთამწეობის ნავები[50], ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ნაკეთობანი—ემბლემები[51] და ქანდაკებები[52], ნავების მოდელები[53], ცულის პირები[54], ახალი მთვარის გამოსახულებები[55], საძაჯურები[56], სხვადასხვა წონითი რაოდენობით ვერცხლი[57], სახლის კარები[58], ხელსაფქვავის ქვები[59], ავეჯი[60], საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ვაზები[61], ძეძვები[62], ტანსაცმელი და ქსოვილები[63], მატყლი[64], შინაური ცხოველების ტყავები[65], თოკალთოები[66], სხვადასხვა წონითი რაოდენობით

---

[47] ერთ დოკუმენტში მოხსენებულია še-ša-ru a-ᵈI-di-ᵈSuen „მეფე იბი-სუენის (მიერ) შემოწირული მინდორზე (მოწეული) მარცვალი“ (იხ. UET III, 1364:7). ეს მინდორი ტაძარს საჯაროდ მიუცია ვინმე შუშდუსათვის. მას შემოუჭრია საიჯარო ჭირად 4 გული 240 სილა (დაახლ. 1440 ლ) მარცვალი, რაც, უეჭველია, მოწეული მოსავლის 1/3 იყო (საკვლევ ეპოქაში მოიჯარე იხდიდა მოსავლის 1/3 ნაწილს, შეად. Steinkeller P., The Renting of Fields in Early MeSopotomia and the Development of the Concept of „Interest“ in Sumerian. JESHO 24 (1981). 114). გამოდის, რომ მოიჯარეს ან ნაკვეთზე მოწეული დაახლ. 14 გური მარცვალი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1 ჰა შუამდინარული მიწა აღნიშნულ ეპოქაში იძლეოდა დაახლ. 7—8 გურ მარცვალს (იხ. Шарашенидзе Ш. Ж. М., Энгары древней Месопотамии. ВДИ. 1984. №4. გვ. 109), მაშინ გამოდის, რომ ზეფია მიერ შემოწირული ნაკვეთი 2 ჰა-მდე ფართობისა მაინც იყო.

[48] UET III. 1027: 6.

[49] იქვე. 378: 1.

[50] UET III. 272 I 6, 7, 10, 12, 14, 16, 21, 24, II 24, 25; HLC II 24, 25; HLC III. 145. 384 I 1, 2, 4.

[51] UET III. 719: 1, 6; GDD. 141: 9.

[52] UET III. 331: 1—3; 754 II 1.

[53] იქვე, 751 I 8.

[54] TCL II, 5550: 1.

[55] UET III, 401: 1.

[56] DDA 2. გვ. 7. 4: 4.

[57] UET III, 78: 1; 754 7.

[59] ITT III 2, 6184§ 3; AI 25; UET III, 61: 1; 272 I 30.

[60] UET III. 83. passim.

[63] SAT, 499: 4; 503. ეკ. 2; SACT II, 181: 1; MVN VI. 308 I 1 და სხვა.

[64] UET III. 657: 2; 1504 IV 1; 1505 VI 4 და სხვა.

[65] ITT V, 6929: 1.

[66] WMAH I, 173: 5.

ბიტუმი[67], მეტეორული რკინა[68] და საწვავად გამოსადეგი ვაზის ნასხლავები[69]. საკვები პროდუქტებიდან შემონაწირში გვხვდება ბარცვალი[70], ფინიკი[71] და კარაქი[72]. სამოსლების (ლვინო, ლუდი) შემოწირვის შემთხვევები ჯერჯერობით არ დასტურდება. მევენახე-მეღვინე (lú-geštin) და მელუდა (lú-su$_x$), რომელთაგანაც უფრო იყო მოსალოდნელი აღნიშნული საამოსლების შეწირვა, ტაძარს მიართმევენ შესაბამისად ერთ კაცსა და ერთ ქალს[73].

III. **ვინ წირავდა.** ყველა—მეფიდან დაწყებული მენახირით დამთავრებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე გულუხვი შემომწირველი იყო მეფე (resp. სახელმწიფო ხელისუფლება). ურის III დინასტიის ხუთი წარმომადგენლიდან თითქმის ყველა იჩენდა საგანგებო ინტერესს ტაძრისათვის შესაწირის გამოღებაში — მათი შემოწირული ყოველთვის გამოირჩეოდა რაოდენობრივად და ხარისხობრივად (სწირავდნენ მიწებს[74], დიდი რაოდენობით ზრდასრულ მონაურ პირუტყვს[75], ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებულ ძვირფას ნივთებს[76], პროდუქტებს[77], დიდი რაოდენობით სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანებს[78] და ა. შ.[79]). შეწირულების გამოღებაში მონაწილეობას იღებდნენ მეფის ოჯახის წევრებიც[80].

შემომწირველ მეფეთაგან ყველაზე მეტი აქტიურობით მაინც აღნიშნული დინასტიის ბოლო წარმომადგენელი იბისუენა გამოირჩეოდა[81]. საქველმოქმედო მოღვაწეობის მაგვარი მისი ეს შემწირველობითი საქმიანობა იყო ამ დროს შექმნილი საერთო კრიზისულ ვითარებაში ტაძრების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მცდელობის ერთგვარი გამოხატულება.

მეფეთა გარდა შემწირველების როლში გამოდიოდნენ როგორც მაღალი და საშუალო თანამდებობის პირები, ისე რიგითი ადამიანები, როგორც მდიდრები, ისე ღარიბებიც. შემწირველთა სიას რომ გადახედავ და მათ მიერ შეწირული ადამიანებისა და ნივთების რაოდენობა-ხარისხს გაეცნობი, თვალში მოგხვდება ერთი გარემოება — თანამდებობის პირები (ალბათ, ისინი იყვნენ მდიდრებიც ყოველ შემთხვევაში ყველა დანარჩენთან შედარებით მაინც) ნაკლებ აქტიურობას იჩენენ შეწირულობის გაღებაში. ისინი ამ საქმეს რაღაც ფეხათრევით (მეორედ ვხმარობ ამ სიტყვას) აკეთებენ. თავიანთ მდგომარეობასთან შედარებით ისინი უმეტესწილად ისე უმნიშვნელო ნივთებსა და ისე მცი-

---

[67] UET III. 272 III 5, 7, 9; TDL, 17 A: 5, 9.

[68] UET III, 754 III, 754 II 24.

[69] UET III, 272 IV 22.

[70] იქვე, 75: 1 (=QTL, 7: 1); 92: 1; 256: 1; 1106: 16; 1362: 16.

[71] იქვე 91: 1.

[72] ITT III 2, 6096: 1.

[73] MVN VI, 293, ვრ. III 13—14„ CTC. 54 X 39—40; WMAH I. WMAH I, 176 I 13—14; HLC I, 23—24. 29 III 7.

[74] UET III, 1364: 7.

[75] იქვე, 1504 IV 1; TAD. 41: 8; YOS IV. 228: 1—2; SACT II. 225: 1—6; ITT III 2, 6096: 3; GDD. 404: 4.

[76] UET III, 101: 1—3; 378: 1—2; LQT, 11: 3; TCL II, 5550: 3; GDD. 144: 10.

[77] UET III, 957: 2; 1362: 15—16; 1504 IV 1.

[78] BGS, 1: 1—6 = YOS IV. 67: 1—6; UET III. 1072: 10; 1073: 7.

[79] UET III. 1505 IV 38; 1777: 1.

[80] DDA 2, გვ. 7, 4: 4.

[81] UET III, 101: 1—3; 376: 1—3; 378: 1—2; 1072: 10; 10; 1073: 7; LQT, 11: 3.

რე რაოდენობის ადამიანებს სწირავენ, რომ საზოგადოების რიგითი წევრების მიერ გამოჩენილ გულუხვობასთან შედარებით მათი ეს გამონაღები ერთობ უღიმღამოდ გამოიყურება. მაგალითად, გუდუას ოლქის მმართველის შვილი ტაძარს სწირავს მხოლოდ ერთ ობოლ გოგონას[82], ხოლო სახელმწიფო მეურნეობის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი — ნუბანდა (მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ინსპექტორ-ზედამხედველი) ტაძრისათვის გაილებს ერთ ძველსახელოსნოან ხელსაფქვავს[83]. შედარებით „გულუხვნი" არიან ჟანდარმები თუ საპოლიციო სამსახურის წარმომადგენლები (aga$_3$-ús) რომლებიც რამდენიმე შემთხვევაში ტაძარს მიუძღვიან 10 და 30 გვრის (1 გური-300 ლ) ტვირთამწეობის ნავებს[84]. ყურადღებას იპყრობს ოლქის ზოგიერთი სამხედრო კომენდანტის შემოწირულობაც — 30, 120 და 180 გური ტევადობის ნავები[85]. შემწირველთა სიაში შედარებით ხშირად მოიხსენიებენ (მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მთლად თავიანთი ნებით) სახელმწიფო ვაჭრობის აგენტები (dam-gar) თუმცა სიმრავლისა და ხარისხის მიხედვით მათი შემოწირული მაინც და მაინც არ გამოიკვეთება — შემოაქვთ რამდენიმე უმნიშვნელო ნივთი და მოჰყავთ თითო ქალი და გოგონა[86].

შეწირულობის საქმეში მოხსენიებული სხვა თანამდებობის ან მეტად თუ ნაკლებად გამორჩეული პროფესიის მქონე პირები შესაწირის გაღებაში, როგორც ვთქვით, დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან — ისინი საერთოდ ძალზე იშვიათად სწირავენ რაიმეს და როცა სწირავენ, მაშინაც ტაძრებს მიუძღვნიან არც თუ ისე მაღალხარისხოვან ნივთებს ან მათ სანაცვლოდ ადამიანებს, ჩვეულებრივ თითო ქალს ან თითომცირწლოვან გოგო-ბიჭს, ანდა ხბოებს[87]. ყოველივე ამაზე: მდიდრებს ღვთაებისადმი ბევრი არაფერი აქვთ სათხოვარი, მცირედზე ღალატისათვის კი მათი შეხედულებით, მჭლე საღთქმო შესაწირის ეყმოლებაც საკმარისია!

რამდენიმე სიტყვა შემწირველთა იმ ჯგუფის შესახებ, რომელსაც საზოგადოების რიგითი წევრები შეადგენენ. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ეს ჯგუფი, როგორც მოსალოდნელიც იყო, ერთობ მრავალრიცხოვანი გამოვიდა[88]. სამწუხაროდ, პირდაპირი ცნობები ამ ჯგუფის წარმომადგენლთა საზოგადოებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დოკუმენტებს არ შემოუნახავთ. შე-

---

[82] UET III. 1438 III 7—8.

[83] იქვე 2.72 I 28.

[84] იქვე, 272 I 6,29.

[85] UET III 272 I 10. 12. 24. 31.

[86] CTC. 54 IV 36, XII 32; WMAH I. 176 V 22; AI. A II 22; B III 18; NAT. 166: 17; TAS. I III 5; MVN VI. 322: 6; MOS XVI 159 IX 36. X 18; UET III, 272 II 6, 8,

[87] სათანადო დოკუმენტებზე მითითება მათი სიმრავლის გამო აქ შეუძლებლად მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ შემწირველთა შორის ძირითადად შემდეგი თანამდებობა-პროფესიის მქონე პირები გვხვდებიან: ოლქს მმართველები, სასახლის მრჩევლები, სხვადასხვა ფუნქციონერი, მდივან-მწერლები, არქივარიუსები, მიწათმომწყობები, მენავეთა უფროსები, ნავის კაპიტნები, სუფრაჯ-მერიქიფენი, ელჩ-კურიერები... მშენებლობის ოსტატები, იუველირები, მღსიკოსები, მზარეულები, მებაღე-აგრონომები, დურგლები, ხუროები, დაბაღები, მწყემსები, მეთევზეები, ფეიქრები და სხვანი.

[88] CTC. 54; SAT. 20; WMAH I. 175; CT X. 14313; SADI. 9; TEL, 17 A; 241; CBT I, 13599; 14650; TCL V. 6039; NAT. 166; OFKF, 326; TAS. I; SA CLXV, 146: 7; MVN VI. 308; 322; ITT II 1, 2892; MOS XVI. 151; 155; 158; 159; 162; 163; SLC I, 23—24. 29; HLC III. 153. 399; UET III; 13; 91; 160; 249; 250. 256; 401; 719; 754; 1438.

ძლება დაბეჯითებით ითქვას მხოლოდ ის, რომ ისინი სახელმწიფო მეურნეობის გარეთ დგანან — რამდენიმე შემთხვევაში მითითებულია მათი ტერიტორიული წარმომავლობა[89]. ისინი საზოგადოებაში რაიმე გამორჩეულ ადგილს არ იკავებდნენ, მაგრამ, უეჭველია, რომ სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით თავისუფალი პირები იყვნენ, რომელთაც ჰქონდათ საკუთრების უფლება ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით ეს პირები ნორმალური სიმდიდრის მფლობელებად გამოიყურებიან. რაც იმათი რაიმეს სწირავენ ტაძარს, პირუტყვი იქნება ეს, ნივთი, პროდუქტი თუ ადამიანი, ყველაფერი ეს ხომ მათი პირადი ქონების მხოლოდ რაღაც ნაწილია. ტაძარს შესწირავს კაცი თავისი ქონების მხოლოდ ნაწილს, ამასთან ერთად მცირე ნაწილს და, რა თქმა უნდა, არა მთელ ქონებას — ესე იგი, რასაც სწირავენ, იმაზე გაცილებით მეტი ყოველთვის რჩებათ. ასე, რომ მათ მიერ შემოწირის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს პირები საკმაოდ შეძლებულად გამოიყურებიან. არის დამოწმებული არა ერთი ფაქტი იმისა, რომ საზოგადოების რიგითი წევრი, რიგით მეთემე ტაძარს ერთდროულად საკმაოდ დიდ ქონებას სწირავს. ერთ შემთხვევაში რიგითი მეთემე მიუძღვნის ტაძარს 1 ძროხას, 1 ორწლიან უშობელს და 2 ხბოს[90]. მეორე შემთხვევაში ასევე რიგითი მეთემე მიართმევს ღვთაებას 5 ნეზე ცხვარს, 4 ვერძსა და 5 ბატკანს[91]. მესამე შემთხვევაში ასევე რიგითი პირი ტაძარს სწირავს 3 ქალსა და 3 ბიჭს[92]. ასეთივე შემოწირულები არც თუ ისეთი იშვიათობაა[93].

ერთობ საინტერესოა ის გარემოებაც, რომ შემოწირულებათა შემომტან რიგითი პიროვნებებიდან საკმაოდ მოზრდილი ნაწილი ტაძარს სწირავს ადამიანებს — ძირითადად ქალებსა და მოზარდებს[94]. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ შემოწირველთა არც თუ ისე მცირე ნაწილს თავის განკარგულებაში ჰყავს დამოკიდებულ პირთა გარკვეული რაოდენობა. სათანადო დოკუმენტური ცნობების სიმწირის გამო, როგორც ზემოთაც ვთქვით, ძალზე ძნელია ვუჩვენოთ ამგვარ დამოკიდებულ პირთა ზუსტი სოციალური სტატუსი. აქედან გამომდინარე ასევე ძნელია მათი შემომწირველობის საზოგადოებრივი მდგომარეობის ნათლად წარმოდგენაც. მათ შესახებ ამჯერად ვიტყვით მხოლოდ იმას, რაც ამთავითვე აშკარა და ნათელია: შემომწირველთა დიდი ნაწილი (ყველა თუ არა) უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად განაგებდა დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მყოფ პირებსაც. ეს გარემოება შემომწირველთა ამ ნაწილის გამორჩეულ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

ცალკე გვინდა გამოვყოთ ir (დაქვემდებარებულ დამოკიდებულებში მყოფი მამაკაცი) და géme (დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მყოფი ქალი) ტერმინებით მოხსენიებული პირების შემომწირველთა როლში გამოსვლის ფაქ-

---

[89] WMAH I. 176 XI 5; AI B III 34; MVN VI, 308 I 12; MOS XVI, 154 I 31.

[90] TAS, I III 9—14.

[91] SAT, 266: 3—5.

[92] SA, CLXV, 146: 1—7.

[93] CBT I. 13599; 14650; TAS, I II 13, V 5. 8—9; MOS XVI, 150 II 9, 14; 159 X 5, XI 14; UET III, 160: 1—8; 249:1; CTC, 54 II 19, 36, XII 14; WMAH I, 277 III 19; AI, A V 27—29, VI 1; B II 4, 11, III 38, IV 38; SAT, 20: 2—3; 266: 8.

[94] CTC, 54 I 26, 31, II 5, 19, 36, III 5, 34, V 20, 30, VI 7, 46, და შმდ.; SAT, 144: 4; 499: 6—7; 503, უკ. 2 დ. სხვა.

ტი. მოვიყვანთ დოკუმენტებიდან სათანადო ამონაწერებს იმ კონტექსტებისას, რომელთა ცნობებიც უკავშირდება აღნიშნულ პირებს:

1). „[...+] 1/6 სიკლი ვერცხლი, შემოწაწერი შუბგირიმაგისა სუქალმახისადმი (საქ. სახ., ჯ. შ.) დაქვემდებაებულ დამოკიდებულებაში მყოფი კაცისა"[95].

2). „1 ვერცხლისაგან (დამზადებული მოდულ) სატვირთო ნავისა, წონით 1 1/2 სიკლი, 1 სიკლი (წონის) მეტეორული რკინა — შემოწაწირი უთუქსაგან, ნინშურუფაქისადმი დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მყოფი კაცისა"[96].

3). „*ქინათუმმა*, მეეტლე *ფიშახილისადმი* დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მყოფმა ქალმა, გირსუს საფეიქრო სახლს შესწირა 2 (ცალი) ვირის თოკალთო"[97].

4). „გემებარისიგა (და) მისი შვილი ურნინგიზიდა შემოწაწირია ნინდინგირასადმი დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მყოფი ურმესისაგან"[98].

5). „ლუშაიზუ შემოწაწირია კალათების მწვნელ ლუგინასადმი დაქვემდებარებულად დამოკიდებულებაში მყოფი ნინმარქიქასაგან"[99].

ხუთივე მოყვანილი ამონაწერი შემომწირველებს — ოთხ კაცსა (1, 2, 4, 5) და ერთ ქალს (3) იხსენიებს ir და géme ტერმინებით. ყველა მკვლევარი, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ამ ტერმინებს თარგმნის როგორც „მონა კაცი" და „მონა ქალი „100". აღნიშნულ ტერმინებში ნაგულისხმევ დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მყოფი პირების შესახებ არსებულ უამრავ სხვა მასალას რომ თავი დავანებოთ, მარტო აქ წარმოდგენილი ცნობებიც კი ნათლად, არაორაზროვნად და გარკვევით მიუთითებენ, რომ ტერმინები ir და géme არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გააზრებულ იქნას ტრადიციულად, ე. ი. არ შეიძლება მათი თარგმნა როგორც „მონა კაცი ქალი". მონისა არაფერი უგავთ აქ მოხსენებულ შემომწირველებს. მათ აქვთ პირად საკუთრებაში ქონება (უეჭველია, გაცილებით მეტი, ვიდრე სწირავენ ტაძარს). ამ ქონების თავისუფლად, შეუზღუდავად განკარგულების უფლება მათ აქვთ. უფრო მეტიც: ორი შემომწირველი მაძაკაციდან ერთი, კერძოდ, ურმესი (4) სწირავს ტაძარს დედა-შვილს[101]. ხო-

---

[95] UET III, 754 I 5—7.

[96] იქვე, 754 II 20—24.

[97] MVN II, 173: 1—4 = WMAH I, 173: 1—5.

[98] TEL, 241 VIII 20—23.

[99] MOS XVI, 154 I 27—31.

[100] მარტო ი. გელბი არ თარგმნის ამ ტერმინებს (და ისიც მხოლოდ და მხოლოდ აქ წარმოდგენილ კონტექსტებში) ტრადიციულად. იგი აღნიშნავს, რომ „in these cases arád (წაკითხვა ir, ჯ. შ.) cannot have the meaning of chattel slave but of a person in the service o another or in a status of dependence o another person or a master housch" (იხ. AI, გვ. 7).

[101] ურმესის მიერ დედა-შვილის შეწირვის შემთხვევამ შეიძლება გვაფიქრებინოს: ეს კაცი ხომ არ სწირავს ტაძარს თავის ცოლ-შვილს? ამგვარი დაშვება, ვფიქრობთ, გამორიცხულია, რადგანაც, ჯერ ერთი: ამაზე დოკუმენტში რაღაც მიმანიშნებელი მითითება უეჭველად იქნებოდა და მეორეც: თუ ურმესი მონა იყო, მას თავისი ცოლ-შვილის განსვისების უფლება არავითარ შემთხვევაში არ ექნებოდა. მის ცოლშვილზე ამგვარ უფლებას მხოლოდ და მხოლოდ მისი პატრონი შეინარჩუნებდა. ზემოთ წარმოდგენილი დაშვების შესაძლებლობას გამორიცხავს ის გარემოებაც, რომ ურმესის მსგავს მდგომარეობაში მყოფი მეორე პირი ნინმარქიქა თავის მხრივ კაცს სწირავს. ასე, რომ სრულიადაც არაა აუცილებელი ვამტკიცოთ, რომ ir

ლო მეორე ნინმარჭიქა (5) მიუძღვნის ღვთაებას ერთ კაცს. გამოდის, რომ ამ პირებს, რომლებიც იმყოფებიან სხვისადმი დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში და იწოდებიან როგორც ir თავის მხრივ ჰყავთ, ალბათ, ამგვარივე დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მყოფი სხვა პირები, რომელთა თავისუფლად განკარგულების უფლება (გაჩუქება და მისთ.) მათ აქვთ. განა შეიძლება დავუშვათ, რომ სხვა პირის მფლობელი კაცი თვითონ მივიჩნიოთ მონად მხოლოდ იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ იგი იხსენიება ერთ დროს არა წორად გაგებული[102] ტერმინით? თითქოს შექმნილი წინააღმდეგობიდან ერთი გამოსავალი ამთავითვე არსებობს: უნდა საბოლოოდ და სამუდამოდ უკუვაგდოთ ir და géme ტერმინების არასწორი, მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი ტრადიციული გააზრება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი ზოგადი და უფრო შესაფერისი შესატყვისი იქნება: „დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მყოფი პირი (კაცი, ქალი)". აქ წარმოდგენილ ცნობებთან ერთად ჩვენ ბიერ ზემოთ ნაგულისხმევი უამრავი დოკუმენტური ცნობა მიუთითებს იმაზე, რომ ამგვარი პირების დაქვემდებარებული დამოკიდებულება ძალზე უახლოვდებოდა საშუალო საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ყმურ დამოკიდებულებას, ხოლო უმეტეს შემთხვევებში გაცილებით მეტად იყო კიდეც, ვიდრე, თავის მხრივ, ყმური დამოკიდებულებაა. ასე, რომ ამგვარი პირების სოციალური სტატუსის ზუსტად გადმოცემისათვის საჭირო ტექნიკური ტერმინი ძომავალში საძებნია. ჩვენ ბიერ აქ შემოთავაზებული ტერმინი „დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მყოფი პირი" საბოლოოდ არ გამოდგება: იგი ძალზე ზოგადი და ამორფულია.

რამდენიმე შემთხვევა გვაქვს დამოწმებული იმისა, რომ შემომწირველები არიან ქალები. ისინი ტაძარს მიართმევენ სხვადასხვა შესაწირს. მოცემულ შემთხვევაში იმდენი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას სწირავენ ისინი ტაძარს, რამდენიც აქვს ქალის მიერ შეწირვის აქტის განხორციელების ფაქტს. რომ ქალი სხვის ჩაურევლად სწირავს რაიმეს ღვთაებას, ნიშნავს იმას, რომ იგი ამით საოჯახო ქონების ნაწილის თავისუფლად განკარგულებლის როლში გამოდის.

ორ შემთხვევაში შემომწირველი ქალების მხოლოდ სახელებია მითითებული (ერთი მათგანი შემოსწირავს ხბოს[103], მეორე— გარკვეული რაოდენობის ბარცვალს)[104]. ტექსტში არაფერია ნათქვამი მათი ოჯახური თუ სოციალური მდგომარეობის შესახებ (ჰყავთ თუ არა მათ ქმრები ან იქნებ ქვრივები ანდა სულაც გაუთხოვრები არიან). მაგრამ გვმართებს დაეჭვება იმაში მაინც, რომ ორსავე ამ ქალს საკუთარი ოჯახი ჰქონდა, რომლის მეურნეობიდან გამოეყვანათ კიდეც შესაწირი. დანარჩენ ხუთ შემთხვევაში შემომწირველები ქმრიანი ქალები არიან[105]. ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან შესაწირს მიართმევენ ღვთაებას

დამოკიდებულებაში მყოფ კაცს თითქოს არ შეიძლებოდა ჰქონოდა სხვა პირის შეწირვის უფლება, გარდა საკუთარი ცოლ-შვილისა.

[102] Thureau — Dangin F., Wardum. Anor I (1929), გვ. 271—272.

[103] AI, A IV 5—6.

[104] UET III, 256: 1—2.

[105] იქვე, 249: 1—4; 250: 1—2; 401: 1—4; MOS XVI 155 V 3—5; MVN VI, 322: 3—4 (ამ უკანასკნელ შემთხვევაში შემომწირველი ქალის საკუთარი სახელი არაა მითითებული. დოკუმენტის ცნობის მიხედვით ვიცით, რომ იგი არის გამყოლი რაზმის წევრის (kus$_2$) ლუგბარეს მეუღლე (dam).

ცალ-ცალკე: ორ ხბოს, ძროხას, სუფთა ოქროსაგან დამზადებულ ახალშთვარის გამოსახულებასა და თითო ქალს. ამას აკეთებენ ისინი თავისი ნებით ქმრების ჩაერთველად (ყოველ შემთხვევაში ქმრების ჩარევის რაიმე კვალი შესაბამისი დოკუმენტების ცნობათა მიხედვით ამ შემთხვევაში არ ჩანს). ეს კი უკვე იმას ნიშნავს, რომ ქმრიან ქალებსაც ჰქონდათ საოჯახო ქონების ნაწილის (ჩანს, მნიშვნელოვანი ნაწილისაც კი) თავისუფლად განკარგულების უფლება. ძველბაბილონელ კანონთა კრებულის ფრაგმენტებს[106] არ შემოუნახავთ რაიმე ცნობა იმის გასარკვევად, ჰქონდათ თუ არა ამგვარი უფლება შუამდინარეთის დიასახლისებს დაკანონებული თავიდანვე და მუდმივად, თუ ასეთს ისინი ქმრების ნებით ღებულობდნენ კონკრეტული ვითარებისდა მიხედვით.

საერთოდ ცნობილია, რომ ძველაღმოსავლური საზოგადოებების ქალები, შუამდინარეთის ეპოქიდან დაწყებული ახალბაბილონური ხანით დამთავრებული, საკმაოდ ფართე უფლებამოსილებით გამოირჩეოდნენ. მათი მხრივ თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო საოჯახო ქონების ნაწილის თავისუფალი განკარგვა, საკონტრაქტო ხელშეკრულებების გაფორმება ნებისმიერ საქმეზე, სავაჭრო-სააღებმიცემო-სავაჭრო საქმიანობაში ჩაბმა და მისთ[107]. „არუა“ შეწირულობის საკითხთან დაკავშირებით ურის III დინასტიის დროინდელი შუამდინარეთის დიასახლისების მიერ საკმაო გამოკვეთილად გამოვლენილი აქტიურობა კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა მკვლევართა მიერ დასაბუთებულად გამოთქმული მოსაზრებისა, რომ ძველაღმოსავლური ეპოქის დროინდელი ქალები სრულიადაც არ იმყოფებოდნენ პატრიარქალური ხელისუფლების ტყვეობაში.

IV. **როგორ და რა დანიშნულებით იყენებდნენ შემოწაწირს.** ზემოთ ხსენებულ საკითხებზე საუბრისას გაკვრით აღვნიშნეთ, რომ შემოწაწირიდან ტაძრებში უფრო მეტად ნივთები რჩებოდა, ცხოველები და ადამიანები კი გადაიგზავნებოდა სახელმწიფო მეურნეობის სხვადასხვა ფილიალსა თუ დაწესებულებაში. მათ უმეტესად სწორედ იქ ვხვდებით — ადამიანები მუშაობენ მინდვრებში საფეიქრო საწარმოებში, წისქვილებში და ა. შ. ასევეა პირუტყვის საქმეც. მას ანაწილებდნენ მეურნეობის ფილიალებში და იყენებდნენ დანიშნულებისამებრ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სადაც არ უნდა ყოფილიყო შემოწაწირი ცხოველი ან ადამიანი მისი მოხსენიების ყველა შემთხვევაში მიუთითებდნენ, თუ ვისგანაა იგი შემოწაწირი (რა თქმა უნდა, როცა ეს ახსოვდათ), მაგრამ ამის დავიწყების შემთხვევაში ზოგადად მაინც მიუთითებდნენ, რომ იგი „შემოწირულია“ (a-ru-ა). მეურნეობის ფილიალებში სპეციალური შტატიც კი არსებობდა მოანგარიშე-მწერლისა, რომელიც აღრიცხავდა და დოკუმენტებში ცალკე შეჰქონა შემოწაწირი (dub-sar-a-ru-a „შემოწაწირის მწერალ-აღმრიცხველი“)[108]. როგორც ჩანს, საერთო ჯოგ-ფარიდან ცალკე იყო

---

[106] S z l e c h t e r. E., Le code d'Ur — Nammu, RA 49 (1955), გვ. 169—177; C i v i l M., New Sumerian Law Fragment, წიგნში: Studies in Honor of Benno Landsberger on his Seventhy—Fiit Birthday, April, 21, 1965, chicago გვ. 1—12 ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 9—10.

[107] Д ь я к о н о в И. М., Люди города ура, გვ. 192—200; D i k o n o f f I. M., Women in old Babylonia not Under Patriarchal Aushority, JESHO 19 (1985), გვ. 95 შემდ.; RLA, III, გვ. 100—104.

[108] TEL, 241 VII 11, X 3; ITT III 2, 5509: 7; AI, A XII 5; B XII 2: MOS XVI, 286: 3.

გამოყოფილი შემონაწირი ცხოველებიც, რომელსაც მიჩენილი ჰყავდა საგანგებო მწყემსი (sipa-a-ru-a)[109].

შემონაწირს ჩვეულებრივ მოიხმარდნენ საჭიროებისამებრ ისე, როგორც სხვა დანარჩენ ცოცხალ თუ არაცოცხალ ქონებას — ადამიანებს ამუშავებდნენ საერთო წესით და ანაზღაურებასაც საერთო წესის მიხედვით აძლევდნენ[110]. ასევე საერთო წესით გამოიყენებოდა პირუტყვიც — ხარებს ამუშავებდნენ ხვნა-თესვაზე[111], ცხვრებს კრეჭდნენ ჩვეულებრივ[112], ასევე ჩვეულებრივი წესით მოიხმარდნენ შემონაწირი მარცვლისა და ფინიკის ნაწილსაც — გასცემდნენ მუშებზე შრომის ანაზღაურების სახით[113] და ა. შ. ალბათ, ასევე იყენებდნენ შემონაწირის სხვა კომპონენტებსაც.

ძალზე თვალში საცემია შემონაწირის აღრიცხვის წესი ყოველთვის, თითქმის მაშინაც კი, როცა ეს ერთი შეხედვით სრულიადაც არაა საჭირო, დოკუმენტებში საგანგებოდაა ხაზგასმული შემოწირვის ფაქტი. აღრიცხულია ყველაფერი, რაც შემოწირულია[114] — ნათქვამია, რომ სახნავად გამოყვანილი ხარი შემონაწირია[115], მატყლი შემონაწირი ცხვრისაა[116], მარცვალი მოწეულია შემონაწირ მინდორზე[117], ანდა გარდაცვლილი პირი შემონაწირი იყო[118], დაცემული ცხოველი ასევე შემონაწირ პირუტყვთა ჯოგს ეკუთვნოდა[119] და ა. შ. ეს გარემოება, უეჭველია, წმინდა რელიგიური მოსაზრებებით იყო განპირობებული. ყოველ შემონაწირს, უმნიშვნელოსაც კი, ხომ საკრალური დანიშნულება ჰქონდა. ამიტომაც ასე სკრუპულოზურად აღრიცხავდნენ მას, საგანგებოდ იცავდნენ და უფრთხილდებოდნენ კიდეც[120].

---

[109] ITT III 2. 6090: 3; ITT V. 8231: 3. ერთ შემთხვევაში მოხსენიებულია sipa-anše-a-ru-a „შემონაწირი ვირებს მწყემსი" (იხ. AL A X 11).

[110] MVN, VI. 293 I 20, IV I, უკ. III 4, 14; TEe, 241 VIII 20—21 და სხვა.

[111] TEL. 93: 1.

[112] UNT I, 20 I 4.

[113] UET III, 729; 957; 1072; 1073; 1106.

[114] MVN V. 322, უკ. 1; MVN VI, 237: 1—3; UTZL, 14; 1—2 და სხვა.

[115] TEL. 93: 1

[116] UNT I, 20 I. 4.

[117] UET III, 1364: 7.

[118] TEL. 109: 1; TCL V 6039, 30, 32; WMAH I, 277 III 17—18; 282 II 11.

[119] MVN VII. 308. უკ. 1; ITT III 2. 5141: 2—2.

[120] სტატიაში ნახმარი შეხედულებების განმარტებანი იხ. Шарашенидзе Дж. М., формы эксплуатации рабочей силы..., გვ. 159—166.

Дж. М. ШАРАШИДЗЕ

ИНСТИТУТ ПОЖЕРТВОВАНИЙ В ШУМЕРЕ

Резюме

В статье анализируются данные тех шумерских клинописных документов хозяйственного и сакрального содержания эпохи III династии Ура (2132—2024 гг. до н. э.), сведения которых имеют существенное значение для установления содержания ритуала обетных пожертвований (a-ru-a). Божествам в назначении «аруа» жертвовали различного рода предметы, домашних животных и людей. Бесспорно, что жертвуемые люди находились в подчиненной зависимости от жертвователей, но сказать, что эта зависимость обязательно носила рабский характер, мы не можем. Что же касается жертвователей, то абсолютное большинство их были социально свободными лицами, имеющими в полной, неограниченной собственности довольно солидное имущество. Привлекает внимание одна группа жертвователей, представители которой упоминаются под термином, обозначающим нахождение в подчинении — ir. Они в нескольких случаях жертвуют храму людей, обозначаемых тем же термином. А это означает, что и у самих находящихся в подчиненной зависимости лиц имеются люди с таким же статусом. Исходя из этого, мы ни в коем случае не можем разделить предлагаемый большинством исследователей перевод термина ir, как «раб». Под этим термином в основном должны подразумеваться лица, социальный статус которых приближается к статусу крепостных феодальной эпохи.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებამ

ზაზა შენგელია

თბილისის მოსახლეობის ეთნოკონფესიონალური სტრუქტურა XIX საუკუნეში

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისის მოსახლეობა ძირითადად ოთხ კონფესიონალურ ჯგუფს განეკუთვნებოდა: მართლმადიდებლურს, სომხურ-გრიგორიანულს, კათოლიკურსა და მუსულმანურს.

მართლმადიდებლური თემის ეთნიკურ შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველები, რუსები და ბერძნები. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნების ზრდამ, რომელიც უმთავრესად ქართველი და რუსი მიგრანტების ხარჯზე მიმდინარეობდა განაპირობა მართლმადიდებლური თემის ზრდაც. კერძოდ, თუ 1832 წ. თბილისში ცხოვრობდა 3,6 ათასი მართლმადიდებელი, 1864 წლისათვის მათი რაოდენობა 26,6 ათასს აცდა მიუახლოვდა, 1876 წლის კამერალური აღწერის მასალებით მიხედვით—52,4 ათასს, რაც მთელი თბილისის მოსახლეობის 50,4%-ს წარმოადგენდა[1]. XIX საუკუნის შუა ხანებიდან გაძლიერებულმა მიგრაციულმა პროცესებმა თბილისში, განაპირობეს მართლმადიდებლური თემის ეთნიკური შემადგენლობის მნიშვნელოვანი ზრდაც. ქართველებთან (22.2 ათასი სული), რუსებთან (19,6 ათასი სული), ბერძნებთან (0,4 ათასი სული) ერთად მასში შედიოდნენ ოსები (0,3 ათასი სული), სომხების მცირე ჯგუფი (0.1 ათასი სული), ასირიელები (0,1 ათასი სული), გერმანელები (44 სული), პოლონელები (26 სული), ებრაელები (22 სული), თათრები (9 სული) სპარსელები (4 სული), რომლებმაც მართლმადიდებლობა მიიღეს. 1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით თბილისის მართლმადიდებელთა რაოდენობა ითვლიდა 83,7 ათას სულს... ისინი წირვა-ლოცვას აღავლენდნენ თბილისის ეკლესიებში. 1825 წ. თბილისში ფუნქციონირებდა 12 ქართული, 4 რუსული და 2 ებრაული ეკლესია[2]. მნიშვნელოვან სკულტო ნაგებობას წარმოადგენდა სიონის ღვთისმშობლის ქართული ტაძარი, რომელიც რესტავრირებულ იქნა 1817 წელს. 1858 წ. აიგო ბერძენ მართლმადიდებელთა ახალი ტაძარი. საერთოდ, თბილისის მართლმადიდებელთა თემის რიცხოვნების ზრდასთან ერთად იზრდებოდა საკულტო ნაგებობათა რაოდენობაც. 1899 წლისათვის მათი რაოდენობა 48-ს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მიწურულისათვის თბილისის მართლმადიდებლურ მრევლში თითქმის გაქრა ეთნიკური ნიშანი. ტერიტორიულად გაზრდილ თბილისში, მართლმადიდებელი სალოცავად მიდიოდა უახლოეს ტაძარში. ამიტომაც, იმდროინდელ თბილისში ხშირი იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა ტაძარში წირვა-ლოცვას სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ერთდროულად ესწრებოდნენ. დროთა განმავლობაში სიონის ტაძარი, თბილისის მართლმადიდებელთათვის წამყვან ტაძრად იქცა.

---

[1] Обозрение... Российских владений за Кавказом. Ч. I. გვ. 188.

[2] Л. Мелкисетбеков. Старый Тифлис по описаниям А. Негри и М. Меднчи. Тиф. 1918, № 2—3, გვ. 108.

XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, თბილისის კონფესიონალურ შემადგენლობაში მნიშვნელოვან ფონს ქმნიდა სომეხ-გრიგორიანელთა კონფესიონალური თემი, რომელიც თბილისში X—XI საუკუნეებიდან არსებობდა და სხვადასხვა დროს მიმდინარე მიგრაციულ და დემოგრაფიულ პროცესებთან ერთად შემადგენლობის რიცხობრივ ცვლილებებს განიცდიდა. იმის გამო, რომ გრიგორიანობა სომხების ეროვნულ რელიგიას წარმოადგენდა, იგი იმავდროულად ეთნიკურობის ნიშნის გამომხატველიც იყო. გრიგორიანული თემი სისტემატურად იზრდებოდა როგორც შინა დემოგრაფიული პროცესების, ასევე გარე მიგრაციული პროცესების გავლენით. 1864 წ. გრიგორიანელთა თემი თბილისში 28.1 ათას კაცს ითვლიდა. 1876 წ. აღრიცხვის მიხედვით — 36.6 ათას კაცს, რაც თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 35,2%-ს შეადგენდა ხოლო 1897 წლისათვის — 50,5 ათას კაცს. რიცხოვნების მიხედვით მართლმადიდებლური კონფესიონალური თემის შემდეგ, გრიგორიანელთა თემი მეორე ადგილზე გამოდიოდა. თბილისში მრავლად იყო გრიგორიანული სამლოცველოები. 1899 წლისათვის თბილისში 27 გრიგორიანული ეკლესია და ერთი მონასტერი ითვლებოდა.

თბილისის კონფესიონალური შემადგენლობის მესამე ჯგუფს მუსლიმანები შეადგენდნენ, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ შიიტებიცა და სუნიტებიც. თავიდან სუნიტების რიცხვი ძალზე დაბალი იყო, ვინაიდან მათი უმეტესობა დროებით, საშოვარზე იყვნენ ქალაქში ჩამოსული, მაგრამ XIX საუკუნის შუახანებიდან თბილისში მათი რაოდენობაც მატულობს. 1864 წლისათვის თბილისში მოქმედებდა როგორც შიიტური, ასევე სუნიტური მეჩეთი. 1876 წლის აღწერის მასალებით, შიიტები ქალაქის მოსახლეობის 3,6%-ს შეადგენდნენ, სუნიტები 0,7%... შიიტთა უმრავლესობას სპარსელები და აზერბაიჯანელები შეადგენდნენ, სუნიტებისას — თათრები (უპირატესად ყაზანელი თათრები), თურქები და დაღესტნელები. 1897 წლისათვის თბილისელი მუსლიმანების რაოდენობა 7,4 ათასს შეადგენდა. XX საუკუნის დასაწყისისათვის თბილისში მუსლიმანთა საერთო რაოდენობის ზრდა უმთავრესად სუნიტების რიცხოვნების ზრდის ხარჯზე ხდებოდა. 1896—1901 წლებში შიიტთა რაოდენობა 0,7 ათასი კაცით მცირდება, ვინაიდან ისინი ქალაქში უმეტესად დროებით საშოვარზე ჩამოდიოდნენ[3].

XIX საუკუნის II ნახევარისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის მოსახლეობის კონფესიონალური შემადგენლობის მეოთხე ჯგუფს წარმოადგენდნენ კათოლიკები. ადგილობრივი კათალიკური თემის წარმოშობა მოხდა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში, კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის შედეგად. მართლმადიდებლური და გრიგორიანული სამღვდელოება უკიდურესად უარყოფითად უყურებდა კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობას ამიერკავკასიაში და მართლმადიდებლურ ეკლესიას ამ საქმეში ქართველი მეფეებიც უჭერდნენ მხარს. ამიტომ კათოლიზმი შედარებით უფრო წარმატებით სომხებში ვრცელ-

---

[3] Тифлис по однодневной переписи: 1876 г. გვ. 104—106.

[4] ЦГВИД ВУД. Д. 18481. л. 47. об. 60.

[5] ЦГИА ГССР. Ф. 16. оп. 1. д. 33. Л. 48—54: Ф: 254: Оп: 5: Д. 43, Л. 12, (статистика) к 18 № 88.

დებოდა, რომლებიც (ისევე როგორც ქართველები) გაურბოდნენ იძულებით ისლამიზაციას[6].

1804 წ. კათოლიკეთა ძალებით თბილისში აიგო კათოლიკური ეკლესია, სადაც ღვთისმსახურება ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. 1845 წელს მეფისნაცვალ ვორონცოვის თხოვნით თბილისში ჩამოდიოდნენ კათოლიკე მღვდელმსახურები.

1864 წლისათვის თბილისელ კათოლიკეთა რიცხვი შეადგენდა 1,5 ათასს სულს, 1876 წლისათვის 4.7 ათასს ანუ ქალაქის მთელი მოსახლეობის 4%-ს. ეთნიკური შემადგენლობის მხრივ ამ დროისათვის ასეთი სურათი იყო: სომხები—0,9 ათასი კაცი, ქართველები 0,2—ათასი კაცი, ფრანგები 0,2 ათასი კაცი, აისორები 0,1 ათასი კაცი, რუსები 0,1 ათასი კაცი, დანარჩენი კი პოლონელები[7].

კათოლიკური თემის ძირითად ნაწილს კავკასიის მკვიდრი ხალხებიდან შეადგენდნენ სომხები. მათი გამოჩენა თბილისში უკავშირდება რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომის დასასრულს. სომეხ კათოლიკეთა რაოდენობის თაობაზე პირველი ზუსტი ცნობა 1876 წელს განეკუთვნება. მაშინ თბილისში ისინი 0,9 ათასს კაცს შეადგენდნენ. 1896 წელს მათი რიცხვი 7 ათასს შეადგენს, XX ს-ის დასაწყისში კი სომეხ კათალიკეთა რიცხვმა 9,3 ათასს მიაღწია. აღნიშნულ მონაცემებთან კონტრასტულ მიმართებაშია 1897 წლის აღწერის მასალების მონაცემები, რომლის თანახმადაც თბილისში სულ 62 სომეხი კათოლიკე ცხოვრობს[8]. ამის მიზეზი ვფიქრობთ, ისაა, რომ ისინი ჩაწერეს რომაულ კათოლიკური სარწმუნოების მიმდევრებად, ან საერთოდ არ შეიტანეს აღწერის მასალებში, როგორც დროებით მაცხოვრებლები და სპარსეთის ქვეშევრდომნი.

1883 წელს რომაულ-კათოლიკური უსპენსკის ტაძრის მრევლს შეადგენდა 188 ოჯახი — 732 სული — ქართველები, სომხები, პოლონელები, ფრანგები. მათ შორის იყვნენ თუმანოვების, ანდრონიკოვების, ბაქრაძეების, სააკოვების, ზუბალოვების და სხვა ოჯახები.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის კათოლიკები შეადგენდნენ რომაელი კათოლიკების, სომეხი კათოლიკებისა და ქალდეველი კათოლიკების ერთობლიობას. ეთნიკურად ესენი იყვნენ სომხები, ასირიელები და სხვა. სავარაუდოა, რომ ქართველი კათოლიკები მოხვდნენ სომეხ კათოლიკებთან კატეგორიაში.

თბილისის ეთნიკური სივრცე თანდათან კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან. თბილისში გამოჩნდნენ მალაკნები. 1876 წლის აღწერის მასალების მიხედვით თბილისელი მალაკნები შეადგენდნენ ქალაქის მთელი მოსახლეობის 1,6%. მათი რიცხვი მუდმივად იზრდებოდა და 1893 წელს 1.2 ათასს მიაღწია[9]. 1876 წლის აღწერის მასალების მიხედვით თბილისში ცხოვრობდნენ აგრეთვე „პრიგუნები“ (54 კაცი),

---

[6] Н. Бregвадзе. К вопросу об этническом составе населения Грузии в 17 в. (КЭС VI. 1976. გვ. 246).

[7] Тифлис по однодневной переписи... 1876 г. с. 104, 105

[8] Тифлис по однодневной переписи... 1876 г. Хроника /К. 1896. № 88; ЦГИА ГССР. Ф. 414. Оп. 2. Д22. Л. 290, 294.

[9] ЦГИА ГССР. Ф. 416. Оп. 3. Д1074. Л. 6,8:

„სუბოტნიკები“ (49 კაცი) და „ბაბტისტები“. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მალაკნებს შორის გამოჩნდა ახალი მიმდინარეობა „შტუნდი“ (შტუნდიტები). ქალაქში იყო აგრეთვე „სტაროობრიადელების“ სხვა მიმართულებებიც. ნოვო-არსენალის ჭუჭაზე, სახლში, რომელიც ივან დემეტრევს ეკუთვნოდა, მოწყობილ იქნა სამლოცველო. მის ცენტრალურ ნაწილს შეადგენდა მაცხოვრის ჯვარცმა და ხატი, რომელზეც დიდი ფორმატის ევანგელე იყო დასვენებული. ამ სამლოცველოში სექტანტები „ფედოსეეველები“ და „ჰომოროელები“ კვირაობით და დღესასწაულის დღეებში ასრულებდნენ ღვთისმსახურებას.

1889 წელს ბაბტისტებმა მიმართეს ოფიციალურ ხელისუფლებას თხოვნით ნება დაერთოთ გაერთიანებულიყვნენ თემში. ეტყობა ბაბტისტების შეხედულებები ძალზედ სწრაფად გავრცელდა ქალაქში. ამასთან არა მარტო გერმანელებში, არამედ რუსებშიც. იმ დროის დოკუმენტებში აღნიშნულია ახალი უცხოური მიმართულების სექტის წარმატებები, ლუთერანი პასტორი პანზენი კუკიაზე, ერთ-ერთ სახლში ასრულებდა ღვთისმსახურებას რუსი და გერმანელი ბაბტისტებისათვის. ოფიციალურ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ თბილისელი „მალაკნები“ ხვდებოდნენ „გიუზემანს, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავის მხრივ „რაციონალისტური ერესის დიდ პრობუნდისთან“, 1887 წ. თბილისიდან გადასახლებულ ამირხანიანცთან“[10].

რელიგიურ თემში იყვნენ გაერთიანებული „სუბოტნიკები“ (შაბათელები), რომლებიც ნაძალადევში ცხოვრობდნენ. 1896 წ. ქალაქში ცხოვრობდა 187 სექტანტი. 1913 წელს მათ მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას შუამდგომლობით დაერთოთ ნება გაერთიანებულიყვნენ „ტფილისის შაბათელთა თემში“. ეს თხოვნა უყურადღებოდ დარჩა[11].

თბილისში არსებობდა აგრეთვე ასირიელთა ნესტორიანელთა თემი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ნესტორიანელ ასირიელთა მასობრივი გადასვლა მართლმადიდებლობაზე. მხოლოდ 1898 წელს ასირიელთა ნებით საქართველოს ეგზარხოსმა მართლმადიდებელთ მიუერთა 722 კაცი[12].

თბილისში იზრდებოდა იუდეველთა რაოდენობაც. იგი არ იყო ერთგვაროვანი. მასში შედიოდნენ როგორც ქართველი ებრაელები, ისე ე. წ. „ევროპელი“ ებრაელები. პირველ ჯგუფში შედიოდნენ ჭუთაისელი, ონელი, ახალციხელი ებრაელები. იყო აგრეთვე პატარა ჯგუფი ჭურთისტანიდან გადმოსახლებული ებრაელებისა, რომლებიც ახალასირიულ ენაზე ლაპარაკობდნენ[13]. 1895 წელს ქართველი ებრაელები თხოვნით მიმართავენ ხელისუფლებას ნება დართონ ჰყავდეთ თავიანთი რაბინი. 1899 წელს ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, რაბინად არჩეულ იქნა იაკობ ნაფტალიშვილი, რომელიც ადრე ახალციხის რაბინის თანაშემწე იყო. 1896 წელს იუდაიზმის მიმდევარი თბილისში ოფიციალური ცნობებით იყო 3,4 ათასი კაცი[14]. XX საუკუნის დასაწყისისათვის თბილისში 4 სინაგოგა მოქმედებდა[15].

---

[10] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი, 17. აღ. 3366. ფურც. 14.

[11] იქვე, ფონდი, 192. აღ. 6. საქმე, 414. ფურც. 15,

[12] Хроника//К. 1989 № 70.

[13] ЦГИА. ВУА. Д. 395. Л. 67.

[14] Статистика //К. 1896 № 88.

[15] თ. ოჩიაური, ეთნური პროცესები თბილისში, მაცნე, ისტორიის სერია, 1988 №2, გვ. 34.

თბილისში ქურთების გამოჩენასთან ერთად გაჩნდა ახალი იეზიდების კონფესია, რომელიც XX ს-ის 20-იან წლისათვის 1,5 ათას კაცს ითვლიდა. ალწერის მასალებით, 1926 წ. ქურთების რაოდენობა შეადგენდა 458 სულს. 1930 წ. აღწერის მასალებით უკვე იხსენიებიან ცალკე ქურთები და ცალკე იეზიდები. ქურთების დიდი ნაწილი ცხოვრობს თბილისში, მცირე სოფლად, ძირითადად კახეთში. რელიგიური კუთვნილების მიხედვით, საქართველოს ქურთები იეზიდები არიან. მათი შეგნებით იეზიდობა ეროვნული ვინაობის გამომხატველია[16].

თბილისში ქურთები ცხოვრობდნენ კომპაქტურად, უბნობრივ, ხარფუხის გაგრძელებაზე—ორთაჭალაში, ბერძნების უბნის გვერდით. ასევე გაფანტულად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში[17].

თბილისის ძველ უბნებში წარმოიშვა ეთნიკურად ჰრელი მოსახლეობა, რამაც გამოძახილი ჰპოვა ყოფისა და კულტურის რიგ ობიექტებში. ამის გამოძახილია ხარფუხისა და მეტეხის უბანში წარმოდგენილ საკულტო ნაგებობათა მრავალფეროვნებაც: სომხური ეკლესია-სუბგეურჭი, ორი მეჩეთი, ქართული ეკლესია — სიონი, სინაგოგა, ბერძნული ეკლესია. მტკვრის მეორე მხარეს ავლაბარში—მეტეხი, სომხური საყდრები და ა. შ. სამლოცველოების გარშემო დასახლებული ეროვნული უმრავლესობის მიხედვით ძველი თბილისის უბნების დასახელებაც ეროვნული ნიშნის მიხედვით ხდებოდა, როგორიცაა ქართველთა უბანი, ურიათა უბანი, მოგვთა უბანი, ბერძენხანა ანუ ბერძენთა უბანი[18], რომლის შუაგულშიც წმ. ეკატერინეს სახელზე აგებული ეკლესია იდგა.

ძველი თბილისის უბნები განსხვავდებოდნენ ეთნიკური სტრუქტურით და ეროვნებათა მიხედვით ხვედრითი წონით. ეთნოგრაფიული კვლევით დასტურდება, რომ თანამედროვე თბილისში არ არის ეთნიკური განსახლების საგანგებო უბნები, მაგრამ შემორჩენილია დასახლების ისეთი უბნები და ზონები, სადაც დღემდე უპირატესობას ინარჩუნებს რომელიმე ეროვნული ჯგუფი. შეიძლება დავასახელოთ რუსი მალაკნები — ნაძალადევის რაიონში, ღრმაღელეში; ბოშები — ლოტკინის დასახლებაში; ბერძნები — ლოტკინის გორა; სომხები — ისნის რაიონი, ელია, ავლაბარი (დაახ. 70%), ებრაელები — ავლაბარი, ებრაელთა უბანი და სხვა.

ეროვნული ნიშნის მიხედვით ნაწილდებოდნენ თბილისელი ხელოსნები გარკვეულ სპეციალობებში[19]: ქართველები — სპეციალდებოდნენ ადგილობრივი აზიური ტანსაცმლის, ქუდების, ფეხსაცმელების მკერავებად, მისდევდნენ მეთონეობას, დალაქობას; სომხები — ამზადებდნენ ევროპულ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, მისდევდნენ ჯავაირჩობას; ლეკები აწარმოებდნენ იარაღს, ვერცხლის ნაკეთობას; ებრაელები—მკინძავებად, მეხაათეებად; აისორები—მღებრებად (მალიარები); გერმანელები და იტალიელები — მეძეხვენი; რუსები—მეკასრეები, სარაჯები, მელუმელენი და ა. შ.

---

16 Пашаева Л. некоторые календарные праздники урумов. მაცნე, ისტორიის სერია 1985, №1, მისივე, Состояние и залачи курдоведения в Грузии, მაცნე. ისტორიის სერია, 1985, №3.

17 ნ. აბესაძე. თანამედროვე ეთნიკური პროცესები თბილისში, კრ. ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები, მეცნიერება, 1988, გვ. 77.

18 კვირკველია, ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში, თბ. 1989, გვ. 13.

19 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს, ტ. V, თბ. 1962. გვ. 222,

პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებში, რომელნიც მიგრაციის საფუძველზე მოხვდნენ მათთვის უცხო ბუნებრივ გარემოში კულტურულად განსხვავებულ ეთნოსებთან — დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას, ვინაიდან ამ უკანასკნელის ეთნიკური და ეთნოსოციალური განვითარება შემდეგში განაპირობებს ქალაქის ეთნოკულტურულ იერსახეს. იგი უშუალოდ უკავშირდება კონკრეტული ხალხის ეთნიკურ ისტორიას, მისი გენეზისისა და განვითარების თავისებურებებს, ტრადიციის თვითმყოფადობას. მართალია, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ერთმანეთისაგან განირჩევიან ენის, ყოფის ლოკალური თავისებურებებით, მაგრამ ერთიანობის ძირითად პირობას წარმოადგენს განსაზღვრული ტერიტორია, ეკონომიკური ბაზისი, რაც აპირობებს ქალაქურ ყოფას. ქალაქური ყოფის თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ტიპიური ქალაქური ტრადიციების მატარებელია და ამდენად, გარკვეულ მიმართებებშია იმ ცხოვრების წესთან, რომელშიც ეთნიკური ტრადიციებიც იღებენ მონაწილეობას. ქალაქის ინდივიდუალობას განსაზღვრავს ყოფა-ცხოვრებითი თავისებურებანი, ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომელიც ყალიბდება კომპლექსურად ყოფის ძირითადი სფეროების მიხედვით (მატერიალური, სამეურნეო, სოციალური, სულიერი) და საბოლო ჯამში ქმნიან ერთიან სისტემას, ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარების დონის შესაბამისად.

თბილისურ ყოფას კონკრეტული სპეციფიკა ახლავს, რომლის ჩამოყალიბებში სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოციალურმა ურთიერთობებმა ნათესაური, ტერიტორიულ-მეზობლური, საოჯახო და ა. შ. ქალაქურმა სულიერმა კულტურამ, ზოგადმა ქართულმა დღესასწაულებმა, გართობა-შოლხვის ფორმებმა, ხალხურ-სპორტულ სანახაობებმა. ასევე მნიშვნელოვანია ქალაქური დასახლების ფორმა და საცხოვრებელი ტიპების დაგეგმარება საერთო ეზოებით, უბნების პრაქტიკითა და სხვა.

ცნობილია, რომ თბილისი ძველთაგან ფორმირდებოდა როგორც მრავალეროვანი ქალაქი, რაც გამოწვეული იყო მისი ისტორიული ბედუკუღმართობითა და გეო-პოლიტიკური მდებარეობით. თავისი ისტორიის გარიჟრაჟზევე იგი იქცა მთავარ მაგისტრალად, მიგრაციულ გზაჯვარედინად, რომელზეც გადიოდნენ სამხედრო ნაწილები, სავაჭრო ქარავნები, აყრილი და ბედის საძებნელად გასული მოსახლეობაც. ამის შედეგად იგი არსდება როგორც ჭრელი, მრავალეროვანი ქალაქი და ყალიბდება პოლიეთნიკურ საზოგადოებად. ის თავისებურებები, რომელიც დაჰყვა ქალაქის განვითარებას განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ქართული ფეოდალიზმის საერთო თავისებურებებით და მის სპეციფიკურ იერსახეს ჰქმნიდა და, მეორეს მხრივ, ქალაქში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ხალხების გავლენით, ქალაქის ეთნიკური სახე სპეციფიკური ფორმით ყალიბდებოდა. მიუხედავად უცხო ტომის ხალხის მოწოლისა, თბილისი მათ ჩამოსახლებას არ ზღუდავდა და ისინი რელიგიის თავისუფლებათა და გარკვეული სახელმწიფოებრივი უფლებითაც სარგებლობდნენ.

З. ШЕНГЕЛИЯ

ЭТНОКОНФЕССИОНАЛЬНАЯ СТРУКТУРА НАСЕЛЕНИЯ ТБИЛИСИ В XIX В.

Резюме

В статье дана динамика конфессионального состава населения Тбилиси XIX века, которая тесно связана с политической и социально-экономической обстановкой в Грузии. На самых разных этапах истории в Тбилиси наряду с коренным этносом жили представители многих других народов. Поэтому полиэтничность является исторической традицией города.

На материале различных источников рассмотрена динамика конфессионального состава населения города Тбилиси в XIX в., которое принадлежало в основном к четырем конфессиональным общинам: православной, армяно-григорянской, католической и мусульманской.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრამ

გიორგი ჯავახიშვილი

მცირე ქანდაკების ნიმუშები ქვემო ქართლიდან

როგორც ცნობილია, ქვემო ქართლი მდიდარია მცირე ქანდაკების ნიმუშებით — სტელებით, სამწუხაროდ, უმრავლესობა ამ ძეგლებისა გადარჩენილია სვეტის ფრაგმენტის სახით, მაგრამ რამოდენიმე სტელა თითქმის სრულად არის ჩვენამდე მოღწეული ყველა ძირითადი ნაწილით — იმპოსტით, ბაზით და სვეტით. ასეთებია ბრდაძორის დიდი სტელა, მამულაანთ სტელა და ნაწილობრივ ბაშქიჩეთის სტელები. ჩამოთვლილი სტელები იმითაც არის საინტერესო,, რომ მათზე კარგად არის გადარჩენილი სიმბოლური, სიუჟეტური და დეკორატიული რელიეფები. ბუნებრივია, რომ ჩვენ პირველ რიგში ყურადღებას შევაჩერებთ ამ სტელებზე, კერძოდ, ბრდაძორის სამ სტელაზე (მარნეულის რ-ნი)*.

ბრდაძორის დიდი სტელა ყველაზე ცალალია საქართველოში. მისი სიმაღლე 6 მეტრია. იგი ჩასმულია დაბალ იმპოსტზე მდგარ კუბურ ბაზაში. ბაზის პირზე ამოკვეთილია ცედალიონი ბოლნური ჯვრით. სტელის პირი დაყოფილია 15 კვადრატულ ჩარჩოდ, რომელიც შევსებულია ფიგურული და ორნამენტური რელიეფებით. სვეტის გვერდითა მარჯვენა და მარცხენა წახნაგებს ამკობს ვაზის ტალღოვანი ყლორტი. მონაცვლეობით გამობმული ფოთლებით, მტევნებითა და ულვაშებით. ზურგი შემკულია სიმეტრიული ორმხრივ გაშლილი ფოთლებიანი ერთიანი დეკორატიული ღეროთი.

ბრდაძორის დიდ სტელაზე მოცემულია ძველი და ახალი ალთქმის სიუჟეტები. მათი დღევანდელი მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას, რომ სრულიად გაიხსნას ამ სიუჟეტების ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ ცხადი უნდა იყოს, რომ მათში გატარებულია ქრისტიანული რწმენის იდეები.

საინტერესო სიუჟეტური რელიეფებია გამოსახული ბრდაძორის მეორე მცირე სტელაზე. მისგან გადარჩენილია მხოლოდ სვეტი კაპიტელიანი ოთხწახნაგა სვეტის პირზე, ოთხკუთხა ჩარჩოებში, ერთიმეორეზე განლაგებული რელიგიური ფიგურების ჯგუფები. მთლიანად გადარჩენილია ოთხი კომპოზიცია, რომელთაგან ერთი — ქრისტეს ამაღლება — კაპიტალზეა მოცემული, ხოლო დანარჩენი სამი ვიწრო ლილვით შემოვლებულ ოთხკუთხა ჩარჩოშია მოთავსებული. კაპიტელის ქვევით გამოსახულია ორ ფიგურად. შორის ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით ხელში; მის მარჯვნივ დგას ხშირნანელებიან სამოსში გახვეული მხევალი, მარჯვნივ — კაბაში გამოწყობილი მამაკაცი. ყრმა იესო მარჯვენა ხელით აკურთხებს, ხოლო მარცხენა ხელში სახარება უჭირავს. ქვემოთ, სამ ჩარჩოში, ჩანს ცალკეული ფიგურების კვალი. კ. მაჩაბელი ამ ძნელად გასარჩევ სიუჟეტებს ხსნის, როგორც ქრისტეს სასწაულთმოქმედებას: წმ. ელენეს განკურნება მდ. იორდანეში, განრღვეულის და ბრმის განკურნება. მეოთხე ჩარჩოში ნათლისღებაა, მის ქვეშ — აყვავებული ჯვრის გამოსახულება.

---

* სტელები ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).

სტელის მარცხენა წახნაგის კაპიტელის პირზე ამოკვეთილია „მანდორლაში ჩასმული ღვთისმშობელი და თითო ანგელოზი იქით-აქეთ, „ღვთისმშობლის სულის ამაღლება“ (კ. მაჩაბელი). კაპიტელის ქვემოთ გამოსახულნი არიან ფეოდალთა ოჯახის წევრები. კაპიტელის მარჯვენა წახნაგზე ამოკვეთილია სტილიზებული ოთხფურცლა ყვავილი, რომელიც ამასთანავე ჯვრის სახეს ქმნის; მის ქვემოთ, სტელის ტანზე მოთავსებულია შვიდფურცლა ფოთლებისაგან შედგენილი ტალღოვანი სახე. სტელის მეოთხე წახნაგი გლუვია.

ბრდაძორის ეს სტელა შედის იმ სტელების ჯგუფში, რომლებსაც მონუმენტური ძეგლის გარდა სალოცავი „ხატის“ დანიშნულებაც ჰქონდათ. შედარებით მცირე ზომის სვეტი ფაქტიურად ასრულებდა მასზე მდგარი ჯვრის საყრდენის დანიშნულებას და მასზე გამოსახული საღვთო სიუჟეტები სალოცავად განაწყობთა მოხრწმუნეს. აღსანიშნავია, რომ ეს არის ქტიტორებისა და დონატორების პირველი გამოსახულებები ქართულ სინამდვილეში. სამართლიანად შენიშნავენ ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევრები, რომ ეს ტრადიცია შემოსულია ქრისტიანული აღმოსავლეთის გზით ელინისტური და რომაული ელტერების წიაღიდან (კ. მაჩაბელი, ნ. ჩუბინაშვილი).

ბრდაძორის მესამე სტელა ორადაა გატეხილი. მას ზედა ნაწილი აკლია. სტელის ზედაპირზე, ზემოთ, მარჯვენა წახნაგზე, გადარჩენილია რელიეფური ფიგურები. წმ. გიორგი გმირავს ორ მარყუჟად ჩახვეულ გველეშაპს; მის ქვემოთ გამოსახულია ფოთლოვანი გეომეტრიული სახეებით შემკული ოთხი ვარდულის ვერტიკალური მწკრივი შეწყვილებული პალმეტებით, რომელიც შეკრულია ერთიან ორნამენტად.

მარცხენა კვერდზე გამოსახულია შვიდფურცელა პალმეტს მოტივი, ხოლო ზურგზე ამოკვეთილია ასევე მცენარეული მოტივი — ორმხრივ სიმეტრიულად გაშლილი მრავალფოთლოვანი ვერტიკალური ღერო. კვარცხლბეკში ჩასამაგრებლად განკუთვნილი სტელის ფეხი გათლილია სადად.

ბრდაძორის სამივე სტელა ეკუთვნის არა მარტო ერთ მხატვრულ სკოლას, არამედ ისინი ერთ სახელოსნოში ერთი ოსტატის მიერ. ჩანს დამზადებული სამივეს ეტყობა ხაზის ერთნაირი სისუფთავე და გაბედული, დახვეწილი კვეთა. ისინი ამყარებენ იდეური წყაროს იგივეობას. როგორც კ. მაჩაბელი აღნიშნავს, ამ ძეგლებზე სჩანს სპილოს ძვლისაგან დამზადებული ადრექრისტიანული სკულპტურული დიპტიხების გავლენა. სტილითა და შესრულების მანერით ეს სტელები VI ს-ის მეორე ნახევარს განეკუთვნება.

Г. А. ДЖАВАХИШВИЛИ

ОБРАЗЦЫ МАЛОЙ ПЛАСТИКИ ИЗ КВЕМО КАРТЛИ

Резюме

В настоящей статье рассмотрены памятники малой пластики раннефеодального периода — стелы, которые в данное время хранятся в Государственном Музее Искусств Грузии.

Вопрос касается трёх стел из села Брдадзор нижнего Картли. Одна из них известна как большая Брдадзорская стела (высота 6 м.). Эта стела самая большая в Грузии. Остальные две повреждены (у них не достаёт верха и нижней части).

На почве иконографического и стилистического анализа выявлены характерные художественные особенности как в орнаментальном декоре, так и в изображении ктиторов и духовных лиц. Стелы хорошо вписываются в круг остальных памятников раннего периода (II половина VI в.) и дают ясное представление о нижнекартлинских памятниках малой пластики.

წარმოადგინა ია. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედრამ.

დისკუსია და განხილვა

დერენიზა გოგოლაძე

კიდევ ერთხელ და საბოლოოდ სიმონ მეფის 1594 წლის დოკუმენტის შესახებ*

ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიულ დოკუმენტებზე მუშაობისას (60-იან წლებში) მივაკვლიეთ სიმონ I-ის 1594 წლის სოფ. ლისის წყალობის განახლების დოკუმენტს,—დედანს. 1976 წელს იგი პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ და შემოვიტანეთ კვლევით სამეცნიერო ლიტერატურაში[1]. აღმოჩნდა, რომ სიმონ მეფის 1594 წლის ლისის წყალობის წიგნი, რომელიც ცნობილი იყო დედნიდან 1821 წელს გადაწერილი პირით, მცდარი ყოფილა, სახელდობრ, მისი ადრესატი და ზოგი სხვა რამ ტექსტში. საბუთის პირი, რომელიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში[2], გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ 1929 წელს[3].

ჩვენ მიერ დოკუმენტის დედნის, Hd 1810 საბუთის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სიმონ მეფის 1594 წ. წყალობის წიგნი გაცემულია არა გიორგი საყაძეზე, არამედ სულ სხვა პირზე—გიორგი ბოხვაძეზე. ეს ჩვენ დოკუმენტის დედნის (Hd 1810) გამოქვეყნებასთან ერთად დავასაბუთეთ. ზემოთ დასახელებულ წერილში. ვაჩვენეთ, რომ სიმონ მეფის 1594 წ. წყალობის დოკუმენტში მოცემულია ადრესატის გაყალბების ცდა,—ბოხვაძის შეცვლა საყაძით. სახელდობრ, გამყალბებლის მიერ ამოფხეკილია გვარი „ბოხვაძის“ პირველი ორი ასო „ბო“, ასო „ხ“-ანი შეცვლილია „ს-ანით, ხოლო „ვ-უნის „კ“-ანად გადაქცევის ცდაა და საბოლოოდ „ბოხვაძე“ შეცვლილია „სყაძე“-დ, მაგრამ გამყალბებელს საბოლოოდ მაინც არ გაუვიდა სიყალბე. ჩვენ მიერ დოკუმენტის გრაფიკული შესწავლის შედეგად გამყალბებელი გამჟღავნდა. იგი გამჟღავნა გვარი „ბოხვაძის“ ასო „ვ“-ნის გრაფიკულმა მოხაზულობამ, რომელიც აშკარად განირჩევა საბუთში ასო „კ“-ანისგან. დოკუმენტის მიმღები-ადრესატი გიორგი ბოხვაძეა. იქვე, იმავე წერილში (1976 წ.) პირველად გამოვაქვეყნე და მტკიცების არგუმენტად მოვიტანე სიმონის შვილის მეფე გიორგი X-ის 1605 წ. ლისის წყალობის განახლების წიგნი ბოხვაძისადმი, Hd-2435— დედანი, სადაც ეს გვარ-ადრესატი ყოველგვარი გაყალბების გარეშეა. ამ დოკუმენტმა საბოლოოდ დაადასტურა ჩვენი მტკიცება.

ზემოაღნიშნული იმდენად ნათელია, რომ ვერ წარმომედგინა თუ ზოგიერთმა ჩვენი მტკიცების უარყოფას შეეცდებოდა. ბოლოს და ბოლოს დოკუმენტებია (თანაც დედნები) და ორსავეში ადრესატი „ბოხვაძე“ წერია. სად

---

* ამ პასუხით ვწყვეტ კამათს რეცენზენტთან.

1 დ. გოგოლაძე, სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნი, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № 4.

2 საქ. ცსია, ფონდი 1450, წიგნი 27, საბუთი № 203.

3 ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, წიგნი IV, 1929.

წაუხვალ ამ რეალურ ფაქტს, მაგრამ მაინც აღმოჩნდა მკვლევარი, ქ-ნი დ. მეგრელაძე, რომლის დაკვირვებული მტკიცებით, თითქოს სიმონ მეფის 1594 წლის ლიპის წყალობის საბუთი გაცემულია გიორგი საყაძეზე.

სიმონ მეფის დოკუმენტის დედნის გამოკვლევამ და გამოქვეყნებამ თავიდანვე დ. მეგრელაძის რეაქციაალშფოთება გამოიწვია (ნაშრომში სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტზე პირველად წავიკითხე ისტორიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების განყოფილების სხდომაზე, სადაც მოპაექრეც იმყოფებოდა). საქმე ის არის, რომ ქ-ნი დ. მეგრელაძე თავის ადრინდელ ნაშრომში ეყრდნობოდა ს. კაკაბაძის გამოქვეყნებულ სიმონ მეფის 1594 წლის დოკუმენტის პირს, რომელშიც ადრესატი მცდარად არის მოცემული: გიორგი ბოხვაძის მაგივრად გიორგი საყაძე წერია. ამ მცდარ ადრესატიან დოკუმენტზე (პირზე) ააგო მან მთელი რიგი მოსაზრებები გიორგი საყაძის მოღვაწეობაზე XVI ს-ის 90-იან წლებში: ვითომცდა სიმონ I-თან მის მოღვაწეობა-დამსახურებაზე, თითქოსდა 1594 წელს გიორგი საყაძის მამა სიაუში გარდაცვლილი იყო და ოჯახის (სახლის) უფროსი გიორგი ყოფილიყო და სხვ., რაც მცდარი აღმოჩნდა. აი, ამ ვითარებას ვერ შეურიგდა ქ-ნი დ. მეგრელაძე. ამის გამო მან 1978 წელს ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა ჩვენს გამოკვლევაზე, სადაც ამტკიცებს, რომ ლიპი, გინდა თუ არა, 1594 წ. სიმონ I-მა უწყალობა გიორგი საყაძეს, ხოლო სიმონ მეფის 1594 წლია და გიორგი X-ის 1605 წლის დოკუმენტები ყალბიაო. საამისოდ მან წარმოუდგენელ, გამოგონილ ფანტაზიებსაც კი მიმართა[4].

1984 წელს ჩვენ ვრცელი პასუხი გავეცით მისი ვრცელი რეცენზიის ყველა მცდარ მოსაზრებას და ყველა მცდარ არგუმენტს[5]. ვფიქრობდი კამათი ამით დამთავრდებოდა, გადაწყვეტილი გვქონდა ამ საკითხზე მასთან აღარ გვეკამათა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჩვენმა ვრცელმა პასუხმა ქ-ნ დ. მეგრელაძის ახალი, გაცილებით მეტი რეაქცია და აღშფოთება გამოიწვია. დ. მეგრელაძემ ისტორიული სიმართლის ძარკვევა, რასაც უნდა მისდევნებოდა, პირად შეურაცყოფად და ტრაგედიად აღიქვა და ამბიციების გზას დაადგა, რის შედეგად სრულ სავალალო შედეგებამდე მივიდა. იმის მაგივრად, რომ ელიარებინა: ჩემი შეცდომები გამოიწვია გაყალბებული დოკუმენტის (დედნის) მცდარად გამოქვეყნებულ პირზე დაყრდნობამო, მიმართა სასამართლო ექსპერტიზას, რის შემდეგ მან ჩვენს ვრცელ წერილზე (პასუხზე) 1993 წელს ახალი ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა[6], სადაც გაიმეორა აშკარად მცდარი, ულოგიკო, ნაძალადევი ფანტაზიური მოსაზრებები, რითაც უფრო გააღრმავა შეცდომები. ამასთან, უხეშად არღვევს კამათის ეთიკურ ნორმებს, გადადის ცილისწამებასა და პირად შეურაცყოფაზე, რის გამოც ამ წერილში შევეცდებით მას სათანადო და საბოლოო პასუხი გავცეთ.

ქ-ნ დ. მეგრელაძეს სურს მკითხველი ჩემს წინააღმდეგ განაწყოს. იგი წერს: დ. გოგოლაძემ მიწოდა „უვიცი", „უცოდინარი" („დ. მეგრელაძი-

---

4 დ. მეგრელაძე. ისევ სიმონ მეფის 1594 წლის საბუთის შესახებ. „მაცნე", ისტორიის სერია, 1978, № 4.

5 დ. გოგოლაძე, კიდევ ერთხელ სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნის შესახებ და ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე", ისტორიის სერია, 1984, № 1.

6 ი. მეგრელაძე. ნატყუარია თუ არა 1594 წ. სიმონ I-ის გაცემული წყალობის წიგნი? „მაცნე", ისტორიის სერია, 1993, № 1.

7 იქვე, გვ. 151.

უცოდინარობა—უვიცობა")[7] და ა. შ. ეს არის ცილისწამება. ჩვენს წერილში მსგავსი არაფერია. მკითხველმა შეამოწმოს ჩვენი წერილი („მაცნე", 1984, № 1). თუ ეს მართალია, დ. მეგრელაძე რატომ არ მიუთითებს წერილის გვერდს, სადაც მას „უვიცს" ან „უცოდინარს" ვუწოდებდეთ. თუ ასეთი რამ ჩვენს წერილში აღმოჩნდება ბოდიშს მოვიხდი, თუ არა და მან აგოს ჯეროვანი პასუხი. ასე არ შეიძლება. ვთქვათ, ჩვენ რომ რომელიმე მკვლევრის ესა თუ ის მოსაზრება ან არგუმენტი არ მივიღოთ და აღვნიშნოთ: იგი „არასწორია", ანდა „მცდარია", „არალოგიკურია", განა ეს სიტყვები იმას ნიშნავს, თითქოს ვამბობდე: მკვლევარი „უცოდინარი" ან „უვიცია"? ეს ხომ სრული გაუგებრობაა.

ჩვენს ვრცელ ნაშრომში („მაცნე", 1984, № 1) დაწვრილებით გვაქვს განხილული ყველა საკითხი სიმონ I-ის 1594 წლის და გიორგი X-ის 1605 წლის დოკუმენტებისა — ბოხვაძისადმი ლისის წყალობის განახლების შესახებ, სადაც პუნქტობრივ გვაქვს გაცემული პასუხი რეცენზენტისადმი და უარყოფილია ქ-ნ დ. მეგრელაძის ყველა არასწორი მოსაზრება და არგუმენტი. ცხადია, მათ აქ ისევ ვერ გავიმეორებთ. აქ მხოლოდ ქ-ნ დ. მეგრელაძის ახალ, გაღრმავებულ შეცდომებს შევეხებით.

I. მეცნიერება თუ სასამართლო ექსპერტიზა

ახალ (მეორე) რეცენზიაში დ. მეგრელაძე წერს: 1978 წელს წერილში მე დავასაბუთეთ შემდეგი:

1) დ. გოგოლაძის მიერ დედნებად მიჩნეული სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტი Hd 1810 და გიორგი X-ის დოკუმენტი Hd 2435 ორივე ყალბია, ნატყუარია 2) ს. კაკაბაძის გამოქვეყნებული პირი 1594 წლის საბუთისა გადაღებულია სწორედ Hd 1810 საბუთიდან (ეს დ. მეგრელაძეზე ადრე დაასაბუთეს—დ. გ.): 3) Hd 2435 საბუთი ნატყუარია მთლიანად; 4) IId 2435 საბუთი ნატყუარად მიიჩნიეს ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, როგორც კი იგი არქივსაცავში მოხვდა; 5) Hd 1810 დოკუმენტი ყალბია, მაგრამ იგი მაინც ნამდვილია, რადგან სინამდვილეს ასახავს; 6) Hd 1810 და Hd 2435 საბუთების გაყალბება XVIII ს-ის 50-იან წლებში მოახდინა ზაზა თარხნიშვილის ქვრივმა დარეჯანმა.

დ. გოგოლაძემ ვრცელი პასუხი გაგვცა („მაცნე", 1984, № 1), უარყო ჩვენი ყველა მტკიცება და არგუმენტიო[8].

ამიტომ სადავო საკითხის დასაზუსტებლად, წერს დ. მეგრელაძე, 1984 წ. მივმართე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზას და მის ლაბორატორიას გადავუგზავნეთ სადავო დოკუმენტები და ვთხოვეთ გაერკვიათ:

1. ნამდვილია თუ ყალბია Hd 1810 და Hd 2435 საბუთებზე გაკეთებული ქართლის მეფეების სიმონ I-ის და გიორგი X-ის ხელმოწერები; 2. ხომ არ არის ორივე დოკუმენტი დაწერილი ერთი და იმავე პირის მიერ; 3. ეწერა თუ არა ორი ასო გვარის წინ (ორივე ადგილას) Hd 1810 დოკუმენტში; 4. Hd 2435 დოკუმენტში ქორონიკონი იკითხება „საუბ" თუ „საყბ".

---

[7] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 151,

[8] იქვე

და, აი, დ. მეგრელაძე აცხადებს: ჩემი ვარაუდი სასამართლო ექსპერტიზამ სავსებით დაადასტურაო[9]. სახელდობრ: 1. ლაბორატორიის ექსპერტმა სპეციალისტმა გვიპასუხა: Hd 1810 დოკუმენტში ადრესატის გვარის წინ არ ეწერა ორი ასო, ანუ აქ „რაიმე წერითი ნიშანი“ არ არის; 2. ასევე, სპეციალისტმა ექსპერტმა დაადასტურა, რომ Hd 1810 დოკუმენტზე სიმონ მეფის ხელმოწერა ყალბია. ნიმუშად წარდგენილი სხვა ხელმოწერები და ამ საბუთზე ხელმოწერა შეარულებულია სხვადასხვა პირის მიერ; 3. სასამართლო ექსპერტიზამ ასევე ყალბად ცნო გიორგი X-ის ხელმოწერა Hd 2435 საბუთზე. ამ საბუთზე და ნიმუშად წარდგენილ სხვა საბუთების ხელმოწერები გიორგი მეფისა „შესრულებულია სხვადასხვა პირის მიერ“[10].

ამრიგად, დ. გოგოლაძის მტკიცებანი სასამართლო ექსპერტიზამ არ დაამტკიცაო, აცხადებს ქ-ნი დ. მეგრელაძე. იქვე იგი დაასკვნის: სასამართლო ექსპერტიზის ეს მონაცემები საკმარისია, რომ საკვლევი დოკუმენტები Hd: 1810, 2435 ყალბად ვაღიაროთ[11]. შემდეგშიც იგი ხშირად იმეორებს „სასამართლო გრაფიკული ექსპერტიზის“ დასკვნას.

უპირველეს ყოვლისა მივულოცავთ თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტებს ასეთ „პროფესიონალიზმს“ ქართულ დიპლომატიკაში.

წარმოიდგინეთ, ასე ადვილად „დაამტკიცა“ თბილისის სასამართლო ექსპერტიზამ 400 წლის წინათ მეფეთა მიერ გაცემული საბუთების სიყალბე თუ ნამდვილობა! რაღა საჭირო ყოფილა ისტორიკოსები, წყაროთმცოდნე-სპეციალისტები, დიპლომატიკოსები, მთელი ეს ხელნაწერთა ინსტიტუტი მრავალრიცხოვანი მეცნიერ-სპეციალისტებით. რა თავს იმტვრევენ, გადასცეს საბუთები სასამართლო ექსპერტიზას და იგი დაადგენს ისეთი ისტორიული დოკუმენტების, როგორიცაა: ფავხელთა სიგელის (IX—X სს.), დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძის, „პროვინციის მეფეების“, სიმონ I-ის, გიორგი X-ის თუ მთელი წყება „სასისხლო სიგელების“ ნატყუარობა-ნამდვილობას, დათარიღებას, ქრონიკონების ამოკითხვას, მეფეთა ხელრთვებს და ა. შ. ასევე, სასამართლო ექსპერტიზა გაარკვევს რომელი წინადადებებია დავით IV-ის ხელით დაწერილი მის მიერ გაცემულ სიგელში შიო-მღვიმის მონასტრისადმი, ან თამარ მეფისა—მის ძიერ ბოძებულ სიგელში იმავე მღვიმისადმი და ა. შ. თურმე ამაოდ გარჯილა აკად. აკ. შანიძე ერკვია პეტრიწონის ტიპიკონის ქართული რედაქციის ტექსტზე გრიგოლ ბაკურიანის-ძის ხელმოწერა ნამდვილია თუ არა და დედნიდან არის გადმოწერილი თუ არა.

თურმე ამაოდ ირჯებოდნენ ისტორიული დოკუმენტების დათარიღების, ტექსტის დამწერლობის, მათში მოცემული ხელმოწერების და საერთოდ დოკუმენტთა აუთენტურობისა თუ ნაყალბევ-ნატყუარობის შესწავლა-გარკვევაში ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: ექ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი და სხვები. აქვე გვქონია სასამართლო ექსპერტიზა, რომლის უნივერსალური „სწავლულ-ექსპერტები“ ყოველივე ზემოაღნიშნულს მიკროსკოპით უშეცდომოდ დაადგენენ.

მაინც საინტერესოა ვიცოდეთ: აღნიშნული სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტის (თუ სპეციალისტების) აზრით, ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ სი-

---

[9] დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[10] იქვე, გვ. 153—154.

[11] იქვე, 154.

მონ I-ის 10 სხვადასხვაგვარი ხელმოწერიდან (პარაფიდან)[12], რომლებშიც მეფის 4 ხელმოწერა, მთლიანად განსხვავებულია დანარჩენისგან,—რომელია სიმონის ის ერთადერთი ნამდვილი ხელმოწერა, რათა მეფის დანარჩენი 9 ხელმოწერა, მათ შორის ბეჭდიან საბუთებზე,—ყალბად უნდა ჩაითვალოს?

ასევე, ჩვენ მიერ მოტანილ გიორგი X-ის 4 სხვადასხვაგვარი ხელმოწერიდან[13], რომელია ის ერთადერთი ნამდვილი, რითაც სასამართლოს ექსპერტიზის აზრით, ყველა დანარჩენი ყალბად უნდა გამოცხადდეს?

ანდა, ასევე, ექსპერტიზის აზრით, სიმონ I-ის 1594 წ. დოკუმენტი და გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტი მართლა ერთი პირის მიერ არის დაწერილი?

ამათ შესახებ სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტი დუმს.

მეფეთა ხელრთვების შესახებ ჩვენი თვალსაზრისი დაწვრილებით და ვრცლად გვაქვს მოცემული 1984 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში[14] და მას ვერ გავიმეორებთ. ვურჩევთ სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტს კარგად გაეცნოს მას, და ჭ-ნ დ. მეგრელაძისაგან განსხვავებით, იქნებ ის მაინც გაერკვეს ქართველ მეფეთა ხელრთვების საკითხში.

სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით, სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტში (Hd 1810) ადრესატის გვარის (ჩვენი გამოკვლევით ბოხვაძის) წინ ორი ასო ამოფხეკილი არაა, აქ ორსავე ადგილას გვარის წინ „წერითი ნიშნები" არ ჩანს. იქნებ სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტს ბარემ ისიც გაერკვია და გვითხრას: დოკუმენტში ადრესატი „სკაძე" წერია თუ „ხვაძე"? ამის შესახებაც ექსპერტი დუმს.

ასევე, სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტმა იქნებ გვიპასუხოს, Hd 2435 დოკუმენტში რომელი ქორონიკონი ზის: „საუბ" თუ „საჟბ"? ამ კითხვაზეც ექსპერტ-სპეციალისტი არაფერს გვეუბნება, მიუხედავად იმისა, რომ დ. მეგრელძეს უთხოვია მისთვის პასუხი გაეცა ამ კითხვაზეც.

სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტს ვურჩევთ, კარგად წაიკითხოს ჩვენი წერილები სიმონ I-ის და გიორგი X-ის დოკუმენტებისა და ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ[15]. იქნებ მაშინ (რეცენზენტისაგან განსხვავებით) კარგად გაერკვეს მეფეთა ხელრთვების, დოკუმენტთა წერითი გრაფიკის, დოკუმენტთა ქორონიკონების საკითხში და, საერთოდ, ისტორიული დოკუმენტების არსში.

საასამართლოს ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ ჭ-ნი დ. მეგრელაძე თითქოს უნდა გაჩერებულიყო, რადგან მისი განცხადებით, ჩვენი ვარაუდი სასამართლო ექსპერტიზით საკვებით გამართლდა და სიმონ I-ის და გიორგი X-ის დოკუმენტები ყალბიაო. მეტი რალა უნდოდა ჭ-ნ დ. მეგრელაძეს? მაგრამ მან ახალი კამათი გამართა ქართული დიპლომატიკის იმ საკითხებზე, რომელნიც ჩემს ვრცელ წერილშია მოცემული (1984 წ.), რითაც როგორც ითქვა, გაალრმავა თავისი შეცდომები, სურს შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი, მიმართავს კამათის მიუღებელ მეთოდებს, რის გამო იძულებული ვართ კიდევ ერთხელ და საბოლოოდ გავცეთ მას პასუხი.

---

[12] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[13] იქვე.

[14] იქვე, ასევე „მაცნე", ისტორიის სერია, 1976, № 4.

[15] იქვე.

II. რეცენზენტის მეცნიერული პოლემიკის ხერხები

1. სასამართლოს ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ, მაშინვე, ქ-ნმა დ. მეგრელაძემ ხელზე დაიხვია ჩემს წერილში არსებული კალმის ლაფსუსი, თუ მემანქანე-ასოთამწყობის კორექტურა — „10 აგვისტოს“ ნაცვლად „10 ოქტომბერი“, რაცაც ჩვენ ყურადღება ვერ მივაქციეთ კორექტურის კითხვისას. რეცენზენტი ამაზე ერთ ამბავს ტეხს და ჩემი მისამართით აცხადებს, თანაც მიმართავს მკითხველს და მერე როგორი ქართულით: „მკითხველი დამეთანხდება, რომ ძნელია კამათი მეცნიერებთან (sic), რომელმაც (sic!) სტამბურად დაბეჭდილი გამოქვეყნებული ტექსტიდან სწორად ვერ გადაიწერა „აგვისტო“[16]. „დიდებული“ გამართული წინადადებაა, მივულოცავ ახალ ქართულს დ. მეგრელაძეს.

ეს ერთი, მეორე კი, აი როგორ გადაწერა დ. მეგრელაძემ თავის ახალ რეცენზიაში სტამბურად დაბეჭდილი ჩვენი ნაშრომიდან სათანადო ადგილი. ჩვენ ვწერთ: 1821 წელს თარხნიშვილებს არ გააჩნდათ ლისზე მფლობელობის საბუთი. „სამაგიეროდ მათ ჰქონდათ სიმონ მეფის 1594 წ. ლისის წყალობის განახლების წიგნი გიორგი ბოხვაძეზე და, შესაძლოა, ამ დროს გაეყალბებინოთ იგი“[17]. დ. მეგრელაძემ იგი ასე გადაწერა: „1821 წელს თარხნიშვილებს არ გააჩნდათ ლისის წყალობის წიგნი, „სამაგიეროდ მათ ჰქონდათ სიმონ მეფის ბოხვაძისათვის და (sic!), შესაძლოა ამ დროს გაეყალბებინოს (sic!) იგი“[18].

მართლაცდა მკვლევარი, რომელიც სტამბურად დაბეჭდილ ერთ წინადადებას ვერ გადაწერს რიგიანად, შეიძლება მასთან კამათი? მკითხველმა განსაჯოს სად არის ამ კერძო შემთხვევაში გაცილებით დიდი შეცდომა: კალმის ლაფსუსი (თუ კორექტურა)—„10 აგვისტოს“ ნაცვლად „10 ოქტომბერი“, რომელიც ისტორიული ფაქტის ანალიზისას (ლისის წყალობის თარიღის თვე) არაფერს ცვლის, თუ შეცდომებით და აბდაუბდით გადაწერილი წინადადება, სადაც მკითხველი ვერაფერს გაიგებს!?

ანდა კიდევ, „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ I ტომის წინასიტყვაობის ავტორები, რომელნიც აშკარად ტენდენციურები არიან და მხოლოდ „თანაგუნდელ“ დ. მეგრელაძის სტატიას იმოწმებენ, ხოლო ჩვენსას-კი— არა, აღნიშნულ ლექსიკონში სიმონ მეფის 1594 წ. წყალობის წიგნს ერთი და იმავე წინადადებაში ხან 1559 წლით ათარიღებენ და ხან 1595 წლით (გვ. 5, 19). ამასთან, ეს დოკუმენტი აღნიშნულ ავტორებსაც ყალბად მიაჩნიათ, რადგან საამისოდ დ. მეგრელაძის ნაშრომს იმოწმებენ. აშკარაა მათ ეს დოკუმენტი მენციერულად შესწავლილი არა აქვთ, თორემ სწორად მაინც დაათარიღებდნენ. მაგრამ ჩვენ ამის შესახებ განგაშს არ ვტეხთ. ისე კი დ. მეგრელაძესთან ერთად მოვულოცავ აღნიშნულ მკვლევრებს კვლევის ასეთ დონეს და „მეცნიერულ ობიექტურობას“ (დ. მეგრელაძე თავისი ამ წერილის ბოლოს, აღნიშნული ლექსიკონის წინასიტყვაობას დიდი რიხით იმოწმებს, იქ დამოწმებულია ჩემი წერილიო).

---

[16] დ. მეგრელაძე, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, 1, გვ. 154.

[17] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1984, № 1, გვ. 170.

[18] დ. მეგრელაძე, მაცნე, ისტორიის სერია, 1993, I, გვ. 164.

2. ქ-ნმა დ. მეგრელაძემ თავის ახალ რეცენზიაში ისევ გამართა არამეცნიერული მსჯელობა დოკუმენტებზე მეფეთა ხელრთვა-პარაფის შესახებ. ჩვენს წერილში (1984 წ.) მოტანილი მეფეთა ხელრთვების (ფოტოებით) გაცნობის შემდეგ. ჩანს, დ. მეგრელაძე დარწმუნდა თავისი ე. წ. „პარაფის უწყვეტობის“ კანონის სიმცდარეში და ამჟამად სურს თავი დააღწიოს მას, როგორმე თავი გაიმართლოს და ამ მიზნით აცხადებს: დ. გოგოლაძე რასაც მომაწერს,— „პარაფის უწყვეტობის“ კანონს, „მსგავსი არაფერი მითქვამსო“[19]. ვურჩევთ ქ-ნ დ. მეგრელაძეს ხელმეორედ დაკვირვებით წაიკითხოს თავისი რეცენზია („მაცნე“, 1978, № 4) და ჩემი ვრცელი პასუხი[20], რათა დარწმუნდეს რა უთქვამს და რა, — არა. ჩვენ მეფეთა ხელრთვა-პარაფის საკითხში მის სიმცდარეს აქ ხელმეორედ ვერ გავიმეორებთ.

3. დ. მეგრელაძე აცხადებს: დ. გოგოლაძე „დაუმსახურებლად მდებს ბრალს „აშკარა წინააღმდეგობებში“-ო, როცა ჩვენი აზრით, Hd 1810 საბუთის დამწერი „ყალბისმქნელი“ ხან „წიგნიერად“ გამომყავს და ხან „უწიგნურად“-ო[21]. მართლაც, მისი ეს წინააღმდეგობანი აქ იმდენად აშკარაა, რომ ჩანს, თვითონაც დარწმუნდა და რამენაირად რომ გაიმართლოს თავი, ახლა იგონებს რალაც „ეტაპობრივ“ (მისი ტერმინია) მეთოდს, რითაც კვლავ ამტკიცებს საბუთის „ყალბისმქმნელის“ ხან „წიგნიერებას“ და ხან „უწიგნურობას“, ოღონდ ამჯერად „ეტაპების“ მიხედვით. ამაოდ, ახალი „ეტაპობრივი“ მეთოდი მას ვერ შველის. ვურჩევთ ქ-ნ დ. მეგრელაძეს კვლავ დაკვირვებით წაიკითხოს თავისი პირველი რეცენზიის („მაცნე“, ისტორიის სერია 1978 წ.) სათახადო ადგილები, ხოლო შემდეგ ჩვენი ვრცელი პასუხი მის აშკარა წინააღმდეგობებზე[22] (ალოგიკურობაზე), რათა ნათლად დარწმუნდეს, — თავის მართლება არაფრით არ გამოუვა. ჩვენ კი ალნიშნულ ვრცელ პასუხს ვერ გავიმეორებთ.

III. ბოხვაძის პროგლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები

1. გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტი და ბოხვაძის პიროვნების „რეალურობის“ საკითხი. შემდეგ რეცენზენტი ქ-ნი დ. მეგრელაძე კვლავ ეხება Hd 2435 დოკუმენტსა და „ბოხვაძის“ პიროვნებას. კვლავ იმეორებს 1978 წელს ნათქვამს: ადრეც ვწერდი, Hd 2435 დოკუმენტის, გიორგი X-ის 1605 წ. საბუთის, „ბოხვაძე“ არაა, „რეალური პიროვნება“, რადგან იგი „სახელის გარეშეა დასახელებული“-ო. დ. გოგოლაძემ მიპასუხა: მარტო „გვარით“ კი არა, ხშირად წყალობის საბუთების ადრესატები „მარტო სახელითაც“ არიან მოხსენიებულნი. საამისოდ მან ბევრი მაგალითებიც მოიტანა[23].

დარწმუნდა რა თავისი თვალსაზრისის სიმცდარეში დ. მეგრელაძე ეძებს გამოსავალს და ასეთნაირად მპასუხობს: მე ხომ არ მითქვამს ადრესატები მხოლოდ „სახელით“ არ არიან მოხსენიებულნი საბუთებში, მე ვთქვი მხოლოდ „გვარით“-ო[24]. ჰოდა თუკი მხოლოდ სახელით შეიძლება ადრესატის

19 დ. მეგრელაძე, მაცნე ისტორიის სერია, 1993, 1, გვ. 153.

20 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი.

21 დ. მეგრელაძე, მაცნე ისტორიის სერია, 1993, 1, გვ. 155.

22 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი.

23 დ. მეგრელაძე, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, 1. გვ. 156.

24 იქვე.

მოხსენიება საბუთებში, განა მით უფრო არ შეიძლება იგი საბუთებში მოხსენიებულ იქნეს მხოლოდ გვარით? არც კი დაფიქრებულა რეცენზენტი ამაზე. მეორეც, დ. მეგრელაძემ კიდევ ახალი მოიგონა: გოგოლაძის მიერ მოტანილ წყალობის დოკუმენტების „მაგალითებში ყველგან იხსენიება“ ადრესატები „თანამდებობა და სახელი და არა მხოლოდ გვარი“-ო[25]. აქაც რეცენზენტის გაუგებრობაა, თუ არა და, რაში სჭირდება მას ასეთი რამ. ჩვენს მიერ მოტანილ წყალობის დოკუმენტებში „მხოლოდ სახელით“ მოხსენიებული ადრესატების ნაწილია (4) თანამდებობით (თუმცა რა სავალდებულო იყო ეს, უველას ხომ არ ჰქონდა თანამდობობა). ნაწილი კი ასეთი ადრესატების (4) მოხსენიებულია თანამდებობის გარეშე: ვინმე გოშფარი, ხოსრო, მისი მამინაცვალი დარჩა, ვინმე იოანე. არც გვარით და არც თანამდებობით (რასაც დ. მეგრელაძე ითხოვს) და ადრესატები დოკუმენტებში მოხსენიბულნი არ არიან[26].

დ. მეგრელაძე გვაყვედურობს: დ. გოგოლაძემ „რატომ არ მიაქცია ყურადღება“ იმას, რომ ვინმე ურდოელი, რომელსაც ალექსანდრე მეფემ 1438 წ. წყალობა უბოძა, მეფის „კარის მუშრიბი“ იყოო[27]. ამდენი შეთხზვა-გამოგონება შეიძლება? ალექსანდრე მეფის წყალობის დოკუმენტში ადრესატი ვინმე „ურდოელი“ „კარის მუშრიბის“ ან სხვა რაიმე თანამდებობით მოხსენიებული არაა[28].

დამატებით მოვახსენებთ დ. მეგრელაძეს მეფეთა წყალობის დოკუმენტებს, სადაც ადრესატები მოცემული „მხოლოდ სახელით“,—თანამდებობისა და გვარის გარეშე არიან მოხსენიებულნი: სიმონ I-მა 1574 წელს სავენახე უწყალობა ვინმე გარსევანს[29], 1556—1600 წლებში მანვე დეკაური უწყალობა ვინმე ბანაროზას, იობს და იანჭოს[30]; სვიმონ II-ემ 1624 წ. საბარათაშვილოში, ვინმე თედიას ნაქონები მამული სოფ. აგუდანეთში უწყალობა ვინმე ლიპარიტს[31].

იქნებ ახლა მაინც გაიგოს რეცენზენტმა: ეს ვინმე გარსევანი, ბანაროზა, იანჭო, ლიპარიტი და სხვები არც გვარით და არც თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი თ წყალობის დოკუმენტებში მოხსენიებულნი არ არიან. როდემდე შეიძლება ახსნა-განმარტება?

„ბოხვაძის“ პიროვნების არარეალურობა რომ, გინდა თუ არა, კვლავ დაამტკიცოს დ. მეგრელაძე ამჟამად წერს: დ. გოგოლაძემ „მხოლოდ გვარით“ მოხსენიებულ ადრესატად დოკუმენტებიდან „ბოხვაძის“ მეტი სხვა ვერ მოიტანაო. ეს ამტკიცებს Hd 2435 საბუთის სიყალბესო[32]. აქაც რეცენზენტის გაუგებრობაა. „ბოხვაძის“ გარდა ჩვენს ვრცელ პასუხში იქვე მოვიტანე სხვა, ალექსანდრე მეფის წყალობის დოკუმენტიდან ადრესატი, „მხოლოდ გვარით“ ნახსენები „ურდოელი“ („მაცნე“, 1984, I, 160). ზედწოდება „ურდოელი“ ამ უცნობი პირისათვის იგივე გვარი იყო. რახან რეცენზენტისათვის ეს საკმარისი არ არის, ჩვენ, სახელდახელოდ, დამატებით მოვიტანთ წყალობის დო-

---

25 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156

26 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160—161.

27 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

28 ქსძ, II, გვ. 124.

29 გსიემ, 7601/26.

30 Hd 14658.

31 Hd 3056.

32 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

კუმენტებში „მხოლოდ გვარით“ მოხსენიებულ ადრესატებს: 1699 წ. ნაზარალი-ხანმა წყალობით გაათარხნა ატოცს მცხოვრები ოქორის მონასტრის ყმა,— ვინმე გვილვაშვილი, ასევე წყალობით გაათარხნა მან აქვე მცხოვრები ყმა,— ვინმე გოგიჭაშვილი[33]. აღნიშნული ადრესატები წყალობის დოკუმენტებში მხოლოდ „გვარით“ არიან მოხსენიებულნი.

მესხეთიდან იმერეთს გადმოსული თვით „კლდიაშვილ-შალვაშვილი“ მეფე გიორგის წყალობის წიგნში სახელის გარეშეა. იგი მხოლოდ გვარითაა მოხსენიებული (მისი შვილები კი მოიხსენიება)[33ა] მაგრამ ამით დოკუმენტს არაფერი დაურღვევია და დაუშავებია.

„ბოხვაძის“ პიროვნების არარეალურობა რომ მაინც დაამტკიცოს, დ. მეგრელაძე წერს: „მამულის წყალობა-ბოძების დოკუმენტებში „მომავლის“ მოხსენიება აუცილებელი იყო, რამდენადაც საქმე სამემკვიდრეო ქონებას ეხებოდა“, მაგრამ თუ „წყალობა“ ეხებოდა სახელოს, ჯამაგირს და ა. შ., ასეთ შემთხვევაში „მომავალი“ არ იწერებოდა“-ო[34].

ეს იმდენად მცდარი, არასწორი თვალსაზრისია, რომ პასუხის გაცემა არ ღირს. მაგრამ ორიოდე მაგალითს მაინც მოვიტანთ.

ა) მ ა მ უ ლ ი ს წ ყ ა ლ ო ბ ა. — დავით IX-ემ ჩუხჩერახ პიპოს 1365 წ. გორს ჭისყინისეული მამული უბოძა. წინააღმდეგ დ. მეგრელაძისა, მამულის წყალობის დოკუმენტში ადრესატ პიპოს არც შვილი და არც „მომავალი“ ნახსენები არ არის[35].

ბ) თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს (ს ა ხ ე ლ ო ს) წ ყ ა ლ ო ბ ა.— ალექსანდრე მეფემ 1430 წ. გორის მოურავობის თანამდებობა უბოძა ავთანდილ ზევდგინიძეს. წინააღმდეგ დ. მეგრელაძისა, თანამდებობის წყალობის წიგნში ადრესატი ავთანდილ ზევდგენიძე შვილებით და „მომავლით“ არის მოცემული: „გვიბოძებია გორის მოურავობა... ესოს ჩუხჩარეხ-ა ავთანდილისთუის... და თქუენთა შვილთა და მომავალთათვის“[36].

ზოგჯერ ყმა-მამულს თუ თანამდებობას მხოლოდ სიცოცხლის მანძილზე აძლევდნენ წყალობით, როგორც საკარგავს და, ამიტომ დოკუმენტში, „შვილებს და მომავალს“ არ წერდნენ. ზოგჯერ კი შეწყალებულია ან წყალობის განახლების საბუთის ადრესატს მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდა და, ამიტომ არ წერდნენ ადრესატის „მომავალს“. წესი ეხებოდა ყველას. ეს დამოკიდებული იყო კონკრეტულ ვითარებაზე. შესაძლოა, ჩუხჩერახ პიპოს 1365 წელს და ბოხვაძეს 1605 წელს მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდათ და ამიტომ წყალობის საბუთებში არ დაიწერა: „შვილთა და მომავალთა“. აღარ შეიძლება მეტი ახსნა-განმარტება.

2. „მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა ს“ „გ უ რ ი ე ლ ნ ი ა ზ ნ ა უ რ ნ ი“ და ბ ო ხ ვ ა ძ ი ს ქ ა რ თ ლ შ ი მ ო ს ვ ლ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. გიორგი ბოხვაძის წინაპრის გურიიდან ქართლში მოსვლასთან დაკავშირებით, რაც აღნიშნულია თვით დოკუმენტში (Hd 2435): „ცხორებაშიაც (ე. ი. „ქართლის ცხოვრებაში“—დ. გ.) ეწერა, რომე გურიიდამე მოსულხართ“-ო, მე წერილში

33 Qd 9586.

33ა ქსძ, II, 191.

34 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ., ნაშრომი, გვ. 156—157.

35 ქსძ. II, 100.

36 ქსძ, II, 122.

(1984 წ.) აღვნიშნე ამ ცნობის წყარო და „მოსვლის“ „საკარაულებელი“ დრო— „მატიანე ქართლისა“ და XI ს-ნე. სახელდობრ, „მატიანე ქართლისა“-ში აღნიშნულია ბაგრატ IV-ის ლაშქარში „გურიელნი აზნაურნი“-ს ყოფნის შესახებ. გამოვთქვი ვარაუდი: „სავსებით დასაშვებია გურიის აზნაური ბოხვაძე ქართლში გადმოსულიყო ბაგრატ IV-ის დროს, რადგან დოკუმენტის და „ქართლის ცხოვრების“ ცნობები პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. ჩვენ ამაზე ვრცლად გვაქვს ნათქვამი[37] და აქ არ გავიმეორებთ. აქვე აღვნიშნავთ, ამონაწერიდან ნათელია, რომ, რადგან პირდაპირი საბუთი არ გვაქვს, ჩვენ გამოვთქვით მხოლოდ ვარაუდი XI ს-ში ბოხვაძის მოსვლისა ქართლში, და არა მისი უცილობელი მოსვლა ამ დროს (XI ს.), როგორც ამას რეცენზენტი მომაწერს[38]. (ასე არ შეიძლება!)

დ. მეგრელაძე, რათა დაიცვას თავისი მცდარი თვალსაზრისი „ბოხვაძის“ პიროვნების „არარეალურობის“ შესახებ, აცხადებს: ბაგრატ IV-ეს „გურიელნი აზნაურნი ქართლში კი არ გადმოჰყვნენ, არამედ დარჩნენ ხუფათს, სადაც ბრძოლა გამართეს ლომსიანებთან ერთად“-ო. ხუფათი კი შავი ზღვის პირას მდებარეობდაო[39].

აქაც ქ-ნ რეცენზენტს წყარო არასწორად ესმის. იძულებული ვარ მოვიტანო წყაროს ტექსტი. 1046 წ. ბაგრატ IV ანაკოფიას იდგა. ამ დროს „თბილელმა ბერებმა“ მეფეს თბილისის ჩაბარება (აღება) შესთავაზეს. მეფემ ანაკოფიის მოალყედ „აფხაზეთის ლაშქარი“ დატოვა, ხოლო თვითონ თბილისის აღებად წამოვიდა. წყაროში ნათქვამია: ბაგრატ IV-ემ „ამოიარა და მოვიდა ქუთათისს, და მოიყვანა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი, და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანა ხუფათსა, დაუდგნეს ფილაკავანნი და ბრძოდეს. და ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს“, მეფემ თბილისი აიღო[40].

მოტანილ ტექსტში რით ამტკიცებს რეცენზენტი, რომ მეფემ მთელი ლაშქარი, მათ შორის ყველა „გურიელნი აზნაურნი“ ხუფათს დატოვა? ანდა რით ამტკიცებს რეცენზენტი, რომ ბაგრატ IV-ის ლაშქარში ყოფილ ნაწილს „გურიელ აზნაურებისა“ მეფე მუდამ თან არ დაჰყვებოდა და ქართლში არ გადმოჰყვა? ცხადია, მეფეს „აფხაზთა“ ანუ დასავლეთ საქართველოს სამეფოს ქვეთხვების რჩეული მოლაშქრენი, მათ შორის გურიის მოლაშქრე აზნაურთა რჩეული ნაწილი—„მონა-სპა“, ევროპული ტერმინოლოგიით „გვარდია“, მუდამ თან დაჰყვებოდა, „მატიანე ქართლისას მიხედვით აშკარაა: მეფემ ნაწილი მოლაშქრეებისა ხუფათს დატოვა, თუ იქ ბრძოლა ვერ დაასრულეს, რაც წყაროში კარგად არ ჩანს, ხოლო ნაწილით, მათ შორის „გურიელი აზნაურებით“ (ან ამ აზნაურთა ნაწილით) თბილისისკენ გამოსწია. ჩვენ ვარაუდი დავუშვით: შესაძლოა, ამ „გურიელ აზნაურებში“ ბოხვაძეც ერია, რომელსაც მეფემ ლიხი უწყალობა. ისე ცხადია, ეს ფაქტი,— ლიხის წყალობა ბოხვაძისთვის, შეიძლება გვიანაც მომხდარიყო, მაგრამ მეფეთა წყალობის დოკუმენტები, მაინც და მაინც, ქართლში მისი მოსვლის „სიძველეზე“ მიუთითებს.

ბოხვაძეები რეალური პიროვნებები იყვნენ. ზოგი მათგანი გურიაში დიდ-ბოხელე აზნაური ჩანს. XVI ს-ში როსტომ გურიელის (1534—1566 წწ.) დოკუ-

---

37 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 166—167.

38 დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

39 იქვე, გვ. 157.

40 „ქართლის ცხოვრება“, I, 299.

მენტში (დედანი) მოხსენიებულია გურიის სამთავრო კარის „ამილახორი ბახსათარ ბოხვაძე"[41].

3. ე. წ. „ლეგენდა ბოხვაძეთა დიდგვაროვნების" შესახებ. რეცენზენტი აცხადებს: გიორგი X-ის დოკუმენტში (Hd 2435) ალნიშნული ბოხვაძის გურიიდან ქართლში მოსვლა, ეს „ყალბისმქნელის ფანტია", „ლეგენდა ბოხვაძეთა დიდგვაროვნების" დასამტკიცებლად[42]. აქაც რეცენზენტის აშკარა გაუგებრობაა, მოგონილი და ამასთან მცდარი თვალსაზრისია. მსგავსი არაფერია დოკუმენტში „ბოხვაძეთა დიდგვაროვნების" შესახებ.

გურია ხომ უცხოეთის ქვეყანა არ იყო, ისეთი როგორიცაა: ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, აბაშეთი ან სხვ., საიდანაც მოსულას რიგი ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალები უკავშირებდნენ თავიანთი გვარის განდიდებას, უცხოური დიდგვაროვანი წარმომავლობის დასამტკიცებლად. საამისოდ გურია, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხე, ქართველ ფეოდალებს არულიადაც არ გამოადგებოდათ.

4. მდივან-მწიგნობართა რიგი და ნასრი თუმანიშვილი. დ. მეგრელაძე კვლავ ეხება „მდივან-მწიგნობართა რიგს" და ალნიშნავს: Hd 2435 დოკუმენტში მოხსენიებული ბოხვაძის მოწმეები „სუმბატი, მანუჩარ თუმანიშვილი და ქიშვარი" „ან საერთოდ არ არსებობდნენ (—სუმბატ და ქიშვარ) ან არ თავსდებიან ქრონოლოგიურ ჩარჩოებში"-ო[43].

ჯერ ერთი, საიდან მოიტანა რეცენზენტმა „მანუჩარ თუმანიშვილი"? როგორც მას ჩვენია, (ზემოთ „ურდოელისთვის" „კარის მუშრიბი" გამოიგონა), აქაც გამოიგონა. მსგავსი არაფერია დოკუმენტში. დოკუმენტში წერია ნასრი თუმანიშვილი. გიორგი X წერს: „მდივანს ნასრის თუმანიშვილს, სუმბატსა მანუჩარიშვილს (და) ქიშვარს ბატონს მამაჩემისთვის (ე. ი. სიმონ I-სთვის—დ. გ.) შე(ე)ფიცა თუ ლისი უკლებლივა ამ ბოხვაძისა ყოფილა" (Hd 2435). სად არის აქ დოკუმენტში „მანუჩარ თუმანიშვილი". მდივან ნასრი თუმანიშვილის მოხსენიებას დოკუმენტში კი, როგორც ჩვენთან დავინახავთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს. აი, ასე კითხულობს რეცენზენტი დოკუმენტს. შეიძლება ასეთ მკვლევართან კამათი?

მეორეც, რეცენზენტის პასუხი აქ კვლავინდებურად მთლიანად უსუსურია და პასუხის გაცემა არ ღირს. ვურჩევ რეცენზენტს კვლავ დაკვირვებით წაიკითხოს ამ საკითხზე ჩვენი ვრცელი პასუხი[44].

ერთი კი აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

1984 წლის წერილში, XVI ს-ის დასასრულსა და XVII ს-ის I მეოთხედის კარის მდივან-მწიგნობრებთან დაკავშირებით, აღვნიშნე, რომ გიორგი X-ის ბოხვაძისადმი მიძღვნილ დოკუმენტში (1605 წ.) მოხსენიებული მდივან-და მოწმე ნასრი თუმანიშვილი სავსებით შეიძლებოდა სიმონ მეფის დროს, სახელდობრ, 1594 წელს ყოფილიყო კარის მდივან-მწიგნობარი[45]. დ. მეგრელაძე კი კატეგორიულად უარყოფდა სიმონ I-ის დროს ნასრი თუმანიშვილის მდივნობას.

---

[41] Д. Бакрадзе, АПГА. 282.

[42] დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

[43] დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

[44] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158—159.

[45] იქვე

ჩვენი წერილის თითქმის თანადროულად, „მაცნეს“ წინა ნომერში (1983 წ., № 4) დაიბეჭდა სტატია, სადაც მთლიანად დადასტურდა ჩვენი ვარაუდი: სიმონ I-ის დროს 1593—1594 წლებში და შემდეგაც, 1599—1626 წლებში ქართლის სამეფო კარის ერთ-ერთი მდივან-მწიგნობარია ნასრი თუმანიშვილი. ამას მოწმობს დოკუმენტები: სცსია, ფ. 1450, დ. 26, №3; ხელნაწერთა ინსტიტუტი, IId—3056[46]. ეს ნასრი თუმანიშვილი არის სწორედ ის, რომელიც გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტში (IId 2435) სიმონ მეფესთან გიორგი ბოხვაძის ერთ-ერთ მოწმედ არის მოხსენიებული ლისის კუთვნილების საქმეში.

რაღას იტყვის ამჟამად დ. მეგრელაძე? რაღას ელოდება: აღნიშნული დოკუმენტებიც გამოაცხადოს მან ყალბად!

დ. მეგრელაძე გამოუვალ მდგომარეობაში მოექცა, სხვა გზა არ ჰქონდა, — დაადასტურა ეს ფაქტი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მან არ აღიარა 1978 წელს რეცენზიაში დაშვებული არსებითი შეცდომა, სახელდობრ, ჩვენი თვალსაზრისის წინააღმდეგ იგი დაასკვნიდა: ამგვარად, ნასრი თუმანიშვილი მოღვაწეობს 1606—1624 წლებში, ე. ი. იგი ასპარეზზე ჩნდება გიორგი მეფის საბუთის თარიღიდან ორი წლის შემდეგ. ამიტომ სავსებით გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ მას სიმონ მეფე იმოწმებდა“ 1594 წელსო[47].

მართლაცდა რაღას იტყვის ამჟამად დ. მეგრელაძე თავის ამ მძიმე შეცდომის შესახებ? წარმოიდგინეთ, თითქოს არაფერიო, დუმს. შეიძლება ასეთ მკვლევართან ქამათი?

5. ფეოდალური საგვარეულოს მიერ ერთი და იმავე სოფლის ფლობის ხანდაზმულობის შესახებ. იმისათვის, რომ, გინდა თუ არა დაამტკიცოს დ. მეგრელაძემ გიორგი X-ის მიერ ბოხვაძისადმი გაცემული საბუთის (Hd 2435) სიყალბე და „ბოხვაძის პიროვნების არარეალურობა“, იგი წერს: „ნეტავ მეორე მაგალითს თუ მოიტანდა ღ. გოგოლაძე საქართველოს ისტორიიდან იმისას, რომ ხუთი-ექვსი საუკუნე ერთი და იმავე საგვარეულოს ერთი და იგივე სოფელი შერჩენოდეს, „ანდა რა ასეთი გურულები იყვნენ ბოხვაძეები, რომ ქართლში დამკვიდრების ხუთნახევარი საუკუნის განმავლობაში არა და არ მოხდა მათი გაქართლელება და ისევ და ისევ გურულებად რჩებოდნენ?“[48].

ჩვენ მოვიტანეთ რეცენზენტის ვრცელი ამონაწერი, რათა ვაჩვენოთ მისი სრული სიმცდარე.

დ. მეგრელაძის აზრი მოკლედ ასეთია: როგორ მოხდა რომ ბოხვაძის გვარი 5—6 საუკუნის მანძილზე არ გაქრა და როგორ მოხდა რომ ერთი და იგივე სოფელი შეინარჩუნესო.

ა) ჯერ ერთი, რა სავალდებულოა, რომ რომელიმე ისტორიულ ფაქტს ანალოგიური პარალელი მოუძებნო, და თუ არ მოეძებნა, ესა თუ ის ისტო-

---

[46] ა. ბაქრაძე, თუმანიშვილთა გენეალოგიის დადგენის ცდა XVII—XVIII სს., „მაცნე“, ისტ. სერია, 1983, № 4, გვ. 85. აღნიშნული დოკუმენტები ჩვენ ხელთ არ გვქონდა. შეუძლებელიცაა ერთი მკვლევარი ფეოდალური საქართველოს ისტორიის მთელ გამოუქვეყნებელ დოკუმენტაციას ფლობდეს.

[47] დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 155.

[48] დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

რიული ფაქტი არარეალურად უნდა გამოცხადდეს? ასეთი თავისთავადი ფაქტები ისტორიაში უამრავია. რომელი ერთი მოვიტანო. მაინც, მაგალითისათვის, თუ დაგვისახელებს დ. მეგრელაძე ბაგრატიონების გარდა, მსოფლიოში მეორე მაგალითს, ერთი გვარის სამეფო დინასტიას სახელმწიფო ტიტული 1000 წელი რომ ემართა? ვერ დაასახელებს, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ბაგრატიონთა გვარი არარეალურია?

ბ) მეორე, მაგრამ რახან არ იშლის ჭ-ნი რეცენზენტი და ყოველმხრივ ცდილობს თავი დაიძვრინოს შეცდომებისაგან, მაინც დავუსახელებ მას მეორე მაგალითს, საქართველოს ისტორიაში ისეთ საგვარეულოს (გვარს), რომელიც 5—6 საუკუნე და მეტი ფლობდა ერთ და იმავე სოფელს.

ეს გვარია აბუსერიძე. ეს გვარი 6 საუკუნეზე მეტს ფლობდა ერთ და იმავე სოფელს,—სხალთას ხეობაში სოფელ თხილვანას, კიდევ მეტი, მთელ ამ ხეობას თავისი სოფლებითურთ.

ასევე ქსნის ერისთავთა საგვარეულო, განა, 5—6 საუკუნეზე მეტს არ ფლობდა მთელ რიგ ერთ და იმავე სოფლებს?

მართლაცდა როდემდე, როდემდე შეიძლება ახსნა-განმარტება?

როგორ გაძლო გვარმა „ბოხვაძემ" 5—6 საუკუნეო. წარმოუდგენლად გულუბრყვილო და უსუსური კითხვაა. როგორ გაძლო და კარგად, ჩვეულებრივ. სანამ „ბოხვაძის" გვარში მამაკაცი იყო, გვარი „ბოხვაძედ" გაგრძელდა (გვარი რატომ უნდა გამოეცვალათ), როცა გვარში მემკვიდრე მამაკაცი აღარ იყო, ეს გვარიც გაქრა ქართლში. ვურჩევ რეცენზენტს კვლავ დაკვირვებით წაიკითხოს ჩვენი ვრცელი პასუხის (წერილის) ათანადო ადგილი[49].

როგორც ჩანს, რომ გურული ბოხვაძე ქართლში 5—6 საუკუნე არ „გაქართლელდაო". რა შუაშია აქ „გაქართლელება"? ისე როგორც სხვა ფეოდალურმა საგვარეულომ, ბოხვაძეებმაც იცოდნენ ტრადიციით—წყალობის და მისი განახლების საბუთებით, წყაროებით და, საერთოდ, ტრადიციული ცნობიერებით საკუთარი წარმომავლობა გურიიდან, რა შუაშია „გაქართლელება"?.

ამრიგად, დ. მეგრელაძის თვალსაზრისი, რომ ერთ საგვარეულოს შეუძლებელია ერთი და იგივე სოფელი ჰქონოდა ხუთი საუკუნეო, მოიხსნა (მისი ტერმინია).

ასევე მოიხსნა დ. მეგრელაძის თვალსაზრისი: შეუძლებელია სამეფო კარიდან გამოსულ დოკუმენტში ეწეროს სიტყვები „ნეფეთ-ნეფემა"-ო („მაცნე", 1978, 1, გვ. 156). ამითაც სურდა მას გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტის სიყალბე დაემტკიცებინა. რეცენზენტის თვალსაზრისის უკუსაგდებად ჩვენ მოვიტანეთ სიმონ I-ის 1582 წ. დოკუმენტი, სადაც წერია „ნეფეთ-ნეფემა"; ასევე, დოკუმენტი, სადაც ერთდროულად ორივე გამოთქმაა: „ნეფე" და „მეფეთ მეფე". („მაცნე", 1984, 1, გვ. 160). დამატებით მოვახსენებ დ. მეგრელაძეს: XVI ს-ში, როსტომ გურიელის (1534—1566 წწ.) დოკუმენტში იმერეთის მეფის მისამართით ასევეა ნათქვამია: „ღვთივ გვირგვინოსანის ნეფისა"[50]. რეცენზენტი ამაზე თავის 1993 წ. წერილში („მაცნე" 1993, 1) დუმს, როგორც დამნაშავე, ანდა რა აქვს სათქმელი.

6. გიორგი X-ის 1605 წლის დოკუმენტის ქრონიკონი—საუბ თუ საებ? იმისათვის, რომ დაემტკიცებინა გიორგი X-ის

---

[49] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი.

[50] Д Бакрадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

1605 წ. საბუთის (Hd—2435) სიყალბე, დ. მეგრელაძე უთითებდა საბუთის ქორონიკონის „საჳბ“-ს, მისი აზრით კი „საუბ“-ის არასწორ დაწერას,—დამწერის მიერ ქორონიკონის რიცხვის გამოთვლას სამი ასოს ნაცვლად ოთხი ასოს გამოყენებით. თანაც საბუთში ქ-ნი არის არა „საჳბ“, არამედ „საუბ“, „რის გამოხატვაც რიცხვითი მაჩვენებლებით ყოვლად შეუძლებელია“-ო[51].

ჩვენ მიერ მოტანილი მაგალითებით დარწმუნდა რა დ. მეგრელაძე, რომ ქ-ნის წერისას ყოველთვის მკაცრად არ იცავდნენ წესს, მაგალითად, ქ-ნის რიცხვის გამოთვლას ციფრების აღმნიშვნელი სამი ასოს ნაცვლად იყენებდნენ და წერდნენ ოთხ ასოს, რეცენზენტი პასუხს ვერ იძლევა, მაგრამ როგორც მას ჩვენია, გინდა თუ არა რაღაც ხომ მაინც უნდა თქვას, და აღნიშნავს: მართალია, ასეთ დარღვევებს ჰქონდა ადგილი, საამისოდ დ. გოგოლაძემ ბევრი დოკუმენტი მოიტანაო, მაგრამ „შეიძლებოდა ამა თუ იმ პირს კარგი წერა-კითხვა სცოდნოდა, მაგრამ არ სცოდნოდა ქორონიკონის გამოთვლა-ო[52].

კვლავ უნდა განვუმარტოთ დ. მეგრელაძეს, რომ ქ-ნის დიფერენცირებულად (ზედმეტ ასოიანი) წერა, ანუ წესის, ფორმის „დარღვევა“ სრულიად არ ნიშნავდა“ ქ-ნის გამოთვლის არცოდნას. ზოგჯერ ქორონიკონს დიფერენცირებულად წერდნენ, რასაც ჩვენ მიერ მოტანილი მრავალი დოკუმენტი მოწმობს და ეს მას დამწერ მდივან-მწიგნობრებს, ჩანს, არ მიაჩნდათ „დარღვევად“, და, რაც მთავარია, „შეცდომად“, „არცოდნად“. ჩვენ საამისოდ მოვიტანეთ ეტრატზე დაწერილი დოკუმენტებიც (დედნები), მათ შორის თეიმურაზ I-ის დოკუმენტი 1633 წლისა, სადაც ქ-ნი სამის ნაცვლად ოთხ ასოთია მოცემული[53]. დამატებით მოვიტან სამეფო კარიდან გამოსულ კიდევ ერთ დოკუმენტს ეტრატზე დაწერილ კახთა მეფე ალექსანდრე I-ის და მისი თანამეცხედრის ანას მიერ 1479 წელს დავით-გარეჯის მონასტრისადმი ნაბოძებ გუჯარში ქ-ნი ზის დიფერენცირებული—რნიზ“ (167), ნაცვლად „რჟზ“-ის (3 ასოს ნაცვლად 4 ასოთია გამოთვლილ-დაწერილი)[54]. განა შეიძლება ითქვას, რომ ისეთმა განათლებულმა და პოეტმა მეფემ როგორიც თეიმურაზ I იყო, არ იცოდა ქორონიკონის გამოთვლა და წერა? ანდა კახთა მეფე ალექსანდრე I-მა, ანდა ანა დედოფალმა, რომლის ბრძანებით გადაწერეს მისივე სახელით ცნობილი „ანასეული „ქართლის ცხოვრება“.—არ იცოდნენ ქ-ნის წერა? ქ-ნის დიფერენცირებულად დაწერა, აღნიშნულ ქართველ მეფეებს და დედოფალს, უცოდინარობად და „უხეშ შეცდომად“ რომ ჩაეთვალათ, მაშინვე უბრძანებდნენ მდივან-მწიგნობრებს, გაესწორებინათ ქ-ნი და ხელახლა შეედგინათ დოკუმენტი. ივ. ჯავახიშვილს, რომელსაც ეს დოკუმენტი (კახთა მეფის ალექსანდრე I-ის 1479 წ.) მოაქვს, სრულიადაც არ უკვირს დიფერენცირებული ქორონიკონი.

როდემდე შეიძლება ამაზე ახსნა-განმარტება?

ბ) ქ-ნი დ. მეგრელაძე კვლავ უბრუნდება გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტის ქორონიკონს. როგორც 1978 წლის რეცენზიაში, ისე ამჟამადაც იგი აცხადებს, რომ გიორგი X-ის საბუთზე (Hd 2435) ქ-ნი წერია „საუბ“, და რომ

---

[51] დ. მეგრელაძე. მაცნე, 1978, 4. გვ. 154.
[52] დ. მეგრელაძე, გვ. 159.
[53] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.
[54] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VIII, გვ. 304.

„Hd 2435 საბუთის ნატყუარობის ერთ-ერთ არგუმენტად საბუთის ბოლოში დასმული ქორონიკონი „საუბ" მივიჩნიე"-ო[55].

არ იქნა და ვერ გავაგებინეთ ქ-ნ დ. მეგრელაძეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ქ"ნი „საუბ" კი არ წერია, არამედ წერია „საჟბ" (ან საჟს)[56]. გრაფიკული ექსპერტიზის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დოკუმენტის დამწერმა თავიდანვე ძეხანიშნავად იცის, რომ „უ"-ნი უნდა განასხვავოს „ჟ"-სგან. ამიტომ იგი დოკუმენტში „უ"-ს ყველგან, უკლებლივ ყველა სიტყვაში წერს მიმდევნო ასოსთან გადაუბმელად,— დაბლა, წელს ქვემოთ დაშვებული და მარცხნივ მოხრილ-მოკაუჭებული და ზემოთ აწეული ხაზით (კაუჭით). ასეთი „უ-ს მქონე სიტყვა დოკუმენტში არის 12: ერთგულს, მოკითხული, თუმანიწყილს, სუმბატსა, მანუჩარის, თუ, უკლებლივა, გურიიდამე მოსულხართ, სული, ნუ, აკურთხოს[57]. ხოლო ერთადერთი ქორონიკონის „ჟ"-ანი დოკუმენტში „უ"-ნისგან განსხვავებით წერია წელს ქვემოთ დაშვებული სწორი ვერტიკალური ხაზით, რომელიც მარჯვნივ მოკაუჭებული ისრით მომდევნო ასოს გადაებმის, რითაც დოკუმენტის დამწერი, მეფის კარის მდივან-მწიგნობარი „ჟ"-ნს განასხვავებს „უ"-ნისგან. და იგი ასე წერს, რათა წამკითხველმა დოკუმენტში განასხვავოს „უ"-ნი და „ჟ"-ანი.

დაბოლოს, Hd 2435 საბუთის სიყალბის დამტკიცების ერთ-ერთ არგუმენტად დ. მეგრელაძე იმოწმებს საქართველოს ისტორიის ხელნაწერთა განყოფილების „ცნობილ სპეციალისტებს", რომლებმაც თავის დროზე ქორონიკონში ასო „ჟ"-ანი კი არ ამოიკითხეს, არამედ „უ"-ნიო და სათვენტარო დავთარში ჩაწერეს ქორონიკონის ბოლო ორი ასო „უბ" კითხვის ნიშნით[58]. როგორც ვხედავთ, მათ ქორონიკონის „ს"-ანი სულ გამორიცხეს.

აქ ჩემი პასუხი ასეთია: რა ვუყოთ ზოგჯერ ცნობილი სპეციალისტებიც ცდებიან.

და თუ ამის შემდეგაც დ. მეგრელაძე ვერ გაიცნობიერებს და სწორად ვერ წაიკითხავს დოკუმენტს და ქორონიკონს, ჩვენი რა ბრალია? როდემდე შეიძლება ახსნა-განმარტება?

IV. ისევ 1594 წ. დოკუმენტი. სტილი, გიორგი საათაძის დაბადების თარიღი.

1. 1594 წ. დ ო კ უ მ ე ნ ტ ი ს ს ტ ი ლ ი. გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტის წარუმატებელი „დამუშავების" შემდეგ დ. მეგრელაძე კვლავ უბრუნდება სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტს და, გინდა თუ არა, მისი სიყალბე რომ დაამტკიცოს, ისევ მიუთითებს ვითომცდა საბუთში არსებულ „სტილისტური" ხასიათის შეცდომებზე: „ხმოვანთა და კავშირების გამოტოვება", „ზედმეტი ასოები", ასევე „ბოლოკიდური ასოების დაკლება" ზოგიერთ სიტყვაში და სხვ. მისივე

---

55 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

56 რეცენზენტი მედავება Hd 2435 საბუთის ქ"ნის ამოკითხვასაა რატომ დავუშვი ვარიანტი „საბ", (1604). ვარიანტი იმიტომ დავუშვი, რომ, შესაძლოა, ქ"ნის „ს"-თან გადაბმული „ა"-ნი კალმის ლაფსუსი ან უბრალოდ გადაბმის ნიშანი იყოს. მაგრამ ქ"ნში „საჟბ" იქნება თუ „სჟბ", არაერთარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან დოკუმენტი 1605 თუ 1604 წლით დათარიღდება. ვითარებას არ ცვლის,— ორივე წელი (1604—1605) გიორგი X-ის ხუთობის წლებია.

57 Hd 2435 საბუთის ფოტო გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ „მაცნეში", ისტ. სერ. 1984, № 1.

58 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომები, „მაცნე", 1978, 4, 154; 1993, 1, 158.

აზრით, სამეფო კარიდან გამოსული წყალობის წიგნები „გამართული ჭართული ენით" იყო დაწერილი და მათ „მშვენივრად კითხულობენ და იგებენ არა მარტო XX ს-ის მეცნიერი ისტორიკოსები, არამედ არასპეციალისტი მკითხველებიც"-ო[59]. რეცენზენტი აქ ვრცელ გაჭიანურებულ მსჯელობებში ახალს არაფერს ამბობს, უფრო ალრმავებს შეცდომებს, სამაგიეროდ ცდილობს მკითხველზე მოახდინოს გარეგნული ეფექტი და შეცდომაში შეიყვანოს. ჩვენ ვრცელი პასუხი გავეცით მას ამ საკითხზე[60] და აქ ვერ გავიმეორებ. რეცენზენტს ვურჩევთ ხელმეორედ წაიკითხოს იგი.

აქ მოკლედ დამატებით აღვნიშნავ: ისეთი სტილისტური ხასიათის „შეცდომები", „გაუმართავი წინადადებები" და სხვ., რასაც დ. მეგრელაძე ალნიშნავს და, კიდევ მეტი, ზოგჯერ აზრობრივად გაუმართავი დაუსრულებელი და გაუკუბარი ადგილები, ასევე, ხშირად მთელი წინადადებების სრულიად ზედმეტი გამეორებანი სამეფო კარიდან გამოსულ დოკუმენტებშიც გვხვდება. კიდევ მეტი, დღევანდელი თვალთახედვით სტილისტურად გაუმართავი და აზრობრივადაც გაუგებარი ზოგიერთი ადგილი, წინადადება, გვხვდება თვით „ქართლის ცხოვრებაშიც", რომელიც, ხშირად, სამეფო კარიდან გამოსული უპირველესი წყაროა. რეცენზენტს გავაცნობთ ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთ თხზულებაზე. იგი ალნიშნავს: თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" „ხშირად მეტად ბუნდოვანი ენით არის ნაწერი". საამისოდ თხზულებიდან მას მოაქვს მართლაც კლასიკური ნიმუშები ასეთი „ბუნდოვანი" სტილისა[61].

ფეოდალური ხანის მრავალ საბუთში ხშირად გაუმართავი წინადადებები არის, მაგრამ, ცხადია, მათი შინაარსი სავსებით გასაგებია, ხოლო რიგი საბუთის ზოგიერთი ადგილის შინაარსი კი დღე გაუგებარი და ბადავია. ასე რომ არ იყოს, მაშინ რატომ არის ამდენი დავა მკვლევარ-მეცნიერებში თვით სამეფო კარიდან გამოსული დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების რიგ ტექსტობრივ და აზრობრივ მონაცემებზე? მათში წინადადებების სხვადასხვაგვარად გაგართვისა ან აზრობრივი შინაარის თაობაზე? (რომელი ერთი მაგალითი მოვიტანოთ?), არც კი დაფიქრებულა ამაზე დ. მეგრელაძე.

რაც შეეხება სიმონ მეფის 1594 წ. წყალობის დოკუმენტს, კვლევის შედეგად მასში ადრესატის „ბოხვაძის" ამოკითხვა შემდეგ, ისე როგორც გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტი, შესანიშნავად იკითხება და, რაც მთავარია, მათი შინაარსი სრულიად გასაგებია.

როგორც ვხედავთ, ქ-მა დ. მეგრელაძემ აქაც კვლავ გაიმეორა და უფრო გაალრმავა თავისი მცდარი თვალსაზრისი.

2. გიორგი საყაძის დაბადების თარიღი. სიმონ I-ის 1594 წ. დოკუმენტთან (Hd 1810) დაკავშირებით რეცენზენტი მედავება გიორგი საყაძის დაბადების თარიღზე. აღნიშნავს, ამ საკითხს არაერთხელ შეეხო გ. ჯამბურია და მას მიაჩნია, რომ იგი XVI ს-ის 70-იან წლებში (1575—1576 წწ.) დაიბადა. მსაყვედურობს, დ. გოგოლაძემ გ. ჯამბურიას გვერდი აუარა, რატომ არ ეკამათება და არ უარყოფს მის შეხედულებას. მეც მიმაჩნია, რომ გიორგი საყაძე XVI ს-ის 70-იან წლებში დაიბადა. დ. გოგოლა-

---

59 მისივე, დასახ. ნაშრომი „მაცნე", 1993, 1, 159—161.

60 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, „მაცნე", 1984, 1.

61 ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VIII, გვ. 237—238.

ძის შეხედულება კი ამ საკითხზე „ლიტონი განცხადება“ და „არადამაჯერებელია“-ო[62] (წარმოიდგინეთ რას კადრულობს, მე რეცენზენტისთვის ასეთი სიტყვა — „ლიტონი“ და მსგავსი რამ ჩემს ვრცელ წერილში არსად მიკადრებია).

ა) როდესაც სიმონ I-ის 1594 წ. დოკუმენტთან დაკავშირებით გიორგი საყაძის დაბადების თარიღს შევეხეთ, არ ჩავთვალეთ საჭიროდ სხვა ავტორებთან კამათი. ეს ყოველთვის სავალდებულო არაა. ჩვენ სათანადო არგუმენტაციით მოვიტანეთ ჩვენი პოზიტიური თვალსაზრისი, რაც არ ეთანხმება სხვების თვალსაზრისს[63].

მეორეც, ჩვენს პასუხში საქმე ეხებოდა ქ-ნ დ. მეგრელაძის რეცენზიას (წერილს) და საჭირო იყო მისი მცდარი შეხედულების, — მის მიერ სიმონ I-ის 1594 წ. დოკუმენტის (Hd 1810) მცდარი წაკითხვის, მცდარი შეფასების და მისი გამოგონილი ფანტაზიების უარყოფა და ყოველმხრივი დასაბუთება.

ბ) ახლა კი ვნახოთ ვისი თვალსაზრისია „ლიტონი განცხადება“, — ჩვენი თუ დ. მეგრელაძის. მოკლედ აღვნიშნავთ: დ. მეგრელაძე გიორგი საყაძის დაბადების თარიღის ათვლის ამოსავლად იღებს ყალბ საწყისს—1594 წელს, როდესაც გაიცა სიმონ I-ის წყალობის განახლების წიგნი. დ. მეგრელაძეს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ამ წყალობის ადრესატი არის გიორგი საყაძე, რომელიც 1594 წელს მოწიფული, 20 წლის მაინც უნდა ყოფილიყო. ყოველივე ეს მცდარი აღმოჩნდა. ჩვენ მიერ საბუთის დედნის (Hd 1810) გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ სიმონ I-ის 1594 წ. წყალობის დოკუმენტის ადრესატია არა გიორგი საყაძე, არამედ გიორგი ბოხვაძე. ამით თავდაყირა დადგა და აშკარა გახდა დ. მეგრელაძის შეხედულების სიმცდარე, როგორც გიორგი საყაძის დაბადების თარიღია, ისე მისი მოღვაწეობის პერიოდთან დაკავშირებით, რაც მან ადრე თავის ნაშრომში ამ დოკუმენტის შეცდომით გამოქვეყნებულ პირზე (ასლზე) ააგო (სწორედ ესაა ის, რასაც ის წონასწორობიდან გამოჰყავს, არა იქნა და ვერ შეურიგდა დ. მეგრელაძე დაშვებული შეცდომების აღიარებას).

ჩვენი,—დ. გოგოლაძის,—ათვლის საწყისი პოზიცია კი გიორგი საყაძის დაბადების თარიღისა—რეალურია. იგი ემყარება იოსებ თბილელის ცნობასა და სხვა რეალურ არგუმენტებს. სახელდობრ, გიორგი საყაძის დაბადების თარიღის შესახებ გვაქვს ერთადერთი პირდაპირი ცნობა იოსებ თბილელის (საყაძის), რომლითაც გიორგი საყაძე დაიბადა 1585—1586 წლებში (1606 წელს „ოცი წლის მამამ მიმართვა“, წარმადგინა „13 წლის“ ლუარსაბ მეფესთანო,—„დიდმოურავიანი“). გარდა ამისა ჩემი რეალური არგუმენტებია: გიორგის მამა სიაუშ საყაძე არა თუ 1594 წელს, არამედ 1606 წელსაც ცოცხალია და საყაძის ფეოდალური სახლის უფროსი (ადრეც აღვნიშნე, ამავე აზრისაა გ. ჯამბურია). ამიტომ, თუ სიმონ I 1594 წელს ოფ. ლისს უწყალობებდა ტახტის აზნაურ საყაძეთა სახლს, იგი მას უწყალობებდა ამ სახლის უფროსს სიაუშ საყაძეს და არა მის შვილს, ამ დროს მცირეწლოვან (8—9 წლის) გიორგის. ადრეც აღვნიშნეთ, შემთხვევითი არაა, რომ 1607 წლამდე, ვიდრე სიაუში ცოცხალია და ვიდრე მან თავისი შვილი, 20 წლის გიორგი, არ წარუდგინა ლუარსაბ მეფეს 1606 წელს, არავითარი დო-

---

[62] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161—162.

[63] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 167—168.

კუმენტი მეფეებისა (მათ შორის ცხადია სიმონ I-ის) გიორგი სააკაძისათვის მიცემული, ან თვით გიორგის მიერ ვინმეზე გაცემული არა გვაქვს[64].

ამრიგად, ერთადერთი პირდაპირი ცნობით გიორგი სააკაძე დაიბადა 1585—1586 წლებში[65]. ტაშისკარის ომის დროს, 1609 წელს, როდესაც პირველი დიდი ძლევამოსილი მხედრული გამარჯვების ნათლობა მიიღო, გიორგი სააკაძე 23-24 წლის იყო. ამასთან აღსანიშნავია, 1609 წელს გიორგი სააკაძეს მხოლოდ ერთი ვაჟი, პირმშო ავთანდილი ჰყავდა, რასაც მოწმობს ამ წლის სამი დოკუმენტი მასზე გაცემული, აქედან ორი ლუარსაბ მეფის (IIდ: 1656, 2283, 13179). დანარჩენი სამი ვაჟი—იორამი, დავითი და პაატა, გიორგი სააკაძეს შემდეგ შეეძინა, რაც ასევე გიორგის ახალგაზრდობას მოწმობს 1609 წელს.

მკითხველმა განსაჯოს, ვისი განცხადება არის „ლიტონი" და ვისი რეალური, მეცნიერული.

ვ. „ქართლის ცხოვრება"—ბერი ეგნატაშვილი და მისი დინასტიური პოზიცია, ლისის წყალობა.

1. აღნიშნელი გვაქვს, რომ ბოხვაძის სოფ. ლისი გიორგი სააკაძის მფლობელობაში მოექცა 1606—1626 წლებში, კონკრეტულად თუ როდის და რა გზით, ცნობილი არაა[66]. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრების გაგრძელების" ავტორი ბერი ეგნატაშვილი მარაბდის ომის შემდეგ აღნიშნავს: „ლისი ამისი (გიორგი სააკაძის—დ. გ.) იყო ბატონის წყალობა"[67]. ეს ცნობა ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ და აღვნიშნეთ: „ქართლის ცხოვრების" გარდა დიდი კონტექსტისა, სადაც მხოლოდ თეიმურაზ I-ზეა ლაპარაკი, იქ სიტყვა „ბატონში", აქ მხოლოდ თეიმურაზ I იგულისხმება და არა ქართლის მეფე სიმონ I. საამისო არგუმენტად აღვნიშნეთ: ბერი ეგნატაშვილი თავის თხზულებაში, როგორც წესი, „მეფეებად ქართლის მეფეებს იხსენიებს, ხოლო კახეთისა და იმერეთის მეფეებს—„კახთ ბატონად" და „იმერეთის პატრონად", იმიტომ, რომ მას კანონიერ მეფეებად ქართლის ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები მიაჩნია. კახეთის მეფე თეიმურაზზე ვწერთ, რომ ბერი ეგნატაშვილი მას, ერთი გამონაკლისის გარდა, ყველგან იხსენიებს „კახთ ბატონად"[68].

დ. მეგრელაძე ურყოფს რა ჩვენს თვალსაზრისს, ამ მიზნით მას დაუთვლია რამდენჯერ იხსენიებს ბერი ეგნატაშვილი თეიმურაზ I-ს „ბატონ თეიმურაზად" და „თეიმურაზად"[69], რაც ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებდა. ჩვენ გვსურდა შეგვეტყო იხსენიებდა თუ არა ბერი ეგნატაშვილი თეიმურაზ I-ს „მეფედ", რაც ერთი გამონაკლისი აღმოჩნდა და ავხსენით ბერი ეგნატაშვილის დინასტიური ტენდენცია ამ მხრივ: კანონიერ მეფეებად მხოლოდ ქა-

---

64 უფრო ვრცლად იხ. ჩვენი დასახ. ნაშრომი,—„მაცნე", 1984, 1.

65 რატომ ვერ უარყოფს დ. მეგრელაძე იოსებ თბილელის (სააკაძის) ცნობას, გიორგი სააკაძის დაბადების თარიღზე? ან ჩვენ მიერ მოტანილ სხვა რეალურ არგუმენტებს? არც უცდია გასაგებია, რით უნდა უარეყო?

66 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163—164.

67 „ქართლის ცხოვრება", II, 409.

68 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

69 დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

რთლის ბაგრატიონთა შტოს წევრებად მიჩნევა, რაც ვერ გაუგია დ. მეგრელაძეს. ასევე ეჭცევა ბერი ეგნატაშვილი იმერეთის მეფეს, რომელსაც ყველგან „იმერეთის პატრონად“ იხსენიებს და არა მეფედ“. რატომ ამის შესახებ არაფერს ამბობს რეცენზენტი? რაც შეეხება იმას, რომ ზოგჯერ სხვა წყაროებში „მეფეს“, მათ შორის ქართლის მეფესაც „ბატონს“ უწოდებდნენ, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ვიმეორებ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბერი ეგნატაშვილის მიერ კახეთის და იმერეთის მეფეების მოუხსენებლობა „მეფედ“, მათი მოხსენიება — „კახთ ბატონად“ და „იმერეთის პატრონად“ და ავხსენი ბერი ეგნატაშვილის დინასტიური თვალსაზრისის არსი. ვინც ამ თვალსაზრისის მიხედვით წაიკითხავს ბერი ეგნატაშვილის თხზულებას, ადვილად დარწმუნდება მასში.

ამასთან დაკავშირებით შემთხვევითი არაა „ქართლის ცხოვრების გაგრძელების“ ავტორის ბერი ეგნატაშვილის ცალმხრივი ტენდენციურობა. იგი საქართველოს მხოლოდ ერთი კუთხის,—ქართლის სამეფოს ისტორიას (XIV—XVII ს.) გვიდგენს, სხვა სამეფოებისას კი, — არა. ამის შესახებ ბერი ეგნატაშვილი თავს ასე იმართლებს და ნახევრად დაცინვითაც წერს: „ესე ვერა ვსცანით, თუ ბატონი იმერეთისა და კახეთისა, რომლისა თესლისაგან არიან და ანუ ვითარ უპყრიესთ ქუეყანანი იგი“[70]. ხედავთ? აქაც კახეთისა და იმერეთის ხელმწიფეებს „მეფეს“ არ უწოდებს და მათ „ბატონით“ მოიხსენიებს. მკაცრად რომ ითქვას, ბერი ეგნატაშვილს არ მიაჩნია ისინი კანონიერ დინასტებად (მეფეებად) და მათ „ბაგრატიონობაშიც“ ეჭვი შეაქვს. ასეთია მისი დინასტიური თვალსაზრისი.

რაც შეეხება ბერი ეგნატაშვილიდან რეცენზენტის მოხმობილ სიტყვებს ქართლის მეფეებზე (სვიმონი, ბაგრატი): „გაიბატონეს“, „გაბატონდა, და „ბატონად დასვეს“, — ეს სიტყვები „მეფის“ სინონიმი სრულიად არაა, რადგან აღნიშნული სიტყვები სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დიდ მოხელეზე შეიძლებოდა თქმულიყო.

დაბოლოს, აქვე რეცენზენტი იმოწმებს ვახტანგ VI-ს. ის, ვახტანგ VI ქართლის მეფეს ზოგჯერ „ბატონს“ უწოდებსო და რიხით ასკვნის: „დ. გოგოლაძის არგუმენტი, რომ „ბატონი“ მხოლოდ კახეთის მეფეა, „მოიხსნა“-ო[71]. კვლავ უნდა გავუმეოროთ რეცენზენტს: ჩვენ მხოლოდ ბერი ეგნატაშვილი და მისი თხზულება, მისი დინასტიური პოზიცია გვაქვს მხედველობაში ქართული სამეფოების დინასტების დაპირისპირებისას და არა ვახტანგ VI და მისი „დასტურლამალი“, რაც ვერა და ვერ გაუგია დ. მეგრელაძეს. ვახტანგ VI თავის „დასტურლამალში“ და „სამართალში“ რომ ზოგჯერ „ბატონში“ ქართლის მეფეს გულისხმობს, ეს სპეციალისტებისათვის საყოველთაოდ ცნობილია.

2. მარაბდის ომის შემდეგ ნოსტეში მოსულ გიორგი საააკაძესთან დაკავშირებით ბერი ეგნატაშვილი წერს, რომ „ლისი ამისი იყო ბატონის წყალობა“. ითქვა, კონტექსტის მიხედვით აქ, სიტყვა „ბატონში“ მხოლოდ და მხოლოდ თეიმურაზ I იგულისხმება და არა სიმონ I, რადგან ვრცელ კონტექსტში თხრობა მხოლოდ თეიმურაზ I-ზეა, სიმონ I კი ნახსენებიც არაა.

---

70 „ქართლის ცხოვრება“, II, 348.

71 დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომში, გვ. 163.

რათა თავის მცდარ თვალსაზრისს გინდა თუ არა გამართლება მოუძებნოს და გ. სააკაძისადმი ლისის წყალობა სიმონ I-ს მიაკუთვნოს, რეცენზენტი ახლა „ქართლის ცხოვრების“ ასეთ კონტექსტსაც იწუნებს. დ. მეგრელაძე, ამ მიზნით, შეცდომად უთვლის ბერი ეგნატაშვილის თხზულების „ახალი ქართლის ცხოვრების“ გამომცემლებს—ივ. ჯავახიშვილს და ს. ყაუხჩიშვილს ტექსტის ასე გამართვას (რაც მას არ აწყობს) და მიაჩნია, რომ ა ბ ზ ა ც ი თ უნდა დაიწყოს ეს წინადადება: „და რა მოვიდა მოურავი ნოსტევს“, ყიზილბაშებმა დაარბიეს ლისი, რომელიც „ამისი (სააკაძის—დ. გ.) იყო ბატონის წყალობა“. და, რომ „ბატონში“ აქ ქართლის მეფე სიმონი იგულისხმებაო[72].

აქაც რეცენზენტი გაუგებრობაა. აბზაცით დავიწყებთ, თუ აბზაცით არ დავიწყებთ ა ღ ნ ი შ ნ უ ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს, სულერთია, „ქართლის ცხოვრების“ მოცემულ ვრცელი კონტექსტის მიხედვით აქ სიტყვა „ბატონში“ თეიმურაზ I იგულისხმება და არა სიმონ I (თხრობაში მხოლოდ თეიმურაზია), რასაც დამატებით ადასტურებს ბერი ეგნატაშვილის დინასტიური თვალსაზრისიც, რაც ზემოთ ითქვა. ამაოდ დებს ბრალს დ. მეგრელაძე ივ. ჯავახიშვილს და ს. ყაუხჩიშვილს ტექსტის გაუმართავობაში.

დ. მეგრელაძე იმასაც აღნიშნავს: „ჩვენთვის საინტერესო ტექსტში, „ახალი ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში მთლად ზუსტად არ არის გამიჯნული წინადადებები, რაც შესაძლოა ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი დ ა ნ ა ც მომდინარეობდეს“[73]. გავიხსენოთ, აკი რეცენზენტის აზრით, რაც სამეფო კარიდან დოკუმენტი, წყარო გამოდიოდა ყველაფერს ზუსტად და გამართულად წერდნენ (აქაც ულოგიკობა). იქნებ ბერი ეგნატაშვილის თხზულებაც გამოაცხადოს რეცენზენტმა ყალბად, თუ მასში გაუმართავ და გაუმიჯნავ წინადადებებს იპოვის. მაგრამ რომც დათანხმებოდა ბერი ეგნატაშვილი დ. მეგრელაძეს თავისი თხზულების აღნიშნული ვრცელი კონტექსტის წინადადებების ნებისმიერ გამიჯვნაში. სულერთია, იგი რეცენზენტს მაინც ვერ იხსნიდა სიმონ I-ის 1594 წ. წყალობის დოკუმენტის გარკვევის სიმცდარეში.

3. რეცენზენტი წერს: „თუ ლისი თეიმურაზ I-ის ნაწყალობევი იყო გ. სააკაძისათვის, რა აზრი ექნებოდა“ მაშინ „სიმონ მეფის ბოხვაძეებისათვის მიცემული წყალობის წიგნის „ფალსიფიკაციას“? რაში გამოადგებოდათ მათ თეიმურაზის წყალობის წიგნის მაგივრად სიმონის წყალობის წიგნი“?[74].

კვლავ გაურკვევლობაა. ჩანს, დ. მეგრელაძეს დაკვირვებით არ წაუკითხავს ჩვენი ვრცელი პასუხი ჩვენ მიერვე დასმულ კითხვებზე: რ ო გ ო რ აღმოჩნდა სააკაძეთა ხელში სიმონ I-ის მიერ გიორგი ბოხვაძისადმი გაცემული 1594 წ. ლისის წყალობის განახლების საბუთი (Hd 1810) და ვ ი ს, რ ო დ ი ს და რ ა მ ი ზ ნ ი თ უნდა გაეყალბებია იგი[75]. ვურჩევთ ქ-ნ დ. მეგრელაძეს ხელმეორედ დაკვირვებით წაიკითხოს ჩვენი წერილი. იქ დაწვრილებით არის ყოველივე ნათქვამი, მათ შორის ისიც, თუ რაში გამოადგებოდათ სააკაძე-თარხნიშვილებს ბოხვაძის საბუთის გაყალბება.

რეცენზენტი დ. მეგრელაძე აღნიშნავს: სიმონ მეფის 1594 წ. წყალობის საბუთი Hd 1810 ცნობილი იყო დიპლომატიკის რიგი სპეციალისტებისათვის,

---

[72] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163—164.

[73] იქვე, გვ. 63.

[74] იქვე, გვ. 164.

[75] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 169—171.

მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეპარვია ეჭვი იმაში, რომ იგი გაცემული იყო გიორგი სააკაძისადმი („მაცნე", 1978, 4, გვ. 159).

ჩვენი პასუხი აქ, ისე როგორც გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტის (Hd 2435) შესახებ, ისეთივეა: რა ვუყოთ, ზოგჯერ ცნობილი სპეციალისტებიც ცდებიან.

4. დ. მეგრელაძე წერს: დ. გოგოლაძე გვეთანხმება, რომ ლისი სააკაძეებისაა XVII ს-ის 50-იანი წლებიდანო („მაცნე", 1993, I, 165). საიდან მოიტანა? როგორც აღნიშნული მაქვს, ლისი სააკაძეთა ხელშია 1605—1626 წლებიდან, და არა XVII ს-ის 50-იანი წლებიდან. გიორგი სააკაძის ოსმალეთში წასვლისა (1626 წ.) და იქ დაღუპვის (1629 წ.) შემდეგ, მისი ვაჟი იორამი XVII ს-ის 30-იან წლებში დაბრუნდა საქართველოში, ჯერ იმერეთში, 40-იან წლებში კი ქართლში. აქ როსტომ მეფემ იორამს, სრულად დაუბრუნა მამამისის ყმა-მამული.

VI. წარმოუდგენელი ფანტაზიორობა და გაუგონარი ულოგიკობა

1. წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ე ლ ი ფ ა ნ ტ ა ზ ი ო რ ო ბ ა. დ. მეგრელაძე კვლავ აცხადებს: სიმონ I-ის 1594 წ. წყალობის საბუთი Hd 1810 ყალბია, მაგრამ არსებობდა მისი მსგავსი საბუთი, დედანი, რითაც იმავე 1594 წელს სიმონ მეფემ ლისი უწყალობა გიორგი საკაძესო. ის ნამდვილი საბუთი 1752—53 წლებში მოსპო უშვილო ზაზა თარხნიშვილის ქვრივმა დარეჯანმა, სამამულო დავის დროს ლისის შენარჩუნების მიზნით, და მის ნაცვლად სიმონ I-ის ახალი ყალბი საბუთი შეადგინა[76], სადაც, როგორც პირველ რეცენზიაში წერდა, წყალობის ადრესატის გვარი განგებ გაუგებრად დაწერა, რათა ვერ ამოეკითხათო.

ჩვენ ადრეც და ამჟამადაც აღვნიშნავთ: საამისო მტკიცებისათვის არა თუ რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი საბუთი, არამედ მინიშნებაც კი არ არსებობს[77].

ამიტომ, დ. მეგრელაძე, თავისი დაშვებული შეცდომების „მემკვიდრეობის" გადასარჩენად, იძულებულია მოგონილ ფანტაზიებზე ააგოს ყალბი მსჯელობის მთელი ზვინი[78]. ამჟამად კი მკაცრად უნდა ითქვას: ეს არის ქ-ნ დ. მეგრელაძის წარმოუდგენელი გულუბრყვილო (მისი ტერმინია!) ფანტაზიორობა, ამასთან ფანდი, რომელსაც მეცნიერებასთან კავშირი არა აქვს.

რა გამოდის? დ. მეგრელაძის მიხედვით, თურმე ყველა ყალბი საბუთი, მათ შორის ყალბი სასისხლო სიგელებიც, შეიძლება ნამდვილად ჩათვალო. საამისო მტკიცებისათვის კი თურმე საჭირო არ ყოფილა არა თუ რაიმე საბუთი, არამედ რაიმე მინიშნებაც. საკმარისია გულუბრყვილოდ განაცხადო: მართალია, ეს საბუთები ყოველმხრივ ყალბია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მინიშნებაც კი არ გვაქვს, შეიძლება ფანტაზიით დაუშვა, რომ მაინც არსებობდა ამ ყალბი საბუთების მსგავსი სხვა დოკუმენტ-დედნები, სადაც, რაც

---

75 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 169—171.

76 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

77 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

78 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მაცნე, 1978, 4; 1993, 1.

კი გინდა თქვი: ესა და ეს ეწერა და ამა და ამ ადრესატზეა გაცემული ეს დოკუმენტებიო.

ასეთი ფანტაზიორობით ყველაფრის „დამტკიცება“ შეიძლება ამ ქვეყნად. მოვულოცავთ დ. მეგრელაძეს ასეთ „მეცნიერებას“, განსაკუთრებით კი ასეთ „მეცნიერულ“ დიპლომატიას.

2. გაუგონარი ულოგიკობის ნიმუში. იმისათვის, რომ, გინდა თუ არა, დამტკიცოს სიმონ I-ის მიერ 1594 წ. გ. სააკაძისათვის ლისის წყალობის საბუთის მიცემა, ქ-ნი დ. მეგრელაძე მეცნიერული ეთიკის ყოველგვარ ზღვარს გადადის და რას არ იგვწამებს: „უზომო გულუბრყვილობას“. „არააკადემიურობას“, „მეცნიერული ობიექტურობის დაკარგვას“. „ლიტონ განცხადებას“ და ა. შ. სინამდვილეში პირიქით, მის რეცენზია-პასუხში (წვრილებში) აკადემიურობის ნიშანწყალიც კი არაა.

მართლაც და როგორ შეიძლება ეკამათო მას, რომელსაც ავიწყდება წინა გვერდზე რა დაწერა? აი, ნიმუში.

რეცენზენტი ბრალს გვდებს ჩვენ, თითქოსდა დოკუმენტის „ბრმად“ ნდობაში და გვიბრალებს: „განა შეიძლება ყალბი დოკუმენტის ყალბი ცნობა ჭეშმარიტად ვალიაროთ და ამაზე მსჯელობა ავაგოთ“-ო[79]. სინამდვილეში ჩემთან მსგავსი არაფერია. რაც დ. მეგრელაძეს ყალბად მიაჩნია, ის ჩვენ ყალბად არ მიგვაჩნია.

რაც მთავარია, რეცენზენტს ავიწყდება, რაც მან დაწერა,—ჩემ მიერ ზემომოტანილი,—და ცოტა ხნის შემდეგ იგი სიმონ მეფის, მისი აზრით ყალბ, 1594 წ. საბუთზე წერს: „რადგან გაყალბებულ Hd 1810 საბუთზე სიმონის ასევე ყალბი ხელრთვაა, უშეცდომოდ (sic!) შეიძლება ითქვას, რომ ლისი გიორგი სააკაძისათვის მიცემული იყო სიმონ მეფის მიერ. ესაა თუმცა ნატყუარი საბუთის, მაგრამ მაინც ნამდვილ ფაქტზე აგებული უტყუარი, პირდაპირი ცნობა“[80].

აი, გაუგონარი „სიბრძნე“ ულოგიკობისა.

რეცენზენტის განცხადებით, სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტი (Hd 1810) „გაყალბებულია“, „სიმონის ხელრთვაც ყალბია“. ადრესატს კი ვერ გაიგებ შიგ ვინ წერია და, მიუხედავად იმისა, რომ ეს საბუთი ყოველმხრივ „ყალბია“. „ნატურია“, იგი, მისივე აზრით, მაინც „ნამდვილია“, —„ნამდვილ ფაქტზე აგებული უტყუარი, პირდაპირი ცნობაა“ იმისა, რომ „ლისი გიორგი სააკაძისათვის მიცემული იყო სიმონ მეფის მიერ“.

პირდაპირ უნდა ითქვას, ეს რა მაგიური აბდაუბდაა! ყოველმხრივ „საბუთი ყალბია“, „ნატყუარია“, მაგრამ იგი მაინც „ნამდვილია“!

ჰეშმარიტმა მკვლევარმა განსაჯოს, ამის შემდეგ შეიძლება ასეთ რეცენზენტთან კამათი? ბოლოს და ბოლოს, რა არის ეს? რაღაც ლოგიკა ხომ უნდა ჰქონდეს აზროვნებას. უკუღმა ხომ არ უნდა ვიაზროვნოთ?

ვ) ახალი გამონაგონი. დ. მეგრელაძემ ერთი ამბავი ატეხა ბოხვაძის გურიიდან ქართლში მოსვლასა და სოფ. ლისში დამკვიდრებასთან დაკავშირებით. მას ყალბად მიაჩნია როგორც სიმონ I-ის 1594 წლის, ისე გიორგი X-ის 1605 წლის დოკუმენტები. ამის გამო, როგორც მკითხველმა იცის, იგი თავგამოდებით ამტკიცებდა და ამტკიცებს: „ბოხვაძე რეალური პიროვნება არაა“-ო, „გუ-

---

[79] დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[80] იქვე, გვ. 165.

რიელნი აზნაურნი“ (რომლებშიც ჩვენი აზრით, შესაძლოა, ბოხვაძეც იყო — დ. გ.) XI ს-ში ბაგრატ IV-ეს კი არ გადმოჰყვნენ ქართლში, არამედ ხუფათს დარჩნენო, ანდა თუ გადმოჰყვნენ, როგორ მოხდა, რომ „გურული ბოხვაძე“ ხუთნახევარი საუკუნე „არ გაქართლელდა“-ო, გარდა ამისა, თუ დაგვისახელებს დ. გოგოლაძე ისეთ გვარს, რომელიც ხუთი საუკუნე ერთი და იმავე სოფელს ფლობდაო (ყველა ამ კითხვაზე ჩვენ ზემოთ პასუხი გავეცით).

აი, ასეთი კატეგორიულობით უარყოფს დ. მეგრელაძე თავის ახალ პასუხ-რეცენზიაში ბოხვაძეების არსებობას ქართლში—ბაგრატ IV-ის დროიდან, XI ს-დან XVII ს-მდე[81].

და აი, ახლა ახალი აღმოჩენა!

დ. მეგრელაძეს დაავიწყდა, თუ რა დაწერა მან და რამდენიმე გვერდის შემდეგ უკვე გვიმტკიცებს საწინააღმდეგოს,—ბოხვაძეთა არსებობას ქართლში არა თუ XI-XVII სს-ში, არამედ თვით XVIII საუკუნეშიც კი!

რეცენზენტი ამას „გვიმტკიცებს“ XVIII ს-ში ზაზა თარხნიშვილის ქვრივის დარეჯანთან დაკავშირებით. დ. მეგრელაძე წერს: „საფიქრებელია, თარხნიშვილებში ვიღაცას ცოლად ჰყავდა ან ბოხვაძის ქალი, ან ბოხვაძის ქალის ქალიშვილი. შესაძლოა სწორედ ზაზას „ჯალაბი“ დარეჯანი თუ თითონ არ იყო ბოხვაძის ქალი ბოხვაძის ქალის არც თუ შორეული შთამომავალი ყოფილიყო“[82]. ხედავთ? რეცენზენტმა ამჟამად (15 წლის „ძიების“ შემდეგ) მისი განცხადებით, „მეცნიერულ ლოგიკაზე დაფუძნებით“ შესაძლოდ მიიჩნია და ზაზას ქვრივის დარეჯანის ცვარიც კი „აღმოაჩინა“ — „ბოხვაძე“! დ. მეგრელაძის აზრით, სწორედ ზაზა თარხნიშვილის ქვრივმა, ამჟამად „აღმოჩენილმა“ ამ დარეჯან ბოხვაძემ თუ ბოხვაძის ქალის ქალიშვილმა, მოსპო სიმონ მეფის 1594 წ. ლისის წყალობის წიგნი და ახალი ყალბი საბუთი შეადგინა („მაცნე“, 1978, № 4. დ. მეგრელაძის ამ ფანტაზიებზე—ზაზა თარხნიშვილის ქვრივის დარეჯანის მიერ სიმონ მეფის საბუთის მოსპობისა და ახალი ყალბი საბუთის შედგენის შესახებ, არაერთხელ ითქვა წინა წერილში (პასუხში) და ამჟამადაც).

რეცენზენტი არაფერს აღნიშნავს თუ საიდან, ანდა რა დროიდან გააჩინა მან ამჟამად ქართლში XVIII საუკუნეში „ბოხვაძის ქალი“ თუ „ბოხვაძის ქალის არც თუ შორეული შთამომავალი“ დარეჯანი, ზაზა თარხნიშვილის „ჯალაბი“,—იგი ახალი მოსულია (თუ მოყვანილია) ქართლში სხვა კუთხიდან, თუ სიმონ I-ის 1594 წლის საბუთის გიორგი ბოხვაძის შთამომავალია ქალის ხაზით.

მეორე. რაც მთავარია, დოკუმენტი ან სხვა წყარო, ან რაიმე მინიშნება ზაზა თარხნიშვილის ქვრივის დარეჯანის გვარზე, მის ბოხვაძეობაზე? არავითარი! ანდა რაში სჭირდება ფანტაზიურ გამონაგონს რაიმე დამადასტურებელი წყარო?

იხსენით საერთოდ მეცნიერ-მკვლევარი ასეთი დაუსრულებელი ფანტაზიებისა და გამონაგონებებისაგან. როგორმე რომ თავი გაიმართლოს, ის ასე აღრმავებს და აფართოებს ქ-ნი დ. მეგრელაძე თავის შეცდომებს. ადრე დაშვებული შეცდომების გამო აღარ იცის რა ქნას და ასე აწყდება იქეთ-აქეთ.

---

[81] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[82] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მაცნე, 1993, 1, გვ. 166.

VII. მეცნიერება თუ ცილისწამება?

მეცნიერებაში ბევრი რამის არცოდნა, მათ შორის ბევრი შეცდომები ეპატიება მკვლევარს, რადგან რთულია მეცნიერება, მაგრამ არასგზით არ ეპატიება მას ცილისწამება. დასაწყისში რეცენზენტის ერთი რიგის ცილისწამებაზე აღინიშნა, თითქოს ჩვენს წერილში მისი მისამართით გვქონდეს ნათქვამი: „უვიცი", „უცოდინარი" და ა. შ., რაც მის მიერ განზრახ მოგონილია. ამჟამად დ. მეგრელაძის სხვა რიგის საზარელ ცილისწაებაზე უნდა აღინიშნოს.

მიწყობს პროვოკაციას ჩემი დიდი მასწავლებლისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის აკად. ნ. ბერძენიშვილის მიმართ, რომლის სახელს განსაკუთრებულ პატივსა ვცემ (ნ. ბერძენიშვილი იყო ჩემი ლექტორი სტუდენტობისას და მეცნიერ-ხელმძღვანელი ასპირანტურაში სწავლების პერიოდში).

დ. მეგრელიძე წერს: „დ. გოგოლაძე საქმეს ისე წარმოადგენს", „იცნობდა თუ არა აკად. ნ. ბერძენიშვილი Hd 1810 საბუთს (სიმონ I-ის 1594 წ. საბუთს, ბოხვაძეზე გაცემულს)—ცნობილი არაა". სხვა რომ არა, ამ საბუთის პირი ხომ ს. კაკაბაძეს აქვს გამოქვეყნებული და მას ნ. ბერძენიშვილი არ იცნობდაო? და შემდეგ: ხედაავთ, იგი „აკად. ნიკო ბერძენიშვილსაც კი სწამებს საბუთების უცოდინარობას"-ო[83]. ეს არის საზარელი ცილისწამება! ყოველად უღირსი საქციელია.

მკითხველმა განსაჯოს თუ მსგავსი რამ მაქვს სადმე ნათქვამი. საქმე შემდეგშია. დ. მეგრელაძე 1978 წელს წერდა: ხელნაწერთა სიძველეთსაცავში „Hd 1809 ნომრამდე საინვენტარო დავთარში დოკუმენტები გატარებულია ნ. ბერძენიშვილის მიერ"[84], ხოლო მომდევნო საბუთი (Hd 1810) გატარებულია კ. გრიგოლიას მიერო[85]. ჩვენ, დ. მეგრელაძის ამ ცნობაზე დაყრდნობით, აღვნიშნეთ: როგორც ვხედავთ „საინვენტარო დავთარში Hd ფონდის 1809 ნომრამდე (საბუთამდე) დოკუმენტები გაუტარებია ნ. ბერძენიშვილს. სიმონ მეფის საბუთი კი არის მომდევნო ნომერი Hd1810. მაშასადამე, იცნობდა თუ არა ნ. ბერძენიშვილი Hd 1810 საბუთს (სიმონ I-ის 1594 წ. საბუთს ბოხვაძეზე გაცემულს),—ცნობილი არაა"[86]. მკაცრად უნდა ითქვას: აქ ლაპარაკია საბუთის დედანზე (Hd1810)! და არა ს. კაკაბაძის გამოქვეყნებულ ამ საბუთის მცდარ პირზე (სცსია, ფ. 1450, წ. 27, № 203), რომელსაც, ცხადია, ნ. ბერძენიშვილი იცნობდა.

მკითხველმა განსაჯოს, განა ჩვენ მიერ ზემოთქმულში ის აზრია, რომ ნ. ბერძენიშვილი იყო „საბუთების უცოდინარი"? რომ ჩვენ მას „საბუთების უცოდინარობას ვწამებთ"? განა ის, რომ მეცნიერ-მკვლევარი გიგანტური არქივსაცავების რომელიმე საბუთს არ იცნობდეს, ეს მის „საბუთების უცოდინარობას" ნიშნავს?! თვით მხოლოდ დოკუმენტებზე მომუშავე სპეციალისტიც კი, განა უკლებლივ არქივსაცავების ყველა საბუთს იცნობს? ეს ხომ წარმოუდგენელია.

„საბუთების უცოდინარობა" იმ მკვლევარზე ითქმის, რომელიც ისტორიულ დოკუმენტებს უმეტეს შემთხვევაში არასწორად წაიკითხავს, არასწო-

---

[83] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 166—167.

[84] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მაცნე, 1978, 4, გვ. 159 (სქოლიო).

[85] ი ქ ვ ე (ტექსტი).

[86] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

რად გაიგებს, არასწორად დათარიღებს და ა. შ., საყოველთაოდ ცნობილია რომ ნ. ბერძენიშვილი ისტორიული დოკუმენტების ბრწყინვალე მცოდნე და უბადლო ანალიტიკოსი იყო. რაც შეეხება სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტს დ ე დ ა ნ ს Hd1810-ს, მართლაც არ ჩანს, ნ. ბერძენიშვილი იცნობდა თუ არა მას. ყოველ შემთხვევაში ეს მის გამოქვეყნებულ შრომებში არ ჩანს.

ამასთან, ჩვენს სიტყვებში: „იცნობდა თუ არა ნ. ბერძენიშვილი Hd1810 საბუთს,—ცნობილი არაა", სიტყვები „ცნობილი არაა", აზრის ორსავე ვარიანტს ნიშნავს: 1. შეიძლება იცნობდა, 2. შეიძლება არ იცნობდა, და არა მხოლოდ „არ იცნობდა"-ს. ცილისწამებლურ „საბუთების უცოდინარობაზე" ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ყოვლად საზარელი ცილისწამებაა, რომელიც დ. მეგრელაძემ თავის „მაცნიერულ" მემკვიდრეობას შეჰმატა.

VIII. სიმონ მეფის დოკუმენტის საიდუმლო

როგორც დავინახეთ, დ. მეგრელაძე გააფთრებით, ხოლო თბილისის სასამართლო ექსპერტიზის წარმომადგენელი დაბეჯითებით „გვიმტკიცებენ", რომ სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტის, Hd1810-ის ადრესატის (...ხვაძე) გვარის წინ (ორსავე ადგილას) არავითარი წერის ნიშნები არ ჩანს და აქ ორი ასო არ ეწერაო.

სიმონ I-ის 1594 წ. დოკუმენტის, Hd1810-ის, ლისის წყალობის ადრესატის სრული გვარი გაყალბების შედეგად (გვარის წინა ორი ასოს ამოფხეკა) ამოუცნობი იქნებოდა რომ არ გაგვაჩნდეს გიორგი X-ის ასეთივე ლისის წყალობის დოკუმენტი ბოხვაძეზე გაცემული (Hd2435, 1605 წ.). ამ დოკუმენტმა ნათელი გახადა სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტის ადრესატი,—გიორგი ბოხვაძე. აქ საეჭვო აბსოლუტურად არაფერია.

მაგრამ ხომ შეიძლებოდა ჟამთა სიავეს გაეჭრო გიორგი X-ის დოკუმენტი და მაშინ შესაძლო იქნებოდა თუ არა სიმონ მეფის 1594 წ. წყალობის დოკუმენტის ადრესატის გვარის გარკვევა? ერთადერთი, რაც აქ აშკარაა, ეს არის. დოკუმენტში „სკაძის" ე. ი. „ს(აა)კაძის" გამორიცხვა.

საბედნიეროდ, სიმონ მეფის წამებულ დოკუმენტს (თითქოს მისი ისტორიის განგება, თუ ფეშიდა), — მიუხედავად გვარის გაყალბებისა: გვარის წინა ორი ასოს (ბო-ს) ამოფხეკისა, ამასთან ასოების: „ხ"-ის და „ვ"-ის სათანადო ადგილების გაფხეკისა, — მაინც შემოუნახავს თავისი ს ა ი დ უ მ ლ ო. ეს „საიდუმლო" ჩვენ 12 წელზე მეტია ვიცით და მოუცლელობის გამო აქამდე არ მოგვეცა საშუალება იგი წერილობით წარმოგვეჩინა.

დოკუმენტის ეს საიდუმლო არგუმენტი ჩვენთვის ცნობილი გახდა 1984 წელს, როცა ჩვენი ვრცელი წერილი „კიდევ ერთხელ სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნის შესახებ და ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი" უკვე გამოქვეყნებული იყო „მაცნეში" (ისტ. სერ., 1984, 1). მეორე გარემოება კი, აქამდე რომ ამ საიდუმლოს შესახებ წერილობით არ განვაცხადეთ, ის იყო, რომ ვერ წარმოგვედგინა თუ ჩვენი აღნიშნული ვრცელი წერილის და პასუხის შემდეგ რეცენზენტი დ. მეგრელაძე კვლავ დაწერდა ამ საკითხზე და გაალრმავებდა თავის შეცდომებს და ფანტაზიებს („მაცნე", 1993, 1).

რა საიდუმლოს შეიცავს სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტი Hd1810?

მაგიდაზე დადებულ Hd1810 დოკუმენტის ადრესატის გვარის წინა ამოფხეკილი ასოების ამოკითხვა, როგორც ბუნებრივი, ისე შეიარაღებული თვალით შეუძლებელი იყო. არაფერი ჩანდა, გარდა ნარჩენებისა. თითქმის რვა წლის შემდეგ (მას შემდეგ რაც 1976 წელს „ცაცნეში“ პირველი გამოკვლევა გამოვაქვეყნე სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტზე), როცა კვლავ ვკითხულობდი ამ დოკუმენტს, აზრად მომივიდა ადრესატის გვარის ამოფხეკილი წინა ასოების ადგილი გამადიდებელი (ოპტიკური) შუშით მენახა ფანჯარასთან მზის ნათელ შუქზე. დოკუმენტი ხელით მაღლა ავწიე და ლუპით გავხედე. გაოცებული დავრჩი: გვარის — „ბო-ხვაძის“ პირველად ხსენებისას, ამოფხეკილი პირველი ასოს, „ბ“-ს ზედა თავი, თავისი შავი მელანი-საღებავით, ლუპით შესანიშნავად ჩანს და იგი ზუსტად ისეთივე მარყუჟიანი მრგვალი წრიული მოყვანილობისაა, როგორც აქვე, წინა სტრიქონში ნათქვამ ერთ-ერთ სიტყვაში არსებული „ბ“—„წყალო-ბ-ის“. ამასთან, ასო „ბ“ მიუხედავად ამოფხეკისა, მაინც ჩანს მთლიანობაში. ჩანს მისი ქვედა თავიც. წელში კი ასო ამოფხეკის შედეგად გაწყვეტილია. მთლიანობაში ასო „ბ“ ისეთივე მოხაზულობისაა, როგორც სიტყვა „წყალო-ბ-ა“-ში („წყალობის“) არსებული „ბ“-ნი—შებრუნებული ხელნაწერის „ზ“-ანივით.

საბუთში გვარი „ბოხვაძის“ მეორედ ხსენებისას კი, მიუხედავად გამყალბებლის მიერ მისი წინა ორი ასოს საგულდაგულოდ ამოფხეკისა, გვარის წინა ამოფხეკილი ასოები „ბო“, მათი გრაფიკული მოხაზულობა კვლავ დარჩენილა ქაღალდზე საღებავ ამოცლილი მშრალი ღარებით, როგორც ცომზე ან თიხაზე მშრალად (საღებავის გარეშე) გაკეთებული (დახაზული) გრაფემები და ნათლად იკითხება „ბო“, ხოლო მთლიანი გვარი „ბოხვაძე“.

აქ ამოფხეკილი ასო „ბ“-ს ზედა თავი მარყუჟიანი ელიფსისებური წრის მოყვანილობისაა, რომელიც საღებავ ამოცლილი მშრალი ელიფსისებური წრიული ღარითაა დარჩენილი და შესანიშნავად ჩანს გამადიდებელი შუშით, რაც შეეხება ასო „ო“-ს, იგი გვარ „ბოხვაძე“-ში, ისე როგორც საბეთის ყველა სიტყვაში, ტირე-ხაზის (—) სახით არის დაწერილი და მისი საღებავი -მელნის ნარჩენები აქ, ამოფხეკის მიუხედავად, შესანიშნავად ჩანს.

სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტის ამ საიდუმლომ ერთხელ კიდევ დამატებით და, რაც მთავარია, საბოლოოდ დაამტკიცა ლისის წყალობა გიორგი ბოხვაძისადმი. მეორე მხრივ კი, ასევე, საბოლოოდ უარყო დ. მეგრელაძის ცდარი შეხედულებების მთელი მემკვიდრეობა, როგორც გიორგი საყაძის ბიოგრაფია-მოღვაწეობის (დაბადების წელი, სიმონ I-თან „მოღვაწეობა“, „ლისის წყალობა“ და ა. შ.). ისე ქართული დიპლომატიკის საკითხებში, პირველ ყოვლისა, სიმონ I-ის 1594 წ. და გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტების შესწავლა-გარკვევის საქმეში.

დოკუმენტის ამ საიდუმლომ ასევე გადააჭრით უარყო თბილისის სასამართლო ექსპერტიზის ზოგიერთი (უცნობი) სპეციალისტის „პროფესიონალიზმი“.

ამით ჩვენ ვწყვეტთ კამათს რეცენზენტ. დ. მეგრელაძესთან სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტის შესახებ, რომელიც „საეკუნო დავად“ აქცია.

ის რომ, სიმონ მეფის 1591 წ. ლისის წყალობის დოკუმენტი გაცემულია გიორგი ბოხვაძეზე, ასევე, ის რომ გიორგი X-ის მიერ ბოხვაძეზე გაცემულ

1605 წ. დოკუმენტს ქორონიკონი უზის საჟბ" ან „სჟბ", ე. ი. 1605 ან 1604 წელი (ჩვენ მაინც მივეაჩნია საჟბ—1605)—საკამათო სრულიადაც არაა.

მეორეც, ამ დოკუმენტების სიყალბეც რომ გამოაცხადოს ზოგიერთმა განწყობით დაინტერესებულმა პირმა, სულერთია, სიმონ I-ის 1594 წ. დოკუმენტში გიორგი საააკაძე არ წერია, დოკუმენტის ადრესატად აქ გიორგი ბოხვაძეა. ასევე, გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტის ადრესატია ბოხვაძე, ხოლო ქორონიკონი ამ დოკუმენტს უზის „საჟბ" (1605 წ.) და არა გაუგებარი „სუბ" (ან საუბ.).

ეს საკამათო სრულიადაც არაა.

რაც შეეხება დანარჩენებს,—ჭეშმარიტი, მიუკერძოებელი მკვლევრები, როგორც თანამედროვე, ისე განსაკუთრებით მომავალი სპეციალისტები, რომლებიც ყურადღებას არ მიაქცევენ არც გუნდელ „შეკრულებს", არც თანამედროვე სამსახურებრივ ტიტულებს და არც „აკადემიკოსობას", კარგად გაარკვევენ, ვის აქვს მეცნიერულად სწორი არგუმენტები, შეხედულებები, თვალსაზრისი, დიპლომატიკისა და პალეოგრაფიის, ასევე, საკამათოდ ქცეულ საქართველოს ისტორიის რიგ სხვა საკითხებში.

IX. ხელნაწერთა ინსტიტუტის შესახებ

მიუხედავად ჩვენი უალრესად დიდი პატივისცემისა ხელნაწერთა ინსტიტუტისადმი, არ შემიძლია უკმაყოფილება არ გამოვხატო.

1. ნუთუ ხელნაწერთა ინსტიტუტის, სათანადო სპეციალისტებს, სადაც ინახება სიმონ I-ის 1594 წ. და გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტები (Hd: 1810, 2435), არ შეეძლოთ გაერკვიათ შემდეგი: ა) სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტში ამოფხეკილი წინა ასოების მქონე ადრესატის არასრული გვარის ამოკითხვა: „...სკაძე", თუ „...ხვაძე"? ბ) ამოფხეკილია თუ არა სიმონ მეფის 1594 წ. დოკუმენტში (Hd-1810) ადრესატის გვარის წინა ასოები? ბ) გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტს (Hd-2435), ბოხვაძეზე გაცემულს, რომელი ქორონიკონი უზის: საუბ (გინდა სუბ), თუ საჟბ? (გინდა სჟბ).

დასანანია, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის სათანადო სპეციალისტებმა, თავი აარიდეს გაეცნობიერებიათ ქ-ნი დ. მეგრელაძე და დოკუმენტები სასამართლო ექსპერტიზას გადაეგზავნა. ისიც უნდა დაეძინო: რამდენად კომპეტენტურია სასამართლო ექსპერტიზა ძველი ქართული ისტორიული დოკუმენტების წაკითხვაში?

2 ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში" (I, 1991), ვისაც ეს ეხებოდა, რა მოსაზრებით მიიჩნია მან სიმონ I-ის 1594 წ. დოკუმენტის (Hd-1810) ადრესატად გიორგი საააკაძე (რაც სრული გაუგებრობაა) და არა გიორგი ბოხვაძე? აქ ხომ სადავო არაფერია, დოკუმენტი გაცემულია გიორგი ბოხვაძისადმი.

ასევე, რა მოსაზრებით არ შეიტანა მან აღნიშნული ლექსიკონში ბოხვაძეზე გაცემული გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტი? ისიც როგორც დ. მეგრელაძე, ყალბად მიიჩნევს მეფის ხელრთვას და, ასევე, ქორონიკონს „საჟბ"-ს ნაცვლად „საუბ"-ს (ანდა „სუბ"-ს) კითხულობს? კარგად ყოფილა საქმე.

3. თუ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში ხელნაწერთა ინსტიტუტის სათანადო განყოფილება სირთულეს ხედავდა, მაშინ ინსტიტუტში, ბოლოს და ბოლოს, შეექმნათ ძველ ქართულ დოკუმენტებზე მომუშავე სპეციალისტების და ქართული პალეოგრაფიის სპეციალისტებისაგან კომისია, რომელიც კეთილსინდისიერად, და არა მიკერძოებით, შეისწავლიდა სიმონ I-ის და გიორგი X-ის აღნიშნულ დოკუმენტებს, უპირველეს ყოვლისა, გაარკვევდა: სიმონ I-ის 1594 წ. დოკუმენტში (Hd-1810) წყალობის ადრესატი გიორგი საჯაძეა თუ გიორგი ბოხვაძე? ხოლო გიორგი X-ის 1605 წ. დოკუმენტში (Hd-2435) რა ქორონიკონი წერია: „საუბ“ (გნებავთ „სუბ“) თუ „საჳბ“? (გნებავთ „სჳბ“), რაც მთავარია, ქ-ნში „უ“-ნი წერია თუ „ჳ“-ანი? შემდეგ კი გაარკვევდა მეფეების ხელრთვების საკითხს და, საბოლოოდ, ამ დოკუმენტების სიყალბეს თუ ავთენტურობას.

თუ ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილება ჩვენს მოთხოვნას დუმილით შეხვდება, მაშინ ეს აღიქმება როგორც სიმართლე ჩვენს მხარეზე და „ანოტირებულ პირთა ლექსიკონის“ მომდევნო ტომში შენიშვნის თუ სხვა სახით უნდა გაასწორონ ინსტიტუტის თანამშრომელთა (ძველის, ახლის) მიერ დაშვებული შეცდომები.

ასევე, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის სათანადო ტომში ეს დოკუმენტები უნდა გამოაქვეყნონ ფოტოსურათებით, რათა მკითხველს თვალნათლივ მიეცეს ჰეშმარიტების დანახვის საშუალება.

ასე არ შეიძლება. ის, ვისაც დაავალეს ამ დოკუმენტების ბედი, თუ აქე ფიქრობს, რომ, რასაც გინდა ძალით იმას ვიზამ, „უფროსი“ ვარ! და გინდ ყალბად ჩავთლი დოკუმენტს, გინდა ნამდვილად,—ასეთი მეთოდი მეცნიერებაში არ შეიძლება, იგი დანაშაული და დასაგმობია.

დასასრულ, უნდა გავიმეორო: თანამედროვე და განსაკუთრებით მომავალი მიუკერძოებელი თაობის სპეციალისტები ნათლად დაინახავენ მეცნიერულ ჰეშმარიტებას,—ვის მხარეზეა სიმართლე.

ავთანდილ მენთეშაშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, ქართული დელეგაციის სხდომის ოქმები*

(1919 წ. 25 ივნისი—11 ივლისი)

25 ივნისის სხდომა

თავმჯდომარე — კ. ჩხეიძე
დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი
ზ. ავალიშვილი
ირ. წერეთელი
კ. გვარჯალაძე
ი. ვობეჩია
მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

კ ი თ ხ ვ ე ბ ი.

I ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

1. ამერიკელი სტოკები**
2. საგარეო სამინისტროში
3. ალბერ ტომასთან
4. პრესა

II დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ნ ი

1. რეზოლუცია ა. ტომასთვის
2. ნოტა ინგლისელებს
3. წერილი „ხუთს“ და სხვებს
4. დამფუძნებელი კრების რეზოლუცია
5. დოკუმენტების გამოქვეყნება
6. ტოპჩიბაშევის და ჩერმოევის მოწვევა.
7. ლონდონის კომიტეტი
8. პასპორტები

I — ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

1. ი. გ ო ბ ე ჩ ი ა. საქონლის სია უკვე გვაქვს: საჭიროა ახლა დელეგაციამ აირჩიოს, რისი ყიდვაც გვინდა. ასლი ორი ჩვენი ოფიციალური დოკუმენტის, — ერთი — ყველა დელეგატის სახელზე და მეორე, — ჩემზე, — ამერიკელ კონსულს წარვუდგინეთ, რომელიც ხვალ დაამტკიცებს. ამას გარდა ახლა კიდევ ახალი გზით ვმუშაობთ. პოლონელი მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელს, რო-

* გაგრძელება —

** ინგლისური სიტყვა stock ნიშნავს საქონლს ასორტიმენტს —ა. მ. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, № 4 1993, № 3—4.

მელიც ამავე საქმეს აწარმოებს თავისი სახელმწიფოსათვის, უნდა ჩვენთან კავშირი დაიკავოს და დაგვეხმაროს. დღეს ვინახულე. გადმომცა, რომ საფრანგეთის მთავრობას კიდეც უყიდნია აქაური ამერიკელი სტოკები, მაგრამ შესაძლებლობაა ვიშუამდგომლოთ, რათა მან იმავე პირობებში დაგვითმოს ეს საქონელი. ხვალ ამ პირს მოლაპარაკება ექნება საფრანგეთის უმთავრეს ფინანსიურ და ეკონომიკურ წარმომადგენლებთან და თხოვს მათ დაგვითმონ ჩვენ, კავკასიის სამი რესპუბლიკის დელეგაციისათვის.

2. ი. გობეჩია. დღეს ხუთ საათზე მქონდა დანიშნული საფრანგეთის საგარეო სამინისტროში შეხვედრა, საფრანგეთის მრეწველობა წარმომადგენლის, მორენის, თანდასწრებით, კომანდან ობლესთან და რობინთან, რომელნიც საფრანგეთის მთავრობის კომერციული უწყების წარმომადგენლები არიან. ერთი, უნდა გამოგვერკვია კითხვები საფრანგეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობა — გაცვლა — გამოცვლის გაადვილების, მაგრამ, რადგანაც პარიჟში დენიკინის მისსია ჩამოსული და კომანდან ობლე მის სანახავად გაეწვიათ,—რობინმა არჩია, ამ საკითხებზე მოლაპარაკება 30 ივნისისთვის გადადებულიყო, რათა ობლეც დასწრებოდა მას, მაგრამ ვიბაასეთ ისე, კერძოდ, მითხრა, გუშინ კიდეც გავაშზადეთ ორი გემი თითო 3.000 ტონისო; ისინი სამინისტროს განკარგულებაში არიან და სადაც მინდა იქ გავუშვებო. სხვათა შორის დენიკინზე ჩამოვარდა ლაპარაკი და მე ავუხსენი, რაძდენად მავნებელია, როგორც რუსეთის, ისე საფრანგეთის კომერციისათვის დენიკინის პოლიტიკა. მან მითხრა, აი, 30 ივნისს თქვენ თითონ დაუმტკიცეთ ფაქტიურად კომანდან ობლეს ის საშიშროება, რომელსაც ჩვენი კომერციისთვის დენიკინის საქართველოში შესვლა წარმოადგენსო. მერე მითხრა, ოფიციალური ტელეგრამა მივიღეთ სტამბოლიდან, რომ ბათუმში იტალიელი ჯარი ჩასულა, მგონი 70 000 კაციო. მორენის კითხვაზე, რა სჯობს საფრანგეთისათვის ამიერ-კავკასიაში, ინგლისელები თუ იტალიელები, როაბინმა უპასუხა, რასაკვირველია, ინგლისელებიო.

3. ირ. წერეთელი. ა. ტომასთან[1] შევიკრიბეთ ყველა რუსეთის საზღვრებში ყოფილ ერთა დელეგაციების სოციალისტი — წევრები. ჩვენ დაეხატეთ სურათი საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის და იმ საფრთხის, რომელსაც დენიკინის ჩვენს საზღვრებზე მოქმედება წარმოადგენს, გავაცანით ა. ტომა ყველა დოკუმენტებს და გადავეცით მას მათი ასლი; ავუწერეთ დენიკინისაგან ჩრდილო კავკასის აკლება და როგორც საქართველო, ისე აზერბაიჯანის გადაწყვეტილება იარაღით ხელში შეებრძოლონ დენიკინს; ამ ჩვენ საკითხს მივეცით ზოგადი ხასიათი და აღვნიშნეთ, რომ ასეთი მეთოდები რუსეთის რეაქციონერების ბრძოლისა საშიშროებას წარმოადგენს არა მარტო თვითეულ პატარა ერისთვის, რომელმაც თავისი ქვეყნის ანარქიისაგან გადაერჩინა და დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობა შესძლო, არამედ მთელი რუსეთისთვისაც, სადაც ის დღევანდელ კრიზისს გაართულებს და გაახანგრძლივებს, რადგანაც არც ერთი პატარა ერი არ შეურიგდება ძალით დაპყრობას და, თუ ვერ შესძლო ოკუპაციის შეჩერება, მაინც შემდეგში ყოველი ღონით განაგრძობს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას, ისე რომ იმ სოციალურ წინააღმდეგობას, რომელმაც რუსეთში სამოქალაქო ომი გამოიწვია, ზედ დაერთობა ნაციონალური ომიც. ჩვენ ვეუბნებით, რომ დემოკრატიის თვალთახედვით საჭირო არის

---

[1] ალბერ ტომა — ფრანგი სოციალისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი—ა. მ.

დაცვა დაპყრობისაგან როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე ყველა დანარჩენ ნაციონალურ დამოუკიდებელ სახელმწიფოების, და რომ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი როგორც რუსეთის ხალხის, ისე თვითოეული სხვა ერის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ა. ტომამ განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება ამ შეხედულებას და მზად არის ხელი შეუწყოს ჩვენს პროტესტს წინააღმდეგ დენიკინის მოქმედებისა როგორც საქართველოს, ისე სხვა კავკასიის რესპუბლიკების მიმართ. ეს ძირითადი დებულებანი გაიზიარეს ყველა დანარჩენმა იქ დამსწრეებმა, მხოლოდ უკრაინელებმა გამოაცხადეს სურვილი, რომ ამავე პროტესტში მოხსენებული იყოს აგრეთვე დენიკინის მოქმედება უკრაინის საზღვრებში. ამის გამო ჩვენც და ა. ტომამაც მიეუთითეთ, რომ დენიკინის მოქმედება ჩვენში და ბოლშევიკებისაგან დაპყრობილ უკრაინაში სხვა და სხვა პირობებში სწარმოებს, რომ ჩვენ მზადა ვართ დავგმოთ დენიკინის მოქმედება უკრაინაშიც, მაგრამ ამისათვის საჭიროა სხვაგვარი არგუმენტაცია და სხვაგვარი პროტესტი, და რომ უბრალო შეერთება უკრაინის და ჩვენი საკითხის ერთ პროტესტში, მხოლოდ დააბნელებს საქმეს. გადაწყდა, შემდეგი კრებისათვის, რომელიც ისევ ა. ტომასთან მოხდება, დაწერილ იქნას გამოსატანი რეზოლუციის პროექტი, რომელიც იქ საბოლოოდ იქნება მიღებული.

4. კ. გვარჯალაძე მოახსენებს დამსწრეებს, რომ ძალიან ძნელია პრესაში სასურველი ცნობების გამოქვეყნება: ერთი რომ სასტიკი ცენზურაა, მთავრობა თვითონ ჰკითხულობს სტატიებს საგარეო პოლიტიკაზე და შლის ყველაფერს, რაც არ მოსწონს, მეორე, — ბურჟუაზიული გაზეთები დენიკინს უჭერენ მხარს და არაფერს ბეჭდავენ მის წინააღმდეგ, სოციალისტები კი უკმაყოფილო არიან, ბოლშევიკების წინააღმდეგი რატომ ხართო, და არც ისინი ბეჭდავენ არაფერს ჩვენ სასარგებლოს. ახლა მას გადუწყვეტია Temps-ში წავიდეს, რომ ეცადოს იქ გააშვებინოს თუ დიდი წერილი არა, ცნობები მაინც, ან რომელიმე ნოტა.

II — დადგენილებანი

1. ირ. წერეთლის წინადადებით გადაწყვეტილია, დღესვე შემუშავდეს დელეგაციის მიერ რეზოლუციის პროექტი და წინ და წინ გაეგზავნოს ის ა. ტომას.

დადგენილია, მიენდოს ეს თვით წერეთელს და ზ. ავალიშვილს.

2. ზ. ავალიშვილის წინადადებით გადაწყვეტილია, დაჩქარდეს ინგლისის მთავრობისათვის გაგზავნა უკვე დაწერილი პროტესტის ნოტის იმ წინააღმდეგობის შესახებ, რომელიც არსებობს ინგლისის საერთო პოლიტიკასა და საქართველოში ინგლისელი გენერლების მოქმედებას შორის, და ესვე ნოტა გადაეცეს ხვალ მალეტს მასთან ყოფნის დროს.

ნოტა წაკითხულია და დადგენილია, მცირე შესწორების შემდეგ, დაიბეჭდოს და გაიგზავნოს, აგრეთვე გადაეცეს მალეტს.

3. ზ. ავალიშვილის წინადადებით დადგენილია, გაეგზავნოს კოლჩაკისადმი მიმართული ნოტების ხელის მომწერი, ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელის, აგრეთვე ზოგ ცნობილ პოლიტიკურ პირებს, როგორც კოლონელ ჰაუზს, ლორდ ბრაისს, ლორდ რობერტ სესილს და სხვ. მოკლე წერი-

ლი, სადაც ხაზგასმული იქნება ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს მას შორის, რასაც ისინი კოლჩაკის და მის მოკავშირეებისაგან მოითხოვენ, და რასაც ახლა დენიკინი სჩადის კავკასიაში. წერილის პროექტი წაკითხულია და მოწონებული.

4. კ. გვარჯალაძის წინადადებით დადგენილია, დაიბეჭდოს საქართველოს დამფუძნებელი კრების პროტესტი დენიკინის შემოსევის წინააღმდეგ* და დელეგაციის თავმჯდომარის ხელის მოწერით დაეგზავნოს ის მთავრობებს, კონფერენციას, დელეგაციებს, პარლამენტებს და პარლამენტის უმთავრეს წევრებს.

5. დადგენილია ,რადგანაც პრესაში არ ხერხდება, ბიულეტენებში მაინც იბეჭდებოდეს რაც შეიძლება მეტი ცნობები და მასალა, და რაც შეიძლება მეტ ხალხს ეგზავნებოდეს იგი, და აგრეთვე – მიენდოს კ. გვარჯალაძეს ამას დიდი ყურადღება მიექციოს და ამისათვის მ. ჯინორია საუკეთესოთ გამოიყენოს.

დადგენილია, ამას გარდა, დაიბეჭდოს ცალკე გენ. ბიჩთან და გენ. ბრიგსთან მოლაპარაკების ოქმები და ისიც დაიგზავნოს.

6. დადგენილია, მიწვეულ იქნან ტოპჩიბაშევი და ჩერმოევი და გაუზიარონ მათ დელეგაციამ საქართველოდან მოსული ცნობები. სხვათა შორის ეს იმ მხრითაც იქნება ხელსაყრელი, რომ მათ თავისი ნაცნობობა აქვთ პრესასაში და შეიძლება მოახერხონ ამ ამბების გახმაურება.

7. დადგენილია, მიეწეროს წერილი კ. ჯაყელს, ლონდონში, რათა იქაური კომიტეტი შეუდგეს პროპაგანდას ინგლისში, როგორც პრესასაში, ისე საზოგადოებაში რაშიც დელეგაცია აქედან ყოველგვარათ ხელს შეუწყობს.

წერილის დაწერა ევალება კ. გვარჯალაძეს.

8. დასასრულ. კ. ჯაყელის პასპორტის გამო, თავმჯდომარე საკითხს სვამს, ვინ უნდა აწეროს საზოგადოდ ხელი დელეგაციისაგან ქართველებისათვის მიცემულ პასპორტებზე.

დადგენილია, დაევალოს ეს კ. გვარჯალაძეს, თავმჯდომარის მინდობილობით.

თავმჯდომარე – ნ. ჩხეიძე

მდივანი – ც. დემოლონ – წერეთელი

პარიჟი 2 ივლისი 1919.

27 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარე – კ. ჩხეიძე

დამსწრენი – კ. ჩერქეზიშვილი

ზ. ავალიშვილი

ირ. წერეთელი

კ. გვარჯალაძე

ი. გობეჩია

მდივანი – ც. დემოლონ-წერეთელი

კითხვები.

I — ინფორმაცია

1, მალეტთან

2. ამერიკელი სტოკები
3. კოოპერატივების კრება
4. სოციალისტური კონფერენცია ლონდონში
5. ტოპჩიბაშევთან და ჩერმოევთან ლაპარაკი

II — დადგენილებანი

1. ბიჩის წინადადებანი
2. წერილი „ხუთს“
3. რეზოლუცია ა. ტომასათვის

I — ინფორმაცია

1. ზ. ავალიშვილის მოხსენება.

2. ი. გობეჩია. ჩვენი ამერიკული საქმე დღითი დღე იზრდება. ვინახულეთ ამერიკულ ბიუროში კოლონელი ლამარი და კაპიტან ბუი. კოლონელ ლამარი ხვალ ამერიკაში მიდის. ავუწერე ჩვენი მდგომარეობა, ვუთხარი, რომ ფაქტიურად ცნობილი სახელმწიფო ვართ, მივეცი ზოგიერთი დოკუმენტები, — ლამბაშიძის წიგნი, კარტა და სხვ. — და დავპირდი, რომ დანარჩენებს გავუგზავნი: ყველა ჩემი ნათქვამი დიდი ყურადღებით მოისმინა, კიდეც ჩაიწერა და შეადგინა თხოვნა, რომელსაც წაიღებს თან ამერიკაში. ეს თხოვნა არის მიმართული და ყიდვა-გაყიდვის აგენტისადმი. კრედიტის შესახებ სჯა-ბაასი გვქონდა. გაჯინსკის რჩევით გადავწყვიტეთ საერთო კრედიტი არ მოვითხოვოთ, რათა მერე ჩვენ არ დაგვატყდეს თავზე გადასახდელი. ვითხოვეთ 25 მილ. დოლარი ჩვენ, 25 აზერბეიჯანმა და 15 მთიულებმა. სხვათა შორის კოლონელ ლამარმა მკითხა, გვყავს თუ არა ამერიკაში წარმომადგენელი. მე ვუთხარი, რონ ჩვენი ამერიკელი წარმომადგენელი ჯერ რომშია, მაგრამ, თუ საჭირო გახდება, შეგვიძლია ახლავე გავგზავნოთ ამერიკაში. მაჩაბლის გვარი კი არ დამისახელებია.

3. თავმჯდომარე. ალლიების და ნეიტრალური სახელმწიფოების კოოპერატივების კრებაზე გავგზავნეთ გ. ჯინორია. გვქონდა ზოგიერთი ცნობები ამ მხრით ჩვენს ქვეყანაზე და ვთხოვეთ მას მოხსენება შეედგინა. კიდეც შეადგინა და სიტყვაც თქვა კრებაზე. იქ შედგა სამი კომისსია და ერთ მათგანში ჯინორიაც არის არჩეული. კრებაზე შეტანილი იქნა პროექტი, რომ კოოპერატივების კავშირმა დახმარება გაუწიოს ყველა ერებს, რომელიც გაჭირვება განიცადეს ომის დროს და ახლა სურსათი არა აქვსო. სომხებს კიდეც მიუღიათ კრედიტით 15 მილიონის საქონელი, და შეიძლება ჩვენც მოგვცენ. აუცილებელი საჭიროა ნამდვილი ეკონომიური წარმომადგენლები გვყავდეს ამ კავშირში, ამიტომ უნდა ჩამოვიყვანოთ მ. სუმბათაშვილი, რომელმაც ტელეგრამაზე გვიპასუხა, 2 ივლისს აქ მნიშვნელოვანი კრება მაქვს და მანამდის ვერ მოვალო.

ე. ჩერქეზიშვილი ახსენებს დამსწრეებს რომ ვლასგოვის კრებაზე გამოირკვა, რომ ქართველების კოოპერატივების კაპიტალი ჩაწერილი იყო, როგორც კავკასიის და რომ მათი ფული მოსკოვის ბანკისთვსაც იყო მიწერილი.

გადაწყვეტილია, მ. სუმბათაშვილის ტელეგრამა გაეგზავნოს, რათა [illegible] ლისს შემდეგ დაუყოვნებლივ ჩამოვიდეს, მანამდის კი წარმომადგენლათ ჯინორია იყოს და ვ. ჩერქეზიშვილმა გადასცეს მას ყველა ცნობები, რაც კი ქართულ-კოოპერატიევების შესახებ აქვს.

4. ზ. ავალიშვილი. 23 ივლისს ინგლისში იხსნება სოციალისტური კონფერენცია: საერთო კრება ყველა მუშათა ორგანიზაციების, ტრედ-უნიონების, რკინის გზების, ტრანსპორტის და სხვ. ინგლისში რუსეთის პოლიტიკის გასარჩევად და რუსეთის საქმეში ჩაურევლობას, ე. ი. რუსეთიდან ჯარების გამოყვანის მოსათხოვნათ შეიძლება საჭირო იყოს რამე ზომები ვიხმაროთ, რათა ავუხსნათ მათ, რომ ამ ჩაურევლობას მეორე მხარეცა აქვს, რომ ზოგან, მაგალითად ჩვენსას, სწორედ დემოკრატიის ინტერესებისათვის საჭიროა, რომ ჯარები დარჩნენ და გარეშე მტრისაგან დაგვიცვან.

5. კ. გვარჯალაძე — წუხელი ვილაპარაკეთ მთიულებთან და ადერბეიჯანელებთან და გადავეცით მათ უკანასკნელი ამბები. ჩერმოევმა გვითხრა, ახლა მაინც დარწმუნდით, რომ თქვენ შეცდომა ჩაიდინეთ და რომ, თუ არ გინდათ რომ მოსპობილი იყვეთ, აწი მაინც უნდა დაგვეხმაროთ იარაღითო, და აგრეთვე წინადადება მოგვცა, გამოვაცხადოთ ახლა მაინც აქ კავკასია ერთი ერთეულათ. ჩვენ ჩვენი ჩვეულებრივი პასუხი მივეცით და ადერბეიჯანმაც მხარი დაგვიჭირა. მაშინ ჩერმოევმა გვითხრა, პლატონიუსი მაინც ვიცოდეთ, გინდათ ჩვენთან ყოფნა თუ არა ,მომხრე ხართ მომავლისთვის კავკასიის ერთეულის თუ მარტო ამიერ კავკასიისო? ჩვენ ვუპასუხეთ, რომ სრული მომხრე ვართ მთელი კავკასიის კავშირის, თუ კი თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიქნებით, და იმედი გვაქვს მოქმედების, ვცნობთ საქართველოს დამოუკიდებლობას და ჩვენი ჯარები არასოდეს არ გაილაშქრებენ საქართველოს საწინააღმდეგოდო. მეორე, — გამოვიდეთ საერთო პრინციპიალური დეკლარაციით, რომ ჩვენ გვსურს ეკონომიკური ურთიერთობა და კეთილი განწყობილება ორივე სახელმწიფოს და საკეთილდღეოდ. იმის იმედი აქვს, რომ პირველიც და მეორეც გაამწვავებს დამოკიდებულებას დენიკინსა და ყუბანს შორის, რადგანაც დიდ გავლენას იქონიებს ყუბანელ კაზაკებზე, რომლებიც დენიკინის ჯარშია. ჩვენც გვგონია, რომ ამის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება, პირიქით, ეს ჩვენთვის ხელსაყრელიცაა, და გვგონია კარგს ვიზამთ, — რადგანაც ისინი ახლა დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგანან, — დავუჭიროთ მხარი მათ მიდრეკილებას და რუსეთის ყოფილ ერების კონფერენციაზე ის აზრი დავიცვათ, რომ იქ ყუბანელებიც შემოვიდნენ.

კ. გვარჯალაძე დასძენს, რომ, რასაკვირველია, შემდეგში, როცა კოლჩაკი და დენიკინი დაეცემა, ყუბანელები რუსეთის ფედერაციაში მოინდომებენ შესვლას, მაგრამ დღეს, როცა ისინი კოლჩაკ-დენიკინის წინააღმდეგი არიან და დამოუკიდებლობას იცავენ, მათ ჩვენთან ყოფნა არა თუ მისაღები, სასურველიც არის, მით უფრო რომ ჩვენი მთავრობაც ყოველთვის ცდილობდა მათთან მეგობრული განწყობილების დაჭერას, ჯერ ერთი — მეზობელია, მეორე — პური ეჭირვება საქართველოს იქიდან.

II – დადგენილებანი

1. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგენილია, მიღებულ იქნას ბიჩის წინადადებები და ყოფილი რუსეთის ერების კონფერენციაში ყუბანელების შესვლას მხარი დაეჭიროს.

პრაქტიკული ნაბიჯები ამის განსახორციელებლად მიენდოს ზ. ავალიშვილს.

2. წაკითხულია წერილი „ხუთისადმი". მცირე შესწორებებს შემდეგ მისი ტექსტი მიღებულია. დადგენილია დაიგზავნოს*.

3. წაკითხულია და მოწონებული პროექტი ალბერ ტომასათვის გასაგზავნი რეზოლუციის. დადგენილია გაეგზავნოს ის ა. ტომას**.

თავმჯდომარე – ნ. ჩხეიძე

მდივანი – ც. დემოლონ-წერეთელი

პარიჟი 2 ივლისი 1919.

2 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარე – კ. ჩხეიძე
დამსწრენი – ვ. ჩერქეზიშვილი
ზ. ავალიშვილი
ირ. წერეთელი
კ. გვარჯალაძე
ი. გობეჩია
მდივანი – ც. დემოლონ-წერეთელი

კ ი თ ხ ვ ე ბ ი.

I – ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

1. ალბერ ტომასის
2. ვივიანთან და ბრიანთან
3. ლაზისტანი
4. ტყვეები, სტოკები და კრედიტი
5. წერილები.

II – დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ნ ი

1. იტალიური წიგნაკის გამოცემა
2. წარმომადგენლობა იტალიაში
3. იტალიასთან მოლაპარაკება
4. ადერბეიჯანელების და ქართველთა ნოტა
5. ბიჩისადმი მიმართვა.

წაკითხულია და დამტკიცებული ოქმები 17–19–20, 23, 24, 25 და 27 ივნისის სხდომების.

I – ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

1. ი რ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ალბერ ტომასის და ჩვენი რეზოლუცია ერთად შევაერთეთ და პროტესტის საბოლოო ტექსტი შევიმუშავეთ*. დადგა სა-

* ოქმების არქივი. № 20.

კითხი, ვინ მოაწერს ხელს და ვინ წარუდგენს პიშონს. ა. ტომამ თქვა, პიშონთან აუდიენციას ჩემ თავზე ვღებულობ, აგრეთვე პროტესტის გადაცემას ბალფურისთვის და სხვებისთვისო. ხელის მოწერის შესახებ გადაწყდა, თუ ყველა დელეგაციები ხელს მოაწერენ, მაშინ ეს პროტესტი გადაცემული იქნება დელეგაციების სახელით, თუ რომელიმე უარს იტყვის, — მაშინ მოაწეროს მას ხელი კრებაზე დამსწრეებმა, კერძოდ. ა. ტომასაგან ხელის მოწერას ჩვენ, ქართველებმა, მხარი დავუჭირეთ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პროტესტი დელეგაციების სახელით იქნებოდა გადაცემული, ვინაიდან ერთი რომ ა. ტომა საქართველოს საქმის წინდაწევას ცდილობს, მეორე — მისი სახელი კი არ გააფუჭებს საქმეს, კიდეც დაეხმარება მას. ხვალ არის კრება რუსეთის საზღვრებში ყოფილი ერების წარმომადგენლების და, ჩემი აზრით, ჩვენ იქაც უნდა დავუჭიროთ მხარი მას, რომ ა. ტომამ უსათუოდ მოაწეროს ხელი ამ პროტესტს, როგორც თავმჯდომარემ იმ საზოგადოებისა, რომელიც იცავს რუსეთის საზღვრებში ყოფილი ერების ინტერესებს და დამოუკიდებლობის ცნობას. გადაწყვეტილია, დაუჭიროს დელეგაციამ მხარი მას, რომ ალ. ტომამ უსათუოდ მოაწეროს ხელი ამ პროტესტს.

2. კ. გვარჯალაძე. თავმჯდომარემ და მე ვნახეთ ვივიანი და ბრიანი, ავუწერეთ ჩვენი მდგომარეობა, მუშაობა, მიზანი. დავუხატეთ დენიკინის მოქმედება და გადავეცით უკანასკნელი ცნობები. ვივიანმა გვკითხა, მე რა შემიძლია თქვენი დამოუკიდებლობისთვისო, და მის კითხვაში გამოიხატებოდა, ეს მე არ შემეხებაო. ჩვენ ხაზი გავუსვით მთელ ჩვენს სახიფათო მდგომარეობას დენიკინის საშიშროების გამო და ვუთხარით, შეიძლება პირდაპირ დამოუკიდებლობა არ შეგეხებაო, მაგრამ დენიკინის საკითხი შეგეხებათ თქვენც და ყველა იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ვინც საზოგადო აზრს ჰქმნით როგორც საფრანგეთში, ისე სხვაგანთქო. პრესსა არ ეპყრობა ჩვენს საკითხს სიმპატიით, დენიკინს ემხრობა, იქ ვერაფერი მოუახერხეთ, ამიტომ გადავწყვიტეთ ვნახოთ პირადად პოლიტიკური მოღვაწეები და გადავცეთ მათ, რა ხდებ ჩვენში, რათა შეგეძლოსო უსამართლობის წინააღმდეგ ხმა ამოიღოთ თქო. ამგვარად ჩვენ ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ. თუ უბედურება დაგვატყდა თავზე, იმას მაინც ვიტყვით, რომ მთელმა ევროპამ იცოდა ეს და ხმა არ ამოიღოთქო.

ბრიანთანაც დაახლოებით ასეთი ლაპარაკი გვქონდა. როგორც ვივიანს, ისე. მასაც ვუთხარით, რომ ბაზათ კოლჩაკ-ალლიების ნოტებიც რომ ავიღოთ, მაინც არა აქვსო ალლიებს უფლება დენიკინს იარაღი აძლიონ ჩვენს წინააღმდეგ მოსახმარად. ამაში ორივე დაგვეთანხმენ. ვივიანი არის საზავო კომისიის წევრი, ბრიანი — პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის, ორივე დაგვპირდა რომ თავ-თავის კომისსიებში დასვამენ ამ საკითხს და ეცდებიან, მას ყურადღება ექნეს მიქცეული. მასალები გამოგვართვეს.

3. ვ. ჩერქეზიშვილი. როგორც იცით, ვენზელოსმა გამოაცხადა, ლაზისტანი და ტრაპიზუნდის ვილაიეტი ბერძნებს უნდა გადაეცესო, ე. ი. 500.000 მახმადიანი უნდა გადაეცეს 60.000 ბერძნებს და 18.000 სომხებს. ვიყავი ამის შესახებ მოსალაპარაკებლად ა. ტომასთან. წავუღე მას ვეშაპელის ბროშურა. ა. ტომა დამპირდა, რომ ყოველგვარ დახმარებას გაგვიწევს ამ საქმეში.

ესევე ბროშიურა წავიღე ამერიკელი გაზეთის ჩიკაგო — Daily News-ის აქაურ ბიუროში. დამპირდნენ, რომ გაგზავნიან ამის შესახებ ტელეგრამას, და

ეს ტელეგრამა, როგორც ყოველი ამბავი, რომელიც კი ამ გაზეთში იბეჭდება, 24 სხვა ამერიკული გაზეთის მიერ იქნება გადაბეჭდილი.

4. ი. გობეჩია. ტყვეების შესახებ გადაიდგა ყველა საჭირო ნაბიჯი, გაიგზავნება წერილები სადაც ჯერ არს, მათ დაემატა ტყვეების სია. გემი ჩქარა მიდის და იმედი გვაქვს, რომ მოეწყობა ამ ტყვეების გაგზავნა. შეიძლება ფული დაგვჭირდეს, ამ მხრით მზად უნდა ვიყოთ.

ამერიკელი სტოკების და კრედიტის საქმე – წარმოებაშია.

5. თავმჯდომარეს მიულია აკ. ჩხენკელის წერილი, რომელიც თხოულობს, პარიჟში მოსვლა მინდა და მიიღეთ ამის შესახებ შესაფერი ზომები; ახლა ზავი რომ შეიკრა, ეს უფრო ადვილი იქნებაო.

თავმჯდომარეს მოსვლია წერილები გ. მაჩაბლისაგან, იტალიიდან, ეს წერილები წაკითხულია კრებაზე. მაჩაბელი იწერება, რომ მას ამერიკაში არ უშვებენ და ჯერ-ჯერობით იტალიაში ცდილობს რამე სხვა და სხვა საქმეების გამოწყობას; საქართველოში საქონლის გაგზავნას, საქართველოსთან ტელეგრაფიულ და უბრალო მიწერ-მოწერის მოწესრიგებას და სხვ. და სხვ. ამას გარდა იტყობინება, აქ გვაქვს ერთი იტალიელის მიერ შედგენილი წიგნაკი საქართველოს შესახებ, საჭიროა მისი გამოცემა, მაგრამ ამისათვის ფულს უნდა გალებაო.

II – დადგენილებანი.

1. დადგენილია, მაჩაბელს მიეწეროს, იმ წიგნაკს ჯერ თითონ გაუკეთოს რედაქცია და, თუ მართლა კარგია, გამოუგზავნოს აქ ტექსტი, რათა დელეგაციაც გაეცნოს მას. თუ მოწონებული იქნა, მაშინ დელეგაცია მას დასაბეჭდად ფულს არ დაიშურებს.

2. ამ წერილის გამო **თავმჯდომარე** საკითხს დგამს რამდენად ხელსაყრელია რომ იტალიაში გ. მაჩაბელი აწარმოებდეს ჩვენ საქმეებს და წინადადებას იძლევა ან ოფიციალური წარმომადგენელი იყოს იქ დანიშნული, ან აკ. ჩხენკელს მიეწეროს, რომ თავისი მანდატით ისარგებლოს და წავიდეს იტალიაში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყვეტილია რომ ოფიციალური წარმომადგენლის დანიშვნა ახლა იტალიაში ხელსაყრელი არ არის, მით უფრო რომ საქართველოს მთავრობას უკვე გამოუგზავნია იქ მისია თავისი ინსტრუქციებით.

დადგენილია, ყოველ შემთხვევაში მიეწეროს აკ. ჩხენკელს, თუ შეიძლება გამოიყენოს თავისი მანდატი და წავიდეს იტალიაში.

(მუხლი 3 იხილე მეოთხე გვერდზე).

3. კ. გვარჯალაძე მოახსენებს კრებას, რომ ადერბეიჯანელებმა და ქართველებმა გადაწყვიტეს დენიკინის საწინააღმდეგო ნოტა გაუგზავნონ ალლიებს მთიულების დასაცავად.

დადგენილია, რადგანაც ასეთი შინაარსის ნოტა ორჯელ კიდეც იყო გაგზავნილი გადაწყვეტილია, დაუჭიროს დელეგაციამ მხარი მას, რომ ალ. ტომამ უსათუოდ მოაწეროს ხელი ამ პროტესტს.

4. კ. გვარჯალაძე სვამს საკითხს, რა მოქმედების ხაზი უნდა იქნეს მიღებული იტალიასა და სხვა სახელმწიფოების შესახებ, რომლებთანაც ახლა მისვლა-მოსვლა დროებით შეწყვეტილა.

დადგენილია ,დელეგაციამ წინანდელი ,უკვე მიღებული ხაზის გატარება განაგრძოს, ე. ი. მიიღოს ყოველი ზომა, რომ იტალიასთან დაუყოვნებლივ გამართოს პრაქტიკული მოლაპარაკება დამოუკიდებლობის ნიადაგზე; რაც შეეძლება ინგლისს და ამერიკას, მათთანაც კავშირის დასამყარებლად ენერგიული ზომები იყოს მიღებული.

5. წაკითხულია და მოწონებული ზ. ავალიშვილის მიერ შედგენილი მიმართვა ბიჩისადმი.

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე
მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი
პარიჟი 4 ივლისი 1919.

4 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარე — კ. ჩხეიძე
დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი
ზ. ავალიშვილი
ირ. წერეთელი
კ. გვარჯალაძე
ი. გობეჩია
მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

კითხვები.

I — ინფორმაცია

1. ალბერ ტომას
2. დე-ლა-ტორეტოსთან.
3. ფრანკლინ ბუიონთან
4. სტოკები და კრედიტი

II—წინადადება და დადგენილებანი

1. გ. ჯინორიას საქმე
2. მილოცვის ტელეგრამა ამერიკულ საელჩოს

წაკითხულია და დამტკიცებულია 2 ივლისის სხდომის ოქმი

I — ინფორმაცია

1. ირ. წერეთელი. უკრაინელები კატეგორიული წინააღმდეგი გახდენ ხელი მოაწერონ პროტესტს იმ სახით, როგორც ის შედგენილია. მათ სურდათ შიგ უკრაინაც ყოფილიყო შეტანილი, როგორც დენიკინისაგან დაზარალებული მხარე. ჩვენ ამაზე არ დავთანხმდით, და ამაში ყველამ მხარი დაგვიჭირა, — რადგანაც დენიკინი უკრაინაში და ჩვენში სულ სხვა და სხვა პირობებში შედის, ჩვენში ის ანგრევს დემოკრატიული წესით მოწყობილ სახელმწიფოს, უკ-

რაინაში კი — სწორედ ბოლშევიკებს ებრძვის, რისთვისაც მართლა ეხმარება მას ალლიები. ჩვენ ვუთხარით, რომ თანახმა ვართ უკრაინის შესახებ ცალკე პროტესტი გავაგზავნოთ, სხვაგვარად, შესაფერი არგუმენტაციით, მაგრამ არ გვინდა ჩვენი ქვეყნების შორის თანასწორობის ხაზის გასმა, რადგანაც ამით გავამართლებთ დენიკინის ნათქვამს რომ ჩვენშიაც ბოლშევიზმს ებრძვის და წესიერებას ამყარებს, მაგრამ სიდორენკო ვერ დავარწმუნეთ. მას სწორედ ის უნდოდა, რომ ერთნაირობა გვეთქვა, ფიქრობდა ამით უკრაინის გამაგრებას. ამიტომ, რადგანაც ყველა დელეგაციების მიერ აღარ იქნებოდა ხელმოწერილი ეს პროტესტი, გადავწყვიტეთ, რომ მას ხელს მოაწერენ კერძოდ დელეგატები და არა ოფიციალური დელეგაციები, და, რასაკვირველია, ალბერ ტომა, როგორც თავმჯდომარე იმ საზოგადოებისა, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის საზღვრებში მყოფილი ერების ინტერესებს და მათი დამოუკიდებლობის ცნობას.

2. კ. გვარჯალაძე. ვიყავი ტორეტოსთან. საქართველოდან ჩამოსულან კიდევ ახალი წევრები იტალიელი მისიის, უთქვამთ, მდგომარეობა საქართველოში და, საზოგადოდ ამიერკავკასიაში კარგია, განწყობილება ჩვენსა და თქვენს მთავრობას შორის—ძალიან კარგიაო. დამოუკიდებლობა გვითხრა, ჩვენთვის, რასაკვირველია, სჯობს, რომ თქვენ დამოუკიდებელი იყოთ და ისე შეეკრათ კავშირიო, მაგრამ ჩვენთვის ძალიან ძნელია ახლა ოფიციალური ზომების მიღება თქვენი დამოუკიდებლობის საცნობად, რადგანაც შეკრული ვართ ალლიების საერთო პოლიტიკით, ხელი გვაქვს მოწერილი საერთო ნოტაზე, სადაც თქვენგან რუსეთის მოლაპარაკებას თხოულობენო. ხოლო რუსეთში უთუოდ ასე მალე ვერ დამყარდება წეს-რიგი, ისე რომ ფაქტიურად თქვენ მასში შესვლა არ მოგიხდებათო. ისე კი მთელი ჩვენი სიმპატია თქვენსკენ არის და რაც შეიძლება, ყოველგვარად დაგვეხმარებითო. თავიდათავი თქვენთვის საქართველოში გამაგრება და იქ საქმის აწყობა არისო, და ამაში ყოველნაირ შემწეობას გაგიწევთო. ისიც დაუმატა, ორლანდო[2] უფრო ხალისიანად უყურებდა თქვენში ჯარების გაგზავნას, ახალ კაბინეტს კი უფრო დემოკრატიული კურსი აქვს მიღებული, დემობილიზაციას ახდენსო, ასე რომ კიდეც რომ გადაწყდეს ჯარის გაგზავნა, ბევრად ნაკლები გაიგზავნება, სულ ბევრი — 20.000 კაცი მთელ ამიერკავკასიაში, მხოლოდ მორალური ავტორიტეტისათვის და ამით თქვენი გარეშე მტრებისაგან დასაცავათო. ამას წინეთ რომ გავიგეთ, იტალიელი ჯარი კიდეც გადმოუსხავთ ბათუმშიო, იმის შესახებ მითხრა, ჯერ არც ერთი ჯარისკაცი არ არის გაგზავნილი, ეს კი მართალია, რომ ინგლისს გაჰყავს თქვენგან ჯარებიო. დასასრულ ვუთხარით, რომ ტიტონის[1] ნახვა და მასთან მოლაპარაკება გვინდა. გვიპასუხა, თუ გინდათ ტიტონის ნახვას ამ ორ დღეში მოგიწყობთო, მაგრამ ჯერ თქვენს საქმეს გაცნობილი არ არის, სჯობს მე გავაცნო ჯერ საქმეს, მოვამზადო და მერე ნახოთ, რამდენიმე დღის შემდეგო. ამაზე, რასაკვირველია, დავეთანხმეთ.

3. კ. გვარჯალაძე. ვიყავი აგრეთვე ფრანკლინ ბუიონთან[3], აკუწერე ის სიყვარული და აღტაცება, რომელიც ყოველთვის არსებობდა ჩვენში საფრანგეთის და მისი მოწინავე იდეების მიმართ და ის გულის გატეხა, რომელსაც ახ-

---

[1] ორლანდო ვ. ე. — იტალიის პრემიერ-მინისტრი 1917—1919 წწ.

[2] ტიტონი — იტალიელი სენატორი, ერთა ლიგის საბჭოს წევრი.

[3] ფრანკლინბუიონი — ფრანგი სენატორი.

ლა განვიცდით იმის გამო, რომ მაშინ, როდესაც ჩვენც დავაარსეთ დემოკრატიული რესპუბლიკა, საფრანგეთი, მის მაგიერ რომ მხარს გვიჭერდეს და გვეხმარებოდეს, იარაღს უგზავნის დენიკინს მას დასაძხობად. ჩვეულებრივად ძალიან აღელვდა და დიდი პათოსით მითხრა, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ პატარა ერების საშუალებით წესრიგს დავამყარებდით, ყველას საკეთილდღეოდ, თვით რუსეთშიო, მაგრამ ახლა როგორც ჩანს, იქ წეს-რიგი დიდ ხანს ვერ დამყარდება და თქვენ თქვენსას გაიტანთო. და ბოლოს დამპირდა, მე და ჩემი ამხანაგები ყოველ ზომას მივიღებთ დენიკინის წინააღმდეგ თქვენთვის მხარის დასაჭერად.

4. ი. გობეჩია. ამ უკანასკნელ დროს მთიულები აღარ მიდიან ჩვენს კრედიტის კომისიაში, ისე რომ დავრჩით მარტო ჩვენ და ადერბეიჯანელები. დღეს მდგომარეობა ასეთია: კოლონელი ლამარი რომ წასულა ამერიკაში, დღეს იქვე წავიდა კაპიტანი ბუიც. წასვლის წინ დაწვრილებით მოეელაპარაკეთ. სხვათა შორის ადერბეიჯანმა აღძრა საკითხი ამიერ-კავკასიაში ამ საქმის გამო კურიერის გაგზავნას. ამერიკელი მისია დაპირდა, ნებართვას მოგცემთ ამისთვის. რაც შეეხება სტოკებს და კრედიტს, გვითხრეს, აქ მოვაწყოთ ყველაფერი და, თუ აქ ვერ მიიღეთ საქონელი, ეს ამერიკაში მაინც წაწევს წინ თქვენს საქმეს, რადგანაც თუ მოცემა აქ გადაწყვეტილი იქნა და მხოლოდ იმან შეაფერხა, რომ საქონელს საფრანგეთმა სეკვესტრი დაადვა, იქიდან პირდაპირ მოგცემენო. ამ სამ კვირაში ამ საქმის მოსაწყობად ამერიკაში რამდენიმე პირი მიდის და სასურველია მათ შორის ჩვენგანაც წავიდეს ერთი წარმომადგენელი, სრული უფლებებით აღჭურვილი ამ საქმის საწარმოებლად.

II — წინადადებები და დადგენილებანი

1. თავმჯდომარეს წინადადება შემოაქვს, რომ ბ. ჯინორიას, ნიჭიერ და მეცადინე ყმაწვილს, რომელიც სურვილს და უნარს იჩენს კოოპერატიების საქმის შესწავლაში, რამე დახმარება აღმოუჩინოს დელეგაციამ ამ გზაზე, რათა ამგვარი საქართველოს მომავლისათვის სასარგებლო მუშაკი დაუმზადდეს.

დადგენილია, ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინოს ბ. ჯინორიას ამ მხრით.

2. ვ. ჩერქეზიშვილის წინადადებით დადგენილია დაუყოვნებლივ ტელეგრამა გაეგზავნოს საქართველოს რესპუბლიკის სახელით, ამერიკელ საელჩოს პარიჟში, შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღის მოსალოცად.

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

პარიჟი 8 ივლისი 1919.

8 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარე — კ. ჩხეიძე
დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი
ზ. ავალიშვილი

ირ. წერეთელი
კ. გვარჯალაძე
ი. გობეჩია

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

კ ი თ ხ ვ ე ბ ი 1. მთიულებთან

2. საერთო ორგანო
3. ტყვეები
4. იტალიელი დემოკრატიის წარმომადგენელი
5. წერილები და ტელეგრამები

წაკითხულია და დამტკიცებული 4 ივლისის სხდომის ოქმი.

1. თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ჩერმოევმა გვითხრა, გავიცანი ერთი იტალიელი, ცრაფ საბინი. ტიტონის დაახლოებული პირი, კომერციული საკითხების გამგე, რომელიც მეუბნება, ჩვენ, იტალიელებს შეგვიძლია თქვენი დამოუკიდებლობის საკითხი უხიფათოდ გავატაროთ და უზიანოთ მივიტანოთ ნაციათა ლიგის კარებამდისო, იქაც გამოგექომაგებათ და თქვენ სასარგებლო გავლენას ვიქონიებთო: ამას გარდა თქვენ სამხედრო ძალებს მოვაწყობთ და აა ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთო. გუშინ ვიყავით ერთად სადილად ჩერმოევთან ეს იტალიელი და ჩვენ ვილაპარაკეთ, რასაკვირველია, იმ ეკონომიურ ურთიერთობაზე, რომელიც სასურველია დამყარდეს ჩვენს შორის. ჩვენ ვუთხარით, რომ გვეჭირვება ყოველგვარი მანუფაქტურა და, გაცვლა-გამოცვლის გარდა, ადგილობრივი განვითარება წარმოებისა, მან — რომ მათთვის აუცილებელი საჭიროა ნახშირი. დაგვპირდა, კონცესიებზედაც გველაპარაკა. ყველა ამას სრულებით კერძო ხასიათი ჰქონდა, უბრალო ინფორმაციის, მაგრამ სწორედ ყველაფერი ის თქვა, რასაც, უეჭველია, ტიტონიც გეტყვის და საჭიროა ჩვენ ახლავე მივყოთ ხელი პრაქტიკულ მოლაპარაკებას და მოქმედებას, რადგანაც ჩვენში როგორც იცით, ეკონომიკური მდგომარეობა კრიტიკულია.

ა. გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე უმატებს ამას რომ მთიულებსა და ადერბაიჯანელებს შორის ნამეტანი განსხვავებაა იტალიის საკითხში, მთიულები ნამეტანი იხრებიან იტალიისაკენ და ყველაფერზე ეთანხმებიან, — ჩერმოევი იტალიელ-კავკასიელ ბანკსაც კი აარსებს უკვე საბინთან ერთად, — ადერბეიჯანელები კი ნამეტანი წინააღმდეგი არიან იტალიელების და ტოპჩიბაშევი იმასაც კი ამბობს, თუ უზრუნველყოფა არ შეუძლიათ ჩვენი დამოუკიდებლობის და ისევ რუსეთის კავშირში შეგვიყვანებენ, — ბარემ ჩვენვე შევიდეთ, უმაგათოდო, — და სთვლის, რომ სამივე კავკასიის დელეგაციამ რაიმე საერთო ხაზი უნდა შეიმუშაოს იტალიელების მიმართ სამოქმედოთო.

მსჯელობის შემდეგ დადგენილია, მოიცადოს დელეგაციამ მანამდის, სანამ ოფიციალური იტალიის წარმომადგენელი მიცემს მას გარკვეულ პასუხს პრაქტიკულ წინადადებაზე – და მაშინ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

2. თავმჯდომარე. ვიყავით რუსეთის საზღვრებში მყოფი ერების კრებაზე, საყურადღებო იქ მხოლოდ ერთი საკითხი იყო, საერთო ორგანოს გამოცემის. გაღაწყდა ყველა დელეგაციებმა ამაზე შინაური მსჯელობა იქონიონ და გამოარკვიონ ამის შესახებ თავისი აზრი. ეს ორგანო იქნება უმთავრესად ინფორმაციული, მიზნად ექნება საშუალება მოგვცეს ვამცნოთ ევროპას ჩვენი ვინაობა, მდგომარეობა, აღკარგი. უკრაინელმა გრუშევსკიმ კიდეც დაასახელა ერთი გამოცდილი ადამიანი, რომელიც ყოველგვარ პრაქტიკულ ცნობებს მოგვაწოდებს ორგანოს დაარსების შესახებ, და განმეორებით ითხოვა დელეგაციებმა დაადასტურონ ეს საქმე და კონკრეტული წინადადებები წამოაყენონ. ჩვენ განვაცხადეთ რომ პრინციპიალური არაფერი წინააღმდეგობა არა გვაქვს ასეთი ორგანოსი, მაგრამ არავითარი დაპირება არ შეგვიცია ამის შესახებ.

აზრთა გაცვლა – ვამოცველის შემდეგ გადაწყვეტილია, რომ რადგანაც უკრაინა, ცხადია, ორგანოს მარტო ინფორმაციული ხასიათით არ დაკმაყოფილდება და მოინდომებს თავისი პოლიტიკური ხაზი გაატაროს შიგ. ე. ი. ატეხოს ბრძოლა პოლონეთთან და რუსეთის დემოკრატიასთან, და რადგანაც ქართველებს არ შეუძლიათ ამგვარი პოლიტიკის პასუხისმგებლობა იკისრონ,—სასურველი არ არის ასეთი საერთო ორგანოს დაარსება.

დადგენილია, ეთქვას უკრაინელებს დიპლომატიური უარი, ე. ი. წარედგინოს მათ საერთო ორგანოს დაარსებისათვის ისეთი პირობები, რომელიც მათთვის მიუღებელი იქნება, მაგ. ის, რომ არც ერთი რუსეთის საზღვრებში ყოფილი ერი გამორიცხული არ იყოს ამ ორგანოში მონაწილეობის მიღებიდან, და რომ ამ ორგანოში არავითარი ბრძოლა არ იყოს რომელიმე სახელმწიფოსთან როგორც ასეთთან.

3. ი. გობეჩია კითხულობს კლემანსოს[1] საპასუხო წერილს ტყვეების შესახებ. წერილში ნათქვამია, რომ ყველა ქართველი ტყვეები ამ დღეებში მოგროვილი იქნებიან სამხრეთ საფრანგეთის რომელიმე ქალაქში და რაც შეიძლება მალე გაიგზავნებიან ბათუმში, როგორც ჩანს თვით საფრანგეთის მთავრობის ხარჯით.

დადგენილია, წერილობითი მადლობა გადაეხადოს კლემანსოს და ეთხოვოს მას, დელეგაციას შეატყობინონ, როცა ყველა ქართველი ტყვეები შეგროვებული იქნებიან ერთ ადგილას.

4. ირ. წერეთელი ამცნობს დამსწრეებს, რომ მასთან იყო Sicolo-ს კორესპონდენტი და თხოვა მას სენატორი დელა ტორეს სახელით, დელეგაციამ წერილი გაატანოს საქართველოს მთავრობასთან ერთ დემოკრატიის წარმომადგენელს, რომელიც იტალიელ მისიას მიჰყვება საქართველოში, რათა მთავრობამ გაუადვილოს მას იქ როგორც ანკეტის მოხდენა, ისე ეკონომიური ნაბიჯები.

დადგენილია მიუწეროს მას წერილი თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიასთან.

---

[1] ჟორჟ კლემანსო — პარიზის სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარე, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 1917—1920 წ. წ.

5. თავმჯდომარეს მოსვლია წერილი გრ. რცხილაძისაგან. წერილი წაკითხულია სხდომაზე. სხვათა შორის იქ ნათქვამია რომ კავკასიის ბონები საშინელი სისწრაფით ეცემა რუსულ ფულთან შედარებით, — ერთ რუსულ მანეთში ბონებთან ექვსი მანეთი უნდა მისცე, — რომ ამის გამო ყველაფერის ფასი საშინლად აიწია და რომ ამ უკანასკნელი სამი გემი, რომელიც ფოთში იყო შავი ქვის წამოსაღებად, დაუტვირთავი გამობრუნებულან, რადგანაც მუშებს თითო ტონის ღატვირთვაში 400 მანეთი უთხოვნიათ.

ვ. ჩერქეზიშვილს მოსვლია ოლივერ უორდროპის წერილი. უორდროპი საქართველოში წასასვლელად ემზადება, მალე პარიზში გამოივლის და ღელეგაციას ნახავს.

თავმჯდომარეს მისვლია აკ. ჩხენკელის ტელეგრამა, სუმბათაშვილს არ შეუძლია წამოსვლა, სანამ აქ საქმეებს არ მოაწყობს და, თუ გინდათ, მის მაგივრად კანდელაკს გაგზავნითო. უპასუხნია, კანდელაკი არ გვჭირვებია...

11 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარე — კ. ჩხეიძე
დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი
ზ. ავალიშვილი
ირ. წერეთელი
კ. გვარჯალაძე
ი. გობეჩია

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

კითხვები.

1. პიშონთან წასვლა
2. ბრიტანიის მთავრობის პასუხი
3. კომისია კავკასიაში
4. პოლიტიკა რუსეთისადმი

წაკითხულია და დამტკიცებულია 8 ივლისის სხდომის ოქმი.

1. თავმჯდომარეს მოსვლია წერილი ალბერ ტომასაგან, რომელიც ატყობინებს დელეგაციას, რომ პიშონის[1] ნახვა პროტესტის გადასაცემად ხვალისათვის არის დანიშნული.

გადაწყვეტილია, რადგანაც ამ საქმეში ინიციატივა ქართველებს ეკუთვნის, წავიდეს იქ არა ერთი და ორი, არამედ რამდენიმე პირი.

დადგენილია წავიდენ თავმჯდომარე, ირ. წერეთელი, კ. გვარჯალაძე და ი. გობეჩია.

2. კ. გვარჯალაძე კითხულობს ბალფურის პასუხის იმ ოფიციალური პროტესტის ნოტაზე, რომელიც ღელეგაციამ ბრიტანიის მთავრობას გაუგზავნა.

---

[1] პიშონი — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

— ბრიტანიის მთავრობას არაფერი ცნობა არა აქვს იმის შესახებ, ვითომ დენიკინი საქართველოს საზღვრების გაღმოლახვას აპირებდეს. პირიქით, მათ ნამდვილად იციან, რომ დენიკინი მთელ თავის სამხედრო ძალას ბოლშევიკებთან საბრძოლველად ამზადებს*.

დადგენილია, ამ პასუხის შინაარსი დაუყოვნებლივ ემცნოს საქართველოს მთავრობას.

3. თავმჯდომარე გუშინ იყო ჩემთან ბამატოვი, მითხრა, ვილსონს წერილი მივწერეთ, ჩვენი მდგომარეობა ავუწერეთ, პასუხად მოგვივიდა, პლატონიური თანაგრძნობა, კონკრეტული კი — არაფერიო. მერე გვქონდა ლაპარაკი ლორდთან. მისი სიტყვებით, ვილაც დაინტერესებულია იმაში, რომ კონფერენციაზე კავკასიის საკითხი სპეციალურ საკითხად არ გამხდარიყო და მის გამოსარკვევად ცალკე კომისია არ დანიშნულიყო, და გამოდიოდაო, რომ მისი აზრით ეს ვილაც — ინგლისი უნდა ყოფილიყო. ბოლოს ლორდს მისთვის გადაკვრით უთქვამს, ითხოვეთ, რომ კავკასიაში კომისია იყოს გაგზავნილი, იქაური მდგომარეობის გამოსარკვევად, სისხლისღვრის შესაწყვეტად და წესრიგის დასამყარებლად. თვით ბამატოვი ძალიან მოიხრება ამგვარი კომისიის გაგზავნის. მე ვუთხარი, რომ ამის შესახებ მოლაპარაკება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა არის საჭირო. დღეს ერთად ვიყავით ადერბეიჯანელებთან. ისინი ძალიან უარზე არიან, ეს არის სახიფათო ნაბიჯი, ერთი რომ ამით ინგლისს უნდობლობას გამოვუცხადებთ და გადავიკიდებით. მეორე — ღავამტკიცებთ, რომ ჩვენში ანარქია არსებობს და მაშინ რა დამოუკიდებლობას ვთხოულობთ. ბოლოს გამოითქვა ის აზრი, რომ ამ კომისიის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი ჰქონდეს, მისი მიზანი იყოს — გააცნოს ალიელებს რა ხდება იქ. ჩვენ არის კრება ამის შესახებ და გვითხოვეს, ჩვენი წარმომადგენლების პირა საბოლოდ ჩვენი პასუხი გავაგებინოთ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყვეტილია, რომ თხოვნა კომისიის გაგზავნის სისხლისღვრის შესაწყვეტად და წესიერების დასამყარებლად ყოველად მიუღებელია, მით უფრო რომ საქართველოში არავითარი სისხლის ღვრა არ არის და სრული წესიერება არსებობს, რის გამოც საქართველო სულ სხვა პირობებშია, ვიდრე მთიულების რესპუბლიკა და ადერბეიჯანი, რაც შეეხება კომისიას ინფორმაციული მისიით, ეს მისალებია, რადგანაც იქნება ერთგვარი ნაბიჯი ჩვენი საქმის ცალკე საკითხად დაყენებისას, ხოლო ამის თხოვნაც შეიძლება მარტო იმ შემთხვევაში, თუ წინდაწინ ყველა დიდი სახელმწიფოების დელეგაციები გარანტიას მოიცემიან, რომ ეს თხოვნა შეწყნარებული იქნება.

გადაწყვეტილია აგრეთვე, რომ სასურველად იყოს დანახული თხოვნა იმგვარი კომისიისა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ზოგიერთი პოლიტიკური პირები, სხვათა შორის ლორდ ბრაისი, ლორდ კრუ და სხვები, საჭიროა სხვა და სხვა,— აგრეთვე კავკასიის, — საკითხების აქეე გამოსარკვევად დაინიშნოს პარიზში კომისიები. კონფერენციის ორგანოების სახითაო.

დადგენილია გადაეცეს დელეგაციის ეს აზრი კრებაზე, აგრეთვე ემცნოს მთიულებს, რომლებმაც, როგორც ჩანს, ეს არ იციან რომ ჩრდილო კავკასიაში კიდევ არის გაგზავნილი კომისია ინტერ-ალლიური უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ[1].

---

[1] იგულისხმება ანტანტის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო — ა. მ.

4. პ ო ლ ი ტ ი კ ა რ უ ს ე თ ი ს ა დ მ ი. (ამ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა ოქმში შეტანილია დამსწრეთა სურვილით).

ზ. ავალიშვილი. ჩემი აზრით ჩვენ უნდა საუკეთესოდ გამოვიყენოთ ის ფორმალური პლატფორმა, რომელიც ალლიებმა შექმნეს კოლჩაკთა მიწერ-მოწერით და ინიციატივა ავიღოთ რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების.. სულ ერთია, ადრე თუ გვიან რუსეთთან უსათუოდ უნდა ვილაპარაკოთ, ამას ჩვენ ვერსად გავექცეოთ, და მე მგონია ჩვენთვის უფრო სასარგებლოა ველაპარაკოთ მას მერე ურჩევნია, როცა მომავრდება. ალლიები გვეუბნებიან დათანხმდით აქაურ პოლიტიკურ სათათბირის ყველა ალლიები სთვლიან რუსეთის წარმომადგენლად, რუსეთის მომავალ მთავრობათ, ამერიკაც კი ამ უკანასკნელ დროს კოლჩაკისაკენ გადიხარა. ჩვენც სწორედ მასთან დავიწყოთ ლაპარაკი. თუ მართლა გახდებიან ისინი მთავრობად, — ჩვენ მოლაპარაკებას მომავლისათვის მნიშვნელობა ექნება, თუ არა და — დაკარგვით მაინც არაფერს დავკარგავთ, შეიძლება კიდეც მოვიგოთ, რადგანაც დავუმტკიცებთ ალლიებს, რომ ვთანხმდებით მათგან მიღებულ ხაზზე და, მორიგება არ ხდება, ეს ჩვენი ბრალი არ არის. მორიგება რასაკვირველია, არ ხდება, სათათბირო, რასაკვირველია, არაფერს არ დაგვითმობს, მაგრამ ესეც ჩვენ სასარგებლოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ, მივუთითოთ ალლიებს რუსეთის ამგვარ მოურიგებელ პოზიციაზე, რომელიც არ შეეთანხმება მათი, ალლიების, პოზიციას. სჯობს ინიციატივა ჩვენგან მოდიოდეს, რადგანაც რუსეთისათვის ხელსაყრელი არ არის ახლა მოლაპარაკება, მას მერე ურჩევნია, როცა მომავრდება. ალლიები გვეუბნებიან დათანხმდით მოლაპარაკებაზე რუსეთთან, თუ ვერ მორიგდით — მაშინ ჩვენ ჩავერევით საქმეშიო. აი, მეც სწორედ ამას ვადგივარ. დავთანხმდეთ რუსეთთან მოლაპარაკებაზე და უსათუოდ საბაბი მოგვეცემა, რომ ამ მოლაპარაკებაში ალლიები ჩავითრიოთ.

ი რ. წ ე რ ე თ ე ლ ი. კოლჩაკი და დენიკინი ცნობილია ალლიებისაგან, მაგრამ ცნობილი არ არან რუსეთის პარტიებისაგან, ავალიშვილის წინადადებაში ის საშიშროება არის რომ შეიძლება ჩვენ კოლჩაკი გავამაგროთ, რაც ალლიებს ძალიან სურსო. ავალიშვილს ჰგონია, რომ ამით ჩვენ არაფერს დავკარგავთ, ნამდვილად კი ჩვენ ძალიან ბევრს დავკარგავთ, რადგანაც ამ ნაბიჯით გამოვეთიშებით ყველა ოპოზიციურ ელემენტებს რუსეთში, მაინც კი, რომელნიც ჩვენ მხარს გვიჭერენ და, რაც კიდევ უარესია, გამოვეთიშებით აგრეთვე ევროპიელ დემოკრატიას და დავკარგავთ ავტორიტეტს მომავალი, უფრო ზომიერი ევროპიელი მთავრობის თვალშიაც კი. ყველა ეს მით ნაკლებად არის ხელსაყრელი, რომ კოლჩაკის გამარჯვება სრულიად არ არის ნამდვილი, პოლიტიკურ სათათბიროს, რასაკვირველია ჩვენთან ლაპარაკი ძალიან უნდა, სულ გვეზიდებიან იქით, რადგანაც ეს მათთვის მეტად ხელსაყრელია, გაამაგრებს მათ, საბაბს მისცემს უთხრან ალლიებს აი, რუსეთის საზღვრებში ყოფილი ერები ჩვენ გვცნობენ როგორც რუსეთის მთავრობასო. დათმობით კი არაფერს არ დაგვითმობენ. ალლიებმა კი, კიდეც რომ ჩაერთომ ჩვენს მოლაპარაკებაში, შეიძლება შეიცვალონ ამ მოლაპარაკების პროცესში და გამოგვიცხადონ, ფედერაციაში რომ უნდა შეხვიდეთ, ეს ნამდვილია, საქმე მხოლოდ იმაშია, რა პირობებითო და ჩვენ დავკარგავთ იმასაც კი, რაც ახლა გვაქვს, სულ სხვაა, „ხუთმა" რომ გამოგვიცხადონ, თქვენი საკითხი არ გადაწყდება მანამდის, სანამ კოლჩაკს არ მოელაპარაკებითო, მაშინ შეგვიძლია დავიწყოთ ლაპარაკი და თავი იმით გავიმართლოთ,

რომ, თუმცა ჩვენ არ ვთვლით კოლჩაკს მომავალი რუსეთის მთავრობად აღიარებულად ვართ მას ველაპარაკოთ, ვინაიდან ამას გვაძლებენ, ინიციატივა კი, ახლავე, ჩვენ არას გზით არ უნდა აეიღოთ, რადგანაც ამ შემთხვევაში კლემანსის მოიშხრეობას მაინც ვერ მოვიპოვებთ და დემოკრატიისას კი დავკარგავთ. ჩემი აზრით სჯობს შეეცდეთ კონტაქტში პოლიტიკურ პარტიებთან. ოფიციალური მოლაპარაკების დაწყება ახლავე არც მათთან შეიძლება, რადგანაც არც ისინი არიან რუსეთის წარმომადგენლები მაგრამ შეგვიძლია დავუახლოვდეთ პათ, რათა მერე, როდესაც მდგომარეობა შეიცვლება, შეძლოთ დავუწყოთ ლაპარაკი მათ, ვინც რუსეთის წარმომადგენელი შეიქმნება ნუ დავივიწყებთ, რომ თვით ალლიები ამბობენ, მაშინ დაიწყეთ კოლჩაკთან მოლაპარაკება, როცა ის მთავრობად გახდებაო. თუ ჩვენ ასე დავაჩქარეთ, ეს იმას დაამტკიცებს, რომ ჩვენ ალლიებზე უფრო შორს მიედივართ და ახლავე ვცნობთ მას მთავრობად. ამას, რასაკვირველია, ვამბობ ოფიციალურ მოლაპარაკებაზე, კერძოდ კი, რა თქმა უნდა ყველა ჩვენგანს შეუძლია პოლიტიკურ სათათბიროს წევრებთან ლაპარაკი.

ზ. ავალიშვილი. ჩვენთვის ახლა უფრო გამოსადეგია ოფიციალური ლაპარაკი, ვიდრე მაშინ, როდესაც კოლჩაკი მთავრობათ გახდება, მაშასადამე კაძლიერდება. კოლჩაკს ძალიან კარგად შეუძლია გაიმარჯვოს. თუ გაიმარჯვებს — ჩვენ მოვიგებთ, თუ დამარცხდება — არაფერს წავაგებთ.

თ ა ე მ ჯ დ ო მ ა რ ე. მე ვაყენებ შემდეგ საკითხს, რაზე შეიძლება ახლა კოლჩაკთან ლაპარაკი, რა კონკრეტული კითხვები უნდა დავუყენოთ, რა პოზიციაზე უნდა დავდგეთ მის წინაშე? თუ ამას გამოვარკვევთ, მაშინ უფრო ცხადი გახდება, მაზანშეწონილია თუ არა ახლა მასთან მოლაპარაკების გამართვა.

ზ. ავალიშვილი. უნდა ეუთხრათ, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სურს დამოუკიდებლად დარჩეს. ბესარაბიის შესახებ ხომ თქვით, პლებისციტი არის საჭიროო? აი, საქართველოშიც ეს პრინციპი დაიცავით თქო და ჰკითხეთ ხალხს, რომლის წარმომადგენელიც მის მიერ თავისუფალი არჩეული დამფუძნებელი კრებაა, რა სურს მას. უნდა ვუთხრათ, რომ გვინდა მშვიდობიანი ლიკვიდაცია მოვუხდინოთ ჩვენს ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებას და განვაგრძოთ ჩვენ-ჩვენი საქმეები, მათ დიდ მასშტაბში და ჩვენ — პატარაში. უნდა ვკითხოთ, რის სახელით, რა უფლებით აცხადებენ თავის პატრონობას საქართველოზე, და, პასუხის და მიხედვით, წამოვუყენოთ ჩვენი საბუთები.

ვ. ჩერქეზიშვილი. კოლჩაკ-დენიკინი მხოლოდ პარტიაა, როგორც პარტია ბოლშევიკები მისი მთავრობად გახდომა — საეჭვოა. ყოველ შემთხვევაში, კიდეც რომ აღდგეს რუსეთი, ჩვენ მასთან უნდა გვქონდეს მოლაპარაკება მხოლოდ ფინანსიური და ეკონომიური, სხვა არაფერი. რადგანაც სხვამხრით ჩვენს დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ხელშეკრულებითი უფლებებით აღჭურვილი, და ჩვენ სრულებით არ უნდა ვცდილობდეთ მოლაპარაკების დაწყებას თითქმის უკვე დამარცხებულ პარტიებთან.

კ. გვარჯალაძე. რა გამორკვეული პროგრამაც უნდა გვქონდეს იმისი, თუ რა ვილაპარაკოთ, ცხადია, რომ არ არის ისეთი წარმომადგენელი, რომელთანაც შესაძლებელი იყოს ლაპარაკი. საზოგადო აზრს ანგარიში უნდა გაეუ-

წიოთ და ჩვენ თავსაც ანგარიში უნდა შიეცეთ, რომ კოლჩაკის ცნობა ჩვენთვის დამლუპველი იქნება. კიდეც რომ დაეუწყოთ მას ლაპარაკი, რა შეუძლია გვიპასუხოს? გვეტყვის უსათუოდ იმას, რაც კიდეც თქვა ფინლანდიაზე, ე. ი. ამ საკითხს რუსეთის დამფუძნებელი კრება გადაწყვეტსო. იმასაც კი ვერ ვეტყვით ალლიებს, რომ ვერ მოვრიგდით კოლჩაკთან, რადგანაც კოლჩაკი საბაბს არ მოგვცემს, რომ ალლიების ჩარევა მოვითხოვოთ.

ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. დამფუძნებელ კრებაზე მერეც მიგვითითებს, თუ ცნობილი იქნა და თუ იძულებული გავხდით მასთან ვილაპარაკოთ. ყოველ შემთხვევაში, ვიმეორებ, ჩვენთვის უფრო სასარგებლოა ახლა ველაპარაკოთ მას, ვიდრე მერე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მე მგონია, რომ ეს მართალი არ არის. ჩემი აზრით კოლჩაკის ძალის განვითარების რომელ ფაზაშიაც უნდა შივმართოთ მას და დაეუწყოთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი, მისგან მხოლოდ უარყოფით პასუხს მიეიღებთ. საკითხია, არის ამ „არა"-ს გამორკვევა ჩვენთვის პრაქტიკული შედეგი, პლიუსი რომელიმე მხრით? არა მგონია. ჩვენი მაკლაკოვთან და სხვებთან მიმართვა კი, ჩვენი პიონერობა ამ კითხვაში, იქნება დიდი პლუსი მათთვის ეს იქნება ჩვენი მხრით ფაქტიური ცნობა მისი, რაც მხოლოდ პოტენციაში არსებობს.

ე. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი. საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას არაფერი არა აქვს სათხოვნი არც მაკლაკოვისათვის არც კოლჩაკისათვის, ჩვენ მხოლოდ უნდა ვიზრუნოთ, რომ აქ იცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა.

ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ახლა მაკლაკოვი ლაპარაკობს პლებისციტზე ბესარაბიაში, რამდენიმე თვის იქით, მე დარწმუნებული ვარ, აღარ ილაპარაკებს ამაზე.

შეტანილია წინადადება კამათის მოხსნის და კამათი იხსნება.

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

პარიჟი 18 ივლისი 1919.

გაგრძელება იქნება

ვახტანგ გურული

საქართველო ჟანდარმის თვალით

(დოკუმენტები)

რუსეთის იმპერიაში ნიკოლოზ I-ის ეპოქიდან დაწყებული (1825—1855) ჩამოყალიბებას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კარგად ორგანიზებული სისტემა. XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დამდეგისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოქმედებდა სამი ძლიერი სტრუქტურული ერთეული: პოლიციის დეპარტამენტი, ჟანდარმთა ცალკე კორპუსი და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დაცვის განყოფილება (ოხრანკა). პოლიციის დეპარტამენტს გუბერნიებში, ოლქებსა და დიდ ქალაქებში ჰქონდა მისადმი დაქვემდებარებული ჟანდარმერიის სამმართველოები სათანადო საშტატო ერთეულითა და აგენტების უზარმაზარი ქსელით (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებშიც მოქმედებდა ჟანდარმერიის სამმართველოები). იგივე ითქმის ოხრანკაზეც. კავკასიაში მოქმედებდა **კავკასიის რაიონული ოხრანკა** და **თბილისის ოხრანკა**. ოხრანკას აგენტების კიდევ უფრო დიდი ქსელი ექვემდებარებოდა. ჟანდარმთა ცალკე კორპუსს გაცილებით ნაკლები საშტატო ერთეულები ჰქონდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ სამ სტრუქტურულ ერთეულს ჰყავდა მაღალკვალიფიციური ოფიცრობა. პროფესიონალები, რომელთა დიდი უმრავლესობა ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა მეფესა და სამშობლოს. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ჟანდარმერიის სამმართველოთა უფროსები და ოფიცრობა, ასევე კავკასიის რაიონული ოხრანკისა და თბილისის ოხრანკის უფროსები და თანამშრომლები. სამივე უწყების სისტემაში მოღვაწეობდნენ ბრწყინვალე ანალიტიკოსები, რომელთა მიერ შედგენილი ანგარიშები და ანალიტიკური მიმოხილვები ისტორიული გამოკვლევის დონეზეა შესრულებული. ეს დოკუმენტები საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა. როცა შესწავლილი იქნება ეს უზარმაზარი მასალა, სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება საქართველოს ახალი ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ კი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრება, მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. ამასთან, საცნაური გახდება ბევრი ისეთი ფაქტი, თუ მოვლენა, რომელიც სხვა წყაროებით არ დასტურდება.

ჟანდარმერიისა და ოხრანკის ანალიტიკა, ცხადია, ბევრად იყო დამოკიდებული იმ ინფორმაციაზე, რომელიც ამ უწყებებში შედიოდა. ძირითადად ეს ხერხდებოდა აგენტების ფართო ქსელის საშუალებით. აგენტურა კი დანერგილი იყო თითქმის ყველგან: სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო წარმოებებში (ფაბრიკა, ქარხანა), ყველა ტიპის სასწავლებელში, ჯარის ნაწილებში, ყველა ქალაქსა და მაზრაში, ქალაქის ყველა უბანში, ყველა აღმსარებლო-

ბის ხალხში, თვით ქრისტიანულ ეკლესიაშიც კი. უმეტეს შემთხვევაში ერთი და იმავე პიროვნებისა თუ უწყების (დაწესებულების) შესახებ ცნობებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აგროვებდა რამდენიმე აგენტი, რაც ჟანდარმერიასა და ოხრანკას მიწოდებული ცნობების შემოწმების საშუალებას აძლევდა. კარგად იყო ორგანიზებული პროვოკატორთა ქსელიც.

ფარული მეთვალყურეობა ისეთ მაღალ დონეზე იყო წარმოებული, რომ ჟანდარმერიასა და ოხრანკას უაღრესად ზუსტი და თითქმის ამომწურავი ცნობები ჰქონდა ყველა პოლიტიკურ პარტიასა და მიმდინარეობაზე, ორგანიზაციაზე, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეზე. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჟანდარმერიამ და ოხრანკამ კარგა ხნით ადრე იწინასწარმეტყველა იმპერიისათვის საშიში ბევრი მოვლენა.

ჟანდარმერიისა და ოხრანკის ანალიტიკოსების მიერ შედგენილი ანგარიშები და მიმოხილვები, ცხადია, ყურადღებით შესწავლას, კრიტიკულ ანალიზს მოითხოვს, მაგრამ ყველა შემთხვევაში საინტერესოა, რას წარმოადგენს ჟანდარმის თვალით დანახული საქართველო.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ ორ დოკუმენტს. პირველი მათგანი წარმოადგენს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის მიერ პოლიციის დეპარტამენტში წარდგენილ 1889 წლის მოვლენების მიმოხილვას, მეორე კი—ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში 1893 წლისათვის არსებულ პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვას.

დოკუმენტების დედნები დაცულია მოსკოვში, რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, ხოლო პირი—თბილისში, საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივში. ჩვენი პუბლიკაცია სწორედ ამ უკანასკნელს ემყარება (იხ. საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 770).

დოკუმენტები

1. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მოხსენება პოლიციის დეპარტამენტს. 1890 წლის 15 მარტი

Секретно

НАЧАЛЬНИК
ТИФЛИССКОГО ГУБЕРНСКОГО
ЖАНДАРМСКОГО УПРАВЛЕНИЯ

В Департамент Полиции

15 марта 1890 года
№ 107
г. Тифлис

Минувший 1889-й год прошел для Грузии почти также безследно, как и прежние годы: никакого факта, обращающего внимания местного народонаселения и изменившего апатичное течение жизни, не было. Политическое настроение умов в неблагоприятном смысле ни в чем не проявлялось. Вообще же масса местного населения ни сколько не интересуется политикою, не имея об ней никакого понятия.

Есть правда между грузинами, в большинстве крайне ограниченными, несколько выдающихся по развитию личностей, вспоминающих о прошедшей самостоятельности Грузии и утешающих себя мечтою о возможности вернуться к прошедшему, но думаю, что сами в душе сознают всю нелепость подобных мечтаний и ни в каком случае не могут разчитывать иметь влияние на своих соплеменников.

Армяне, как исконные торгаши, всецело увлечены погонею за наживою, к политической жизни относятся индеферентивно; но и в их среде изредка проскальзывают неясные грезы о великой Армении и о возможности нарождения молодой Армении. Грезы эти слегка поддерживаются заграничной армянской прессою, с которою знакомится небольшое число коммерсантов, попадающих случайно по торговым делам в Турцию. Ни в каком случае нельзя допускать и мысли, чтобы от этого могли произойти какие-либо противоправительственные попытки, или политические последствия.

Третья и большая часть населения, вверенного наблюдению моему района, татаре, фанатично религиозно настроенные, тоже далеки от политики и слепо покорясь воле Аллаха и его пророка, таят ненависть к иноверцам и не упускают случая перерезать гяуру горло, благо кинжал всегда под рукой, или всадить пулю из берданки, или либоди, имеющихся весьма у многих.

Хотя я и выразился, что истекший год прошел безследно, тем не менее были два случая в минувшем году, обращавшие временно особенное внимание публики. Первое — это бывшая прошедшею осенью в Тифлисе сельско-промышленная выставка, ознакомившая посетителей с неисчерпаемыми богатствами края. К крайнему, впрочем, сожалению, на выставке этой легко можно было убедиться, что эксплуатируют местные богатства по преимуществу иностранцы, а туземцы, же, грузины, выставили лишь много кавказских вин, невысоких сортов, да татаре навезли несколько ковров, слабое подражание персидским, и шелковых материй не отличнаго качества.

Второй случай, возбудивший особенное внимание мусульманского населения, был проезд Персидскаго Шаха, давший возможность правоверным иметь счастие лицозреть светлые очи великакго Шах-ин-Шаха, т. е. Царя Царей, подданные которого проживают в немалом количестве в Закавказье вообще, и в Тифлисе в особенности.

Земские учреждения еще не введены в крае, городские же, существующие в Тифлисе, состоят преимущественно из армян, ставящих свои личные интересы выше общественных.

Город Тифлис, бывшая столица Грузии и первый город в настоящее время на Кавказе, при слишком стотысячном населении далеко не удовлетворяет выработанным цивилизациею потребностям и удобствам жителей. Не говорю про отсутствие газа (имеются в виду газовые фонари — В. Г.), жалкое состояние мастеровых на большей части улиц, — но есть такие уголки, куда почти невозможно пробраться и где такие антигигиенические условия, что надобно удивляться сравнительно небольшой смертности.

К чести местной печати нужно отнести, что она постоянно указывает, кому ведать надлежит про все городские неурядицы, но члены городского управления не обращают на это никакого внимания и заявления прессы остаются гласом, вопиющим в пустыне.

В Кавказских войсках попыток к распространению противоправительственной пропаганды, как между офицерами, так и между нижними чинами, не проявлялось.

Учебные заведения мужские и женские под гласным наблюдением попечителя Кавказскаго учебнаго округа, тайного советника Яновскаго, лица несомненной благонадежности и подчиненных ему начальников в заведений ведутся на самых твердых и правильных основаниях. Ничего подозрительного между учащими и учащимися не замечалось. В существующей в Тифлисе воскресной школе в введении дочери уп-

равляющего Тифлисским отделением Государственнаго банка, Ольги Кайдановой, личности, подавшей повод сомневаться в политической ея благонадежности, никаких поползновений к распространению между учащимися зловредных идей не было и быть не могло, в виду совершенной неразвитости и малолетства учениц.

Волнений между крестьянами и фабричными рабочими в минувшем году не было, исключая бывшего брожения между рабочими Закавказской железной дороги в Тифлисской мастерской, бывшего в октябре прошлого года (Донесение Департаменту Полиции 24-го октября 1889 года, № 510), не имевшего никаких последствий.

Публичных лекций, обращающих внимание, не было, народные чтения в крае не практикуются.

В минувшем 1889-м году в Тифлисе издавались:

На русском языке:

1. Ежедневная газета «Кавказ», редактор-издатель губернский секретарь Тебеньков.

2. Ежедневная газета «Новое Обозрение», редактор Успенский, издательница Г-жа О. А. Николадзе.

3. Ежедневная газета «Тифлисский листок», редактор-издатель почетный гражданин Христофор Хачатуров.

На русско-французском языке:

4. В месяце два раза, журнал „Reoue con mierciabe industrielle du Caucase». («Кавказское торгово-промышленное обозрение»), редактор-издатель французский гражданин Жюль Мурье.

На французском языке;

5. В месяце два раза, иллюстрированный журнал „Ze Coucase illustré", редактор-издатель французский гражданин Жюль Мурье.

На грузинском языке:

6. Ежедневная газета «Иверия» («Грузия»), редактор-издатель князь Чавчавадзе.

7. Еженедельная газета «Театр», редактор-издатель Небиеридзе.

8. Ежедневный сельско-хозяйственный журнал «Мэурне» («Сельский хозяин»), редактор-издатель дворянин Василий Сулханов.

На армянском языке:

9. В неделю пять раз газета «Нор-Дар («Новый век»), редактор-издатель дворянин Спандарян.

10. Три раза в неделю газета «Мшак» («Работник»), редактор-издатель дворянин Арцруни.

11. Еженедельная газета «Ардзаганк» («Отголосок»), редактор-издатель дворянин Иоаннесиани.

12. Ежемесячный журнал «Ахпюр» («Родник»), редактор-издатель дворянин Назарянц.

13. Ежемесячный журнал «Мурч» («Молот»), редактор-издатель потомственный почетный гражданин Аветик Арасхананц.

На татарском языке:

14. Еженедельная газета «Кешкюль» («Сумма»), редактор-издатель Джелал-Эддин Эфенди Унси-Заде.

Все эти издания выходят после предварительной цензуры и особенного влияния на мало читающую публику не проявляют. Из ежедневных изданий пользуется большою популярностью газета «Новое Обозрение», считаемая относительно либеральным органом и издающаяся некоею Николадзе, женою Николая Николадзе, личностию с весьма темным прошлым и крайне сомнительною благонадежностью.

Из числа весьма немногих библиотек находится под наблюдением так называемая дешевая библиотека, состоящая в заведывании вышепомянутой Ольги Кайдановой.

Лиц, выдающихся особенною политическою неблагонадежностью, во вверенном моему наблюдению районе хотя и нет, — но нельзя не обратить внимания на то, что многие из привлекавшихся к дознаниям по государственным преступлениям и отбывшие наложенные на них наказания избирают г. Тифлис местом своего пребывания. Причины тому, полагаю те, что в Тифлисе имеются такие закоулки, где при слабом контроле полиции, легко укрываться от всякого наблюдения. Достойно также внимания, что многие неблагонамеренные лица охотно принимаются на службу в здешнюю городскую думу, в числе заправил которой играют видную роль вышеупомянутый Николадзе и другие.

Оканчивая за тем настоящий обзор, считаю долгом заявить, что в течение моих пятилетних наблюдений, я в числе других ненормальностей края придаю особенное значение какой-то обособленности Закавказья, каковая при всех правительственных мерах не может быть устранена без непосредственного соединения Грузии рельсовым путем с Россиею — меру эту я нахожу крайне необходимою и безотлагательною, как для пользы нашей богатой окраины, так и во избежание могущих встретиться затруднений при политических столкновениях с нашими европейскими и азиатскими друзьями и недругами.

Другое бросающееся в глаза явление местной жизни — это частые разбой и убийства, несомненно поддерживаемые обычаем носить при себе постоянно оружие. Не могу указать, каким образом следует вывести этот обычай, но твердо убежден, что искоренение его благотворно отразится на всем населении и процент уголовных преступлений значительно понизится, что в свою очередь не может не отразиться на общем благосостоянии края.

Генерал-майор **(подпись)**

საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი, ფონდი 8, აღწერა 8, საქმე. 770, ფურცლები 1—6

2. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის მოხსენება პოლიციის დეპარტამენტს.

1894 წლის 14 მარტი

НАЧАЛЬНИК
КУТАИССКОГО ГУБЕРНСКОГО
ЖАНДАРМСКОГО УПРАВЛЕНИЯ

Секретно

В Департамент Полиции

14 марта 1894 г.
№ 180
г. Кутаис

Политический обзор Кутаисской губернии, Батумского и Сухумского округов за 1893 год

Общее настроение народонаселения вверенного наблюдению моему района в 1893 году было удовлетворительно и никаких волнений среди местного населения не было замечено, но нельзя не отметить оставшегося не вполне выясненным на месте случая выдворения из Москвы через Одессу в Потийский порт транспортною конторою об-

щества «Надежда» на пароходах Русского общества пароходства и трговли — «Труворе» и «Рюрике» — 18 марта и 5 апреля 1893 года одиннадцати бочонков весом 54 пуда и 18 фунтов боевых патронов к ружьям системы Бердана и револьверам системы Смитта и Вессона, направлявшихся в город Шушу, Эриванской губернии, по квитанции на предъявителя, судя по местным слухам, будто бы для лиц, примкнувших к армянскому движению.

Городские земские и крестьянские учреждения проявили в отчетном году полную, возможную в их положении, энергию для лучшего исполнения подлежавших их разрешению вопросов, но в Батумском и Сухумском округах поземельный вопрос все еще далек от окончания и до сего времени представляет массу затруднений для жителей, в виду совершенной неопределенности прав на владение, препятствующих совершению правильной продажи и купли земель и тем задерживающих свободную колонизацию края русскими, даже и весьма состоятельными переселенцами. Как на характерные случаи запутанности земельнаго вопроса Батумской области можно указать:

1. На возбужденное проживающим в гор. Батуме, русско-подданным, по народности греком, Севастопуло дело о приобретении помощником Кутаисского военнаго губернатора в Батумской области генерал-майором князем Эристовым, в бытность председателем поземельной комиссии, в Батуме, дома и участка земли при нем, как имущества, оставшегося после удаления бывшего турецко-подданного в Турцию, между тем как Севастопуло принял русское подданство и сохранил все документы на владение этим имуществом.

2. на дело г. р. Д. Альфонса, Соловцова, Стоянова, часторговца Попова и других, приобревших земли на Чакве близ Батума от турок за наличные деньги и попавших теперь в положение людей незаконно захвативших земли, принадлежащие государственным имуществам. Медленность решения вопроса о их правах на владеемые и культивируемые участки побудила напомнить о себе и своем деле газетной статьей, что и было выполнено, помещением в № 6413 от 5-го января сего года (1894 г. — В. Г.) газеты «Новое время» статьи, подписанной «Старожил» и озаглавленной «Русское дело в Батумской области», в которой для яркости дана политического характера подкладка, заключающаяся в антагонизме грузин русской колонизации края с указанием как на одного из таких грузинских патриотов на управляющего государственным имуществом в Кутаисской губернии, действительного статского советника Гамрекелова, в действительности известного здесь как весьма полезного в своем ведомстве чиновника, ревностно охраняющего вверенные его управлению государственные имущества и интересы казны.

Статья эта вызвала проверку со стороны Министерства государственных имуществ и имела последствием вызов действительнонго статского советника Гамрекелова в С.-Петербург отчасти и по этому вопросу.

В неменьшем неустройстве вопрос и в Сухумском отделе, в котором по введению в 1885 году общей инструкции взамен действовавших прежде, всем тридцати сельским общинам туземного населения Сухумского округа отведены земельные наделы на основания высочайше утвержденного положения 8-го ноября 1870 года в количестве 127.410 десятин с запасом из них в 15.291 десятину, но чтобы окончить эту работу нужно на все наделы составить владенные записи, а так как в наделы вошли и участки собственной земли частных лиц, то предварительно составления записей мировым посредникам предстоит об-

следовать каждый земельный участок на месте с проверкою документов и опросом лиц. Всех участков отведенных обществом 45.000, обследованных же с 1885 года едва 1/10 часть.

Офицеры и нижние чины, расположенных в районе губернии, Батумскаго и Сухумскаго округов в политической неблагонадежности в отчетном году не замечались.

Среди учащейся грузинской молодежи, преимущественно слушающей курс в высших учебных заведениях, университетах и ветеринарных институтах империи, обнаружились стремления ложно патриотического характера с попыткою организации из своей среды сообщества под названием «Лига свободы Грузии», которое посредством распространения в народе изданий исключительно на грузинском языке, содействовало бы развитию в нем грузинской грамотности, сведений исключительно по истории и географии Грузии и укоренению узко национальных понятий для ограждения от руссификации.

Попытка к соглашению сочувствующих этому движению лиц была произведена в Кутаисе в 1892 году, когда во время каникул учащаяся молодежь была здесь, устроила несколько сходок в самом городе и на них выработала программу своей революционной деятельности.

Все это обнаружен случайно в Варшаве при обысках 29-го апреля 1893 года в квартирах студентов Варшавского ветеринарного института Михаила Матвеева Мирианова, Серапиона Митрофанова Микадзе и Филиппа Евсеева Махарадзе в виду замеченного их участия в революционной деятельности Варшавской учащейся молодежи и принятия Мириановым к себе в квартиру заграничных революционных изданий.

При обысках у этих лиц взято было много рукописей на грузинском языке, по переводе которых оказалось, что некоторые представляли журнал работ упомянутых выше сходок в Кутаисе, а затем сходок грузинского кружка студентов Варшавского университета и Ветеринарного института.

По выделении из дознания обо упомянутых заграничных революционных изданиях всего относящегося к Грузинскому ложно патриотическому студенческому кружку в отдельное дознание, последнее препровождено во вверенное мне Управление, где и находится ныне в рассмотрении для дальнейшей разработки.

Кроме того в течении 1893 года и некоторые отдельные лица Русской народности дали повод к возбуждению о них дознаний политического характера. Так в гор. Батуме 10-го января 1893 года полицейским околоточным надзирателем Танцуровым был задержан проживающий в Батуме в качестве рабочего Федор Григориев Лукашев за распространение рукописей антиправительственного направления.

Воспитанники средних и низших учебных заведений, а также и учительский персонал их в отчетном году в политическом отношении ни в чем предосудительном не были замечены, но в учительской семинарии в местечке Хони, Кутаисскаго уезда, 5 марта 1893 года обнаружился случай открытаго возмущения большинства воспитанников против директора семинарии. Недовольство свое воспитанники выразили тем, что 5-го марта 1893 года, в составе 40 человек, самовольно оставили семинарию и пробыли вне стен ея до 9-го марта того же месяца. Произведенным о том, по распоряжению учебнаго начальства, расследованием установлен факт особой требовательности и строгости по отношению учеников директора семинарии действительного статского советника Соколова, не принимавшего во внимание их полной

непривычки к систематическому труду. Он отчислен от этой должности.

Случаев волнения среди крестьян, фабричных и заводских рабочих в течение 1893 года в районе губернии не было.

Публичных лекции и чтений для народа не производилось.

Местными органами печати служат Кутаисские губернские ведомости и грузинская газета «Пастырь», религиозно-нравственного направления, редактируемая священником Гамбашидзе.

В местных библиотеках, составленных из периодических журналов и различных учебных пособий, никаких вредного направления изданий обнаружено не было.

Начальник Кутаисского Губернского
Жандармского Управления **Полковник Дебиль**

საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი, ფონდი 8, აღწერა 8, საქმე 770, ფურცლები 14—20

მერაბ ვაჩნაძე

კავკასიის ოხრანკის ცნობა ქართველი სოციალ-დემოკრატების შესახებ

(1909 წ.).

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მეტად საინტერესო დოკუმენტი — კავკასიის ოხრანკის ცნობა ქართველი სოციალ-დემოკრატების შესახებ. ეს ცნობა კავკასიის ოხრანკის უფროსმა 1913 წლის 5 ივნისს გაუგზავნა პერმის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს. ცნობა შეიცავს საინტერესო მასალას ქართველი სოციალ-დემოკრატების — გრიგოლ ურატაძის, ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძის, ეფრემ (რაფიელ) ჩიხლაძის, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილისა და ნოე რამიშვილის ბიოგრაფიისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი სოციალ-დემოკრატების ბიოგრაფიები მკითხველისათვის მეტნაკლებად ცნობილია. მაგრამ კავკასიის ოხრანკის ცნობა შეიცავს ბევრ ახალ მასალას, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და ახლებურად წარმოაჩენს ცნობილ ქართველი სოციალ-დემოკრატების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

დოკუმენტი დაცული საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში რუსულ ენაზე მანქანაზე ნაბეჭდი დამოწმებული ასლის სახით. ქვეყნდება დედნის სტილის შეუცვლელად.

* * *

დოკუმენტი

კავკასიის ოხრანკის ცნობა პერმის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს გრიგოლ ურატაძის, ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძის, ეფრემ (რაფიელ) ჩიხლაძის, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილისა და ნოე რამიშვილის მოღვაწეობის შესახებ.

1913 წლის 5 ივნისი.

НАЧАЛЬНИК КАВКАЗСКАГО ОХРАННАГО ОТДЕЛЕНИЯ

№ 5208
«5» Июня 1913 года
гор. Тифлис

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
НАЧАЛЬНИКУ ПЕРМСКАГО
ГУБЕРНСКАГО
ЖАНДАРМСКАГО УПРАВЛЕНИЯ

По имеющимся в делах вверенаго мне Районнаго Охраннаго Отделения сведениям, бывший учитель сел. Ланчхуты, происходящий из дворян с. Ацана, Озургетскаго уезда, Кутаисской губернии, **Григорий**

Илларионов Уратадзе, согласно постановления Совета Главноначальствующаго гражанскою частью на Кавказе, утвержденнаго 31-го июля 1904 года, был выслан в административном порядке по внутрения губернии России на пять лет, под гласный надзор полиции, за участие в противоправительственной пропаганде в Озургетском уезде в период 1903—1904 г.

По сведениям Начальника Кутаисскаго Губернскаго Жандармскаго Управления, относящимся к 1907 году, Григорием Уратадзе была составлена и отправлена члену Государственной Думы Озолю телеграмма по поводу деятельности отряда Полковника Толмачева.

По агентурным сведениям, относящимся к 1909—1911 г. г., Уратадзе входил в состав членов местной соц.-демократической организации газеты «Ахали-Гэа», каковая являлась сборным пунктом «главных деятелей соц.-дем. организации.

5-го мая 1909 года был застигнут во время обыска в квартире Левана Барамидзе, в коей помещалось неофициальное отделение, закрытой впоследствии, грузинской газеты «Чвени-Азри», где в то время также был задержан розыскиваемый циркуляром Департамента Полиции от 29-го апреля 1908 года за № 151290 бывший член 2-й Государственной Думы Северian Моисеев Джугели.

В январе 1910 года имелись агентурныя сведения, что в Тифлисе предполагалось собрание соц.-демократов, на котором должен присутствовать Григорий Уратадзе; собранием должен решаться вопрос об издании в Тифлисе партийной газеты на грузинском языке.

16 сентября 1910 года присутствовал на собрании соц.-демократов, происходившем в д. № 9, по Матиновской улице, в квартире Рафаила Чихладзе, на коем происходили выборы членов Тифлисскаго комитета, причем в числе избранных оказался и Уратадзе.

В феврале 1912 года Районом были получены агентурныя сведения, что на Всероссийской конференции Р.С.-Д.Р.П., происходившей в Северной Франции, представителем от гор. Тифлиса был Григорий Илларионов Уратадзе; причем выборы делегата происходили летом 1911 года в с. Бакурианах, Тифлисской губернии.

Из собщения Начальника С.-Петербургскаго Охраннаго Отделения от 10 апреля 1912 года видно, что Уратадзе с 29 октября 1911 года проживал безвыездно в Петербурге, в д. № 127, кв. 3, по Невскому проспекту. В течение 1911 года отсутствовал из С.-Петербурга — с 21 апреля по 29-е октября, причем отмечался выбывшим на Кавказ.

Об Уратадзе в делах Петербургскаго Охраннаго Отделения имеется сообщение Начальника Озургесткаго и Ново-Сенакскаго отрядов от 1-го апреля 1907 года за № 726, из котораго видно, что он, по агентурным сведениям, является членом Гурийскаго комитета Р.С.-Д.Р.П.

В мае 1912 года в Районе имелись агентурныя сведения, что Уратадзе из Петербурга возвратился в Кутаис, где, по его приезде, *состоялось соц.-демократическое собрание.*

Наблюдением в Кутаисе Уратадзе обнаружен не был и собрания не замечалось.

В том же мае месяца у Начальника Тифлисскаго Охраннаго Отделения имелись сведения, что соц.-демократ Григорий Уратадзе на днях приедет из Батума в Тифлис, где будет заниматься партийной работой.

В июне имелись сведения, что Уратадзе был в Тифлисе в конце мая и уехал куда-то на Черноморское побережье.

В том же месяце в Районе имелись сведения, что Уратадзе 13, 14 и 15 июня жил в Тифлисе, затем выехал в Сурам, Бакурианы и Цеми, для полыскания дачи Гегечкори, при котором лето и будет проживать.

По тем же сведениям Начальника Кутаисскаго Губернскаго Жандармскаго Управления, относящимся к августу 1912 года, Уратадзе 9 того же августа выехал из Кутаиса в Тифлис, с целью сотрудничества в одной из грузинских газет.

В сентябре 1912 года имелись агентурныя сведения, что 3 того сентября в с. Хидистави, Озургетскаго уезда, являлся Уратадзе и при содействии местнаго учителя Емельяна Ломтатидзе, собрал около Василетской школы нелегальную сходку, где произнес несколько речей, в коих призывал присутствовавших недопускать никого в 4-ю Государственную Думу, кроме Евгения Гегечкори, Миши Арсенидзе или Ивана Алибекова.

В октябре 1912 года в Районе имелись такия же сведения, что Уратадзе при выборах в Кутаисе члена Государственной Думы, являлся сторонником выбора такового из соц.-дем., а не соц.-федералистов.

В декабре того же года имелись сведения, что Уратадзе недели две назад выехал из Кутаиса неизвестно куда, но можно полагать, что в С.-Петербург, так как туда выехал его близкий друг Евгений Гегечкори.

По агентурным сведениям Начальника Енисейскаго Губернскаго Жандармскаго Управления и сведениям Департамента Полиции, сообщенным Району в сентябре 1912 года, на состоявшейся 13 августа того же года в Вене конференции организации Р.С.-Д.Р.П. присутствовал делегат от Кавказскаго областного союза и представителем от Кутаиса, называвшийся на конференции «Иваповым», «Сатапою», «Вано» и «Ано».

По сведениям же Района, названным делегатом должен быть Григорий Уратадзе, которому Канцелярией Кутаисскаго губернатора выдавались заграничные паспорта: от 9-го июля 1911 года за № 81 и 15 августа 1912 года за № 107. Для проверки этих сведений, фотографическая карточка Уратадзе была послана Районом Начальнику Енисейскаго губернскаго Жандармскаго Управления, который запиской от 21 декабря 1912 года за № 2404 сообщил, что Уратадзе действительно есть то лицо, которое присутствовало на Венской конференции под указанными выше кличками, что подтверждается и предложением Департамента полиции району от 16 января 1913 г. за № 93657, каковым предложением, вместе с тем, запрашивалось, не встречается-ли препятствий к аресту в настоящее время Уратадзе, на что Районом донесено, что препятствий нет.

В феврале 1913 года Начальником Кутаисскаго Губернскаго Жандармского Управления были получены агентурныя сведения, что Григорий Уратадзе, начиная с мая месяца до конца сентября 1912 года, все время проживал за границей, куда был послан в качестве делегата от имени соц.-демократической организации; по возвращении из-за границы, был в Кутаисе, а затем, во время выборов членов в 4-го Государственную Думу, выехал в Константинополь, где имели совещание лидеры соц.-демократической партии всех городов России.

На бывшаго члена Государственной Думы второго созыва, **Викентия Бабинова Ломтатидзе**, происходящаго из крестьян с. Хидистави, Озургетскаго уезда, Кутаисской губернии, имеются следующия сведения:

По агентурным сведениям Начальника Тифлисскаго Охраннаго Отделения, относящимся к 1904 году, в январе того года Ломтатидзе прибыл из гор. Батума в гор. Тифлис со специальной целью поддержать местную соц.-демократическую организацию, проживая до того в г. г. Батуме и Поти, где являлся серьезным агитатором названной партии. Учрежденным наблюдением была установлена его связь с местными деятелями с.-д. организации впоследствии административно-высланными Ноем Тотибадзе, Виктором Панейшвили, Галактионом Шавдия, Емельяном Кукулава и др., а затем сотрудничанье в грузинской газете «Квали», впоследствии прекращенной за вредное направление. Затем констатировано, что он является серьезным агитатором и пропагандистом среди слесарей частных мастерских г. Тифлиса; на двух сходках 6-го марта малолетних типографских рабочих и рабочих кондитерской Гепе пропагандировал о значении капитала и об обязанности пролетариата вести борьбу с правительством; на сходке типографских рабочих и приказчиков 21-го марта разбирал воззвание «Война против войны». Участник третейскаго суда 29 марта, защищавший интересы рабочих, взятых взамен забастовавших 26 марта. В ночь на 12-е апреля в предупреждение безпорядков, был подвергнут в порядке положения о Государственной охране обыску и аресту, но за неимением формальных данных к его обвинению, из под стражи был освобожден. После того вновь занялся преступной деятельностью, принявшись за организационную работу и став в местном центре, даже возможно, по мнению агентуры, — в союзном комитете.

По агентурным сведениям Начальника Кутаисского Губернскаго Жандармскаго Управления, относящимся к 1907 году, принадлежал к соц.-демократической организации и был избран в том же году в члены Государственной Думы от Кутаисской губернии. Будучи членом Государственной Думы выезжал в 1907 году в Грузию собирать материал о произволе местной администрации в деревнях для доклада Думе.

Согласно постановления Судебнаго Следователя по важнейшим делам С.-Петербургскаго Окружнаго Суда Зайцева, от 31-го мая 1907 года, Ломтатидзе, в числе других бывших членов Государственной Думы, был привлечен в качестве обвиняемаго по 102 ст. Угол. Улож., за принадлежность к думской фракции «Российской соц.-демократической рабочей партии», имевшей сношения со всеми соц.-дем. организациями в Империи и Центральном Комитете.

О результатах привлечения Ломтатидзе сведений в делах Района не имеется.

Чихладзе Ефрем, он же Рафаил, Алексеев, служивший ранее помощником заведывающего конторой редакции газеты «Ахали-Азри», издававшейся в гор. Тифлисе, закрытой за ея соц.-демократическое направление. В организации известен под кличкой «Нико» по наблюдению «Маткин».

По негласным сведениям, сообщенным Озургетским Уездным Начальником, Чихладзе с самаго начала политическаго движения в Озургетском уезде, пропагандировал в разных сельских обществах уезда, был главным агитатором Гурийскаго комитета Р.С.-Д.Р.П. и его деянию приписывают вооруженное возстание в этом уезде. В начале 1906 года Чихладзе розыскивался Озургетским Уездным Начальником по приказанию Начальника бывшаго карательнаго отряда, но дела против него по Озургетскому уезду почему то не было возбуждено. По спискам розыскиваемых он также не значится.

В 1909—1910 г. г., состоя сотрудником в разных редакциях газет, проживал нелегально под фамилией дворянина Николая Елищунова Чкония, по паспорту, выданному Озургетским Уездным Управлением 11-го июня 1899 года за № 149, но по справке оказалось, что действительный дворянин Николай Елишугов Чкония в то время содержался в Кутаисском тюремном замке, а ранее занимался торговлю при ст. «Джуматы».

По агентурным сведениям, относящимся к 1909—1910 г. г., Чихладзе, принадлежал к соц.-демократической партии, в коей являлся членом Тифлисскаго комитета, а также состоял в 1910 году членом Закавказскаго Областного Комитета Рос. Соц.-Дем. Раб. Партии; из вестен в организации под кличкой «Пико», и как видный пропагандист 10-го сентября 1910 года в гор. Тифлисе, в его квартире состоялось собрание коллектива Тифлисской соц.-демократической организации, на котором присутствовало 9-ть представителей, в том числе и Чихладзе.

По тем же сведениям, во время революционнаго движения разъезжал по селениям Озургетскаго уезда вместе с Вениамином Чхиквишвили, который осужден во делу Гурийской республики и выступал в качестве оратора на митингах в указанных селениях, якобы, начальником местных боевых дружин в названном уезде, а в 1904 году принимал активное участие в г. Батуме в делах местной соц.-демократической организации вместе с Карлом Чхеидзе, в которым жил на одной квартире.

Наблюдался в сентябре 1910 года в гор. Тифлисе под кличкой «Маткин» и 16 октября того же года Чихладзе (Чкония) был задержан в числе других лиц на собрании членов соц.-демократической организации, происходившей в помещении конторы редакции газеты «Ахали-Азри», в которой он служил помощником заведывающего конторой и привлечен при вверенном мне Управлении к переписке в порядке охраны, по окончании которой было возбуждено ходатайство пред Тифлисским Губернатором, о высылке его из пределов Кавказа в административном порядке.

Распоряжением Наместника Его Императорскаго Величества на Кавказе, в марте 1911 года Чихладзе было воспрещено жительство в пределах Кавказскаго края сроком на пять лет, причем местом своего жительства Чихладзе избрал город Ростов на Дону.

В феврале 1912 года у Начальника Кутаисскаго Губернскаго Жандармскаго Управления имелись агентурныя сведения, что соц.-демократы: Рафаил Чихладзе, Пармен Чичинадзе и др. сгруппировались в Ростве на Дону.

В декабре 1912 года у Начальника Тифлисскаго Охраннаго Отделения имелись агентурныя сведения, что высланный в Ростов на Дону Рафаил Чихладзе проживает в Тифлисе.

Чхиквишвили, Вениамин Гигоев, дворянин Озургетскаго уезда, Кутаисской губернии, по сведениям, относящимся к 1904 году, принадлежал к местной соц.-демократической партии, в которой являлся видным деятелем и пропагандистом; кроме того, он, проживая нелегально, являлся серьезным революционным деятелем нескольких комитетов.

Проживая в гор. Батуме, был привлечен при Кутаисском Губернском Жандармском Управлении к дознанию, по обвинению в преступлении, предусмотренном 250 и 318 ст. Улож. о Наказ., но до допроса скрылся и розыскивается циркуляром Департамента полиции от 1-го июня 1904 года за № 6910.

В октябре того же 1904 года был задержан в Тифлисе, где проживал нелегально под фамилией Ильи Давидовича Ормоцадзе и передан в распоряжение Помощника Начальника Кутаисскаго Губернскаго Жандармскаго Управления.

В 1907 году Чхиквишвили содержался под стражей в Озургетской тюрьме, по обвинению по 101 ст. Игол. Улож., за принадлежность к Гурийской соц.-дем. раб. партии, в которой он являлся главарем руководителем революционнаго движения в Гурии в период 1905—6 г.г

По агентурным сведениям Начальника Тифлисскаго Охраннаго Отделения, относящимся к октябрю 1910 года, Чхиквишвили разъезжал по селениям Озургетскаго уезда, с целью противоправительственной пропаганды вместе с Рафаилом Чихладзе.

Гурийским комитетом названной партии было постановлено убить всех наиболее важных свидетелей по делу Чхиквишвили, что и было частью приведено в исполнение, и в 1907 году были убиты следующия лица: Ной Квашали, Евтим Шарашанидзе и Така Глонти.

Дело о Чхиквишвили а также и др. 12-ти человек, обвиняемых по тому же делу, слушалось 6-го октября 1908 года в Одесской Судебной Палате, и Чхиквишвили, по сведениям Тифлисскаго Охраннаго Отделения осужден, но к какому наказанию — неизвестно.

Рамишвили, Ной (Наум) Виссарионов кличка «Петр Тифлисский» бывший студент Юрьевскаго университета привлекался при Кутаисском Губернском Жандармском Управлении в качестве обвиняемаго к двум дознаниям: 1) в 1902 году по делу о революционной пропаганде среди крестьян Озургетскаго уезда и 2) в 1904 году по делу о задержании в гор. Батуме тайной типографии.

Проживая в 1904 году в гор. Тифлисе по подложному паспорту на имя крестьянина Озургетского уезда, Апполона Сафронова Ломадзе ,Рамишвили вошел в состав местнаго комитета Р.С-Д.Р.П., был известен в организации под кличкой «Петр» и занимался преступной пропагандой, а также вел агитацию против войны.

В ночь на 3-е октября 1904 года, при ликвидации части Тифлисской соц.-демократической организации, Рамишвили был подвергнут в порядке положения о Государственной охране обыску и заключен под стражу впредь до выяснения его личности. Путем сношений с подлежащими властями, по поводу предъявленнаго им паспорта на имя Апполона Ломадзе, выяснилась подложность, а равно сличением его фотографической карточки, которой была установлена его личность, а затем впоследствии он и сам открыл свое настоящее звание. Будучи 17 октября 1904 года по распоряжению моего предместника отправлен в сопровождении двух жандармских унтер-офицеров в гор. Батум в распоряжение Помощника Начальника Кутаисскаго Губернскаго Жандармскаго Управления в Батумской области, Рамишвили 18-го октября, воспользовавшись оплошностью сопровождавших его жандармом и содействием находившейся с ним в одном вагоне публики, повидимому не случайно, бежал с товарной станции Батум.

Рамишвили помещен в розыскные циркуляры Департамента Полиции от 1-го августа и 1-го октября 1904 года за №№ 9000 и 11710, подлежащий обыску и аресту.

Побег Рамишвили произвел сенсацию не только в Тифлисской соц.-демократической организации, но и в Баку. Со времени его ареста приостановился выход нелегальнаго журнала «Листок борьбы пролетариата», издававшагося Кавказским союзом Р.С.-Д.Р.П., из чего явствует, что Рамишвили был душою этого дела. В марте месяце 1905 г. он снова появился в Тифлисе и, вступив с согласия рабочих

в организацию «меньшинства», занял место в комитете. 1, 18 и 20 марта в квартире рабочаго Соломона Коридзе были прочтены лекции, отправлявшимся по поручению комитета в Кахетию и Карталинию пропагандистам. 17-го марта вечером в квартире Дариспана Хелая, на собрании представителей всех районов Тифлисской социал-демократической организации, Рамишвили выступал оппонентом «большевикам», победив последних силою красноречия и знанием революционной тактики.

2-го апреля принимал участие в районной сходке 1-го района в квартире Серапиона Абхадзе, на которой обсуждался вопрос о Гурийском движении, причем было решено оказать гурийцам поддержку лишь в том случае, если движение их вызовет востание; затем принимал участие в состоявшейся 14—15 апреля конференции всех главных влиятельных Кавказских соц.-демократических рабочих организаций, созванной по инициативе Тифлисскаго комитета—«меньшинства», задача коей была ответить на практические вопросы, выдвинутые последними событиями общественно-политической жизни и в разрешении их объединить все организации.

После конференции, включившей в свою резолюцию вопрос об учреждении военно-технической комиссии для изыскания средств и вооружения пролетарских дружин, Рамишвили был избран представителет от комитета в местную военнотехническую комиссию, и 26 апреля принимал участие в «военном совете» по вопросу о выборе места для лаборатории, имевшей назначение изготовлять взрывчатыя вещества и снаряды, причем на совете было решено устроить таковую в окрестностях Тифлиса. 5-го мая на собрании всех пропагандистов Тифлисской соц.-демократической организации, Рамишвили читал реферат на тему «вновь выработанная система действий».

8-го июня Рамишвили присутствовал на собрании пропагандистов по поводу исключения из среды одного члена организации; решение этого собрания под давлением Рамишвили вызвало конфликт между рабочими и комитетом. Август месяц Рамишвили провел в Боржоме, но 29 числа был на сходке в здании Городской Думы.

6-го сентября присутствовал на собрании членов комитета и пропагандистов.

Рамишвили принимал участие также и в литературной деятельности, составляя прокламации и статьи в органе Тифлисскаго комитета «меньшинства» — «Социал-Демократ», издававшемся в Тифлисе на грузинском языке, под редакцией розыскивавшагося циркуляром Департамента Полиции от 1-го ноября 1903 года за № 10500 Н. Жордания. Рамишвили же организовал террор; он распоряжался заготовкой бомб и их распределением. При захвате в сентябре месяце 1905 года отправленных бомб в Гурию, были захвачены письма, удостоверяющия, что их отправлял Рамишвили через Илью Беридзе. В октябре 1905 года, Рамишвили являлся душой устройства по всей линии жел. дор. забастовки, разъезжая с этой целью в Кутаис, Батум, Баку и проч. города Закавказья, вместе с «хунхузом», 13 октября 1905 года он прибыл из Баку, вместе с «хунхузом» в Тифлис, и повел немедленно усиленную агитацию среди железнодорожных рабочих, рабочих завода Рукса и др., призывая всех к забастовке и выступлению масс; того же числа в квартире Варлама Месхи, Поем Рамишвили, было собрано междурайонное собрание во главе с комитетом «меньшевиков», где было окончательно решено начать общую забастовку, которая Рамишвили подготовлялась уже давно.

Являясь главарем боевой и террористической организации, Рамишвили был озабочен заготовлением значительнаго количества бомб, и хлопатал на случай возстания о прибытии из деревень вооруженных крестьянских банд, называвшихся «Красной сотней». Тогда же комитетом было решено, при благоприятных условиях, от всеобщей забастовки перейти к вооруженному возстанию 19 октября 1905 года он явился во главе образовавшагося соц.-дем. бюро, решившагося вести толпу для насильственнаго освобождения заключенных в Метехском тюремном замке и руководившаго вообще действиями толпы; там же он произнес речь по-русски и по-грузински, возбуждая толпу отправиться к Наместнику, с требованием снять военное положение и усиленную охрану, освободить арестованных, а затем отправился к Наместнику, во главе с депутацией, для предъявления изложенных требований. На митинге 21 октября 1905 г. Рамишвили являлся представителем одного из двух образованных бюро и говорил речь, призывая народ организоваться, вооружаться, дабы путем вооруженного возстания завоевать демократическую республику.

26 октября 1905 года временно выехал с «хунхузом» в Гурию, чтобы предотвратить разговор гурии войсками, которыя собирались туда направить.

6-го ноября 1905 года выступал оратором на соц.-дем. митинге, вынесшем резолюцию о предложении непримиримой борьбы впредь до достижения демократической республики, об удалении со службы всех чиновников стараго режима и пр., и вошел в состав бюро на означенном митинге.

Кроме того, вследствие поступившаго от Тифлисской соц.-дем. организации «большевиков» заявления о желании объединиться с «меньшевиками», 6-го ноября 1905 г. возле церкви в Нахаловке состоялось междурайонное собрание «меньшевиков» под председательством Ноя Рамишвили, но соглашения не состоялось.

13 ноября 1905 г. Рамишвили являлся председателем на соц.-дем. митинге, вынесшем резолюции о порицании конституционно-демократическаго съезда, отказавшагося от требования созыва учредительнаго собрания, о выражении Наместнику негодования по поводу его приказов юнкерам и кадетам за их поведение при кровавом столкновении 22 октября и требование об удалении Наместника, о вооружении против реакционно-хулиганскаго элемента, о выборе новой Городской Думы, на основаниях всеобщаго равнаго, прямого и тайнаго избирательнаго права думы, способной на революционныя действия и проч.

19-го ноября 1905 года, в помещении Кавказскаго О-ва сельскаго хозяйства Рамишвили прочел реферат: «Государственная Дума и тактика соц.-дем. организации», развивая ту мысль, что бойкотируя Государственную Думу, пролетариату может не удастся путем возстания сделать переворот, так как этим он замыкается в самого себя и дает возможность другим элементам путем контрреволюции при помощи безсознательнаго крестьянства, черных сотен и хулиганов одержать победу над освободительным движением; а чтобы пролетариат мог бы взять на себя инициативу созыва учредтельнаго собрания он должен опереться на сочувствие народных масс, для чего партия должна войти в Государственную Думу, выяснить народу физиономию заведывающих там и тогда сумеет разрушив Государственную Думу, созвать учредительное собрание.

20 ноября 1905 года Рамишвили был председателе митинга разных революционных фракций по вопросу об армяно-татарской резни, при чем была вынесена резолюция, с выражением негодования реак-

ционно-правительственным силам, провокацирующим резню, и о предании суду провокаторов со стороны правительства, призыв к объединению под красным знаменем Р.С.—Д.Р.П., призыв к самым активным действиям против хулиганскаго правительства и проч.

30-го ноября 1905 года на сходке 20 нижних чинов и одного офицера в квартире священника Татарашвили, вел пропаганду на тему о тяжелом положении солдат и необходимости присоединения к народу для совместной борьбы с правительством.

4-го октября 1905 года Рамишвили председательствовал на соц.-дем. митинге, на коем осуждались происшедшия в Батуме столкновения с войсками и постановлено потребовать от Наместника удаления из Батума казаков, а в случае отказа учредить временно революционное правительство и открыть военныя действия, объявив вместе с тем общую забастовку.

10 декабря 1905 года под председательством Ноя Рамишвили в железнодорожной столовой состоялось собрание до 2000 человек-участников соц.-демократических организаций и преимущественно железнодорожных служащих и рабочих на каковом собрании решено примкнуть к общей Российской забастовке с 12-ти час. ночи 10—11 декабря, причем решение прошло при большом недовольстве со стороны многих рабочих, но под деспотическим давлением со стороны председателя.

Затем Рамишвили вошел в состав Тифлисскаго стачечнаго бюро общей декабрьской забастовки.

23 декабря 1905 года на общем собрании «меньшевики» настаивали на продолжении общей забастовки, причем «генерал-меньшиков» Ной Рамишвили произнес речь, призывая не только к продолжению забастовки, а и к немедленному вооруженному возстанию, уверяя, что для последняго нет надобности в широкой вооруженной организации, достаточно чтобы один отряд начал возстание, как вслед за этим поднимается все население, что революция невольно втягивает других, и потому он предложил прибегнуть к своеобразной мере, а именно: нанять 100 человек, которые и должны начать возстание; предложение его было отвергнуто, а настаиванья меньшевиков на продление забастовки были сорваны доставленными в собрание сведениями о печальном для революционеров исходе событий в Москве.

31 декабря 1905 года Рамишвили был арестован в порядке охраны и сначала содержался под стражей в Тифлисском Метехском замке, а затем по болезни освобожден из под стражи.

Засим, в феврале 1906 года при вверенном мне Управлении была возбуждена переписка в порядке положения о государственной охране, об исследовании политической благонадежности Рамишвили и по постановлению Особаго Совещания от 20-го августа 1906 года он был выслан под надзор полиции в Тобольскую губернию на три года, откуда вскоре скрылся.

В 1907 году Рамишвили участвовал на Лондонском съезде членов Российской соц.-дем. рабочей партии.

В августе 1908 года Рамишвили участвовал на происходивших в Женеве пленарных заседаниях Центральнаго Комитета Российской соц.-дем. рабочей партии, и кроме того, под кличкою «Петр» — на общероссийской конференции соц.-демократической рабочей партии, происходившей в Париже с 3 по 9-е января 1909 года (новаго стиля) в качестве делегата от гор. Тифлиса с решающим голосом.

В 1910 году Рамишвили состоял членом Центральнаго Комитета Рос. Соц.-Дем. Раб. Партии.

В № 1, от 27 января 1907 года, издавшагося в гор. Тифлисе органа местной соц.-дем. организации «Молот», было помещено воззвание с предложением голосовать, в числе прочих выборщикков в Государственную Думу от Тифлисскаго Комитета Рос. Соц.-Дем. Раб. Партии, за Ноя Виссарионова Рамишвили.

По данным производившейся в конце 1908 года при вверенном мне Управлении переписки, Ной Рамишвили, совместно с Георгием Бурчуладзе и др. лицами, участвовал в ограблении кассира Цинондальскаго Удельнаго имения Мудрецова на семь тысяч рублей.

В предписании Департамента Полиции от 1-го мая 1909 года за № 129038 указано, что за границей в числе прочих выдающихся деятелей Рос. Соц.-Дем. Раб. Партии проживал «Петр-Тифлисский» (Рамишвили).

По агентурным сведениям, относящимся к 1909 г., Петр Рамишвили, по окончании курса школы пропагандистов на острове Капри, в скором времени приедет в Тифлис, для участия в выборах делегатов на какой-то предполагаемый за границей съезд соц.-дем. партии.

По справке № 71, приложенной к цирк. Департамента Полиции от 24 января 1910 года за № 105011, значится членом центральн. ком. Рос. соц.-дем. раб. парт.

По агентурным сведениям, относящимся к 1910 г., входил в состав Тифлисскаго Комитета Р.С.Д.Р.П., в 1906 году был выбран в состав Закавказскаго Областного Комитета Р.С.—Д.Р.П. В октябре месяце 1910 г. проживал нелегально в гор. Тифлисе; 6 октября того же года находился в с. Хидистави, Озургетскаго уезда, Кутаисской губернии, как член Областного Комитета, где доложил районным представителям о необходимости принятия всех мер к возстановлению распавшихся в уезде организаций, причем для оказанной надобности пропагандисты будут присланы из Баку, после чего выехал в Батум.

2-го ноября 1910 года в гор. Тифлисе был арестован под именем Григория Несторова Лордкипанидзе и привлечен к переписке в порядке Положения о Государственной охране, в результате коей выслан из пределов Кавказа, сроком на пять лет в гор. Ростов на Дону.

В предписании Департамента Полиции от 17 февраля 1910 года за № 106398 сказано, что в январе 1910 года в гор. Париже происходили пленарныя заседания Центр. комитета Рос. соц.-дем. раб. партии, причем в числе прочих на этих заседаниях присутствовал «Петр-Тифлисский» Рамишвили.

По агентурным сведениям, относящимся к 1911 году, в 1907 году ездил из Тифлиса в Елисаветполь, как член Областного Комитета, для прекращения распрей между большевиками и меньшевиками. Состоял сотрудником газеты «Ахали-Сакме» соц. дем. направления и членом Закавказскаго Областного Комитета, причем просил прислать ему из Областного Комитета явку.

В июле был в Петербурге по делу созыва за границей Всерос. соц.-дем. конференции и в том же месяце участвовал в с. Бакурианах, Тифлисской губернии, на собрании членов Областного Коомитета, где был председателем.

Летом 1911 года жил на даче в Бакурианах, а в сентябре вернулся в гор. Ростов на Дону.

По агентурным сведениям Начальнинка Кутаисскаго Губернскаго Жандармскаго Управления, относящимся к 1912 году, заведывал Сурebским районом соц. дем. партии, Озургетскаго уезда.

Сведения о том, чтобы кто-либо из вышеперечисленных лиц в 1906 году выступал на объединительном съезде Рос. Соц.-Дем. Раб. Партии, в качестве делегата от Гурии, в делах вверенного мне Районнаго Охраннаго Отделения не имеется.

ПОДЛ. ПОДПИС.
ПОЛКОВНИК ПАСТРЮЛИН.
ВЕРНО:
РОТМИСТР (ПОДПИСЬ)

სცსა, ფონდი 94, აღწერა I, საქმე 612, ფურცლები 73-85. მანქანაზე ნაბეჭდი. ასლი.

М. Д. ВАЧНАДЗЕ

СВОДКА КАВКАЗСКОЙ ОХРАНКИ О ГРУЗИНСКИХ СОЦИАЛ-ДЕМОКРАТАХ (1909 Г.)

(р е з ю м е)

5 июня 1909 года начальник Кавказской Охранки направил сводку о деятельности грузинских социал-демократов начальнику Пермского губернского жандармского управления. Сводка содержит интересный материал для биографий Гр. Уратадзе, В. Ломтатидзе, Е. Чихладзе, Б. Чхиквишвили и Н. Рамишвили.

Документ хранится в Центральном государственном историческом архиве Грузии (фонд 94, опись I, дело 612, лл. 73—85).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეროვნული დიპლომატიის ისტორიის შესწავლის ახალი საფეხური

ქართული დიპლომატიის ისტორია საუკუნეებს ითვლის, ეროვნული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია კი სულ ხუთიოდე წელია რაც დაფუძნდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შარშან ამ ლაბორატორიას ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ეწოდა.

ხსენებულ ცენტრს, რომელშიც გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა თაობის ისტორიკოსები, იურისტები, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტები და ჟურნალისტები, სათავეში თსუ რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი უდგას. სწორედ მისი რედაქტორობით გამოიცა ცენტრის სამი სოლიდური კრებული „ქართული დიპლომატია" (წელიწდეული), სადაც ფრიად აქტუალური მასალებია თავმოყრილი.

ხაზგასმითაა აღსანიშნავი წელიწდეულის ტომებში თავმოყრილი სტატიების ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოები და თემატური მრავალფეროვნება. მართალია, ნაშრომთა ძირითადი ნაწილი ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის კონკრეტულ საკითხებს ეხება, მაგრამ გვხვდება სტატიებიც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიული ასპექტების შესახებ და ცალკეულ ხელშეკრულებათა საერთაშორისო-სამართლებრივი ანალიზი.

„ქართული დიპლომატიის" პირველ ტომში (თბილისი, 1994, 284 გვ.), მოთავსებულია შემდეგი მასალები: როინ მეტრეველი, გივი ბოლოთაშვილი — „ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლისათვის", ერეკლე ასტახიშვილი — „უძველესი ქართველური გაერთიანებები და მათი ურთიერთობა ძველ ასურეთთან და ურარტუსთან", გრიგოლ გიორგაძე — „ხეთებსა და ქასქებს შორის დადებული ხელშეკრულებები" (ზოგადი მიმოხილვა), ნოდარ ლომაური — „საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სათავეებთან", გრანი ჭავთარია — „ფარნავაზის საგარეო პოლიტიკა", მარიამ ლორთქიფანიძე — „ვახტანგ გორგასლის დიპლომატიური მოღვაწეობის ისტორიიდან", დიმიტრი ლეთოდიანი — „ეგრისის სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან V საუკუნის II ნახევარში", ნოდარ ასათიანი „მონღოლთა საყაენოსთან საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი ფაქტის დაზუსტებისათვის", დავით წინძე — „საქართველოს" მრავალმეფიანობის „ხანის (1298—1318) დიპლომატია", დავით კაციტაძე — „რამდენიმე" პუჯათი „თბილისის შესახებ", გულვერ იობაშვილი — „ნიკო ნიკოლაძის დიპლომატიური და პოლიტიკური კონცეფცია (მშვიდობის, ომისა და განიარაღების საკითხები)", ლევან თოიძე — „რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და მისი დარღვევა რუსეთის მიერ და საქართველოს ფაქტობრივი ანექსია", გოჩა ჯაფარიძე — „დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV—XVI ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით", ზურაბ ავალიშვილი — „კავკასიური პოლიტიკის ისტორიიდან" (ნაწყვეტები — თარგმანი რუსულიდან და კომენტარი შოთა ბადრიძისა)", ლევან ალექსიძე — „ყარსის ხელშეკრულება (საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი)".

კრებულს ერთვის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიაზე, გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის 1993 წლის 7 ოქტომბრის მოხსენება უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთში (საქართველოში) ვითარების შესახებ, ასევე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები №876 და №896.

„ქართული დიპლომატიის" მეორე ტომში (თბილისი, 1995, 435 გვ.), ვეცნობით შემდეგ მასალებს: ალექსანდრე რონდელი — „სუსტი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე",

გოგი ცხოვრებაძე — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921—1922 Нино Буржанадзе — „Конвенция ООН по морскому праву 1982 г. и Бухарестская Конвенция о защите Черного моря от загрязнения 1992 г. — правовые вопросы защиты и сохранения морской среды, სტივენ ჯოუნსი — „საქართველოს დამოუკიდებლობის საერთო პრობლემები წარსულში და დღეს", მიხეილ სვანიძე — „1914 წელს „ოსმალეთსა და „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება", Лорик Мармания „Трагедия Абхазии", დიმიტრი ლეთოდიანი — „აფხაზეთის (აბაზგიის) საკითხი ბიზანტია — ეგრისის ურთიერთობაში (VI—VIII სს.)", გერონტი გასვიანი „ბიზანტია — ირანის ბრძოლა ეგრის-სვანეთის გამო", გრანი ქავთარია — „იბერიის მეფე მითრიდატე", გოჩა ჯაფარიძე — „ერთი ეპიზოდი მეფე რუსუდანისა და მონღოლების დიპლომატიური კონტაქტების ისტორიიდან", ნოდარ შენგელია „სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)", დავით ნინიძე — „გოლგოთას საკითხი XIV—XV სს. ქართულ დიპლომატიაში", მარინე გეგეჭკორი — „ერეკლე მეორის ერევანზე 1779 წლის ლაშქრობის ისტორიისათვის", ვალერიან მაჭარაძე — „იველ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება", გია გელაშვილი — „რაინეგსი საქართველოში და მისი დიპლომატიური საქმიანობა", გიორგი ქუქუნაშვილი — „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII ს-ის 40-იანი წლების შუა ხანებში", გოჩა საითიძე — „ახალი წყაროები იმერეთ-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 50-იანი წლები)" ნანა გელაშვილი — „ქართლ-კახეთის სამეფოთა ურთიერთობა ირანთან XVI ს-ნის 70—80-იან წლებში", ჯემშიდ გიუნაშვილი, გიორგი ჩიპაშვილი — „ირან: რევოლუცია, ისლამური რესპუბლიკა", შოთა კურდღელაშვილი — „ელჩი", „კურიერი", „ნოტა", ხეთების სატრეელი — „ზოგიერთი ქართული დიპლომატიური ურთიერთობებში", როინ მეტრეველი — „ტერმინის (მოციქული, დესპანი, ელჩი)", ზურაბ ავალიშვილი — „კავკასიური პოლიტიკის ისტორიიდან (ფრაგმენტები II, IV, და V. თარგმანი რუსულიდან და კომენტარი შოთა ბადრიძისა).

„ქართული დიპლომატიის" მესამე ტომში (თბილისი, 1996, 435 გვ.), მოთავსებულია: ალექსანდრე რონდელი — „საერთაშორისო ურთიერთობათა სამი კონცეფცია", გრიგოლ გიორგაძე — „რამსეს II-ის და ხათურლი III-ის საზაეო ხელშეკრულების აქტიური ვარიანტი", გრანი ქავთარია — „რომის იმპერია და ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა (ახ. წ-ის I-ს-ნის 40—50-იანი წლები)", მერი ინაძე — „კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ-ის I—VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში", მარიამ ლორთქიფანიძე — „საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პოლიტიკური მნიშვნელობა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის ფონზე", დიმიტრი ლეთოდიანი — „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება VI ს-ის პირველ ნახევარში", გოჩა ბუაჩიძე — „ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის „ისტორია", ჯემალ სტეფნაძე—„გიორგი III-ის წერილი ათაბაგ ილდეგიზისადმი", დავით ნინიძე — „ვინ იყო „ჯელმწიფე სპარსეთისა"?, გიორგი ქუქუნაშვილი — „საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის უმთავრესი დოკუმენტების რაობისათვის", ნოდარ შენგელია — „ექვსი ფირმანი ბათუმის შესახებ", დევი ქაჭარავა — „გიორგი საააკაძის დიპლომატიური მოღვაწეობიდან", ნანა გელაშვილი — „საქართველო და ირანი XVII ს-ის 30-იან წლებში (სპარსულ საინტერესო თხზულებათა შეკრების მიხედვით)", გერმან ზედგენიძე — „რა იცოდნენ ევროპელებმა XVI—XVIII საუკუნეებში საქართველოს შესახებ", გოჩა საითიძე — „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (XVI ს-ის 50-იანი წლები)", მარინე გეგეჭკორი — „სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა XVIII საუკუნის 60-იან წლებში და საქართველო", მიხეილ სვანიძე — „ბრესტის ზავი და საქართველო", გიორგი ახსიაშვილი — „საქართველო — გერმანიის ურთიერთობების ისტორიიდან", გოგი ცხოვრებაძე — „გენუის კონფერენცია და საქართველოს საკითხი", ბუსარიონ ჯღენტი — „ესპანეთი დასავლეთ საჰარის 1975 წლის კრიზისში (1975 წლის ოქტომბერ-ნოემბერი)", ალექსანდრე რონდელი — „ეროვნული უსაფრთხოების შესახებ", ნიკო ჯავახიშვილი — „გენერალი შალიკაშვილი".

კრებულის ამ ტომს ერთვის როგორც საუკუნის დასაწყისს, ასევე თანამედროვე

საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა ამსახველი დოკუმენტები: საფრანგეთში საქართველოს საგანგებო ელჩისა და სრულუფლებიანი მინისტრის აკაკი ჩხენკელის მემორანდუმი ერთა ლიგისადმი საქართველოს იმდროინდელი საშინაო მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, საქართველოს ხელშეკრულებები აზერბაიჯანთან (1993 წლის 3 თებერვლის), სომხეთთან (1993 წლის 19 მაისის) დაღესტანთან (1994 წლის 3 თებერვლის). გამოქვეყნებულია ასევე, საქართველო-თურქეთის დეკლარაცია (1994 წლის 13 იანვრის) და კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის დეკლარაცია.

მისასალმებელია, რომ წელიწდეულის ტომებში გამოქვეყნებულ სტატიათა დიდ ნაწილში ახლებურადაა დანახული და შეფასებული ესა თუ ის ისტორიული მოვლენა, წარმოჩენილია საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის არაერთი ახალი ფაქტი.

მოწონებას იმსახურებს წელიწდეულის ტომების მაღალი პოლიგრაფიული დონე, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობისა და სტამბის თანამშრომელთა მუხლჩაუხრელი მუშაობის ლოგიკური შედეგია.

დასასრულ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თსუ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებულის „ქართული დიპლომატია“ ასეთ სოლიდურ მეცნიერულ და პოლიგრაფიულ დონეზე შედგენა — გამოცემა ჩვენი საისტორიო მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევაა. წელიწდეულების ვადმოცემას დღევანდელ ვითარებაში ჰქონდა რიტად მნიშვნელოვანი ეროვნულ-პოლიტიკური დატვირთვაც აქვს.

გურამ ლორთქიფანიძე

ქრონიკა და ინფორმაცია

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

1992 წლის დეკემბერში ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტთან შეიქმნა ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც 1996 წლის ოქტომბრიდან ქართულ სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრად გადაკეთდა.

ცენტრში, რომელსაც თსუ რექტორი როინ მეტრეველი ხელმძღვანელობს, სხვადასხვა თაობის ისტორიკოსები, ენციკლოპედისტები, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტები, იურისტები და ჟურნალისტები მუშაობენ.

თანამშრომელთა შორის არიან: ზურაბ პაპასქირი (ხელმძღვანელის მოადგილე), გრიგნი ქაუთარია, თედო დუნდუა, დევი კაჭარავა, გულიკო იობაშვილი, დავით ნინიძე, დიმიტრი ლეთოდიანი, გოჩა ჯაფარიძე, ნინო ბურჯანაძე, ირინა თევდორაშვილი (მდივანი), თეა თევდორაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, გივი ნარსია, გიორგი სალიაშვილი, ჯაბა სამუშია, ვასილ შალამბერიძე, გოჩა საითიძე, ნიკო ჯავახიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ბონდო კუპატაძე, ბუბა კუდავა, მეელუდ ჩხეტიანი, გიორგი ახსიაშვილი, გია გურაბანიძე, ნანა ჩხეიძე, შოთა ნიორაძე, ნოდარ გიოშვილი, მამუკა დუმბაძე.

ცენტრში მოქმედებს ოთხი სამეცნიერო ცენტრი:

1. დიპლომატიის ისტორიის ჯგუფი (ხელმძღვანელი — გრიგნი ქაუთარია, წევრები: თ. დუნდუა, დ. კაჭარავა, გ. ჯაფარიძე, გ. ითიძე); 2. სალექსიკონო ჯგუფი (ხელმძღვანელი — ირინა თევდორაშვილი, წევრები: ნ. ბურჯანაძე, ნ. გიოშვილი, გ. ნარსია, გ. ახსიაშვილი, მ. მეგრელიძე, ჯ. სამუშია); 3. სახალხო დიპლომატიის ჯგუფი (ხელმძღვანელი — ზურაბ პაპასქირი, წევრები: ე. ასტახიშვილი, ბ. კუდავა, ვ. შალამბერიძე, მ. ჩხეტიანი, ნ. ჯავახიშვილი, თ. თევდორაშვილი, ლ. ჯავახიშვილი); 4. სარედაქციო ჯგუფი (წელიწდეული), ხელმძღვანელი გ. სალიაშვილი, წევრები: მ. დუმბაძე, მ. გურაბანიძე, ბ. კუპატაძე, ნ. ჩხეიძე, შ. ნიორაძე.

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უმთავრეს მიზანს ეროვნული დიპლომატიის ისტორიის ძველი და თანამედროვე საკითხების შესწავლა წარმოადგენს. იგი მუშაობს ოთხი ძირითადი მიმართულებით: 1. გამოსცემს წელიწდეულს „ქართული დიპლომატია“. 1994, 1995 და 1996 წლებში გამოვიდა წელიწდეულის სამი ტომი. 1997 წელს დაგეგმილია მეოთხე ტომის გამოცემა.

აღსანიშნავია წელიწდეულის ტომებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოები და თემატური მრავალფეროვნება.

ნაშრომთა უმრავლესობა საქართველოს საგარეოპოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის კონკრეტულ საკითხებს ეხება, თუმცა მათ შორის გარკვეული ადგილი უკავია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიული ასპექტებისა და ცალკეულ ხელშეკრულებათა საერთაშორისო სამართლებრივ ანალიზსაც.

1996 წლის 26 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახ. სხდომათა დარბაზში გაიმართა წელიწდეულის პირველი სამი ტომის პრეზენტაცია. მას, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად ესწრებოდნენ ფართო საზოგადოებრიობის და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. პრეზენტაციაზე მაღალი შეფასება მიეცა წელიწდეულის ტომებს; 2. მზადდება „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“. მასში თანმიმდევრობით იქნება განხილული ქართული დიპლომატიის საკითხები უძველესი ეპოქიდან დღემდე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში ასე თუ ისე იკვლევდნენ ქართუ-

ლი დიპლომატიის ისტორიასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მეცნიერთა აღნიშნული კრებული თვისებრივი სიახლე იქნება ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. მასში მთელი რიგი მომენტები ახლებურად იქნება დანახული. ამას გარდა, ქართველ მკითხველს პირველად მიეცემა შესაძლებლობა ერთიანი, გაბმული ისტორიის სახით გაეცნოს საქართველოს საბელმწიფო საგარეო პოლიტიკის ცვალებადობას საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით; 3. გამოსაცემად მზადდება „ქართული დიპლომატიის ლექსიკონი" ორ ტომად. უკვე დასრულებულია მუშაობა პირველ ტომზე. ჩვენში სპეციალიზებული ლექსიკონების ნაკლებობის პირობებში აღნიშნული გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებსა და დიპლომატიური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს. ლექსიკონში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ტერმინები: ხელშეკრულებები, შეთანხმებები, საზავო მოლაპარაკებები, დიპლომატიური ტერმინოლოგია, პერსონალები (სახელმწიფოს მეთაურები, პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები, მოციქულები, ელჩები...), დიპლომატიის ისტორიის წყაროები და მათი ავტორები, დიპლომატიის ისტორიის მკვლევრები და მრავალი სხვა. ქრონოლოგიური ჩარჩო აქაც დიდია — უძველესი დროიდან დღემდე. ლექსიკონში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საერთაშორისო დიპლომატიას, მაგრამ აქცენტი მაინც იმ საკითხებზეა გაკეთებული, რომლებიც საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და ქართულ დიპლომატიას უკავშირდება. ლექსიკონის პირველ ტომს მალე იხილავს ქართველი მკითხველი; 4. ისეთ საქართველოს ისტორიის კათედრასთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა „ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიის" მოსამზადებლად. მასში მოცემული იქნება დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. საზღვარგარეთ არსებობს ანალოგიური ენციკლოპედიური გამოცემები, მაგრამ ჩვენში, აღნიშნულ წიგნი პირველი ცდა იქნება პერსონალური ენციკლოპედიის გამოცემისა.

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, რომელზედაც პროფესიონალი პროგრამისტები მუშაობენ.

ნიკო ჯავახიშვილი

გადაეცა წარმოებას 2. 4. 98; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 11. 98;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 13, 5;
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17, 5;

შეკვეთა 125; ტირაჟი 120;

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება"
თბილისი 380060; დ. გამრეკელის 19.